

საქართველოს მშენებარებათა აკადემია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი
აკად. შ. ამირანაშვილის სახელობის
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

გურამ ყიფიანი

ქოლხეთისა და იბერიის წარმართული
ტაძრები და ქართული ქრისტიანული
ხუროთმოძღვრების წარმოშობის
საკითხები

თბილისი
2000

85.11(2Γ)
72(479.22)
9561

ნაშრომი მოიცავს ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების განვითარების ხანგრძლივ პერიოდს (ადრეანტიკური ხანიდან ადრექრისტიანული პერიოდის ჩათვლით). შესწავლილია კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძარ-სამლოცველოები ანტიკური და ძველადმოსავლური არქიტექტურული ტრადიციების ფონზე. მოხმობილია დიდძალი პარალელური მასალა ქართული სატაძრო ხუროთმოძღვრების როლისა და ადგილის შესაცნობად არქიტექტურის განვითარების საერთო პროცესში. ცალკეა განხილული და შესწავლილი კავკასიის ალბანეთისა და ძველი სომხეთის ზოგიერთი ძეგლი. ამიერკავკასიის ამ რეგიონთა არქიტექტურული ტრადიციების როლის გათვალისწინებამ უკეთ გამოკვეთა ქართული წარმართული საკულტო არქიტექტურის ძირითადი მიმართულებანი. წინამდებარე წიგნში განვითარებულია აზრი იმის შესახებ, რომ კოლხეთისა და იბერიის წარმართული არქიტექტურა არსებით როლს თამაშობს ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის პროცესში. წიგნის ბოლო თავი მთლიანად ამ პრობლემას ეძღვნება.

გათვალისწინებულია არქიტექტურის ისტორიკოსთათვის, არქეოლოგთა და ხელოვნებათმცოდნეთათვის.

სამეცნიერო რედაქტორი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე

რეცენზენტები — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალ. ჯავახიშვილი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი დ. მუსხელიშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. ირ. ციციშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გ. ლორთქიფანიძე

რედაქტორი — ნ. ნადარაია

JSBN 99928-829-0-5

© საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

სარჩევი

წინასიტყვა	3
თავი I კოლხეთი	5
თავი II იბერია	33
თავი III მოსაზრებანი კავკასიის ალბანეთისა და სომხეთის ზოგიერთი ძეგლის შესახებ	61
თავი IV საქართველოს წინარექრისტიანული სატაძრო არქიტექტურის განვითარების ძირითადი მიმართულებანი	69
თავი V ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები	85
შემოკლებათა განმარტება	126
ტაბულები	226

ნაშრომი 1989 წელს შესრულდა. 1991 წელს იგი უნდა გამოეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობას, მაგრამ სწორედ იმ პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა: წიგნის გამოცემაც განუსაზღვრელი დროით გადაიდო. მე მხოლოდ ორიოდე აუცილებელი ცვლილება შევიტანე მასში. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ბევრი ახალი აღმოჩენით გამდიდრდა ჩვენი ცოდნა, რომელიც, სამწუხაროდ, ამ წიგნში ვერ აისახა კვლავ მრავალი მიზეზის გამო. ყოველი ახალი აღმოჩენა სპეციალურ კვლევას საჭიროებს. და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, გადავწყვიტე წიგნის თითქმის თავდაპირველი სახით დაბეჭდვა.

გურამ ყიფიანი
2000 წლის 13 ივლისი

წინასიტყვა

ამ წიგნის მიზანია ძველი საქართველოს წარმართული ტაძრების შესწავლა, მათი განვითარების ძირითადი ტენდენციების განხილვა და ქართული ქრისტიანული ძეგლების წარმოქმნაში წინარექრისტიანული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის როლის შეცნობა.

ერთი შეხედვით, თითქოს წარმართულ ტაძრებსა და ადრექრისტიანულ ეკლესიებს არაფერი აკავშირებს ერთმანეთთან და არც რაიმე საერთო მახასიათებელი ნიშანი შეინიშნება იდეურად ერთმანეთისაგან სრულიად გამიჯნულ ამ საკულტო ნაგებობებში, მაგრამ, ვფიქრობ, არქეოლოგიურ ძიებათა შედეგად გამოვლენილი სურათი სრულიად ახალ მიმართულებას გვაძლევს კვლევისას და ადრექრისტიანულ ეკლესიათა ჩამოყალიბების პროცესში სხვა კუთხით აყენებს ჩვენ წინაშე წინარექრისტიანული ხუროთმოძღვრული ტრადიციების როლს.

მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა „ღვთის სახლი“, უპირველესად, საკულტო სიმბოლიკით, რომელიც საბოლოოდ არქიტექტურულ ფორმათა წარმოქმნის საფუძველია. ძველ საქართველოში სწორედ წარმართული ტაძრები ისახება თითქმის ყოვლისმომცველ თემად, თავისი რთული გასაიდუმლოებული სიმბოლიკით. კოლხთა და იბერთა რწმენა-წარმოდგენები თავს იყრის „ღვთის სახლში“. ტაძარი აქტიურად მონაწილეობს მათ ცნობიერებაში. უფრო ზუსტად, იგი მათი ცხოვრებისა და წარმოდგენების განუყოფელი ელემენტია. ეს ტრადიციაა და საკმაოდ ხანგრძლივი ფესვების მქონე. ქრისტიანობის დამკვიდრებას საქართველოში უნდა გამოეწვია ძველი წარმოდგენების, ტაძრის ცალკეულ ელემენტთა სიმბოლიკის ტრანსფორმაცია. უნდა მომხდარიყო ძველის ახლებურად გადააზრება და არა მისი უკვალოდ, მემკვიდრეობის გარეშე გაქრობა. ვფიქრობ, საქართველოში უწყვეტი გზა გვაქვს მონუმენტური არქიტექტურის განვითარებისა, მაგრამ, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ გზაზე არ იყო დაბრკოლებანი, შეფერხებანი, რომელსაც უთუოდ გამოიწვევდა ცალკეულ ფორმათა ახლებურად გააზრებასთან დაკავშირებული სირთულეები. შეძლებისდაგვარად ვცდილობ თვალი გავადევნო წინარექრისტიანულ ხუროთმოძღვრულ ფორმათა ტრანსფორმაციას, გამოწვეულს ახალი რელიგიის დაფუძნებით საქართველოში.

უკანასკნელ ხანს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბევრი ძველი ქალაქი გამომზეურდა: ვანი, დედოფლის მიწდორი, ძალისა, ნასტაკისი, ციხიაგორა, მცხეთის მიდამოები, საირხე და სხვ. შეივსო ჩვენი ცოდნა უფლისციხის კლდოვან ქალაქზეც. აქ გამოვლენილმა ძეგლებმა რაღაც უნდა გვითხრას და გაამდიდროს ჩვენი წარმოდგენები ან, უფრო ზუსტად, ყოველი აღმოჩენა შეძლებისდაგვარად უნდა მოექცეს მსჯელობათა სისტემაში და, თუ ძეგლის ინფორმაციულობა ამის საშუალებას იძლევა, გადაახალისოს წინამორბედი კვლევის შედეგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თეორია ვერ შეუთავსდება კონკრეტულ მასალას, ორივე მხარე იარსებებს განყენებულად.

ძველი საქართველოს წინარექრისტიანულ ტაძრებს არაერთი მკვლევარი შეხებია არქეოლოგიური მონაპოვრებისადმი მიძღვნილ სისტემატურ ანგარიშებსა თუ განმაზოგადებელი ხასიათის შრომებში. ამ პუბლიკაციებს ცალკეული ძეგლების განხილვისას ვეყრდნობი და ამიტომ მათ აქ აღარ ჩამოვთვლი, მხოლოდ გზადაგზა მოვიხსენიებ.

წიგნის პირველ განაკვეთში ცალ-ცალკე განვიხილავ კოლხეთისა და იბერიის საკულტო ნაგებობებს. მოკლედ მიმოვიხილავ კავკასიის ალბანეთისა და ძველი სომხეთის ზოგიერთ ძეგლსაც. წიგნში მოცემულია ცდა საქართველოს წინარექრისტიანული სატაძრო არქიტექტურის ძირითადი მიმართულებების დახასიათებისა, ნაშრომის დასკვნითი ნაწილი კი მთლიანად ეძღვნება საქართველოში ქრისტიანული არქიტექტურის საწყისების კვლევას.

ამ წიგნში გამოთქმულ მოსაზრებებს სრულებით არა აქვს უტყუარობის პრეტენზია. ასეთ მისწრაფებას ნაშრომის თემატიკა თავისთავად გამოიწვევს.

თავი I კოლხეთი

ძველი ვანის ტაძარ-სამლოცველოები

ვანის ძველი ქალაქის სიცოცხლის პერიოდი მოიცავს ძვ.წ.VIII-I სს-ს. ძვ.წ.III ს-დან ქალაქი იქნეს მკვეთრად განსაზღვრულ ფუნქციას. ამ დროიდან იგი სასიმაგრო ნაგებობებით შემოსაზღვრული „წმინდა ადგილია“. ქალაქის ამდაგვარი ბუნება, როგორც ჩანს, მისი არსებობის ადრეულმა პერიოდებმაც განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ ძნელია მსჯელობა, თუ რას წარმოადგენდა ქალაქი არქიტექტურულად ძვ.წ.VII-IV სს-ში, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი საკულტო ხასიათის არეებს ადრეული პერიოდის თითქმის ყველა მონაკვეთში შეიცავდა. ამას უპირველესად მოწმობს ძვ.წ.VII ს-ის სარიტუალო მოედნები, სადაც აღმოჩნდა საკულტო ხასიათის სტილიზებულ ცხოველთა ქანდაკებები. ძვ.წ.V ს-ის ბოლოსა და IV ს-ის დასაწყისში ნაქალაქარის ზედა ტერასაზე იმართება ხის ტაძარი, ხოლო ძვ.წ.IV-III სს-თა მიჯნაზე ცენტრალურ ტერასაზე იგება უჩვეულო სტრუქტურის კოშკურა-სამლოცველო. ძვ.წ.III ს-დან კი ვანის ძველი ქალაქი ყველა ნიშნის მიხედვით ტაძართა და მონუმენტურ საკურთხეველთაგან შედგენილ ერთიან, დიდ სუროთ-მოდღვრულ ანსამბლად გამოიყურებოდა.

ძვ.წ.V-IV სს-ის ხის ტაძარი

ტაძარი ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე გაითხარა 1973-74 წლებში³. ჩვენამდე ხის ნაგებობის ნაშთმა მოაღწია. ტაძარი, როგორც ჩანს, მთლიანად თიხით ყოფილა შელესილი. ნაგებობა ნახანძრალა, იგი მთლიანადაა გადამწვარი და მისი ფართობი (600 მ²) წიდადქცეული თიხის შელესილობის ფრაგმენტებით იყო მოფენილი. მათ შორის საკმაოდ იყო ისეთი ნატეხებიც, რომლებზეც საკედლე მორების ანაბეჭდები შემორჩა. შელესილობის ფრაგმენტების თანდათანობით, გეგმაზომიერად აღების შემდგომ გამოიკვეთა ტაძრის უკიდურესი, ქვედა სტრუქტურის ნაშთები, მოხერხდა მის გეგმარებით სქემაში გარკვევაც. სტრატეგრაფიული მონაცემების მიხედვით, ტაძარი ძვ.წ.V-IV სს-ით თარიღდება. ამას გარდა, მის ნაშთებში მრავლად შეგვხვდა კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც სწორედ V-IV სს-ით განისაზღვრება⁴.

ნაგებობის ძირითადი ნაწილი კლდოვან ქანზე ანუ თირზეა⁵ დაფუძნებული (ტაბ.12). დედაქანი აქ მხოლოდ ნაწილობრივია ჰორიზონტალური. ჩანს, დანარჩენი ფართობის ნიველირებისათვის დიდი სამუშაოებია ჩატარებული. სამშენებლო მოედანს, ანუ იმ ფართობს, რომელზეც ნაგებობის ნაშთები შემორჩა, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან კლდეში ნაკვეთი ღრმა არხი უვლის. ამ არხის ხელოვნური სათავე ბორცვის უმაღლეს, დამამთავრებელ წერტილშია და მისი საკულტო ფუნქცია ეჭვს არ იწვევს⁶. მაგრამ, როცა აქ ხის ნაგებობა აღიმართა, არხიც გაუქმდა. მისი SO მხარე – ნაგებობის ნაშთების უშუალოდ მიმდებარე ფართობი საგანგებოდაა ამოვსებული რიყის ქვებით, რომლებიც მოწესრიგებული იყო ხის გარდიგარდმო ძელებით. საბოლოოდ კი ამ სტრუქტურას თიხატყუპნილი ფარავდა. ეჭვგარეშეა, რომ ეს სამუშაოები სამშენებლო მოედნის გამთლიანებისათვის ჩატარდა. ეს სხვა მონაცემებითაც შეინიშნება და მას მოგვიანებით შევეხები.

ტაძრის ნაშთების SW მხარეს შემორჩა NW-დან SO-კენ თირში ნაკვეთი სწორკუთხა ბუდეების ორი რიგი. რიგებს შორის მანძილი 2 მ-ია, ხოლო ბუდეები ერთმანეთისაგან 1-1,20 მ-ით არის დაშორებული. ბუდეებში გაჭედილი ყოფილა ხის ძელები (მათი კვალი, რამდენიმე გამონაკლისის

გარდა, ყველგან შეინიშნება), რომელთა ფუნქცია საგსებით ნათელია – ისინი ნაგებობის საძირკვლის ბალიშებს წარმოადგენდა. დაფიქსირდა მათზე გარდამავალი და მათში ჩაჭედოლი საკედლე მორების ნაშთებიც (ტაბ. I, II₂). ამასთანავე, თუ SW მხარეს კედელი მხოლოდ ცალფაა, NO მხარე მორების ორმაგი რიგით ყოფილა ამოყვანილი. მას NO-დან ედგმის ან, უფრო ზუსტად, მორების ურთიერთჭდობით მასშია ჩასმული 7 მ სიგრძისა და 2 მ სისქის ხის მძლავრი კედლები. SO კედლის საძირკველი ისევეა ნაგები, როგორც ამ ნაგებობის SW მხარე, ე.ი. თირში ამოჭრილ სწორკუთხა ბუდეებში გამართული საძირკვლის ბალიშები ქმნის კედლის საყრდენს. აქ ისევე, როგორც NW კედელში, რომელიც წინარეანტიკური ხანის ფენაზეა ამოყვანილი, დადასტურებულია გრძივი საკედლე მორების ურთიერთგადამკვეთი განივი ძელებიც, რომლებიც კედლის მასივს ცალკეულ უჯრედებად ანაწევრებს. უჯრედები ამოვსებული ყოფილა რიყის ქვებისა და თიხის მასივით. ცხადია, ეს კედლები (SO და NW) წარმოადგენდა ყრუ, ხის კარკასით შეკრულ ფორმებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ SO კედელი მოგვიანებით ელინისტური ხანის სამსხვერპლო არხებსა და ორმოებს დაუზიანებია⁷. ამ ტერიტორიაზე საუკუნეთა მანძილზე წარმოებულ ქმედებათა თანმიმდევრობაც ხის ტაძრის სიცოცხლის საკმაოდ ზუსტ ქრონოლოგიურ მონაკვეთს საზღვრავს. ტაძარი აუქმებს წინარეანტიკური ხანის ღრმა არხს და ამავე პერიოდის ფენაზე იმართება მისი NW კედელი, ტაძრის განადგურების შემდგომ კი მის ნაშთებს აზიანებს როგორც ელინისტური ეპოქის სამსხვერპლო არხები, ასევე იმავე ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ტაძრის NW მხარეს)⁸.

ნაგებობის ყრუ კედლები და აგრეთვე ნაგებობის SW მხარე გამოყოფს კვადრატულ, NO-კენ ღია ფართობს. NO-კენ კედლის არაერთარი კვალი არ ჩანს. ამ ღია, ეზოს მაგვარი ფართობის იატაკი საგანგებოდ მოზეინული, ერთგვაროვანი სტერილური თიხით იყო შექმნილი.

რაც შეეხება ნაგებობის SW ნაწილს, რომელიც მთლიანად კლდეში ნაკვეთ ბუდეებში ამართულ საძირკველს ეყრდნობა, იგი ყველა ნიშნის მიხედვით გალერეაა: მთელ ამ გრძივ კართობში დედაქანზე შეიმჩნეოდა საჭრეთლისა თუ წერაქვის კვალი – ირიბი, ღრმა შტრისები, რაც უთუოდ იმას მოწმობს, რომ ეს ფართობი საგანგებოდ მოუსწორებიათ და გაუთანაბრებიათ. გარდა ამისა, თირი ამ მონაკვეთში მთლიანად იყო ხანძრისგან გაწითლებული, რაც, ცხადია, არ მოხდებოდა, რომ ნაგებობის ეს ნაწილიც SO და NW კედლების ანალოგიურად მთელ სიმაღლეზე თიხითა და ქვით ყოფილიყო შევსებული. ამასთანავე, ერთგან აქ თირზე დაფენილი განივი ძელის ფრაგმენტიც აღმოჩნდა, რაც უკვე ნამდვილად საიატაკე კოჭია, ე.წ. წოლანა, რომელსაც ფიცარნავი უნდა დაყრდნობოდა.

გალერეის კარი მის NW კუთხეში ჩანს. ტაძრის ნაშთები თვით მიგვანიშნებს ამაზე: ბუდეების რიგი ამ კუთხესთან წყდება და გარკვეული შუალედის შემდგომ გრძელდება ერთი, ამჯერად უკვე გრძივად მიმართული ბუდით. იგი აქ გალერეის დასასრულს მიანიშნებს და NW მხრიდან მის ჩაკეტვას აპირობებდა, ხოლო ის დიდი შუალედი, რომელიც აქ ისახება, საფუძველშივე შექმნილი კარის ღიობია. ამასთანავე, იგი ზუსტად უპირისპირდება დედაქანის თანაბრად ზომიერ, NO-დან SW-კენ ოდნავ ამალღებულ რელიეფს, რომელიც თავიდანვე ტოვებდა გზის, მისასვლელის შთაბეჭდილებას.

გალერეა უთუოდ მასთან მისასვლელ გზასთან ერთად ცერემონიალური სვლებისთვის იყო გამიზნული, ხოლო რიტუალთა მორგანიზებულ ბირთვად აქ კედლებით სამი მხრიდან მოსაზღვრული ღია ეზო ისახება (ტაბ. II₃).

ცერემონიალური სვლა გალერეაში SO-კენ, ცხადია, ვერ დამთავრებოდა ჩიხით. ასეთი რიტუალი ყოველთვის უწყვეტ სასიარულო არეს ითვალისწინებს. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ამ მიმართულებით ღრმა არხი ნიველირებული იყო. ამასთანავე, ამ მონაკვეთში თირში ნაკვეთი ბუდეების მიმართულებაც იცვლება SO-კენ, რაც მიანიშნებს იმას, რომ განსხვავებული კონსტრუქციული სქემითა და სუბსტრუქციის არაერთგვაროვნების გამო გალერეა გრძელდებოდა ამ მხარესაც ალბათ იგივე მანძილზე, რა სიგრძითაც იგი სცილდება NW კედელს. გარდა ამისა, არხთან

მიკვლევულ იქნა რკინის ლურსმნები. მათი აღმოჩენა სწორედ აქ იყო მოსალოდნელი: ამ ტაძრის დადასტურებული კონსტრუქციული სისტემა მორების ან ძელების ურთიერთჭდობაზეა დაფუძნებული და მისი სტრუქტურა სრულებით არ საჭიროებს ლურსმნებს. რელიეფის სირთულის გამო სისტემა მხოლოდ SO-კენ იცვლება, რაც სუბსტრუქციის საგანგებო შექმნას თხოულობს. როგორც ჩანს, მარტოოდენ ხის კონსტრუქციულ ბუნებაზე დაყრდნობა აღარ მოხერხდა. ვფიქრობ, ლურსმანი ამიტომ იყო საგანგებოდ გამოყენებული ნაგებობის მხოლოდ ამ ნაწილში. ამავე დროს, მთელ სიგრძეზე, NO-დან SW-კენ არხი ქვებითაა შევსებული და თიხით მოლესილი მონაკვეთი გალერეასთან დამაკავშირებელ ისეთივე გზას ქმნიდა, როგორც ეს მის NW მხარეს აღვწერე.

ნაგებობის საგარაუდო გარეგნული სახის წარმოდგენისას უნდა გავითვალისწინოთ ხანძრისაგან გამომწვარი თიხის შელესილობის ფრაგმენტთა ძალიან დიდი, ინტენსიური ყრილი. იგი მიანიშნებს იმაზე, რომ ტაძარი მთლიანად თიხით იყო შელესილი. რაც შეეხება ხის სტრუქტურას, ვთვლი, რომ კონსტრუქციულად (თუ არ ჩავთვლით გალერეის SO მხარის საძირკვლის მშენებლობის რამდენადმე განსხვავებულ ტექნიკას) იგი ერთგვაროვანი და მთლიანი იყო (ტაბ. III). მთლიანობაში ვგულისხმობ იმას, რომ ნაგებობათა ზედა სტრუქტურის კონსტრუქცია არ განსხვავდებოდა კედლების კონსტრუქციისაგან, ე.ი. გრძივი საკედლე მორების სიმაღლეში ცენტრისაკენ თანდათანობითი ადგილმონაცვლეობით იკვრებოდა მოცულობა. ასეთ დროს თანამიმდევრობით ცენტრისაკენ უნდა შეეცვალათ ადგილი საძირკვლის ბალიშებზე დაფუძნებულ ძელაკებსაც, რომელთა მთლიანობა კედელთა შემკრავ პილასტრებად ისახება. გადახურვის ეს სისტემა პრინციპულად სრულ შესატყვისობაშია ვიტრუვიუსის მიერ აღწერილ კოლხური სახლის ზედა ნაწილის კონსტრუქციასთან იმ განსხვავებით, რომ იგი საუბრობს კვადრატული ფორმის სახლზე და, ამდენად, კედლები, რომელთა სახურავად გადაზრდა ხდება ოთხი მხრიდან, მორების ცენტრისაკენ თანდათანობითი ადგილმონაცვლეობით კრავს მოცულობას⁹. თუ ასეთმა კონსტრუქციამ შეიძლება რამდენადმე მაინც ეჭვი დაბადოს გალერეის მიმართ, სამაგიეროდ, SO და NW კედლებისათვის, რომლებიც თავიანთ სიგრძეში ქვისა და თიხის მასივს შეიცავდა, ეს საუკეთესო გამოსავალი ჩანს. მხოლოდ აღწერილი სტრუქტურით მოხერხდებოდა ყრუ მასივთა შეკავება და ორგანიზება კედელთა სიგრძეში.

რეკონსტრუქციაზე¹⁰ ვღებულობთ საძირკვლის ბუდეებზე დაფუძნებულ, ცალკეული ძელები-საგან შედგენილ პილასტრებს (ტაბ. III), რომლებიც მთელ სიმაღლეზე მიჰყვებოდა კედლებს. ასეთი კონსტრუქციული დეტალი, ვფიქრობ, აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან გალერეის მთელ სიგრძეზე, რომელიც დაახლოებით 35 მ-ია, უნდა არსებულყო საკედლე მორების შემკრავი კონსტრუქცია. მაგრამ აქ შეიძლება ეჭვი დაბადოს მათმა სისშირემ, ბუდეების შესაბამისად ყოველ 1,8 მ-ში მათმა არსებობამ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ესოდენ მონუმენტური ნაგებობის აღმართვისას უთუოდ შეარჩევდნენ მორებად ქვეული ხის ტანიდან თანაბარი ზომის მონაკვეთებს. გრძელი მორებით ნაგებობის კონსტრუქციული სრულყოფა გაჭირდებოდა, რადგან თავისა და ბოლოს სხვადასხვა დიამეტრი დიდ სირთულეებს შექმნიდა სიგრძეში მათი ურთიერთმიბმისას. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საკედლე მორები იმ სიგრძისა იყო, რა მანძილითაც ბუდეებია და, ამდენად, პილასტრები ერთმანეთს დაშორებული. პილასტრები განაპირობებდა შედარებით გრძივი მორების ვეჯარედინ ურთიერთგადაბმას, ე.ი., როცა ორი მორის ჰორიზონტალური მიბმის ვერტიკალური ნაკერი თანხვედრა ზედა და ქვედა მორის დაახლოებით ცენტრალურ არეებს. ეს საუკეთესო კონსტრუქციული სქემაა ამ შემთხვევისთვის და მის განსახორციელებლად აუცილებელია პილასტრთა სისშირეც. ბათქაშებზე მორების კვალი იკითხება და შესაძლებელი ხდება მათი დიამეტრის განსაზღვრა — 20-25 სმ¹¹.

კონსტრუქციული სქემა ამ ნაგებობისა, უფრო ზუსტად, მისი უკიდურესი ქვედა სტრუქტურისა, რომელმაც ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოაღწია (იგულისხმება თირში ნაკვეთ ბუდეებში გამართული საძირკველი), სამშენებლო-სუროთმოდერული კულტურის საკმაოდ განვითარებულ დონეზე მეტყველებს. ჩვენთვის ადრე სრულიად უცნობი იყო ის, რომ ხის სუროთმოდერების ისეთ

ქვეყანას, როგორც კოლხეთა და რომელიც სრულად იყენებდა ხის შესადლებლობებს, თვისებრივად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ელემენტებისაგან ესოდენ ორგანული კონსტრუქციული კავშირის შექმნის ტრადიციაც ჰქონდა. დედაქანის საგანგებოდ დამუშავებას, მასში სასაძირკვლე კვადრებისათვის ბუდეების შექმნას ელინისტური სამშენებლო საქმე ნორმად ითვალისწინებს მონუმენტური ნაგებობებისათვის¹². სულ სხვა საქმეა ძვ.წ. V-IV სს-ის ძველი თავისი თვითმყოფადი კომპოზიციითა და კონსტრუქციული სქემით. ვანის ნაქალაქარზე სამშენებლო საქმის ამ მონაკვეთზე (საძირკვლის მოწყობა) პრინციპული თანხვედმა მოხდა ადგილობრივსა და ელინისტურ ტრადიციებს შორის.

წვით ტაძრის გეგმარებით კომპოზიციას რამდენადმე მაინც ზუსტი ანალოგი არ ეძებნება. ისედაც ძნელია წარმოდგენა იმისა, რომ ამ პერიოდში კოლხეთი მეზობელ რეგიონთა სატაძრო ხუროთმოძღვრებისაგან სივრცის ორგანიზაციის რაიმე პრინციპს სესხულობდეს, მაგრამ ტაძრის სისტემა და რეკონსტრუირებული ცერემონიალური სვლების გეზი შორეულ, ერთგვარ იდეურ კავშირში მაინცაა ძველადმოსავლურ, კერძოდ ინდოევროპულ, ე.წ. გეომეტრიულ სქემატიზაციასთან. უპირველესად ვგულისხმობ „კოლხური ტაძრის“ კვადრატულ მოედანს, ტაძრის დომინირებულ ერთეულს, თუმცა ღიასა და ცალი მხრიდან გახსნილს, მაგრამ მაინც მკაცრად კვადრატულს (იხ. რეკონსტრუქცია. ტაბ. III 2). კვადრატი აღმოსავლური საკულტო ნაგებობების ის ძირეული გეომეტრიული სახეა, რომელიც უპირველესად თავისი სიმბოლური დატვირთვის გამო დომინირებს აქ. გარდა იმისა, რომ კვადრატის საშუალებით ტაძრებში იქმნებოდა სამყაროს მოდელი, ის აგრეთვე ქაოსის დაძლევის იდეის ანასახიცაა. შემთხვევითი არაა, რომ კვადრატები, რომლებსაც შეიცავს ძველადმოსავლური საკულტო ნაგებობები, გვერდებით ან კუთხეებით სწორედ სამყაროს მხარეთა მიხედვით არის ორიენტირებული¹³ (კოლხური ტაძრის კვადრატული ეზოს კუთხეები თითქმის აბსოლუტური სიზუსტით უსწორდება მათ). კვადრატთა ეს მძლავრი, სიმბოლური და ხშირად მრავალგვარი შინაარსი საკულტო ნაგებობებში ცნობიერდება გარსშემოსავლელით, ძირითადი ბირთვის გარშემო უწყვეტი სასიარულო არით (ამჯერად არა აქვს მნიშვნელობა, რა ფორმითაა გარსშემოსავლელი გადაწყვეტილი). ტაძრის ეს ორი ელემენტი – კვადრატი (არც აქ აქვს ამჯერად მნიშვნელობა კვადრატის საფუძველზე ღია ეზოა შექმნილი, ზიკურატი თუ სივრცე) და გარსშემოსავლელი იდეურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რადგან კვადრატის ირგვლივობა წრიულობისა და ამავე დროს ზეციურობის ტრანსფორმაციაა¹⁴. ამდენად, კვადრატი და წრე ასახავს ორი სამყაროს – მიწიერისა და ზეციერის ორგანულ კავშირს და, შესაძლოა, კვლავ ქაოსის დაძლევის იდეასაც.

ზემოთ განხილული ტაძარი ერთ-ერთი უძველესია კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ საკულტო ნაგებობათა შორის. ვფიქრობ, შეიძლება მას კოლხური ტაძარი ვუწოდოთ. მაგრამ გაურკვეველი რჩება ჯერჯერობით ერთი რამ: მიიღო თუ არა მან მონაწილეობა როგორც მოდელმა შემდგომი პერიოდების ტაძართა ფორმირებაში. მართალია, როგორც კოლხეთში, ასევე იბერიაში შეიძლება ამოვიცნოთ ზოგიერთი იდენტური პრინციპული ელემენტი მოგვიანო ტაძრებში, მაგრამ ისინი შეიძლება მეზობელ რეგიონთა გავლენადაც მივიჩნიოთ. თუმცა ასეც რომ იყოს, იდეურად ამ ტაძრის სისტემა მასში გაცხადებული წარმოდგენებით როგორც წინაპირობა ხელს უთუოდ შეუწყობდა მსგავსი ხუროთმოძღვრული სახეების დამკვიდრებას, ამავე დროს, მათ გარდაქმნასა და საკუთარი წარმოდგენების მიხედვით გააზრებას.]

აოშკურა ტაძარი (სამლოცველო)

ეს საკულტო ნაგებობა¹⁵ ზემოთ მოვიხსენიე როგორც უჩვეულო სტრუქტურის მქონე ვგულისხმობ იმას, რომ მისი ქვედა ნაწილი, ანუ ცოკოლი, ალიზის წყობისათვის მთლიანად რიყის ქვითა და თიხითაა ნაგები და კედლების სისქე 3 მ-ს აღწევს. ესოდენ მასიური რიყის ქვის (ტაბ. IV)

კედლები კოლხეთში სხვაგან არსად დასტურდება. ცხადია, მათ სისქეს ენიჭებოდა რალაც ფუნქცია და ისინი თავისთავად გვეკარნახობს, რომ ნაგებობა კომპურა იყო. ის ამჟამად ძლიერაა დეფორმირებული, ნახანძრალიცაა და შემდგომი პერიოდების გადაკეთების კვალიც ატყვია. გარდა ამისა, აღრეპრისტიანულ ხანაში მის სიახლოვეს ეკლესია იმართება⁶ და მისი ფუნქციონირების პერიოდში კომპურა ტაძრის მიწით დაფარული ნანგრევები სასაფლაოდაა ათვისებული. მიუხედავად ამისა, მინც ხერხდება ტაძრის თავდაპირველი სტრუქტურის შემორჩენილი ფენების გამოცალკევება.

ტაძრისთვის ათვისებული სამშენებლო მოედანი (დედაქანი) მთელ სიგრძეზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წინარე პერიოდის ღრმა ნაპრალითაა შუაზე „გახსლეხილი“. ეს შეიძლება იყოს ბუნებრივი ნაპრალიც და სარიტუალო დანიშნულების ხელოვნური არხიც. ტაძრის მშენებლობის დროს იგი უქმდება და აღმოსავლეთიდან მთელ სიმაღლეზე ამოშენებულია თირის გათლილი ქვებით, რომლებზეც რიყის ქვის 3,5 მ სისქის მზლუდავი კედელია დაშენებული (ტაბ. IV ვ). ასეთივე „ზღუდე“ ტაძარს დასავლეთიდანაც აქვს და ამ ორ კედელს შორისაა მოქცეული ტაძრის კვადრატული სტრუქტურა (ტაბ. IV რ). ვანის ძველი ქალაქისათვის უჩვეულოდ გამოიყურება მისი ორიენტაციაც. ეს ერთადერთი ნაგებობაა ვანში, რომელიც მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. ტაძრის აღმოსავლეთ კედელს შიდა მხრიდან, მთელ სიგრძეზე რიყის ქვით მოგებული, დაბალი, 15-20 სმ-ის სიმაღლის მოედანი გასდევს. მოედნის ჩრდილოეთ არეში კარგად შეინიშნებოდა რიყის ქვის წყობითვე შექმნილი 30-40 სმ-ის სიღრმის ოთხი წრიული ჩაღრმავება (ტაბ. IV ზ). ღრმულები საცეცხლეებს წარმოადგენდა: ქვები სიმხურვალისაგან დაწითლებული იყო. გარდა ამისა, მრავლად იყო ფერფლიც. „საცეცხლე მოედნის“ საპირისპიროდ, დასავლეთ ნაწილშიც აღმოჩნდა რიყის ქვით შემოსაზღვრული წრიული ფართობი, რაც ცეცხლის საკურთხევის უმარტივეს ფორმას გვაგონებს.

შემორჩენილი დეტალები პირდაპირ მიგვანიშნებენ, რომ აქ ინტენსიური ცეცხლი ენთო და ღვთისმსახურება „წმინდა ცეცხლის“ თანხლებით მიმდინარეობდა. „მრავალი“ ცეცხლი ალბათ გამაპირობებელია რიყის ქვის მასიური სტრუქტურისაც. იმის მიხედვით, რასაც ვფლობთ, ნაგებობა შეიძლება განისაზღვროს როგორც ცეცხლის კომპურა ტაძარი. რაც შეეხება მის თარიღს (ძვ.წ. IV ს-ის დასასრული და III ს-ის დასაწყისი), იგი უმთავრესად სტრატოგრაფიული მონაცემების მიხედვით დგინდება — გამოიყო მშენებლობის დროინდელი შრე მასში შემაჯავლი არქეოლოგიური მასალით⁷.

თვით კომპურა ტაძრების არსზე, რომელიც საკმაოდ პოპულარულ თემად ისახება მთელ ძველ აღმოსავლეთში, მომდევნო თავებში ვისაუბრებ.

გვიანელინისტური ტაძარი ცენტრალურ ტირასაზე

ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, რთულ რელიეფზე გამართული იყო გვიანელინისტური ხანის ტაძარი მონუმენტურსაფეხურებიანი საკურთხეველითურთ⁸ (ტაბ. V რ). საკურთხეველი (ტაბ. V II ვ) ტაძრის ჩრდილოეთითაა გამართული, რითაც საესებით ირლევვა სატაძრო კომპლექსის გეგმარების ბერძნულ-ელინისტური ნორმა, რომელიც საკურთხეველის გამართვას ტაძრის წინ ითვალისწინებს და, ამასთანავე, მის მიმართვას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. საკურთხეველის იერი მთლიანად ელინისტურია. იგულისხმება, რომ საფეხურები ბაქნის მთელ სიგრძეს მოიცავდა. მონუმენტური საკურთხეველის ამგვარმა სახეობამ ელინისტურ ხანაში შეცვალა საფეხურებიანი საკურთხეველის ე.წ. T-ს მაგვარი სახეობა, სადაც საფეხურებს ბაქნის მხოლოდ ცენტრალური არე შეიცავდა (ძალზე იშვიათად T-ს მაგვარ საკურთხეველებს ელინისტურ ხანაშიც ვხვდებით და, მათ შორის, ვანშიც). ამ ტიპის საკურთხეველი (ე.ი. ისეთი, რომლის საფეხურები ბაქნის მთელ სიგრძეზეა გაჭიმული) თავის განვითარების უმაღლეს ფაზას პერგამონში აღწევს⁹, რომლის სახე მნიშვნელოვნად განაპირობა მისმა წინამორბედმა, ამავე ტიპის ძეგლებმა პრიენასა¹⁰ და მეანდრის მაგნესიაში¹¹.

ვანში საკურთხეველის შემადგენლობაში ჩართულია ბუნებრივი კლდე როგორც ბაქანი. ბაქანზე (ანუ დედაქანზე) ამოკვეთილი სამსხვერპლო არხი სწორედ საფეხურებისკენ მიემართება, ხოლო მის სათავეს გარშემო ერტყმის სხვადასხვა დიამეტრისა და სიღრმის სარიტუალო ღრმულები²². თვით საკურთხეველის წინ კორინთული კოლონადა იყო აღმართული. აქვე აღმოჩნდა არქიტრაფიც, რომელმაც განსაზღვრა სვეტშორისი არე (ტაბ.VIII).

ტაძრიდან რამდენიმე დარბაზილა შემოგვრჩა (ტაბ.V). ყველაზე დიდი „დარბაზი“ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა მიმართული. იგი საგრძნობლადაა წაგრძელებული (ტაბ.VII₂, VI₁). დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით დარბაზს მცირე „სათავსები“ ებმის. დარბაზში საკურთხეველიც იდგა. ქვიშაქვის ორი კვადრისგან შედგენილ ბაზისზე აღმართული იყო ოვალური განივკვეთის სვეტი (ტაბ.V₃, VI₃), მაგრამ, ვფიქრობ, ეს დეტალი ჩვენამდე არასრულად შემორჩა და იგი თავის დროზე ზემოდან ფილასაც შეიცავდა, ე.ი. მგონია, რომ აქ ე.წ. „მაგიდისებური საკურთხეველი“²³ იდგა. პირდაპირ კედელზე იყო მიდგმული საკურთხეველი NW სათავსის ჩრდილოეთ ნაწილში (ტაბ.VI₂). ნაგებობა კრამიტით ყოფილა გადახურული. გარდა ამისა, აქ ელინისტური სამშენებლო საქმის თითქმის სრულყოფილი სურათია წარმოდგენილი (კედელთა წყობა, კვადრების რუსტებით დამუშავება (ტაბ.V₂, VI_{3,4}), რკინის სამაგრები და მრავალი სხვ.). მას აქ არ განვიხილავ, რადგან ელინისტურ სამშენებლო საქმეზე ქვემოთ, ტაძარ-პროპილემთან დაკავშირებით ვისაუბრებ.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ დარბაზში შესასვლელი უაღრესად ვიწროა (ტაბ.VI₃) და სრულებით არ ტოვებს საპარადო კარის შთაბეჭდილებას. ამასთანავე, აღმოსავლეთი ფასადის საპირე კვადრები უზადოდაა დამუშავებული და ნამდვილად შეეფერება ფასადს (ტაბ.VI₃, VII₁). სამაგიეროდ, ვერაფრით ავხსნით ტაძრის დასავლეთი კედლის თირის ქვის არარეგულარულ წყობას. მისი იერი გამომსახველობას სრულიად მოკლებულია და მისი მიჩნევა საფასადე კედლად შეუძლებელია. უნდა აღვნიშნო, რომ ამ კედლისა და, საერთოდ, ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე სამანქანო გზის გაყვანის დროს განადგურდა. შესაძლოა, მასთან ერთად განადგურდა ტაძრის ძირითადი ბირთვიც და ჩვენამდე მხოლოდ მისმა უმნიშვნელო ნაწილმა მოაღწია. თუ ეს ასეა, დასავლეთი კედელი გარე კედელი კი არაა, არამედ ტაძრის ძირითადი ბირთვისა და გვერდითი სათავსის (რომელსაც ჩვენ „დარბაზად“ ვიხსენიებთ) გამყოფი ტიხარია, რასაც სავსებით პასუხობს მისი სტრუქტურა. სამანქანო გზა ჰყოფს ტაძრის ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლის ეზოსაგან, სადაც მრავლად დადასტურდა ქვიშაქვის ფილები და კვადრები, რომლებიც ძალიან ჰგავს ტაძრის შემადგენელ დეტალებს. სავსებით დასაშვებია, რომ ეზოში მიკვლეული ქვები ტაძრის ძირითადი ბირთვის ნაშთია. სრულყოფილად გეგმის წარმოდგენა შეუძლებელია, მისი რეკონსტრუქცია უაღრესად ჰიპოთეტური რჩება (ტაბ.VII₄).

ტაძრის თარიღი — ძვ.წ. II ს. თითქმის უეჭველობით დგინდება ორდერის ელემენტებით (კაპიტულები, ბაზისები, არქიტრაფი)²⁴, სამშენებლო ტერაკოთითა (კრამიტთა გვიანელინისტური ტიპი, პალმეტისანი ანტიფიქსი)²⁵ და სხვ. ამ მონაცემებს სავსებით შეესაბამება სტრატიგრაფიული სურათიც.

ტაძარ-პროპილემში

ვანის ძველი ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 1972 წელს დაიწყო დაახლოებით 1300 მ² ტერიტორიის გეგმაზომიერი, თანდათანობითი შესწავლა და 1986 წელს გამოიკვეთა რთული და საინტერესო სურათი — გრანდიოზული ნაგებობების კომპლექსი²⁶. ძირითადი ნაგებობა ტაძარ-პროპილემია, მონუმენტური კარიბჭე, რომელიც სასიმაგრო ნაგებობებშია ჩართული და შეიცავს საფორტიფიკაციო და საკულტო ხასიათის სისტემებს. ნაგებობა ნახანძრალია²⁷, მაგრამ ჩვენამდე თითქმის უნაკლოდ შემორჩა მისი ქვედა და ნაწილობრივ ცენტრალური სტრუქტურა, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა ვანის ნაქალაქარისათვის²⁸.

ნაგებობასა და მის მიმდებარე მცირე ტერიტორიას NW-დან და W-დან შეეული კლდე საზღვრავს (ტაბ. IX₁), S-დან და SO-დან – ხევი, აღმოსავლეთიდან – ღრმა, ხელოვნური არხი. თირის რელიეფი NW-დან SO-კენაა დაქანებული. რელიეფი შედარებით ჰორიზონტალურია სამხრეთ ნაწილში. სამშენებლო მოედნის ნიველირება თითქმის არ მოუხდენიათ. მხოლოდ თირის ის მეტისმეტად უხერხული ნაშევრები ჩანს მოსწორებული, რომელთა ჩართვა უშუალოდ ნაგებობის სტრუქტურაში ალბათ არ ხერხდებოდა.

ტაძარ-პროპილეუმი სამი ძირითადი ერთეულისაგან შედგება: I – კოშკი, II – დარბაზი, ნაგებობის ძირითადი, სარიტუალო, ცერემონიალური ბირთვი, რომელიც ამავე დროს კარიბჭეცაა და III – ბეღელი (ტაბ. IX₂). ბეღელს სამხრეთ-დასავლეთიდან სასიმაგრო კედელი (კურტინა) ებმოდა, რომელიც ფრაგმენტულადაა ჩვენამდე შემორჩენილი. სავარაუდოა, რომ კურტინა ებმოდა კოშკსაც და გრძელდებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩრდილოეთი კარიბჭის რვაკუთხა კოშკისაკენ.

ბეღელი (III) უშუალოდ ედგმის დარბაზს და ისინი, როგორც ჩანს, ერთიანი გადახურვის ქვეშ იყო მოქცეული. თითქმის განცალკევებით დგას კოშკი (ტაბ. IX₂).

დარბაზს სამი კარი ჰქონია. აქედან NO და SW ძირითადი, საზეიმო კარის შთაბეჭდილებას ტოვებს. NO კარისკენ ამოყვართ საფეხურებს (ტაბ. X₁). თვით ღიობის სივრცის იატაკი კი ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ქვიშაქვის სწორკუთხა ფილებითაა მოგებული. ასეთივე ფილებითაა შექმნილი SW კარის (ტაბ. X₁₁) წინა მოედანი. NW კარი ტაძრის სარიტუალო მოედანთან დარბაზის დამაკავშირებელი ღიობია.

დარბაზის ცენტრალურ არეში სვეტის ორი ბაზისი (W და O) საგანგებო სუბსტრუქციაზე იდგა (რიყის ქვის ფენილი ბაზისთა ფუძის დიამეტრის შესაბამისა), რაც მათ in Situ მდგომარეობას ადასტურებდა. რამდენადმე უცნაურია მათი განლაგება. ერთი შეხედვით, ისინი თითქოს დიაგონალურად დგას დარბაზის მიმართ. ქვემოთ შევეცდები ავხსნა მათი ამდგვარი განთავსების მიზეზი. ბაზისები (ტაბ. XV_{4,6}, XXVIII₂) ე.წ. „ატიკურ ტიპს“ განეკუთვნება.

გვიანელისტიურ პერიოდში ბაზისთა ამ სახეობის გავრცელების არეალი უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს²⁹. განსაკუთრებით პოპულარული ჩანს აღმოსავლეთში, სადაც მისი პროფილი მეტ-ნაკლები სიძლიერით გარკვეულ ცვლილებებს განიცდის³⁰.

დარბაზის ცენტრი ანუ ბაზისთაშორისი ფართობი 30 სმ-ითაა დადაბლებული სასიარულო დონესთან შედარებით (ტაბ. X_{4,5}). ამ ჩაღრმავებას უერთდება არხი, რომელიც მე-9 კედლის სტრუქტურაში გამართული სადინარით (ტაბ. X₁₂) შედის დარბაზში, ხოლო აქედან გზას აგრძელებს NO-კენ, სცილდება ნაგებობის ფარგლებს მე-11 კედლის ძირში შექმნილი გამჭოლი ღარით (ტაბ. X₁₃) და სამხრეთით მიემართება ხევისაკენ. დარბაზში არხი თირის ბრტყელი ფილებით იყო გადახურული.

დარბაზს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ებმის ბეღელი; დარბაზთან მას საერთო კარი არა აქვს, მე-8 კედელი ყრუა. ბეღლის კარი სამხრეთ-დასავლეთიდან დასტურდება (SW), მე-12 კედელი ჩვენამდე არასრულადაა მოღწეული და SO-დან მეორე კარი ბეღლისათვის შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ.

ამ შედარებით მცირე ზომის სათავსში (ე.ი. ბეღელში) არქეოლოგებმა მე-8 და მე-12 კედლების პარალელურად გამწკრივებულ 8 ქვევრს მიაკვლიეს. ქვევრების გარდა აქ კოლხური ამფორებისა და სხვადასხვა ზომის ქოთნების უკუფეხიცი აღმოჩნდა³¹. ყველა სახის ჭურჭელი უშუალოდ იატაკზე (თხატკენილზე) იდგა და ზოგიერთი მათგანი მარცვლეულითაც იყო საყვ³². ბეღელი 50 სმ-ითაა ამალლებული დარბაზის იატაკთან შედარებით (ტაბ. X₅). ეს დონე აქ მოზინული და შემდგომ გათანაბრებული თიხითაა მიღწეული.

კოშკის კავშირი ნაგებობის ძირითად მასებთან მხოლოდ მე-7 კედლით გამოიხატება. კოშკის NO მხარე მთლიანად მონგრეულია. ეს ტერიტორია XX ს-ის დასაწყისში სამეურნეო სათავსად იყო გამოყენებული და, როგორც ჩანს, სწორედ მაშინ განადგურდა. ჩვენამდე კოშკის (ტაბ. X₁₁) ქვის სტრუქტურამ მოაღწია. მე-3 კედელზე მხოლოდ ალიზის ორიოდვე აგური იყო შემორჩენილი. ეს კედელი ქვიშაქვის კვადრების 12 რიგით 3 მ-ის სიმაღლემდეა ამოყვანილი და მე-2 და მე-4

კედლებთან ერთად კოშკის ბაზის ქმნის (ტაბ.XII). ამ კედლებით თირის კლდოვანი, ვერტიკალური მასივი სამი მხრიდანაა მოპირკეთებული და კოშკის ალიზის სტრუქტურა სწორედ მასზე იყო დაფუძნებული. აქ კიდევ ერთი რამაა აღსანიშნავი: კოშკის წიბოები სიღრმისაკენ რამდენადმე გადახრილია, ე.ი. იგი ოდნავ პირამიდული იყო, რაც მხოლოდ კოშკურა ნაგებობებისათვისაა დამახასიათებელი. კოშკის მრავალსართულიანობის შემთხვევაში ამ გზით მიიღწეოდა მისი მდგრადობა³³.

დარბაზს NW-დან კიდევ ერთი კედელი ებმის (5). იგი სიგრძეში კოშკის საზღვრამდე ვრცელდება და მისი სიმაღლე მხოლოდ 40 სმ-ია. იგი საზღვრავს კოშკის მომიჯნავე ვიწრო მოედანს SW მხრიდან. ეს სივრცე უშუალოდ მე-3 კედლის ძირიდან ტაძრისადმი შეწირულობებით იყო შევსებული. ერთმანეთს ენაცვლებოდა ადგილობრივი და იმპორტული კერამიკული ნაწარმი. აქვე აღმოჩნდა ცხოველთა ძვლები, მათ შორის, ჯიხვის რქებიც³⁴.

დარბაზს გარე მხრიდან, NW კუთხეში საფეხურებიანი საკურთხეველი (ტაბ.XIII₂) ედგმის, რომლის მიმართულება თანხვედა ტაძრის გრძივ ღერძს. NO-ით იგი უშუალოდ მე-9 კედელს ესაზღვრება, SW-ით კი თირის კლდოვან ნაშევრს. საკურთხეველი ტიპოლოგიურად ბერძნულ სამყაროში გავრცელებულ საკურთხეველთა იმ სახეს ემსგავსება, რომელიც ცერემონიალური საკურთხეველის სახელითაა ცნობილი. მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ საფეხურები ბაქნის მთელ სიგრძეზეა გამართული³⁵ (და არა მხოლოდ ბაქნის ცენტრალურ ნაწილში), მაგრამ ის ყოველთვის დამოუკიდებელი ნაგებობაა, ხშირად ტაძართან ერთად ერთ არქიტექტურულ კომპლექსში შემავალი, მაგრამ მინც ცალკე მდგომი (და არასდროს უშუალოდ ტაძრის კედელზე მიდგმული). ბერძნული სამყაროს გარდა საფეხურებიანი საკურთხეველები პოპულარული იყო მცირე აზიის (პაფლაგონია, ლიდი, კარია) ტერიტორიაზე³⁶, სირიასა³⁷ და ფინიკიაში, რამდენადმე სახეცვლილი ფორმით აქემენიდურ ირანშიც³⁸. აღმოსავლურ სამყაროშიც მსგავსი საკურთხეველები უმეტესად ცალკე მდგომი ნაგებობებია.

ტაძარ-პროპილეუმის საფეხურებიანი საკურთხეველიდან მხოლოდ ოთხი საფეხური და ბაქნის კედლის წყობის ორი რიგი შემორჩა (ტაბ.XIII_{2,3}). ამ ფრაგმენტებზე კარგად ისახება, რომ ბაქანი გაცილებით მაღალი იყო და მის ზედაპირამდე მისალწევად საფეხურების დაახლოებით ცხრა რიგი იქნებოდა საჭირო (იხ. რეკონსტრუქცია. ტაბ.XIV₃).

ბეღელი SW მხრიდან ერთგვარი დანამატის სახით ხის მინაშენსაც შეიცავდა. მე-9 კედლის პარალელურად დედაქანში გარკვეული შუალედებით დადასტურდა ხის ბოძებისათვის ამოკვეთილი 10 სმ დიამეტრისა და 25-30 სმ სიღრმის ბუდეები (ყოველ მათგანში ხის ნაშთი იყო შემორჩენილი). ეს ფარდული თითქმის ორი მეტრი სიგანისა უნდა ყოფილიყო, ხოლო სიგრძე ბეღლის შიდა ფართობის განს უტოლდებოდა. აქვე, კრამიტყრილსა და ხის დანახშირებულ ძელებთან მრავლად აღმოჩნდა რკინის 20-25 სმ სიგრძის ლურსმნები, რკინისავე კაეები, ე.წ. კრამიტსამაგრები (კერამიდების სახურავის კედელზე დასამაგრებელი დეტალები).

დარბაზში აღმოჩნდა ქვიშაქვის ოთხი საკურთხეველი. აქედან სამი – (გეგმაზე №№1,4,5. ტაბ.X₁) დარბაზის W კუთხეში, ხოლო ერთი (№2) – O კუთხესთან. ამათგან დარბაზის კუთხილი მხოლოდ №1 და №2 საკურთხეველებია. ისინი დარბაზის იატაკზე იყო დავარდნილი, ხოლო №4 და №5 საკურთხეველები – იატაკის დონიდან 1-1,5 მ სიმაღლის იმ მასივზე, რომლითაც ამოივსო შიდა სივრცე – ალიზის აგურის ნაშალ ფენასა და კრამიტყრილზე (ტაბ.XV_{4,5}). ვფიქრობ, რომ მე-4 და მე-5 საკურთხეველები დარბაზის W კუთხის არეში გარედან მიშენებული საფეხურებიანი საკურთხეველის ელემენტებია (ტაბ.XIV₃). ისინი ალიზის კედლის საფუძვლიანად მოშლისა და ნაგებობის განადგურების შემდგომ აღმოჩნდა დარბაზში. ცხადია, ამ დროს განადგურდებოდა და მოიშლებოდა საფეხურებიანი საკურთხეველიც თავისი შემადგენელი დეტალებით.

კორქვის საკურთხეველის მაგვარი კიდევ ერთი დეტალი აღმოჩნდა კოშკის NW კუთხეში (გეგმაზე №6). იგი ქანდაკების პედესტალსაც წააგავს (ტაბ.XV₃, XV₁₃). მისი ფორმა არ აკონკრეტებს მის რაობას. მსგავსი ფორმის დეტალები ერთნაირი წარმატებით გამოიყენებოდა გვიანკლასიკურსა

და ელინისტურ ხანაში. როგორც საკურთხევლად, ასევე ქანდაკების ბაზისად³⁹. მის ზედაპირზე 15 სმ სიღრმის ბუდეა ამოკვეთილი (ტაბ. XVI). დეტალი მხოლოდ სამი მხრიდანაა პროფილირებული. უკანა მხარე მკაცრად ვერტიკალურია და, როგორც ჩანს, ზურგით კედელს ედგმოდა, მაგრამ კონკრეტულად სად, ჯერჯერობით უცნობია.

ღარბაზის NW კარის სივრცეში თეთრი ფერის კირქვისაგან გამოკვეთილი კუთხის პილასტრის კაპიტელიც (ტაბ. XVII, XXVIII) იქნა მიკვლეული (გეგმაზე №3). მისი ორივე საფასადე მხარე შემოცვეთილია, დეკორატიული ფორმები თითქმის არ იკითხება და, ამდენად, ჭირს მისი მხატვრული სახის წარმოდგენა. აგებულებითა და საერთო იერით იგი რამდენადმე პართულ არქიტექტურაში გავრცელებულ კორინთიზირებულ კაპიტელებს უახლოვდება. ერთი რამაა აქ მხოლოდ ცხადი – კაპიტელი ხის პილასტრს აგვირგვინებდა. ზემოდან მას გონიოს მოყვანილობა აქვს და მისი უკანა მხარე მთელ სიმაღლეზე სწორი კუთხით ფუძის ფართობის დაახლოებით 1/4 ნაწილითაა ამოჭრილი. კაპიტელის უკანა მხარის ამგვარი კვეთა ითვალისწინებდა სვეტის ტანის რამდენადმე აცილებას აბაკუსის სიბრტყიდან, რათა მას დაკავშირებოდა კედლის სიბრტყეს გაყოლილი სარტყელი⁴⁰.

მთელი ნაგებობისათვის საძირკვლის მოწყობის ერთი კონსტრუქციაა გამოყენებული. ნაგებობის გეგმის შესაბამისად დედაქანში ამოკვეთილია 20-30 სმ სიღრმის ბუდეები, რომლებშიც ჩასმულია საძირკვლის კვადრები. რთულ, დაფერდებულ რელიეფზე დასმული კედლებისათვის (მაგ., კოშკი) ბუდეები საფეხურებისებურადაა ნაკვეთი⁴¹.

კედლების ქვის სტრუქტურა (რომელიც ბაზისა ალიზის წყობისათვის) ძირითადად ქვიშაქვის კვადრებითაა ნაგები. ქვიშაქვითაა შეესებული კედლების შიდა სივრცეც და მათი წყობა საპირე კვადრების რეგულარული წყობის შესაბამისია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მათ გვერდებს აკლია საგანგებო დამუშავება. შემაკავშირებლად, როგორც საპირე, ასევე შიდა წყობისათვის, თიხის ხსნარია გამოყენებული. კედლების ქვის კონსტრუქცია მთლიანად ძალიან ჰგავს ე.წ. ΕΥΠΛΕΧΤΟΣ-ის ტრადიციულ სახეს⁴². საპირე წყობაში შეიმჩნევა ვიწრო „ჩანართთა“ გამოყენების შემთხვევებიც (ტაბ. XII, 2, 3), ე.ი. ისეთი ვიწრო და მოგრძო კვადრებისა, რომლებიც იჭრება კედლის შიდა სივრცეში და შევსებისა და საპირე წყობის ურთიერთკავშირს განამტკიცებს. ფასადზე ჩანართებით გასრულებული კედლის სახე აღიქმევა როგორც ვიწრო და ფართო კვადრების ურთიერთმონაცვლეობა. მე-3 კედელზე ყველაზე უკეთ იკითხება „ჩანართები“ (ტაბ. XVIII, 2, 3), თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვალები არსად არაა დაცული და ეს საესებით ბუნებრივია, რადგან ელინისტურ ხანაში წყობის სისტემები არ იზღუდება რომელიმე დაკანონებული ნიმუშით. ყველაზე დამკვიდრებულ წესად ორი მოგრძო კვადრისა და „ჩანართის“ მონაცვლეობაა მიჩნეული⁴³, მაგრამ ცნობილია სამი ფართო და ერთი ვიწრო კვადრის მონაცვლეობით აგებული კედლებიც⁴⁴, გვხვდება აგრეთვე კედლები, სადაც მონაცვლეობათა რიტმი რიგებში მთლიანადაა დარღვეული, მაგრამ „ჩანართები“ მაინც მკვეთრად გამოიყოფა⁴⁵. წყობის ეს სტილი საყოველთაოდ ქვ.წ. II ს-დან გავრცელდა მცირე აზიის ელინისტურ ცენტრებში და ტაძარ-პროპილემის აღნიშნული წყობაც სწორედ მათ სახეს იმეორებს. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამავე პერიოდის კონტინენტური საბერძნეთის არქიტექტურა მას თითქმის არ იყენებს⁴⁶. ტაძარ-პროპილემზე აშკარად შეიმჩნევა ცდა წყობათა „კლასიკური“ სახეების შექმნისა და, უმეტესად, ისოლომურისა. კვადრების მეტ-ნაკლებად თანაბარი სიმაღლის რიგებითაა გასრულებული ღარბაზის ინტერიერის საპირე წყობა, ხოლო მე-11 კედლის საფასადე მხარეს საქმე გვაქვს ფსევდოისოლომური წყობის მკვეთრად გამოხატულ სახესთან – კარგად ჩანს დაბალი და შედარებით მაღალი კვადრებით შედგენილ რიგთა ურთიერთმონაცვლეობა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მე-11 კედელი, ანუ ის, რომელიც უშუალოდ გარე ტერიტორიას საზღვრავს და კონკრეტულად ასრულებს სიმაგრის ფუნქციას, საგრძნობლად სქელაა (2,48 სმ) ნაგებობის ყველა სხვა კედელთან შედარებით. ეს სისტემები მთლიანად „ელინისტურია“, დარღვეულია წყობათა რიტმი და სიმკაცრე⁴⁷. სწორედ ქვ.წ. II ს-დან ხდება შესამჩნევი მცირე აზიაში საპირე წყობათა ხარისხისადმი შედარებით ნაკლები ყურადღება.

ცოკოლის წყობის მხრივ სრულიად სხვა სურათია ბელლის ინტერიერში. აქ ის მთლიანად თირის ოდნავ დამუშავებული ქვების ორი რიგითაა შედგენილი, სადაც ქვედა რიგს ე.წ. ბალიშები ქმნის, ხოლო ზედას – თირისავე ბრტყელი ფილები, ანუ „კორდონები“⁴⁸ (ტაბ.XV, XVIII₄).

ვფიქრობ, საინტერესოდ გამოიყურება ტაძარ-პროპილეუმის NO მხარე, სადაც დედაქანის კლდოვანი მასივი უშუალოდ კედლის სტრუქტურაშია ჩართული (ტაბ.XI). აქ უკვე დედაქანი ფუნქციონალურად საძირკვლის გარდა კედლის საპირე წყობასაც უკავშირდება და ქვიშაქვის რუსტირებულ კვადრებთან ერთად მონაწილეობს ნაგებობის ფასადის მხატვრული სახის შექმნაში. ამასთანავე, მეჩვენება, რომ კლდის კონტურის მსაზღვრავი და მის სიახლოვეს მყოფი საპირე კვადრები შედარებით უხეშადაა დამუშავებული, რაც ალბათ კლდის კედლის სტრუქტურასთან თანდათანობით შერწყმის შთაბეჭდილების შექმნას ემსახურებოდა. ეს კარგად შეინიშნება ტაძრის ყველა საფასადე მხარეს.

დარბაზის NW კართან, მე-ნ კედელზე ზედა რიგის კვადრები ერთმანეთთან II-ს მაგვარი რკინის სამაგრებითაა დაკავშირებული (ტაბ.XIX). ალბათ საკვანძო ადგილებში და ღიობებთან მათი არსებობა ყველგან უნდა ვივარაუდოთ. ასეთივე სამაგრებით ებმოდა ერთმანეთს საფეხურის ფილებიც. ქვის ზედაპირზე წინასწარ იკვეთებოდა ღრმულები, რომლებშიც სამაგრთა ბოლოები თავსდებოდა და შემდგომ გამდნარი ტყვიით ღრიჭობის შევსების შედეგად მტკიცედ იჭედებოდა ბუდეებში⁴⁹. II-ს მაგვარი სამაგრი შედარებით გვიან, ძვ.წ.VI ს-ში წარმოიშვა⁵⁰ და ერთ დროს მასზე უფრო ადრე წარმოქმნილ, მერცხლისკუდისებურ ფორმასთან შეთავსებულ სახედაც არსებობდა როგორც ერთგვარი გარდამავალი საფეხური. საბოლოოდ, II-ს მაგვარ სამაგრთა უპირატესობა საყოველთაოდ გაცნობიერდა და ფართო გამოყენება ჰპოვა, რადგან ისინი დიდი რაოდენობით ზოგადას ტყვიას და ვერტიკალურ დატვირთვასაც ღებულობს⁵¹, თუმცა ელინისტურ ხანაში შიგადაშიგ II-ს მაგვარ სამაგრთა პარალელურად სხვა ფორმებიც იჩენდა თავს⁵².

ტაძარ-პროპილეუმმა შემოგვინახა ალიზის აგურთა in Situ წყობანიც, განსაკუთრებით კარგად ის მე-8 კედელზე ჩანდა, სადაც სულ ოთხი ჰორიზონტალური მწკრივი დადასტურდა (ტაბ.XVIII₂, XX₁) და აგურის სისქეც – 37 სმ (კედლის სისქე – $1,49:4=37$) თავისთავად მივიღეთ, სიგრძე 55 სმ-ს უდრის, ხოლო სიმაღლე 8-დან 10 სმ-მდე მერყეობს, ე.ი. აქ გვაქვს აგურის (ტაბ.XVIII₃) ერთი შეხედვით უჩვეულო ნიმუში ($37 \times 55 \times 10$ სმ), მისი ერთგვარი არქაული სახე⁵³ და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოს წინარექრისტიანულ ნაგებობებში ამ სახის აგური ჯერ არ აღმოჩენილა.

მონუმენტურ ნაგებობებში აგურის ძირითად სახესთან ერთად ჩვეულებრივ თითქმის ყოველთვის გვხვდება ე.წ. ნახევარი აგური⁵⁴. გამონაკლისს არც ეს ნაგებობა წარმოადგენს, მაგრამ აქ მასთან ერთად 1/3 აგურიც აღმოჩნდა⁵⁵. მისი არსებობა მე-8 კედელზე დადასტურდა ($18 \div 19 \times 37$ სმ). ამავე კედელში შემორჩა ალიზის სტრუქტურის განუყოფელი ელემენტი – ხის განივი ძელები (ტაბ.XVIII_{1,4}). ალიზის კედელი სწორედ მათი საშუალებით იძენს მდგრადობას. მათი გამოყენების ფაქტი მცირე აზიის ტერიტორიაზე უადრესი პერიოდისაა დგინდება⁵⁶ და მთელი ანტიკური ხანის მანძილზე უცვლელად აგრძელებს არსებობას როგორც ალიზის აგურის კედლის კონსტრუქციული დეტალი⁵⁷. მე-8 კედელზე, ორ განივ ძელს შორის მანძილი 1,30 მ-ია, ე.ი. ისინი ორი მთელი და ერთი მცირე აგურის (1/3) შუალედებით არის განთავსებული (ტაბ.XX). თვით აგურთა წყობის სახე ტრადიციულია. აგურებით შედგენილ თითოეულ რიგს ზემოდან ეფინება ასეთივე მეორე რიგი და ქვედა რიგის ყოველი ვერტიკალური ნაკერი უსწორდება ზედა რიგის ცენტრალურ არეებს⁵⁸. შესაძლოა, რომ აგურები განივად ეფინა მე-11 კედელზე (ტაბ.XX₂). სტრუქტურის შეკვრის მიზნით შიგადაშიგ გვხვდება განივად დაფენილი აგურებიც (ტაბ.XVIII₂, XX).

მე-4 კედლის გარე მხარე წყობაში შექმნილი სწორკუთხა ბუდეებითა და აგრეთვე საპირე კვადრების სხვადასხვაგვარი დამუშავების ხარისხით თითქოსდა ორადაა გაყოფილი იმ არეში (ტაბ.XII₂), სადაც მას მე-7 კედელი ედგმის. აქ NO მხარე გამიჯნულია ფასადისაგან და ღრმულებიც

კედლის სტრუქტურაში ხის მოაჯირის ჩასამაგრებლად იქნებოდა შექმნილი, რომელიც მე-7 კედელზე დაფენილი ალიზის წყობას შეაკავებდა დაცურებისაგან.

დარბაზში W კუთხის საპირე კვადრებმა შემოგვინახა კუთხის პილასტრის კვალი, რომელიც, როგორც ჩანს, ხისა უნდა ყოფილიყო და ხისავე ბაზისს ეყრდნობოდა. აქ ბაზისის კვალიც კარგად შეინიშნება (ტაბ. XX₁₂). ზემოთ მოხსენებული კუთხის პილასტრის კაპიტელი (გვეგმაზე №3), რომლის ტექტონიკა ხის სვეტისათვის არის გამიზნული, ამ კუთხიდან მოწყვეტილად უნდა ჩაეთვალოთ. ასეთივე პილასტრი უნდა მდგარიყო O კუთხეშიც, მაგრამ მის საპირე კვადრებს ჩვენამდე არ მოუღწევია და ჯერჯერობით არც მეორე კაპიტელია მიკვლეული.

ტაძარში კიდევ ერთი დეტალი იქცევს ყურადღებას. ესაა SW კარის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე, მე-9 და მე-8 კედლების გადაკვეთის კუთხეში ორი გრძივი კვადრისაგან შედგენილი კორდონი (№28. ტაბ. IX₂), რომელიც გვეგმაზე კედლის გაგრძელებად ისახება და კარის ალიზის აგურისაგან შედგენილი პილონის ბაზისია (ტაბ. XIX₄). კედლის ის სიბრტყე, რომელსაც ალიზის პილონი ებჯინებოდა, საგანგებოდაა დამუშავებული. მსგავსი პილონი NO კარის ჩრდილოეთ მხარესაცაა, რომელიც უშუალოდ მე-6 კედლის მასივიდანაა გამოზიდული.

ბელლის კარი ცოკოლის ზედაპირზეა გამართული და ღიობი მხოლოდ ალიზის სტრუქტურაშია შექმნილი. ცოკოლს დაუშუშავებული ქვებით შედგენილი საფეხურები ედგმოდა, ხოლო მოპირდაპირე მხარეს (ინტერიერში), ღიობის ძირში დანახშირებული ძელების კვალი დაფიქსირდა, რომლებიც კედლისადმი მართობულად იყო გამწკრივებული. მათმა მდგომარეობამ გვაფიქრებინა, რომ ის პანდუსის კვალია და არა საფეხურებისა. შესაძლოა, გარე მხრიდან მიდგმული ქვები, რომელიც სახელდახელოდ მოწყობილი კიბის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თიხით იყო შელესილი და ასევე დაქანებულ სიბრტყეს წარმოადგენდა. ცხადია, პანდუსებით გაცილებით უფრო მოსახერხებელი იქნებოდა ბელელში ქვევრებისა და ქოთნების შეგორება. ბელელში მარცვლეულით სავსე ქოთნებისა და ამფორებისათვის უფრო სანდოა თიხის რბილი იატაკი, ვიდრე კლდოვანი მოედანი. ალბათ სწორედ ამ მიზნითაა მოგებული აქ თიხის ესოდენ დიდი (20-30 სმ სისქის) შრე.

ბელელში, ალიზის კედელზე თეთრი და ცისფერი საღებავებით დაფარული შელესილობის კვალიც იყო შემორჩენილი. იგი წარმოადგენდა განლეჟილი თიხის, წერილმარცვლოვანი ქვიშისა და დანამცეცებული ბზის ნაერთს. ალიზის კედლების შელესვა ძირეული აღმოსავლური ტრადიციაა და ფართოდ იყო გავრცელებული მთელ აღმოსავლეთში⁵⁹.

კედლების საპირე კვადრებმა შემოგვინახა მხოლოდ ერთი სახის — T-ს მოყვანილობის ღრმა კვეთით გამოყვანილი აღნიშვნებიც (ტაბ. XIX_{2,3}). ასეთი ნიშანი აქ ნ-ა. ამასთანავე, ყველა შემთხვევაში მას „წაქცეული“ მდგომარეობა (T) აქვს. ბელის დასავლეთი ფასადი შეიცავს სამ ამდაგვარ ნიშანს: ერთს ცენტრალურ არეში, დანარჩენ ორს კი — კიდეებში. სამივე მათგანის ფეხი SO-კენაა მიმართული. ორი ნიშანი იკითხება დარბაზის მე-8 კედელზე — ერთი ცენტრში და ერთიც O კუთხის სახსლოვეს. აქაც ორივე ნიშნის ფეხი ერთ მიმართულებას — NO-ს უსწორდება. ერთი ნიშანი, ფეხით NW-კენ, მე-11 კედლის ფასადის ცენტრალურ არეშიც გვაქვს (ტაბ. XXII).

სამშენებლო მასალებზე, მათ შორის კვადრებზეც, მთელი ანტიკური პერიოდის მანძილზე საკმაოდ ხშირია ბერძნული ასო-ნიშნები და მიიჩნევენ, რომ ისინი მიმწოდებელს ან რაოდენობას აღნიშნავს⁶⁰. T-ც კვადრებზე საბერძნეთისა თუ მცირე აზიის ელინისტურ ქალაქებში მრავლადაა დადასტურებული⁶¹. T-ნიშანი გვხვდება აღმოსავლეთში ალიზის აგურებზე⁶². პოპულარული ნიშანია იგი კოლხურ კრამიტებზეც⁶³, მაგრამ ყველგან იგი სწორი, ჩვეულებრივი დგომით გვხვდება. შეიძლება გვეფიქრა, რომ ვანში ნიშნები კვადრების ფორმირებისას ამოკვეთეს და შემდგომ მათი ამდაგვარი მდგომარეობა წყობამ განაპირობა, მაგრამ ეჭვს ბადებს მათი ერთნაირი მიმართულება (მაგ., სამი ნიშანი მე-9 კედელზე, სამივე SO-კენ შებრუნებული ფეხით). ნიშანი უთუოდ მიუთითებდა რაღაც ზღვარს, ხოლო ის აქ შეიძლება იყოს ის ვერტიკალური ნაკერი, რომლისკენაც ფეხია მიმართული, ე.ი. თვით კვადრის საზღვარი. მე-9 კედლის NW მხარის ნიშანი ქვის ნაკერი,

რომლისკენაც ფეხია მიმართული, თანხედება მე-8 კედლის ცენტრალურ ღერძს. მე-12 კედლის ღერძს უსწორდება მე-9 კედლის SO ნიშნულიანი ქვის სწორედ ის ვერტიკალური საზღვარი, რომელზეც ფეხი მინიშნებს, ხოლო შუა ნიშნულით კედლის ზუსტად ცენტრალური არეა აღნიშნული (ტაბ. XXII). შესაძლოა, აქ რაიმე დეკორატიული ელემენტი იგულისხმებოდა. ვფიქრობ, არ უნდა გამოირიცხოს, რომ ნიშნები სწორედ ხუროთმოძღვრის პირობითი აღნიშვნებია, როგორც მშენებლობის პროცესში სიზუსტის გარანტი.

მე-11 კედლის ნიშნულით მითითებული ნაკერი SW კარის პილონს ემთხვევა. შესაძლოა, ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნახევარში წინასწარ განისაზღვრა ის წერტილი, რომელსაც კედლის შემკრავი კოჭი უნდა დამთხვეოდა და რომლის ადგილი ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ ნახევარში პილონით ისედაც იყო განსაზღვრული.

დარბაზში, კედლის შუა არეში არსებული ნიშნული მიუთითებს დარბაზის ცენტრსა და საერთოდ ტაძრის ცენტრალურ გრძივ ღერძს (C1), ხოლო O კუთხის ნიშნულიანი ქვა კი იმას, რომ ამ კვადრით გასრულდა ის მანძილი, რაც დარბაზის სივანისთვისაა ალებული, ე.ი. ის აქ მარტივად კვადრატს აღნიშნავს (ტაბ. XXII).

ზემოთ ვახსენე ბაზისთა „უცნაური“ განლაგება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათი დგომა არ შეესაბამა დარბაზის არც განივსა და არც გრძივ ღერძს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი მდებარეობა კარგად გააზრებული სისტემის შედეგია: W ბაზისი ისეთივე მანძილითაა მე-6 კედელს დაშორებული, როგორითაც O ბაზისი მე-8-ს. ცხადია, რომ მანძილები O-6 და W-8 ერთმანეთს ემთხვევა და მონაკვეთთა ეს ტოლობანი უთუოდ ნაგებობის კონსტრუქციულ სრულყოფას ემსახურებოდა. სწორედ ბაზისთა გააზრებულმა განლაგებამ წარმოშვა გადახურვის გრძივ კოჭთა სტანდარტიზაცია: მონაკვეთი მე-6 კედლის ღერძიდან O ბაზისის ცენტრამდე დაახლოებით მე-8 და მე-12 კედლებს შორის მანძილის ტოლია და თითქმის ამავე ზომისაა W-10. ერთმანეთს უტოლდება მონაკვეთები O-8 და W-6, ე.ი. დარბაზისა და ბეღლის ერთიანი გადახურვის ქვეშ მოქცევისათვის კოჭების მხოლოდ ორი სხვადასხვა სიგრძეა საჭირო. ცხადია, რომ დარბაზის ცენტრი მონიშნულია სვეტებით (ტაბ. IX₂, XXIII); სწორედ აქეთკენ მოემართება დარბაზის სივრცეში შემოყვანილი არხი. ამავე დროს, ვფიქრობ, რომ სვეტთა შორის სივრცე წმინდა ცეცხლისათვის განკუთვნილი ადგილიცაა⁶⁴. ამ აზრს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ არც ერთი ძირითადი კარიდან დარბაზის ცენტრი, ანუ ცელა, არ მოჩანს. თუ არა ცეცხლის კულტის ძირითადი რელიგიური მოთხოვნა, სხვა რამ საიმისო მიზეზი არაფერი ჩანს აქ, რომ ღიობები ასე მკვეთრად აეცილებინათ ცენტრისათვის⁶⁵. სწორედ ცეცხლია ის დამოუკიდებელი ელემენტი, რომელიც დარბაზის სივრცეს აწესრიგებს⁶⁶. ტაძარში მისი ლოგიკური და ამავე დროს საზეიმო დასასრული კი მხოლოდ გვირგვინია⁶⁶. აქ გვირგვინის (ანუ ცრუ გუმბათის) არსებობის საუკეთესო მოწმობა სვეტთა განლაგებაა, რადგან ორქანობიანი სახურავისათვის დარბაზის გრძივ C1 ღერძზე მართლოდენ ერთი სვეტიც საკმარისი იქნებოდა, ხოლო გვირგვინთა საყრდენად ტრადიციული, ოთხსვეტიანი სქემის გამოყენება დიდად შეზღუდვად ცელას. კონსტრუქციული თვალსაზრისითაც ის საჭირო აღარაა, რადგან ბაზისთა ამდაგვარი განლაგებით გადახურვის გრძივ კოჭთა სისტემა ისედაც იდეალურადაა მოწესრიგებული. ორი სვეტი იმ წერტილებში, სადაც ისინი იდგა, საუკეთესო წინაპირობაა იმ ამოცანის გადასაწყვეტად, რასაც ამ ტაძრის არქიტექტურა ისახავს. დარბაზის იატაკზე ბაზისთა გარშემო დადასტურდა ურთიერთგადამკვეთი, დანახშირებული მასიური ძელები (ტაბ. X) - ალბათ ძირს ჩამოვარდნილი გვირგვინის ნაშთი. ამავე დროს, ცენტრში კრამიტის მხოლოდ ორიოდ ნატეხი ეგდო, ხოლო მისი დანარჩენი ფართობი და ბეღელიც ინტენსიური კრამიტყრილით იყო დაფარული. ცხადია, რომ აქ დარბაზი და ბეღელი ერთიანი გადახურვის ქვეშაა მოქცეული, რომლის ერთ წერტილში გვირგვინია ამოზიდული.

ნაგებობის მეტრული სისტემა სამშენებლო მოდულს იყო დამორჩილებული და აწესრიგებდა დეტალთა სიდიდეებს. ანტიკურ ხუროთმოძღვრებაში მოდულად, ანუ მეტრულ ზღვრად, ჩვეუ-

ლებრივ რომელიმე დეტალის სიდიდე იყო მიღებული, უმეტეს შემთხვევაში, ბაზისის ზედაპირის რადიუსი (ან დიამეტრი)⁶⁷. ასევე ჩანს ეს აქაც, ტაძარ-პროპილევში, სადაც ბაზისთა ზედაპირის დიამეტრი (49,5 სმ) თითქმის ზუსტად ემთხვევა ე.წ. *შუამდინარულ* წყრთას⁶⁸. ამასთანავე, თვით ბაზისიც მოდულური სისტემითაა შექმნილი, (ტაბ.XXVIII₂), რაც იმაში ვლინდება, რომ მისი ზედაპირის რადიუსი ყველა სხვა დანარჩენი მცირე მონაკვეთის ჯერადა და ცალკეულ დეტალებს შორის ეს ურთიერთდამოკიდებულება მთელ ნაგებობაზე ვრცელდება, ე.ი. აქ წყრთა=2 მოდულს და უტოლდება ბაზისის ზედაპირის დიამეტრს.

სამშენებლო-კონსტრუქციული მოდული უპირველესად სამშენებლო მასალებში ისახებოდა და აქ სწორედ მასაა დამორჩილებული როგორც ალიზის აგურთა, ასევე კრამიტთა ზომები და სხვ. (იხ. ცხრილი, სადაც მოცემულია ტაძრის ყველა ძირითადი დეტალის დამოკიდებულება მოდულთან). კონსტრუქციული მოდული სრულყოფს მხოლოდ სამშენებლო თანაფარდობებს, რითაც ამოიწურება მისი როლი, ხოლო ნაგებობის კომპოზიციური სრულყოფასთვის მისი შექმნის პროცესში ისახება გეომეტრიული სისტემები, რომელთა დანიშნულებაა შექმნას გარკვეულ კანონზომიერებებზე დაფუძნებულ შეფარდებათა ჰარმონიული სურათი.

ტაძარ-პროპილევში კომპოზიციური სქემისათვის ამოსავალი წერტილი, ცხადია, დარბაზშია საძებნელი და, ამავე დროს, ალბათ სწორედ გრძივ C1 ღერძზე, რომელიც მთელ ნაგებობას ორ არათანაბარ ნაწილად ჰყოფს (ტაბ.XXIII₁). ამ გაყოფის შედეგად ვხვდებით, რომ დარბაზის SW ნაწილის სქემა ორი კვადრატის ჯამია, რომელთა NO მხარის კუთხეები ჩემ მიერ პირობითად აღნიშნულ a წერტილში ჯგუფდება (ტაბ.IX₃). დარბაზის დანარჩენი ფართობი კი მიღებულია მარტივად, ამ ორი კვადრატის დიაგონალის გვერდზე გადაზომვით (ტაბ.IX₃). გამოდის, რომ დარბაზის სიგრძე უდრის გრძივი ღერძით გამოყოფილი SW ნაწილის დიაგონალს. სწორკუთხედი, რომელმაც დარბაზი შემოსაზღვრა, ე.წ. დინამიკური კვადრატია⁶⁹. ამ გეომეტრიულ სახეს ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები იყენებდნენ ხუროთმოძღვრებაში გეგმარებითი კომპოზიციების სრულყოფისათვის⁷⁰. ამავე მიზნით ფართო გამოყენება ჰქონდა მას მთელი ანტიკური პერიოდის მანძილზე⁷¹. მარტივი ხერხითაა მიღებული დარბაზისა და ბელის გამაერთიანებელი სწორკუთხედიც: დარბაზის ცენტრიდან (a) სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადაზომილია დარბაზის სიგრძე (მე-9 და მე-11 კედლებს შორის მანძილი). ამ მონაკვეთის დარბაზის გარეთ დარჩენილმა ნაწილმა ზღვარი დაუდო ბელის ფართობს (ტაბ.IX₅).

ტაძრის NW მხარე, რომელიც საგრძნობლად დანაწევრებულია და სადაც მკვეთრად გამოიყოფა კოშკი, ისეთივე გეომეტრიული სხეულით, ე.ი. დინამიკური კვადრატითაა შემოფარგლული, როგორითაც დარბაზი. ამჯერად მის ფარგლებში მე-6 კედელიცაა მოქცეული (ტაბ.IX₅), რის შედეგადაც მთელი ნაგებობა თავსდება ისეთ სწორკუთხედში (1:√5), რომელიც, როგორც გეგმათა საფუძველი, ყველაზე მეტად იყო პოპულარული ანტიკურ ხუროთმოძღვრებაში⁷² (ტაბ.IX₄).

აღნიშვნის ღირსია დარბაზში სვეტებით მონიშნული გვირგვინქვეშა სწორკუთხედიც, რომლის გრძივი გვერდი (ბაზისთა ცენტრებს შორის მანძილი) 8 დიამეტრის ტოლია (ბაზისის ზედაპირის დიამეტრი 49,5 სმ=2M=1 წყრთას), ხოლო სიგანე 5 დიამეტრია (ტაბ.XXIII₁), ე.ი. გვირგვინის ფუძე, მისი საწყისი და ნაგებობის ცენტრალური ფართობი მიღებულია ისეთი მთელი რიცხვების ურთიერთშეფარდებით, რომელიც ძალიან უახლოვდება „ოქროს კვეთს“, ანუ ცელასათვის საფუძველი აქ „ოქროს კვეთის“ სწორკუთხედა (5:8=0,625; 8:13=0,615)⁷³.

ტაძარ-პროპილევში კვადრატი თავისუფალი სახით, როგორც ფართობი, არსად გვაქვს. ხუროთმოძღვარი კვადრატს, როგორც ამოსავალ სახეს, სშირად მიმართავს, მაგრამ დამოუკიდებელი სახით არსად არ ტოვებს ნაგებობაში, განსხვავებით ძველი აღმოსავლეთის არქიტექტურული ტრადიციისაგან, სადაც ის (კვადრატი) არათუ საწყისია კომპოზიციისა, არამედ დომინირებული სხეულიც⁷⁴.

ერთი შეხედვით, თითქოსდა მოსალოდნელი იყო, რომ დარბაზის კვადრატს მიახლოებულ სწორკუთხედში გვექონოდა ოთხი სვეტით შემოფარგლული კვადრატული ცელა, მაგრამ მაშინ

ალბათ სუროთმოდღვარი ბრტყელ სასურავს ვერ ასცდებოდა. აქ კარგად ჩანს მისი მიზანი – გვირგვინს ორქანობიანი კრამიტით დაფარული სასურავი უნდა შეუთავსოს, ხოლო კვადრატულობის შემთხვევაში ცელას განიერი მალი ვერ გაუძლებდა კენის დატვირთვას და ვერც ისე დააპატარავებდა კვადრატს, რიტუალისათვის რომ მოუხერხებელი ყოფილიყო. სწორედ ამიტომაცაა გვირგვინის საწყისად შერჩეული წაგრძელებული სწორკუთხედი („ოქროს კვეთისა“). მისი სივიწროვეც მოუხერხებელი რომ არ აღმოჩნდეს, სუროთმოდღვარი მხოლოდ ორი სვეტით კმაყოფილდება, მაგრამ საამისოდ ზუსტად და კონსტრუქციული თვალსაზრისით ბოლომდე გააზრებული წერტილებია შერჩეული.

კოლხური კრამიტით შედგენილი საბურველის გრაფიკული რეკონსტრუქცია გ. ლეჟავას მიერ სრული დამაჯერებლობითაა განხორციელებული⁷⁵. კიდევ უფრო ადრე, როგორც ჩანს, იგივე კონსტრუქცია ბ. კუფტინმა ივარაუდა ბრტყელი კრამიტების ნატეხებზე დაკვირვების შედეგად⁷⁶. ტაძარ-პროპილეუმის ფართობზე დაფიქსირებული კრამიტყრილი, ვფიქრობ, დამატებით მასალას იძლევა საბურველის თავდაპირველი სახის წარმოსადგენად.

კოლხური ბრტყელი კრამიტი (ტაბ. XXIV 1) სწორკუთხა მოყვანილობის ტერაკოტული ფილაა, რომლის გრძივი გვერდები დაბალი კედლებითაა აღჭურვილი. კრამიტის თავიდან საკმაოდ დაშორებული კედლების დასაწყისს ერთგვარი ფოსოსა თუ ბუდის ფორმა აქვს, ხოლო ბოლოსთან ცენტრისაკენ ისრება და მომრგვალებული ფორმებით მთავრდება. კედელთა ეს მომრგვალებულ-მოხრილი ბოლოები, რომელსაც პირობითად ზღუდარს ვუწოდებ, სწორედ ის დეტალია, რითაც განსხვავდება კოლხური ბრტყელი კრამიტი ანტიკურ სამყაროში გავრცელებული ყველა სახისა⁷⁷ და ასევე იბერიული ბრტყელი კრამიტისაგან⁷⁸. ამასთანავე, კოლხური ბრტყელი კრამიტები შექმნილია სრულიად განსხვავებული კონსტრუქციული სქემისათვის და არა საბურველთა კანონიკური ფენილისათვის. კრამიტთა ზურგით დაფენილ მწკრივს ზემოდან ეფინება გადმობრუნებული, ზედაპირით სასურავის კალთაზე დამსობილი, ამასთანავე, ბოლოებით სასურავის კენისაკენ მიმართული მეორე მწკრივი (ტაბ. XXIV 6). აქ ერთმანეთში ჩასმული კრამიტის კედლები ერთმანეთს ედგმის – ქვედამსობილი კრამიტის კედელი თავსდება ზურგით დაფენილი კრამიტის ზედაპირზე (ტაბ. XXIV 5) და დაცურებისაგან მათ იცავს ზღუდარები, რომლებზეც შებრუნებულ კრამიტთა მწკრივი ბუდეებით ეკიდება. ზღუდარი, როგორც დანამატი, კოლხურ კრამიტზე კონსტრუქციული დეტალია. ზურგით დაფენილ კრამიტებს დაცურებისაგან იცავს რკინის კრამიტსამაგრები (ტაბ. XXIV 3, 6), რომლებიც სწორედ ხის კონსტრუქციაზე დასამაგრებლადაა გამიზნული⁷⁹.

ვანში არქეოლოგიური გათხრების დროს არაერთხელ დოკუმენტურად დადასტურდა აღწერილი კრამიტის ფენილი⁸⁰. ამასთანავე, აქ კრამიტყრილები მხოლოდ თითო-ოროლა კალიბტერს თუ შეიცავს, კანონიკური სქემით შედგენილი საბურველი კი კალიბტერთა და ბრტყელ კრამიტთა დაახლოებით თანაბარ რაოდენობას ითვალისწინებს (ტაბ. XXIV 7). ამიტომაც მიჩნეულია, რომ ვანში კალიბტერები (ტაბ. XXIV 2) მხოლოდ კენის გადასასურავად გამოიყენებოდა, მაგრამ ტაძარ-პროპილეუმის კრამიტყრილში მათი რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო – ყოველ 30 ბრტყელ კრამიტში დაახლოებით 4 კალიბტერი. მარტოოდენ კენის დასაფარავად და მცირე საბურველის კანონიკური სქემისათვის კალიბტერთა ეს რაოდენობა მეტისმეტია. გარდა ამისა, აქ რამდენიმე ანტიეფიქსიც იქნა მიკვლეული, რაც ნამდვილად იმის მოწმობაა, რომ ღარიანი კრამიტი რაღაც შუალედებით მაინც ტრადიციულ ფუნქციას ასრულებდა, ე.ი. ქანობის მთელ სიგანეზე ფარავდა ბრტყელ კრამიტთა ურთიერთმიჯრის ადგილებს. სასურავის კალთაზე, კედლიდან კენამდე გარკვეული შუალედებით პირველად ეწყობა ზურგით დაფენილ ბრტყელ კრამიტთა მწკრივები. მათ შორის უნდა დარჩეს ის მანძილი, რასაც ქვედამსობილ კრამიტთა მწკრივი შეავსებს. კრამიტის სიგანე ორი მოდულის ტოლია და ზურგით დაფენილ ორ კრამიტს შორის მანძილი 37 სმ სიგანისა ივარაუდება (ტაბ. XXIV 4), რადგან სიგანეს (49,5 სმ=2m) გამოაკლდება კედლების ურთიერთჭდობით მიღებული მონაკვეთები ორივე მხრიდან, რაც ჯამში დაახლოებით 12,5 სმ ტოლია (49,5–12,5=37 სმ). ამ

შემთხვევაში ზურგიით დაფენილ 5 და გადმობრუნებულ კრამიტთა 4 მწკრივის ერთიანობით იქმნება ერთი ისეთი სექტორი, რომელიც 16 მოდულის, ანუ 8 წყრთის ტოლია (ტაბ. XXV₁₂). ეს განზომილება კი ბაზისთა შორის მანძილისა და ასევე გადახურვის ცენტრალურ, განივ კოჭებს შორის მონაკვეთს უდრის და, ცხადია, უთავსდება გვირგვინიდან კედლებისაკენ დაშვებულ ნივინებს. ვფიქრობ, რომ ერთმანეთის მომიჯნავე სექტორების შეერთების ადგილებს ფარავდა კალიბტერების ანტიფიქსებით დაგვირგვინებული მწკრივები და დარბაზის თითოეული კალთის გადასასურავად სამი ასეთი სექტორი უნდა ყოფილიყო საჭირო. NW სექტორი მე-6 კედელს მთლიანად ვერ მოიცავს. ზურგიით დაფენილი ერთი მწკრივის დამატება კიდევსაა საჭირო. ამ გზით ისახება ფრონტონის სიმა, რომელიც სექტორისაგან კალიბტერთა რიგით ისაზღვრება. კედლის პერიმეტრთა გამყოლი სიძის კვალი არ ჩანს და აქ არცაა მოსალოდნელი, რადგან კედლის კრამიტები საგრძნობლად დაცილებული კედლის სტრუქტურას (ამის მოწმობა კრამიტსამარეობა, რომლებიც 12 სმ-ით მაინც წინ უნდა ყოფილიყო გამოზიდული) და ეს სახურავისეულ წყალსაც საკმაო მანძილით ამორებდა ნაგებობას. ბედლის გადასასურავად ორი სექტორია საჭირო, მაგრამ სახურავის სტრუქტურა თვით ბედლის სივრცის შესაბამისად აქ ალბათ დაუნაწევრებელი და მთლიანი იყო. თუ საბურველის ჩემი რეკონსტრუქცია მისაღებია, მაშინ გამოდის, რომ ხუროთმოძღვარი სახურავის კალთების კანონზომიერად დანაწევრების შედეგად ფასადზე ასახვას უძებნის იმ კომპოზიციურ სქემას, რაც მან გეგმარებას დაუდო საფუძვლად – ფასადზე ქმნის სივრცის ორგანიზაციის ანასახს.

ზემოთ აღვნიშნე, რომ კრამიტყრილში ანტიფიქსებიც იქნა მიკვლეული. ერთ მათგანზე პალმეტია გამოსახული (ტაბ. XVII₁), ხოლო დანარჩენები ფიგურული სტილისაა – აკანთის ორნამენტში ლომის თავის სკულპტურაა ჩართული⁸¹ (ტაბ. XVII₂). ანტიფიქსები ძვ.წ. II ს-ით თარიღდება. სწორედ ამ დროიდან ჩნდება პალმეტის ის სახეობა, რომლის ღეროთა ბოლოები ჩვენი ნიმუშის ანალოგიურად ცენტრისკენაა დახრილი⁸². ამავე პერიოდს მიანიშნებს ფიგურული ანტიფიქსის აკანთის ორნამენტის ფოთლის სახე. მისი ოვალური მოყვანილობა და ძარღვებს შორის ასევე ოვალური ჩაღრმავებანი ძვ.წ. II ს-დანვე ვრცელდება⁸³. ანტიკური ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან საკმაოდ ცნობილია ფიგურული ანტიფიქსები, მაგრამ მათში ლომის გამოსახულებას იშვიათად რთავდნენ. ლომის გამოსახულებიანი ანტიფიქსის მხოლოდ ორიოდ ნიმუშია ცნობილი და ისიც არქაულ ხანას განეკუთვნება⁸⁴. ვანში ამ სახის ფიგურული ანტიფიქსის წარმოშობა, ვფიქრობ, უშუალოდ არქიტექტორის ნებას უკავშირდება. ჩემი აზრით, იგი აქ სარგებლობს სიძის ორნამენტული ზოლის კანონიკური თემატიკით – აკანთის ორნამენტში ჩართული ლომის გამოსახულებისა და პალმეტის ურთიერთმონაცვლეობით (ტაბ. XXV₁₂), რომელიც არქაული ხანიდან მოკიდებული მთელი ანტიკური პერიოდის მანძილზე ტაძრის მორთულობის ყველაზე პოპულარული სახეა. ვანში ხუროთმოძღვარი ალიზის აგურით შედგენილი კედლების გამო, ცხადია, მოკლებულია იმის შესაძლებლობას, რომ ეს თემა უწყვეტი, ქვაში ნაკვეთი ფრიზით ასახოს ფასადზე. მაგრამ, როგორც ჩანს, მისი წარმოდგენა მაინც აუცილებლად მიაჩნია და მას იგი ცალკეულ ორნამენტულ სახეებად შლის (ტაბ. XXV_{3,4}) და ანტიფიქსების საშუალებით შეაქვს ტაძრის მორთულობაში.

ბაზისთა დახმარებით, ვფიქრობ, შეგვიძლია ნაგებობის სიმაღლე წარმოვიდგინოთ. ატიკური ბაზისები გვიანელინისტურ ხანაში თითქმის ყოველთვის კორინთული ორდერის შემადგენელ ნაწილად გვხვდება და ვანის სხვა ნაგებობებშიც მხოლოდ ამ სისტემის არსებობა დასტურდება. სვეტებს იქაც ანალოგიური საყრდენები აქვს⁸⁵. ატიკური ბაზისების დარბაზში განთავსება ისედაც მიგვანიშნებს, რომ ხუროთმოძღვარი ელინისტური ნორმებით ხელმძღვანელობს. ამ ნორმებიდან გამომდინარე კი ბაზისთა ზედაპირის დიამეტრის 10-ჯერ აღებით სვეტთა სიმაღლეს 495 სმ ვღებულობთ⁸⁶. იმპოსტი (და ასევე სვეტები), როგორც ჩანს, ხისა იყო და ალბათ ისეთი, რომელიც მალის სიგრძეს მაქსიმალურად შეამცირებდა, ანუ გაშლილმკლავიანი, გვირგვინის სიმძიმის სვეტისადმი თანაბრად გადამცემი (ტაბ. XX_{3,4}). დღემდე შემორჩენილ ქართულ დარბაზულ ნაგებობებში გვირგვინის საყრდენი დედაბოძის ფორმას. იგივე კონსტრუქციული მოთხოვნა აპირობებს⁸⁷.

კოშკის სამხრეთ კუთხესთან, ალიზის ნაშალში აღმოჩნდა ათი, ერთმანეთის იდენტური რვაფურცლა ვარდული (ღიაპეტრი 15 სმ)⁸⁸. იგი ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, ოთხფურცლა ვარდულთა შეუღლების შედეგად მიღებული სახეა (ტაბ.XVII, XXV). ყველა მათგანი დასაკიდებლად გათვალისწინებული (უკანა მხარეს ისინი შეიცავს ოთხკუთხა დანაძერწებს აკცილი კიდეებითა და მათში დატანილი ნახვრეტებით) და, შესაძლოა, ის, როგორც დეკორატიული ფრიზი, კოშკის საფასადე მორთულობას წარმოადგენდა, ვთქვათ, ქვისა და ალიზის სტრუქტურების საზღვარზე ჰორიზონტალურად განლაგებულს. მათ უთუოდ ჰქონდა გარკვეული სიმბოლური დატვირთვა ადმოსავლურ სამყაროში გავრცელებულ იმ ვარდულთა ანალოგიურად, რომლებიც ასე მრავლად საკულტო ნაგებობებზე, სასახლეთა ფასადებსა თუ კლდოვან სამარხთა ფრონტონებზე. ისინი ყოველთვის, მოკიდებული შუმერული ძეგლებიდან, რელიგიურ-ცერემონიალურ კონტექსტში გვხვდება⁸⁹. ჩვენი ვარდულებიც ამ უძველესი სიმბოლური ნიშნის უშუალო მემკვიდრედ მესახება. მით უმეტეს, რომ თვით ფურცელთა ფორმაც, განსაკუთრებით გულისებრი, ძირეული ადმოსავლური მოტივია⁹⁰. ტაძარ-პროპილეუმის კოშკის ფასადზე ვარდულთა ფრიზი აქცენტს სვამდა ალბათ შეწირულობათა მოედანზე, რომელიც სწორედ აქაა გამართული. აქ ორნამენტის ფუნქცია იმდაგვარად მგონია გამოკვეთილი, როგორც ეს ძველ ადმოსავლეთს ახასიათებდა, სადაც მორთულობა ან ესა თუ ის გამოსახულება მრავალჯერადი განმეორებადობის შედეგად აძლიერებდა აქცენტებს განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ადგილებში, და, ამასთანავე, გარკვეულ მხატვრულ რიტმსაც ქმნიდა⁹¹.

ნაგებობა კიდევ ერთ სარიტუალო არეს შეიცავდა – საფეხურებიან საკურთხეველს. სატაძრო კომპლექსებში ჩართული საფეხურებიანი საკურთხევლები უმეტეს შემთხვევაში სამსხვერპლოებს წარმოადგენდა. საფეხურებზე ნაკვეთ ღარში მიედინებოდა სამსხვერპლო ცხოველის სისხლი და აქვე ხდებოდა მსხვერპლის კრემაცია⁹². ღართაა ალჭურვილი ტაძარ-პროპილეუმის საკურთხევლის ყველა შემორჩენილი საფეხური⁹³.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, თავდაპირველად საფეხურებიანი საკურთხევლის ბაქანზე იდგა ქვის მასიური ბლოკისაგან გამოკვეთილი ორი საკურთხველი, რომლებიც დარბაზში ალიზის ნაშალზე დავარდნილი აღმოჩნდა. ერთ-ერთის ფუძეში სწორკუთხა ფორმის ღრმულია შექმნილი, ხოლო ზედაპირზე დაბალი წრიული ჩაღრმავება (ტაბ.XIV 2). მეორე საკურთხევლის ფუძეც და უკანა მხარეც ნიშის მსგავსადაა გამოკვეთილი, ზედაპირზე კი ორი წრიული თასისებური ფორმაა ამოჭრილი (ტაბ.XIV 1). ამ საკურთხეველთა „ღრმულისა“ და „ნიშის“ კედლები ჭვარტლის საკმაოდ სქელი ფენით იყო დაფარული. „ნიშმა“ ნახშირი და ფრინველის ძვლის ნაშთიც შემოინახა⁹⁴. ცხადი იყო, რომ აქ ხშირად ენთო ცეცხლი. სავსებით შესაძლებელია, ისინი საკრემაციო უჯრედების ფუნქციასაც ასრულებდა. ქვის მონოლითური ბლოკები ან ფილები, რომელთა ზედაპირები სარიტუალო წრიულ ჩაღრმავებებს შეიცავს, ბერძნულ სამყაროში ჯერ კიდევ მიკენური ხანიდანაა ცნობილი⁹⁵, მაგრამ მისი წარმოშობის საწყისები ალბათ ეგვიპტურ საკულტო სიძველეებშია საძებნი⁹⁶. მსგავსი ფორმები სელევკიდური ირანის საკულტო კომპლექსებშიც გვხვდება⁹⁷. ზედაპირის ჩაღრმავებანი მსგავს საკურთხევლებში მსხვერპლშეწირვის დროს წმინდა პკურებისათვის იყო გამიზნული. ამ დანიშნულებით თასისებურ, ღრმულებიან ფილებს ოლბიის ცერემონიალური საკურთხეველიც შეიცავდა⁹⁸. ტაძარ-პროპილეუმის საფეხურებიანი და განხილული მონოლითური საკურთხევლების ერთიანობა ყველა იმ ნიშანს შეიცავს, რაც სამსხვერპლოებს ახასიათებს. საკურთხევლის ბაქნის სიახლოვეს ძალიან მრავლად იყო დანახშირებული ძეგლები და ამის გამო მკვლევრებმა აქვე ხის საკურთხევლის არსებობაც ივარაუდეს⁹⁹. ხის დამხმარე ნაგებობანი თითქმის ყოველთვის ახლდა იმ ცერემონიალურ საკურთხევლებს, სადაც მსხვერპლშეწირვა ცეცხლის თანხლებით მიმდინარეობდა¹⁰⁰. საფეხურებიანი საკურთხველი თავისი „დამატებითი“ ელემენტებით საკმაოდ ემსგავსება ამდაგვარ საკულტო ნაგებობათა ბერძნულ მოდელს, მაგრამ აქ „არაბერძნული“ მისი ორიენტაცია¹⁰¹ და ტაძართან მისი დამოკიდებულება¹⁰².

სრულიად სხვა ფუნქცია ჰქონდა იმ საკურთხევლებს, რომლებიც ასევე დარბაზში, ოღონდ უშუალოდ იატაკზე იყო დაფარნილი (გეგმაზე №№1,2). ერთ-ერთი უთუოდ „საცეცხლე“¹⁰³ (ტაბ.XV₁; XXVII₂). მისი ღრმა, წრიული ჩაღრმავება ცეცხლისაგან გაწითლებული და ოდნავ დაბზარულიც იყო. კუთხის აკროტიერიონებითაც (ე.წ. ყურები ან რქები, წაწვეტებული დანამატები) იგი აღმოსავლურ საკურთხევლებს უახლოვდება (უფრო მეტად სირიულ-ფინიკიურს)¹⁰⁴. მისი ადგილი, როგორც ცეცხლის საკურთხევისა, ცელაშია საგულეებელი. ცელაშივეა სავარაუდო ქვის „პარაბოლოიდური“ ჭურჭლის (ტაბ.XV₂, XXVII₁) ადგილიც, რომელიც ბაბილონურ ე.წ. ლარ-ნაკისებურ საკურთხევებს მოგვაგონებს¹⁰⁵ და ძალიან ჰგავს პართულ საკურთხევლებსაც¹⁰⁶. ტაძარ-პროპილეუმის ამ საკულტო ნივთის ზედაპირიცა და ფუძეც კონუსისებურადაა ამოკვეთილი და ამით მიგვანიშნებს თავის, როგორც საკულტო ჭურჭლის, ფუნქციაზე, რომელიც ალბათ ცეცხლის ღვთისმსახურებისაგან განუყოფელ წმინდა, მათრობელა სითხესთან – ჰომოსთან იყო დაკავშირებული. მსგავსი ჭურჭელი გამოსახულია პერსეპოლისში მიკვლეულ გეგმაზე, სადაც იგი უშუალოდ ცეცხლის გვერდით საგანგებო სადგარზე დგას (ტაბ.XV₁)¹⁰⁷. ასეთივე ჭურჭელს ვხვდებით ძვ.წ.XII ს-ით დათარიღებულ ასურულ საბეჭდავზეც და აქაც ცეცხლის საკურთხევის გვერდით¹⁰⁸ (ტაბ.XVI₁). ამ ორი – ასურული და ირანული გამოსახულების ურთიერთმედარებით ჩანს, რომ საუკუნეთა მანძილზე ტაძრის სივრცეში ცეცხლის საკურთხევისა და წმინდა სითხისათვის განკუთვნილი ჭურჭლის არც ადგილი იცვლება და არც მათი ურთიერთდამოკიდებულება.

დარბაზი და ბეღელი, ფუნქციონალურად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ეს ორი სივრცე, აქ გვერდიგვერდ არსებობს, ერთ სისტემაშია მოთავსებული და ერთიანი გადახურვის ქვეშაცაა მოქცეული, მიუხედავად იმისა, რომ მათ საერთო კარიც კი არა აქვთ. ვფიქრობ, ეს მიანიშნებს იმას, რომ დარბაზი მხოლოდ ბეღლის თანხლებითაა საკულტო სივრცე. ბეღელი, როგორც სივრცე, მლოცველთა მიერ არ აღიქმება, მაგრამ იგულისხმება როგორც შეუვალი სიმბოლო, განსხვავებით ზემოთ აღწერილ სარიტუალო არეთაგან. შესაძლოა, სწორედ ამ ტრადიციულობის გამოხატულებათა ოთ. ლორთქიფანიძის მიერ საქართველოს მთიანეთში მოძიებული პარალელი ტაძარ-პროპილეუმის ორგანიზაციისათვის ე.წ. ხატის ბეღლის სახით¹⁰⁹. წინარეკრისტიანული ღვთისმსახურების ზოგიერთ ნიშანს უთუოდ ინარჩუნებს ის ქრისტიანული სალოცავები, რომლებიც დღემდე ფუნქციონირებს საქართველოს მთის რეგიონებში. „ხატის ბეღლის“ გვერდით საკმარისია გავიხსენოთ ხევსურული „ტაძარ-ბეღელი“ ან ფშაური „ბეღელ-ამბარი“ – მარცვლეულის საკულტო დანიშნულებით გაპირობებული ნაგებობანი¹¹⁰ (აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ტაძარ-პროპილეუმის ბეღელში დაცული ჭურჭლები სწორედ მარცვლეულით იყო სავსე). გარდა ამისა, ბეღელი თითქმის ყველა იმ საკულტო კომპლექსის აუცილებელი ატრიბუტი ჩანს, რომელიც დაწერილობითაა აღწერილი ვ. ბარდაველიძის¹¹¹ მიერ და ეჭვს გარეშეა, რომ ისინი სალოცავთა უძველესი სახეებია ღვთისმსახურების ასევე უძველესი ორგანიზაციით, ცხადია, შეგუებული ქრისტიანულ სარწმუნოებას და მის მიერ სხვა ღვთიური აზრით რამდენადმე სახეცვლილი.

ზემოთ არაერთგზის იყო აღნიშნული ტაძრის ძირითადი ბირთვისაგან კოშკის ერთგვარი განცალკევება. ამავე დროს, შემორჩენილი სტრუქტურა მის მრავალსართულიანობაზეც მიგვანიშნებს და, განცალკევების მიუხედავად, იგი მაინც ტაძარ-პროპილეუმის სისტემაშია ჩართული.

კოშკი, როგორც საფორტიფიკაციო ერთეული ტაძარ-პროპილეუმისა, მაღალ რელიეფზე დასმული მაღლივი შენობაა, რომელიც ამავე დროს აკონკრეტებს ნაგებობის ვიზუალურ მიმართულებას. აქ ცერემონიალური სფერების გეზი სრულ შესაბამისობაშია თვით ტაძრის სიმაღლისაკენ ზომიერ სწრაფვასთან. სელაში არ ვგულისხმობ ადამიანის მხოლოდ გადაადგილებას, არამედ მისი ყურადღების კონცენტრაციას იმ წერტილებსაკენ, სადაც სუროთმოდვარმა იდვის შესაბამისად დასვა აქცენტის – საფეხურებიანი საკურთხეველი, შეწირულობათა მოედანი და თვით დარბაზიდან ამ მოედნისკენ გამავალი კარი ერთი და იმავე მიმართულების ამსახველია. მიუხედავად იმისა, რომ კარიბჭეები NO და SW მხარეებისკენაა ორიენტირებული, ნაგებობა და მისი ყველა გათვალისწინ-

ნებული გეზი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიისწრაფვის.

მიუხედავად იმისა, რომ აქ საფორტიფიკაციო სისტემაში ჩართულ ტაძარ-პროპილეუმთან გვაქვს საქმე, იგი, როგორც საკულტო ნაგებობა, იმ ელემენტებსაც შეიცავს, რომელიც დამახასიათებელია ირანული ცეცხლის ტაძრებისათვის.

ცეცხლის ტაძრის სრულყოფილ სახედ სუზის „აიადანა“ (ტაბ. XXXIII), ძვ.წ. IV ს-ის ძველია პინეული. მართლაც, აქ მკაფიოდ ჩანს ყველა ის პრინციპული ელემენტი, რასაც ცეცხლის კულტი უხოულობს. ესაა უპირველესად კვადრატული, გვირგვინით გადახურული დარბაზი, ასევე კვადრატული, ოთხი სვეტით შემოფარგლული ცენტრი და ირგვლივი, უწყვეტი გარსშემოსავლელებით შედგენილი ნაგებობა, რომელიც მთავარ ფასადზე აივანსაც შეიცავს როგორც წინაპირობას დარბაზის სივრცის აღსაქმელად. აივნის ორსავე მხარეს სწორკუთხა კამერებიც გამოიყოფა¹². ჰეგლის გეგმა, როგორც შეკრული, კომპაქტური ბირთვი და ამავე დროს ნათელი გამოხატულება კულტის პრინციპებისა, ბუნებრივია, შემდგომი პერიოდების ცეცხლის ტაძრებისათვის მოდელად უქცა, რომლებიც მეტ-ნაკლები სისრულით, მაგრამ მაინც განუხრელად ახორციელებდა „აიადანა-ში“ შემუშავებულ ნორმებს. მოდელი სრულებით არ გულისხმობს ისეთ მკაცრ კანონიკურ სქემას, რომლისგან გადახვევა ან მისი შემდგომი სრულყოფა დაუშვებელი იყოს. გადახვევას ნორმიდან, უხადია, არ უნდა მოესპო ტაძრის პრინციპული ელემენტები, მაგრამ თვით გეგმარებითი სქემის ორგანიზაცია დროისა და ამა თუ იმ რეგიონის რელიგიურ მიწწრაფებათა შესაბამისად იცვლებოდა.

თითქმის იგივე სქემასაა დამორჩილებული „აიადანას“ თანამედროვე კუხ-ი ხოჯას ცეცხლის ტაძარი, თუ არ ჩავთვლით დარბაზის უკან შექმნილ ადიტონს (ამ ტაძარმა საუკუნეთა მანძილზე მრავალი ცვლილება განიცადა, რთულდება სამშენებლო პერიოდთა დეფინიცია თავდაპირველ გეგმაზე სხვადასხვა დროის დანამატთა გამო და, ამდენად, აქემენიდური ხანის სტრუქტურა მხოლოდ მიახლოებით დგინდება)¹³. ძვ.წ. III ს-ით დათარიღებული პერსეპოლისის ცეცხლის ტაძარი (ტაბ. XXXIII₂) უკვე საგრძნობლად განსხვავდება მოდელთან დამოკიდებულების მხრივ: გარსშემოსავლელებისთვის, უწყვეტი ცერემონიალური სვლებისთვის განკუთვნილი სივრცის ნაცვლად აქ პივილეთ ვიწრო, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ოთახები. ამასთანავე, მკვეთრად გამოსახა დარბაზის წინა, წაგრძელებული დერეფანიც. მიუხედავად ცვლილებებისა, ამ ტაძრის კომპოზიცია „აიადანათი“ საზრდოობს¹⁴.

ზოგიერთი ცალკეული ელემენტით მოდელის სახეს იმეორებს ძველი ნისას „კოშკურა“ და „კვადრატული“ ტაძრები (ტაბ. XXXV_{2,3})¹⁵. ძირითადად გარსშემოსავლელებითა და კვადრატული დარბაზით მოგვაგონებს „აიადანას“ მანსურ-თეფეს ტაძარ-პროპილეუმი (ტაბ. XXXIV)¹⁶ და ხატრას ასახლის კომპლექსში ჩართული სამლოცველოც (ტაბ. XXXV)¹⁷.

მიუხედავად იმისა, რომ ბარდ-ე ნეშანდეს ტაძარში (ტაბ. XXXIII₄; ვგულისხმობ მის პართულ ქერიოდს) გარსშემოსავლელების ნაცვლად დარბაზის ირგვლივ სამი დამოუკიდებელი სივრცე გვაქვს და აივანმაც პერისტილოსის სახე მიიღო, იგი გეგმარებითი სქემით მაინც ძალიან ახლოსაა პროტოტიპთან (ამ ტაძარმაც ცვლილება-გადაკეთების მრავალი საფეხური განვლო¹⁸). ვარაუდობენ, რომ საწყისი პერიოდი ტაძრისა აქემენიდური ხანაა, ხოლო მრავალმხრივ საინტერესო ოქსის ტაძარში (ძვ.წ. III ს) მოდელის შემდგომი გაუმჯობესების ცდაა მოცემული¹⁹.

მინდა საგანგებოდ აღვნიშნო საქსონოხურის ასახლის კომპლექსის სამლოცველოს (ტაბ. XXXV₄)²⁰ ღიდი მსგავსება პერსეპოლისის ტაძართან. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ფიქრობენ, ბაქტრიაში რითქოსდა ნაკლებად შეინიშნება ცეცხლის კულტის თაყვანისცემა²¹, ყურადღებას იპყრობს აივანთა ერთნაირი გადაწყვეტა – ცენტრალური ღერძიდან მისი აცილება და სხვ. მაგრამ ცელა აქ უკვე ორ სვეტს შორისაა მოქცეული და დარბაზიც კვადრატის ნაცვლად სწორკუთხედშია ჩაწერილი. დამაჯერებლად და დასაბუთებულად აგრეთვე ის, რომ სურხ-კოტალის სამლოცველოს (ტაბ. XXXIII₃) გეგმა სუზის ცეცხლის ტაძრის, როგორც მოდელის, ტრანსფორმაციის შედეგია²². აზრთა სრული ერთიანობაა ნაბატეველების სალოცავთა (ტაბ. XXXIV₃₋₆) გენეზისის გარშემო. თითქმის ყველა

მკვლევარი მათ სახეს ირანული ტაძრების გამოვლენად მიიჩნევს²³, და მართლაც, აქ (განსაკუთრებით, ბაალ-შამინისა და ზუ-შარას ტაძრები სეა-სიში) „აიადანაში“ შემუშავებული თითქმის ყველა კომპონენტი დიდი ქრონოლოგიური შუალედის მიუხედავად თავდაპირველი სახით გვხვდება. შედარებით ნაკლებად შეიგრძნობა მოდელთან დამოკიდებულება ხურის (ტაბ. XXXIV G), ასევე ნაბატ-ვევლთა ტაძარში.

სუზის ტაძრის (და აგრეთვე კუხ-ი ხოჯას) გეგმარებითი კომპოზიცია უაღრესად სიცოცხლისუნარიან სახედ წარმოგვიდგება. იგი აგრძელებს არსებობას და ის, როგორც ნიმუში, მისი წარმომშობი სახელმწიფოს განადგურების შემდგომ საუკუნეთა მანძილზე უდიდეს გეოგრაფიულ არეალზე ასაზრდოებდა აღმოსავლურ სატაძრო ხუროთმოძღვრებას.

სუზის ტაძარში ცენტრს დარბაზის კარის საგანგებო აცილება კულტის მოთხოვნითაა შექმნილი და ემსახურებოდა ცელაში დანთებული ცეცხლის მხედველობის არეთაგან სრულ იზოლაციას. ეს ნორმა აქ მკვეთრადაა გამოხატული ისევე, როგორც პერსეპოლისში, მანსურ თეფეს ტაძარ-პროპილეუმში, ხატრაში და სხვ., მაგრამ მრავალი ცეცხლის ტაძარი ამ ნორმას ცელას მიმართ არ იცავს, რადგან არა ყველა ტაძრის დარბაზია განკუთვნილი მუდმივი ცეცხლის სამყოფად. დარბაზი მოგვიანებით კარგავს წმინდა ცეცხლის სალოცავის ფუნქციას და იძენს მხოლოდ ცერემონიალური სვლებისათვის განკუთვნილი სივრცის მნიშვნელობას. მუდმივი ცეცხლი კი ამ დროს მეზობელ, ყრუ სათავსში (ათეშჰაპა) ინახებოდა²⁴ და ის სიფრთხილზე, რომელიც მას თვალთახედვისგან იცავდა, უკვე ათეშჰაპას მიმართ ხორციელდებოდა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტაძარი გეგმარებით გაპირობებული მოცულობით, ვანის ტაძარ-პროპილეუმისაგან განსხვავებით, წარმოადგენს შეკრულ, კომპაქტურ სხეულებს. ტაძარ-პროპილეუმი გრძივი ნაგებობაა, სადაც ცალკეული სივრცობრივი ერთეულები მიზმით და, ამასთანავე, გარკვეული კანონზომიერებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. აქ მხოლოდ დარბაზია ის სივრცე, რომელიც ცეცხლის ტაძრების ძირითად ბირთვითაა შემუშავებულ ნორმებსაც ახორციელებს. აქ არა გვაქვს გარსშემოსავლელები²⁵, დარბაზის ირგვლივი კორიდორთა სისტემა, აივანი და სხვ. ვანში ცერემონიებისათვის განკუთვნილი არე სხვაგვარ არქიტექტურულ გადაწყვეტას პოულობს. ცერემონიალური სვლები და რიტუალთა დიდი ნაწილი აქ უკვე გარეთ მიმდინარეობს და, ამასთანავე, დარბაზი ცეცხლის კულტისათვის სრულყოფილადაა შექმნილი. აქ გვაქვს არა პროტოტიპისაგან დიდი დაშორება, ანუ ცალკეული კომპონენტების ისეთიარის გადამუშავება, როცა პროტოტიპი ნაკლებად შეიგრძნობა, არამედ სრული უარყოფა იმ მოდელისა, რომლითაც თითქმის მთელი აღმოსავლური სატაძრო ხუროთმოძღვრება საზრდოობდა.

ვანის ტაძარ-პროპილეუმი თავის ორ, ურთიერთმოპირდაპირე კედლებში შექმნილი ღიობებით იმ „ცეცხლის ტაძრების“ რიგში დგება, რომლებიც ამავე დროს პროპილეუმების ფუნქციასაც ასრულებდა (მაგ., დედოფლის მინდერის მთავარი ტაძარი, მანსურ-თეფეს დიდი ტაძარი, აი-ხანუმის სასახლის კომპლექსის სამლოცველო და სხვ.), მაგრამ ამ შეთავსების გამო არ იცვლება მათი გეგმარებითი სქემა. ისინი, ვანის ტაძარ-პროპილეუმისაგან განსხვავებით, განუხრელად მიჰყვება მოდელს. ტაძარ-პროპილეუმი, გარდა დარბაზისა, საკულტო რიტუალისათვის სხვა ჩაკეტილ სივრცეებს არ შეიცავს. სამსხვერპლო ცეცხლი გარეთ, საფეხურებიან საკურთხეველზე იწებება და მას, თუ ტაძარი ზოროასტრულ ღვთაებათათვისაა შექმნილი, კავშირი არ უნდა ჰქონოდა ცელაში დანთებულ ცეცხლთან, რომელიც განიხილება „ცეცხლ-მეუფედ“²⁶. ვარაუდობენ, რომ სამსხვერპლოზეც, რომელიც ირანულ ტაძრებში ჩვეულებრივ რომელიმე გვერდით სათავსში იმართებოდა, ცეცხლი ზოგჯერ „მეუფედანაც“ გადაჰქონდათ²⁷.

ვანის ტაძარ-პროპილეუმში მკვეთრად გამოხატული სამი სარიტუალო სივრცის არსებობა (დარბაზი, შეწირულობათა მოედანი, სამსხვერპლო) თითქოსდა მიანიშნებს იმას, რომ ტაძარი რომელიმე ირანული ტრადიციის კუთვნილია (აჰურა-მაზდა, მითრა, ანაჰიდა ან აჰურა-მაზდა, სრაოშა, არტა და სხვ.)²⁸. და თუ ეს მართლაც ასე იყო, სავსებით დასაშვებია, რომ მის თითოეულ

წერს კოლხეთში ადგილობრივი შესატყვისებიც ჰქონოდა¹²⁹. ამასთანავე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცეცხლის ტაძარი სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ აქ ანთებული ცეცხლი ზოროასტრულია. ცეცხლი, როგორც დამოუკიდებელი არქიტექტურული ელემენტი, თავის გარშემო ქმნის გარკვეულ სტრუქტურას. მართალია, „აიადანა“ ზოროასტრულმა ცეცხლმა შექმნა, მაგრამ მსგავს სივრცეში, სურს-კოტალის სამლოცველოში იგი დინასტათავის ინთებოდა¹³⁰. სავსებით დასაშვებია, რომ ვანში ადგილობრივი ღვთაებებისათვის შექმნილიყო სამლოცველო, სადაც დომინირებდა ცეცხლი. საკითხთა ეს წრე ცალკე კვლევის საგანია, ამჯერად ჩვენ უწყობანოდ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ტაძარ-პროპილეუმის ძირითადი ბირთვი — დარბაზი, გარდა იმისა, რომ კარიბჭეა, ღვთაებრივი ცეცხლისთვისაა შექმნილი, ე.ი. გვაქვს ცეცხლის ტაძარი, მაგრამ არ ვიცით დარწმუნებით, როგორი ბუნებისაა ცეცხლი.

ტაძარ-პროპილეუმის გეგმასა და, ამდენად, მის მოცულობას მთლიანად ირანულ-პართული ტაძრებისა და კარიბჭეთაგან სრულიად განსხვავებული მოდელი უდევს საფუძვლად. ცხადია, მოდელად არც ბერძნული პროპილეუმი შეიძლება ჩაითვალოს, რადგან აქ არაფერი მიგვანიშნებს მის მხატვრულ კანონზე, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდაა გამოყენებული ანტიკური მორთულობის ელემენტები და, ამასთანავე, იგი თითქმის მთლიანად ელინისტური სამშენებლო ნორმებითაა აგებული.

საკულტო ნაგებობათა ტიპოლოგიის ჩამოყალიბებაში მისი განვითარების ყველა ეტაპზე უდიდესი როლი საუკუნეთა მანძილზე საცხოვრისთა ჩამოყალიბებულ სახეებს მიუძღვის. ისინი რელიგიური მისწრაფებების შესაბამისად იძენდა მონუმენტურობას და ემორჩილებოდა ახალი ფუნქციის შესაბამის სუროთმოდერულ სრულყოფას. ეგვიპტური საცხოვრისი დაედო საფუძვლად ეგვიპტურ ტაძარს¹³¹ ისევე, როგორც მეგარონის სტრუქტურამ წარმოშვა ბერძნული პერიპტერალური ტაძრები¹³². და ბოლოს, თვით სუზის „აიადანას“ გეგმა პასარგადეს აქემენიდი მეფეების სასახლეთა კომპოზიციის რელიგიური თვალსაზრისით შემდგომი გადამუშავებაა. ვფიქრობ, რომ ამდაგვარი მოვლენის შედეგია ტაძარ-კარიბჭის არქიტექტურაც. მისი სახე თითქმის იდენტურია ქართული საცხოვრისის იმ ტიპისა, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში „ციხე-სახლის“ სახელითაა ცნობილი (ნახევრად საცხოვრისი, ნახევრად სიმაგრეები). მისი შედგენილობა უმარტივესია: ძირითადი საცხოვრისი, რომელიც რამდენიმე სათავისაგან ან მხოლოდ დარბაზისაგან შედგება, შეთავსებულია კოშკთან. ასეთ სახლებში კოშკი ან გარედან ედგმის ნაგებობის ძირითად ბირთვს, ან იგი მასთან შუალედური კედლითაა დაკავშირებული (ვანის ტაძარ-პროპილეუმის მსგავსად). ეს ტიპი საცხოვრისის უძველესი სახეა¹³³. ამასთანავე, მისი გავრცელების არეალი მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს. „ციხე-სახლების“ საინტერესო ნიმუშებია შემორჩენილი სვანეთში¹³⁴, ხევში¹³⁵, მთიულეთში¹³⁶. და რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, მთიულური საკულტო ნაგებობანი დღესაც „ციხე-სახლების“ ზუსტი გამეორებაა (ტაბ. XXXII). ვფიქრობ, რომ გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის ნაგებობის სახით „ციხე-სახლთან“ გვაქვს საქმე სოფ. მთისძირში (ვანის რ-ნი)¹³⁷. აქაც უმარტივესი გეგმა იკითხება — გრძივ დარბაზს ებმის კვადრატული სათავის, რომელმაც არ შეიძლება არ მოგვაგონოს კოშკი თავისი ფორმით (კვადრატი), რომელიც უმეტესად მაღლივი სტრუქტურების საფუძველია, აგრეთვე იმით, რომ დარბაზისაგან ყრუ კედლითაა გამოყოფილი (იხ. რეკონსტრუქცია ტაბ. XXXII).

ვთვლი, რომ ვანის ტაძარ-პროპილეუმი (იხ. რეკონსტრუქცია ტაბ. XXX, XXXI, XXXII) „ციხე-სახლის“ კომპოზიციის საფუძველზეა შექმნილი. აქ მოდელად აღებულია საცხოვრისი და ტაძარი თავისი რთული ორგანიზმით მისი მარტივი სქემიდან შემუშავდა და ჩაირთო სასიმაგრო ზოლში, რომელიც ნაქალაქარის ამ მონაკვეთზე ჯერ ბოლომდე გამოვლენილი არაა.

ქართულ სინამდვილეში ტაძრის, როგორც ღვთის სახლის ბუნება, ლექსიკური მასალის მიხედვით უშუალოდ საცხოვრისიდან მომდინარე ჩანს: იგი თავდაპირველად იხმარებოდა როგორც საცხოვრისის, ასევე საკულტო ნაგებობის აღმნიშვნელ ტერმინად¹³⁸. სულხან-საბა ორბელიანი

ტაძარს მეფეთა საცხოვრისადაც განმარტავს და სალოცველ სახლადაც³⁹. თვით ტერმინი ტაძარი ქართული ენის მიერ სპარსულიდან ნასესხები სიტყვაა (tazara) და იქ იგი აღნიშნავდა დარბაზს, როგორც საცხოვრისის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, განსხვავებით აპადანასაგან, რომელიც ასევე დარბაზია, ოღონდ საზოგადოებრივი დანიშნულების ცალკე მდგომი ნაგებობა⁴⁰.

ძეგლი ძვ.წ. II-I სს-ითაა დათარიღებული. არქიტექტურულ დეტალთაგან, რომელიც უფრო დააკონკრეტებს თარიღს, ანტიფიქსები და ბაზისები გვაქვს. ისინი ძვ.წ. II სს-ს მიანიშნებს, უფრო მის მეორე ნახევარს. ამავე პერიოდს თანხვდება ე.წ. კორინთიზებულ კაპიტელთა ფართო გავრცელება მთელ აღმოსავლეთში. გვიანელინისტური ხანის მანიშნებელია თლილი ქვის წყობათა ხასიათიც. იგულისხმება ერთგვარი სამშენებლო „კონიე“, რაც აქ ისოდომურ და ფსევდოისოდომურ წყობათა არარეგულარულსა და შერეულ ხასიათში ვლინდება⁴¹.

ტაძარ-პროპილეუმში სხვადასხვა ხუროთმოძღვრულმა ტრადიციამ თითქმის თანაბარი სიძლიერით მოიყარა თავი და, ჩემი აზრით, ისინი ორგანულად გაამთლიანა ადგილობრივმა მხატვრულმა და რელიგიურმა მისწრაფებებმა. აქ ელინისტური თუ აღმოსავლური ტრადიციები, როგორც ზედნადები, ფუნქციონირებს მოდელში. საცხოვრისის უძველესი სახეობა – „ციხე-სახლი“ თავისი გეგმარებითი კომპოზიციითა და მოცულობით ისახება როგორც ბაზისი, რომელიც ზომიერად, სიფრთხილით და მხოლოდ თავისი იდეალების განხორციელებისათვის იძორჩილებს სხვა რეგიონთა ხუროთმოძღვრულ ტრადიციებს. მსგავსი, ოღონდ არაერთარ შემთხვევაში იდენტური, მოვლენა აღმოსავლეთის სხვა რეგიონებშიც შეინიშნება: ბერძნული გარეგნული სახეების უკან იფარება ძირეული, ადგილობრივი ფორმები, გეგმარებისა და სივრცის ორგანიზაციის საუკუნეთა მანძილზე უცვლელი ტრადიციები⁴².

¹ Лордкипанидзе О.Д. Наследие древней Грузии. Тб., 1989. с.240-1.

² Лордкипанидзе О.Д., Пугуридзе Р.В., Ахвледиანი Д.В., Матиашвили Н.Н., Качарава Д.Д., Чконია А.М., Пирцхალავა М.С., Толордава В.А. Итоги работ Ванской археологической экспедиции. ПАИ-1983. Тб., 1986. с.39-40.

³ დ. კაჭარავა, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ყიფიანი. არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე (1970-1977 წწ.). ვანი IV. თბ., 1979. გვ.30-3 (შემდგომ სქოლიოში – ვანი IV).

⁴ ვანი IV. გვ.33. ამ ნაგებობის ნაშთებსა და მის კონსტრუქციულ დეტალებზე საუბარი გლორთქიფანიძის სტატიაშიც. იხ. მისი. ვანის ნაქალაქარის I უბანზე 1961-1963 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. ვანი I. თბ., 1972. გვ.140.

⁵ თირი - ლბილი კლდე. „თირი არს კლდე ლბილი და ადვილად სათლელი“ - სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. I. თბ., 1966.

⁶ ვანი IV. გვ.36-7.

⁷ იქვე გვ.31.

⁸ იქვე გვ.32.

⁹ Витрувий. Десять книг об архитектуре. пер. Ф.А. Петровского. кн. II. М., 1936. гл. I, 4. (შემდგომ სქოლიოში – Витрувий. II. I, 4). იხ. გ. ყიფიანი, ნ. ამაშუკელი. კოლხური და ფრიგიული სახლები. თბ., 1995. გვ.5 და ა.შ.

¹⁰ ამ ნაგებობამ მკვლევარ-არქიტექტორის მ. ჯანდიერის ყურადღებაც მიიპყრო. ნაგებობის მისიული რეკონსტრუქცია რამდენადმე განსხვავდება (ძირითადად დეტალებში) ჩემ მიერ წარმოდგენილ ცდებთანაგან. მის ერთ-ერთ რეკონსტრუქციაზე ცენტრალური, სარიტუალო ეზო კარის ღიობით უკავშირდება დერეფანს. ასეთი რეკონსტრუქციის მიღება რამდენადმე ჭირს, რადგან ადგილზე გათხრების პროცესმა სრული უჭველობით დაადგინა, რომ ეზოსა და დერეფანს საერთო კარი არ შეიძლება დაჰქონოდა. სიმაღლეში რამდენიმე მორით შედგენილი კედლის ნაშთი უწყვეტი და მთლიანი იყო, თანაც ორმაგი რეკონსტრუირებულ გეგმაზე მ. ჯანდიერი ორმაგ კედელს აღნიშნავს, მაგრამ მის სტრუქტურაში ფართო საპარადე ღიობიც აქვს წარმოდგენილი. იხ. Джандиери М.И. Деревянное здание V в. до н.э. на ванском городище. МЭПОП. Тб., 1988. с.234-45.

¹¹ ეს ნაგებობა 1977 წელს გამოვაქვეყნე მოკლე აღწერილობითა და სავარაუდო რეკონსტრუქციით. ვთვლიდი, რომ

ნაგებობა გათლილი ძელებით იყო ნაგები; ამაზე თითქოსდა თიხით შელესილობის ერთი ნატეხის ანაბეჭდი მეტყველებდა. მოგვიანებით, ბათქაშის სხვა მრავალ ფრაგმენტზე დაკვირვებამ სულ სხვა რამ დაადასტურა, კერძოდ ის, რომ თიხით სწორედ მორებით შედგენილი სტრუქტურა იყო შელესილი. ისედაც ცხადია, რომ მორების გათლას არავითარი აზრი არ შეიძლება ჰქონოდა, თუ კედლების თიხით შელესვა იყო გათვალისწინებული. შდრ. გ. ყიფიანი. ხის ნაგებობის ნაშთები ვანიდან. თბ., 1977. გვ.70-3.

¹² Витрувий. III. IV,1.

¹³ Лелеков Л.А. Отражение некоторых мифологических воззрений в архитектуре восточноиранских народов в первой половине I тысячелетия до н.э. ИСНСА. М., 1976. с.7-17.

¹⁴ J.C. Cooper. Lexikon Alter Symbole. Leipzig. 1986. s.145.

¹⁵ ა. ჭყონია. არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე. ვანი VIII. თბ., 1986. გვ.93-115; Лордкиპანიძე О.Д., Путуридзе Р.В. и др. Работы ванской экспедиции. ПАИ - 1983-1984. Тб., 1987. с.53; Лордкиპანიძე О.Д. Город-храм Колхиды. М., 1984. с.74-5.

¹⁶ აღრეკრისტიანული ეკლესიის შესახებ: ПАИ - 1984-1985. с.53. აგრეთვე ექ. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშენანი. ტფ., 1907. გვ.3.

¹⁷ Лордкиპანიძე О.Д., Путуридзе Р.В. и др. ПАИ - 1982. Тб., 1985. с.47; ა. ჭყონია, არქეოლოგიური გათხრები - გვ.96 და შშდ.

¹⁸ რ. ფუთურიძე. ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის არქეოლოგიური გათხრები. ვანი VIII. გვ.34-5; Лордкиპანიძე О.Д. Наследие... с.288-90.

¹⁹ J. Durm. Die Baukunst der Griechen. Lpz. 1910. s.436-9; El. Rohde. Der Altar von Pergamon. B.1973.

²⁰ Th. Wiegand, H. Schröder. Priene, Ergebnisse der Ausgrabungen und Untersuchungen in dem Jahre 1895-1898. B. 1904. s.120-7; J. Durm. Die Baukunst der Griechen. s.440-3.

²¹ A. von Gerkan. Der Altar des Artemistempels in Magnesia am Mäander. B. 1929.

²² რ. ფუთურიძე. ვანის ნაქალაქარის - გვ.36; Лордкиპანიძე О.Д. Наследие... с.290.

²³ ე.წ. „მაგიდისებრ“ საკურთხეველთა შესახებ იხ. C. Yavis. Greek Altars. Origin and Typology. Saint Louis. Missouri. 1949. p.224-5. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ფორმის ბერძნული საკურთხეველები უფრო სშორად მონოლითურა და არა შედგენილი.

²⁴ გ. ყიფიანი. ვანის კორინთული ორდერი. სას. თბ., 1985. გვ.108-20.

²⁵ გ. ყიფიანი. კაპიტელები. თბ., 1987. გვ.43.

²⁶ Лордкиპანიძე О.Д. Древняя Колхида. Тб., 1979. с.202; Лордкиპანიძე О.Д., Путуридзе Р.В., Матиашвили Н.Н. Раскопки в Вани в 1973-1974 гг. КСИА. 151. М., 1977. с.39-44.

²⁷ ძველი ვანი განადგურებული ჩანს ძვ.წ. I ს-ის შუა წლებში (Лордкиპანიძე О.Д. Древняя... с.214-15). ქალაქის მთელ ფართობზე ტაძარ-საკურთხეველთა და სასიმაგრო ნაგებობათა ნგრევა ძლიერი ხანძრის თანხლებით მიმდინარეობდა.

²⁸ მხოლოდ ამ ნაგებობამ შემოგვირჩინა ქვის ცოკოლზე დაფუძნებული ალიზის აგურის in Situ წყობანი. იხ. Лордкиპანიძე О.Д., Путуридзе Р.В., Лежава Г., Матиашвили Н.Н. и др. Итоги работ ванской археологической экспедиции. ПАИ. 1974г. Тб., 1976. с.41.

²⁹ L. Shoe Meritt. The Geographical Distribution of Greek and Roman Ionic Bases. "Hesperia". v.XXXVIII. №2. 1969. p.186-204. ატიკურ ბაზისთა „კლასიკური“ ფორმისა და პროპორციების შესახებ იხ. W. alzinger, Hermogenes, Bauglieder und Elemente. VA,5. Mainz am Rhein. 1991. გვ.1-3. სურ.4.

³⁰ Воронина В.Л. Эллинистический ордер на территории Таджикистана. АН. №20. М., 1972. с.154-6. рис.1.

³¹ Лордкиპანიძე О.Д., Путуридзе Р.В., Лежава Г., Матиашвили Н.Н. и др. Итоги работ... ПАИ. 1975 г. Тб., 1979. с.65. таб. XXXIX-XLII.

³² Лордкиპანიძე О.Д. Древняя Колхида... с.202.

³³ M. Nowicka. Les Maisons a tour dans le monde Grec. Wroclaw. 1975. fig.8, 15, 49; Щеглов А.Н. Полис и хора. Симферополь. 1976. с.117; L. Huselberger. Der Paläoryggos von Naussa am Pontos Arch. Anz. 1978. H.3. Abb.19.

³⁴ Лордкиპანიძე О.Д., Путуридзе Р.В., Матиашвили Н.Н. Раскопки... с.43; ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ლევაია, ბ. მათაიშვილი და სხვ. საქ-1973. თბ., 1974. გვ.47, ტაბ. VII-X.

³⁵ M. Cetin-Sahin. Die Entwicklung der Griechischen Monumentalaltare. Koln. 1972. s.52.

- 36 K. Galling. Der Altar in den Kulturen des alten Orients. B. 1925. tab.16.
- 37 K. Galling. Der Altar... tab.11-2.
- 38 G. de Francovich. Problems of Achemenid Architecture EW (NS) v.16. №1-2. 1966. p.205. fig.8.
- 39 C. Yavis. Greek Altars. p.157-8.
- 40 იხ. გ. ყოფიანი კაპიტლები გვ.47.
- 41 შტრ. Витрувий III, IV,1.
- 42 Витрувий II, VIII,7.
- 43 A. Orlandos. Les Matériaux de construction et la technique architecturale des anciens Grecs. P. II. P. 1968. p.143-8.
- 44 მაგ., გვაში. იხ. R.Bohn. AA. B. 1884. Abb,9.
- 45 W. Wrede. Von Misokampos auf Samos. AMB. LIV. 1929. s.80-1.
- 46 აქ ამ სტილის გამოყენება მხოლოდ რამდენიმე ადგილას დასტურდება, მაგ., სუნიონში, აიგოსტენესა და კასტელში. იხ. W. Wrede. Von Misokampos... s.81.
- 47 იხ. W. Wrede. Attische Mauern. Athen. 1933. s.58.
- 48 წყობის ამგვარ სახეთა შესახებ იხ. Карасев А.Н. Архитектура. АГСП. М.-Л., 1955. с.190-3.
- 49 A. Orlandos. Les Matériaux... p.II. p.104.
- 50 A. Orlandos. Les Matériaux... p.II. p.109; C. Nylander. Clamps and Chronology. Jt. v.VI. 1966. tab.2; S. Kasper. Tumulus von Belevi. Arch. Anz. 1975. H.2. Abb.9. s.223-32.
- 51 Тиращян Г.А. Новые археологические материалы. В кн.: ДВ.2. Ереван. с.52.
- 52 A. Orlandos. Les Matériaux... p.II. p.110.
- 53 ვგულისხმობ მის არაკვადრატულობას, სწორკუთხა, წაგრძელებულ ფორმას, რომელიც ძვ.წ.VIII-VII სს-ში პოპულარული ჩანს მცირე აზიაში. იხ. R. Nauman. Architektur Kleinasiens von ihren anfangen, bis zum ende der Hethitischen zeit. Tübingen. 1955. s.46.
- 54 Витрувий II, III, 4.
- 55 ასევე V3 აგურებს ვხვდებით ადრეელნისტური ხანის ელიზავეტის ნაქალაქარზე იხ. Щитников В.Г., Марченко К.К. Новые данные о строительных комплексах Елизаветского городища на Дону. СА. 1984. №3. с.164.
- 56 R. Naumann. Architektur Kleinasiens... s.92-7.
- 57 A. Orlandos-თან ერთად იხ. აგრეთვე Сокольский Н.Н. Крепость на поселении Батарейка II. КСИА. 1967. с.108-15.
- 58 A. Orlandos. p.I. Paris. 1966. p.60.
- 59 Пугаченкова Г.А. Пути развития архитектуры южного Туркменистана поры рабовладения и феодализма. М., 1958. с.61; Котеленко Г.А. Культура Парфии. М., 1966. с.30.
- 60 J. Durtm. Die Baukunst der Griechen. Lpz. 1910. s.221.
- 61 A. Orlandos. p.II. s.85-7; იხ. აგრეთვე Kl. Herrmann. Versatzmarken und Steinmetzzeichen aus Olympia. BA.5. გვ.83-9.
- 62 Филанова М.И. Сырцовые кирпичи с клеймами древнего Мерва - ИАН. Туркм. с ср. с. общ. н. 1961. №1. с.40. рис.1.
- 63 Лордкипанидзе Г.А. К истории древней Колхиды. Тб. 1970. т.IX; Шамба Г.К. Эшерское городище. Тб., 1980. т.XXXVIII.
- 64 პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ თავის ერთ-ერთ ნაშრომში კომპლექსის შემადგენელ ელემენტთა განხილვის შედეგად ვარაუდის სახით გამოთქვა აზრი, რომ ეს ნაგებობა ცეცხლის კულტთანაა დაკავშირებული. იხ. ოთ. ლორთქიფანიძე. რა საიდუმლოს ინახავს ვანი. ქუთაისი. 1984. გვ.92.
- 65 ცეცხლის ტაძართა კარების ღიობები პრინციპულ ელემენტს წარმოადგენს. ზოროასტრული ცეცხლის დოქტრინა ითვალისწინებდა წმინდა ცეცხლის თვალთახედვის არეთაგან აცილებას, ე.ი. მანამდე უხილველობას, სანამ მლოცველი უშუალოდ ცელაში არ მოხვდებოდა და ამიტომ ღიობებს დარბაზის ცენტრს საგანგებოდ აცილებდნენ ან რაიმე ზღუდით ფარავდნენ ძირითად სივრცეს. ასევე დაუშვებელი იყო ცელაში მზის სხივის მოხვედრაც, რადგან ზოროასტრულ სამლოცველოში ცეცხლი თავად განასახიერებდა მზეს. იხ. J. Duchene-Guillemin. Fire in Iran and in Greece. EW(NS). v.13. 1962. №2-3. p.203.

- ⁶⁶ ამ პერიოდისათვის აღმოსავლურ ხუროთმოძღვრებაში გვირგვინის კონსტრუქციულ აგებულებას, როგორც ჩანს, ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ყოველ შემთხვევაში, მიდიური პერიოდის ტაძრებში ცრუ თაღების არსებობა გადახურვის სტრუქტურებში უცილობლად დასტურდება. იხ. M. Roaf, D. Stronach. Tepe Nush-i Jan. 1970. Second Interim Report, Iran. XI. 1973. p.129-40.
- ⁶⁷ H. Pothorn. A guide to Architectural Styles. 1983. p.239.
- ⁶⁸ იხ. Fr. Krichen. Weltwunder der Baukunst. in Babylonien und Ionien, Tübingen. 1956. s.39-40. ეწ. შუამდინარული წყრთა – 49,5 სმ ასევე დიდი სიზუსტით თანხვედება გუდუას წყრთის საბოლოოდ დადასტურებულ მნიშვნელობას – 49,59375 სმ-ს. იხ. H. Büsing. Metrologische Beiträge. JDJ. B. 97. 1982. გვ.8-9. ტაბ.1.
- ⁶⁹ ეს გეომეტრიული სხეული, რომელიც ორი კვადრატისა და „ოქროს კვეთის“ სწორკუთხედის ჯვარს წარმოადგენს, თავისი კონფიგურაციით ჩვეულებრივ კვადრატს ემსგავსება. ამ სხეულისათვის ცნობილია რუსმა არქიტექტორმა ჟოლტოვსკიმ შემოიღო ტერმინი „Живой квадрат“ მისი დინამიკურობისა და გამომსახველობითობის აღსანიშნავად და ჩვეულებრივი კვადრატისაგან განსასხვავებლად, რომელიც სტატიკური და ნეიტრალური ბუნებით ხასიათდება. იხ. Брунов Н. Пропорции античной и средневековой архитектуры. М., 1938. с.7.
- ⁷⁰ Владимиров В.Н. Пропорции в египетской архитектуре. В кн.: ВИА. т. I. М., 1970. с.138-9.
- ⁷¹ Иконников А.В. Соразмерности частей и целого в архитектурной композиции. В кн.: ОАК. М., 1971. с.93.
- ⁷² ამ დინამიკური სწორკუთხედის განსაკუთრებული მნიშვნელობა ანტიკურ სამყაროში გამოწვეული იყო იმით, რომ იგი ექვემდებარება გარკვეული კანონზომიერებით ისეთ დანაწევრებას, რის შედეგადაც მრავლად წარმოიშევა კვადრატები და „ოქროს კვეთის“ სწორკუთხედები. ცნობილია მისი სხვა მრავალი რიტმული თვისებაც. იხ. Д. Хембидж. Динамическая симметрия в архитектуре. М., 1936. с.15. და შემდ. აგრეთვე Э. Мёссель. Пропорции в античности и в средние века. М., 1936.
- ⁷³ ამან არ უნდა გააფიქრებინოს, რომ ვანის ტაძარ-პროპილევში „ოქროს კვეთის“ სწორკუთხედი რაიმე განსაკუთრებულ ესთეტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. ამ მიზნით „ოქროს კვეთის“ სწორკუთხედის დომინირება აქ არ შეინიშნება. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებში (ჩემი აზრით, რამდენადმე ნაჩქარევად) „ოქროს კვეთის“ პროპორციის ესთეტიკური მიზნებისათვის გამოყენება ანტიკურ არქიტექტურაში უკვე ქვეშაა დაყენებული. იხ. Г.Дж. Коуен. Мастера строительного искусства. М., 1982. с.17. თვით მონაკვეთთა აღნიშნული შეფარდება (5:8) ერთ-ერთი უძველესია ხუროთმოძღვრებაში. მას წარმატებით იყენებდნენ ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები გვეგმარებითი სქემების კომპოზიციური სრულყოფისათვის. იხ. Al. Badawy. The harmonic system of architectural design in ancient Egypt. MJO. B. VIII. H.I. Berlin. 1961. p.5-9. ამ შეფარდების ვანის ტაძარ-პროპილევში გამოყენება შემთხვევითი სრულებითაც არაა. იგი აქ გამოყენებულია ძირითადი კონსტრუქციული უჯრედისათვის, ანუ გვირგვინისათვის. „ოქროს კვეთის“ შეფარდება უწინარესად გამოხატავს სამშენებლო მექანიკის კანონებს, რაც უპირველესად მის სტატიკურობაში ვლინდება. იხ. Брунов Н. Примечания. В кн.: Э. Мёссель. Пропорции. с.250.
- ⁷⁴ იხ. С. Babin. Note sur la Mefologie et les Proportions dans les Monuments Achéménides de la Perse R.A. t.XVII. 1891. p.351; აგრეთვე Э. Мёссель. Пропорции... с.139-40. рис.57.
- ⁷⁵ გ. ლეჟავა. ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1979. ტ. CI.
- ⁷⁶ Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды. т. II. Тб., 1950. с.90.
- ⁷⁷ შდრ. А. Orlandos. Les Matériaux... p.I. p.84-8.
- ⁷⁸ შდრ. Гагошидзе Ю.М. Самadlo. Тб., 1979. с.58-9; Цкитишвили Г.Г. Результаты работ на “Цихиагора” (1973-1974гг.). КСИА. 151. М., 1977. с.90. рис.3; ირ. ციციშვილი. მცხეთის ანტიკური კრამიტის შესწავლისათვის. სსამ. ტ.12. 1948. №2. გვ.520.
- ⁷⁹ რკინის კრამიტსამაგრები ვანის ნაქალაქარზე დასტურდება უკლებლივ ყველა ნაგებობასთან კრამიტყრილებში. იხ. ნ. ხოშტარია, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ლეჟავა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წ. ვანი I. თბ., 1972. გვ.150. სურ.100; გ. ლორთქიფანიძე საბრძოლო და სამეურნეო იარაღი. ვანი II. თბ., 1976. გვ.189. კრამიტსამაგრები კოლხურ კრამიტებთან ერთად აღმოჩენილია ეშერის ნაქალაქარზეც. იხ. Шамба Г.К. Эшерское городище. таб. XXXVIII, LXXI.
- ⁸⁰ ვფიქრობ, რომ მარტო ის მიზეზი, რომ ვანში საბურველი ხისა და ალიზის სტრუქტურას შეუთავსდა, არ უნდა იყოს ერთადერთი განმარტობელი კრამიტის ფენილის აღწერილი კონსტრუქციისა. შესაძლოა, აქ რომელიმე ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციაც მოქმედებდეს, ვთქვათ, ყაზრის ფენილის სტრუქტურა, რომელიც ლარტყებზე ყაზრის პირველი რიგის დაფენას შუალედებით ითვალისწინებს, ხოლო მეორე რიგი სწორედ ამ შუალედებს ეფარება ზემოდან. დაწერ. იხ. გ. ყიფიანი. ნიშანთა ფუნქციის შეცნობისათვის კოლხურ და იბერიულ კრამიტებზე. თბ., 1991. გვ.15. ტაბ. Xr

- ⁸¹ Лордкипанидзе О.Д. Работы ванской экспедиции. АО-1977 г. М., 1978. с.484-5.
- ⁸² Марченко И.Д. О теракотовых антефиксах пантикапея. В кн.: АИБ. I. Симферополь. 1952. с.187.
- ⁸³ H. Lawter. Reisenatzen aus Karien. BJ. B.171. 1971. s.145.
- ⁸⁴ A. von Gerkan. Kalabektepe, Athenatempel und Umgebung, "Milet". В. I, H.8, Berlin. 1925. Abb. 17.
- ⁸⁵ გ. ყიფიანი. ვანის კორინთული ორდერი. სას. III თბ. 1986. გვ.105-9.
- ⁸⁶ Михаловский Н.Б. Архитектурные формы античности. М., 1949. с.61.
- ⁸⁷ Сумбадзе Л. Архитектура Грузинского народного жилища Дарбази. Тб., 1984. с.240-3.
- ⁸⁸ ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ლეყავა, ნ. მათიაშვილი და სხვ. ვანის არქეოლოგიური- გვ.47.
- ⁸⁹ C. Nylander. Jonians in Pasargade. Uppsala. 1970. p.146.
- ⁹⁰ D. Wilber. Iranian Motifs in Syrian Art. В. I, №1. 1937. p.23-4. fig.3.
- ⁹¹ Кильчевская Э.В. О специфике канона в пластическом искусстве древнего Востока. В кн.: ПКДСИАА. М., 1973. с.194-8.
- ⁹² P. Stengel. Die Griechischen Kultusaltertümer. München. 1920. s.14.
- ⁹³ ასეთი ღარებით სწორად იყო აღჭურვილი ის საფეხურები, რომლებიც სამსხვერპლოებს შეადგენდნენ. იხ. Латышев В.В. Очеркъ греческихъ древностей. Часть 2. СПб., 1899. с.23, ხოლო ზოგიერთ საფეხურებთან საკურთხეველზე სამსხვერპლო საქონლის დასაბმელი საგანგებო კაეების კვალიცაა დადასტურებული. იხ. A. von Gerkan. Der Altar des Artemis-tempels in Magnesia am Meander. В. 1929. s.4. Abb.2.
- ⁹⁴ ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ლეყავა, ნ. მათიაშვილი და სხვ., ვანის არქეოლოგიური- გვ.46.
- ⁹⁵ C. Yavis. Greek Altars. s.16. fig.8.
- ⁹⁶ იხ. K. Galling. Der Altars. s. 8. tab.11, 12.
- ⁹⁷ A. Stein. Old Routs of Western Iran. London. 1940.
- ⁹⁸ Карасев А.Н. Монументальные памятники ольвийского теменоса. В кн.: Ольвия, Теменос и Агора. М.-Л., 1964. с.81-6.
- ⁹⁹ Лордкипанидзе О.Д., Путуридзе Р.В., Матиашвили Н.Н. Раскопки... с.43; ოთ. ლორთქიფანიძე, რა საიდუმლოს... გვ.90.
- ¹⁰⁰ P. Stengel. Die Griechischen... s.13-4. tab.III. fig.9.
- ¹⁰¹ იხ. C. Yavis. Greek Altars. p.185-91.
- ¹⁰² იგულისხმება საკურთხევლის უშუალოდ ტაძრის კედელზე მიდგმა, ბერძნული სამყაროსათვის სრულიად მიუღებელი რამ. ანალოგიური შემთხვევები არც აღმოსავლურ სამყაროში ჩანს სწორი, მაგრამ იქ სატაძრო კომპლექსთა გეგმარებისათვის ერთიანი შკაცირი კანონიკური ნორმები ნაკლებად შეიმჩნევა. ირანში, აქემენიდური ხანის ცეცხლის ტაძარში ცნობილია ინტერიერში კედელზე მიდგმული საფეხურებით აღჭურვილი საკურთხევლები. იხ. U. Scerrato. Excavations at Dahan-i Ghulaman (Seistan-Iran) First Preliminary Report (1962-1963) EW(NS) v.16. 1968. №1-2. fig.9, 22-3.
- ¹⁰³ საცეცხლე – ესე არს სადა მარადის ცეცხლი ეგზების, გინა ცეცხლთა ჭურჭელი,– გინა სახლი ცეცხლის მსახურთა შესაკრებელი – სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. თბზულეზანი. ტ. II თბ., 1966. გვ.68-9.
- ¹⁰⁴ შდრ. C. Galling. Der Alter... tab.12-3; tab.16.
- ¹⁰⁵ შდრ. იქვე ტ.7.
- ¹⁰⁶ Лордкипанидзе О.Д., Путуридзе Р.В., Матиашвили Н.Н. Раскопки... с.42; Кошеленко Г.А. Культура Парфии. М., 1966. с.23.
- ¹⁰⁷ E. Schmidt. Perserolis. I. Structures, Reliefs, Inscriptions. Chicago. 1953. tab.IX.
- ¹⁰⁸ B. Brentjes. Alte Siegelkunst des Vorderen Orients. Lpz. 1983. s.137.
- ¹⁰⁹ ოთ. ლორთქიფანიძე, რა საიდუმლოს... გვ.91
- ¹¹⁰ ჯ. რუხაძე. მარცვლეულისათვის განკუთვნილ სათაესთა საკულტო მნიშვნელობა საქართველოში. „მაცნე“. ისტორიის... სერია. 1976. №2. გვ.157.
- ¹¹¹ გ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. II თბ., 1985. გვ.11
- ¹¹² U.M. de Villard. The Fire Temples. В. I, №4. 1936. p.178-9. fig.4.

- ¹¹³ D. Stronach. On the evolution... p.618-9.
- ¹¹⁴ იქვე გვ.612-7.
- ¹¹⁵ Кошеленко Г.А. Культура Парфии. с.19-23, 28-9, Пилинко В.Н., Кошеленко Г.А. Северная Парфия. В кн.: ДГКСА. М. 1985. с.218. таб.LXXV,2.
- ¹¹⁶ Пугаченкова Г.А. К архитектурной типологии в зодчестве Бактрии и Восточной Парфии. ВДИ. 1973. №1. с.122. таб.1а. с.128. таб.IX,а.
- ¹¹⁷ K. Schippmann. Die iranische... s.489-91. Abb.79.
- ¹¹⁸ იქვე s.257-8. Abb.37.
- ¹¹⁹ Пичикийн И. Композиция храма Окса в контексте архитектурных сопоставлений. МАИКИА(ИБ). Вып.12. М., 1987. с.49-62.
- ¹²⁰ Литвинский Б., Мухитдинов Х. Античное городище Саксонохур. СА. 1969. №2. с.176-7.
- ¹²¹ ბ. სტავისკის აზრით, ბაქტრიაში ზოროასტრიზმი ფართოდ მხოლოდ კუშანურ-სასანიდურ პერიოდში გავრცელდა. იხ. Ставиский Б.Я. Кушанская Бактрия; проблемы истории и культуры. М., 1977. с.175.
- ¹²² D. Schlumberger. Deschrendant non mediterraneens de l'art grec. „Syria” t.XXXVII. 1960. p.143-5. fig.1.
- ¹²³ F. Oelman, Persische Tempel, Arch. Anz. 1921. III/IV s.279-80. Abb.3; U.M. de Villard.
- ¹²⁴ K. Erdmann. Die iranische Feuerheiligtum. Lpz. 1941. s.29-30, 34.
- ¹²⁵ გარსემოსავლელები, რომლებიც ცერემონიალური სვლებისთვის იყო განკუთვნილი, ცეცხლის ტაძრების ერთ-ერთ ყველაზე მეტად დამახასიათებელ ელემენტადაა მიჩნეული. იხ. Воронина В.Л. Доисламские культовые сооружения средней Азии. СА. 1960. №2. с.52-3.
- ¹²⁶ G. Gropp. Die Funktion... s.150-2.
- ¹²⁷ K. Erdmann. Das Iranische... s.34. კ. ერდმანის ამ მოსაზრებას საკვებით დასაშვებად მიიჩნევს კ. შიპმანი (K. Schippmann. Die iranische... s.472). თუმცა გ. გროპს ასეთი რამ მაინც საეჭვოდ მიაჩნია. მისი აზრით, ცეცხლი-მეფევე („atasch bahram“) სრულიად დამოუკიდებელია სამსხვერპლოსაგან (G. Gropp. Die Funktion... s.166).
- ¹²⁸ აღსანიშნავია, რომ პასარგადეს ჩრდილოეთით ე.წ. „წმინდა ზღუდეში“ სწორედ სამი სარიტუალო არის არსებობამ დაბადა აზრი იმის შესახებ, რომ ეს საკულტო კომპლექსი ზოროასტრულ საღვთო ტრიადისადმი იყო მიძღვნილი. იხ. Луконин В.Г. Искусство Древнего Ирана. М., 1977. с.97.
- ¹²⁹ ვთქვათ, ზოროასტრული ტრიადის ბერძნული შესატყვისების მსგავსად, რომელიც პერსეპოლისის ტაძრის სვეტთა ბაზისების ვოტივურმა წარწერებმა დაადასტურა (აპურა-მავდა – ზეცი, მითრა – ჰელიოსი, ანაჰიტა – არტემიდე). იხ. Дандамаев М.А., Луконин В.Г. Культура и экономика древнего Ирана. М., 1980. с.263.
- ¹³⁰ Д. Шлюмтберже. Эллинизированный Восток. М., 1985. с.63-4.
- ¹³¹ Михаловский К. Создатель канона египетского храма. ВДИ. 1956. №4. с.119-20.
- ¹³² Виппер Б.Р. Искусство Древней Греции. М., 1972. с.77.
- ¹³³ Джандиери М.И. Древние истоки башенного жилища горной грузии. МСГИ-IV. Тб., 1983. с.17-8.
- ¹³⁴ Джандиери М.И., Лежава Г.И. Народная башенная архитектура. М., 1976. с.59; ა. ქალღანი. სვანური საცხოვრებლის ერთი სახე. ძმ. №36. სურ.5.
- ¹³⁵ ვ. ითონიშვილი. ხევი ძველად და ახლა. თბ., 1967. ტაბ.IX,1
- ¹³⁶ რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე. მთიულეთის სოფელი ძველად. თბ., 1965. სურ.22.
- ¹³⁷ გ. გამყრელიძე. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ., 1982. გვ.103. სურ.25-6.
- ¹³⁸ ტაძარი, ტაზარი „სამღდელო“, „სახლი“, „ბაგინი“, სასახლე, სამლოცველო სახლი. იხ. ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., 1973.
- ¹³⁹ ტაძარი – სახლი სამლოცველო, გინა მეფეთა. იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. თბ., 1966.
- ¹⁴⁰ Дандамаев М.А., Луконин В.Г. Культура... с.250.
- ¹⁴¹ გვიანელისტიური წყობის ამდგვარი ხასიათის შესახებ იხ. W. Wrede. Attische Mauern. Athen. 1933. s.184.
- ¹⁴² იხ. F. Oelmann. Hilani und Liwanhaus. BG. H.127. 1922. s.201.

ცხრილი

		cm	m 24,75	აბსოლუტური სიზუსტე cm	გადახრა აბსოლუტური სიზუსტიდან
ბაზისი	ზედაპირის დიამეტრი	49,5	2	49,5	-
	ქვედა ლილვის დიამეტრი	75	3	74,25	+ 0,75
	სიმაღლე	31	1,125	30,93	+ 0,07
ალიზის აგური	სიგრძე	55	2	54,46	+ 0,54
	სისქე	37	1,5	37,125	- 0,125
ქერამიდი	სიგანე	49,5	2	49,5	-
	კედლების სიგრძე	49,5	2	49,5	-
კალიკტარი	ტანის სიგრძე	49,5	2	49,5	-
	სიგანე	24		24,75	- 0,75
კედლების სისქე	№11	248	10	247,5	+ 0,5
	№2	180	7,25	179,44	+ 0,56
	№№ 6,8,9,12	148-149	6	148,5	± 0,5
კართა ლიოგები		223	9	222,75	+ 0,25
		320	13	321,75	- 1,75
		148	6	148,5	- 0,5
		198	8	198	-
საუმსურებიანი საპურთხეველი	სიგრძე	532,5	21,5	532,5	+0,375
	საფეხურების სიგანე	198	8	198	-
	საფეხურების სიგრძე	346,5	14	346,5	-
	ბაქნის სიგანე	186	7,5	185,63	+0,37
	ბაქნის სიგრძე	248	10	247,5	+0,5
საუმსურები (№0)	სიგანე	495	20	495	-
	სიგრძე	199	8	198	+1
	კოშკისა და დარბაზს შორის მანძილი (№7)	420	17	420,75	- 0,75
შეწირულობათა მოედანი	სიგანე	161	6,5	160,875	+0,125
	სიგრძე	1080	43,125	1079,73	+0,27
ბვირბვინძვეშა სწორკუთხედი (ბაზისთა ცენტრებს შორის მანძილი)	სიგრძე	396	16	396	-
	სიგანე	247,5	10	247,5	-

		cm	m 24,75	აბსოლუტური სიზუსტე cm	გადახრა აბსოლუტური სიზუსტიდან
გვირგვინქვეშა სწორკუთხედი (ბაზისებს შო- რის მანძილი)	სიგრძე	321	13	321,75	- 0,75
	სიგანე	173	7	173,25	- 0,25
ღარბაზი	სიგანე კედლებითურთ	1240	50	123,75	+2,5
	შიდა ფართობის სიგანე	944	38,123	943,6	+0,4
	შიდა ფართობის სიგრძე	991	40	990	+1
ბელელი	სიგანე	620	56	618,75	+1,25
	ნაგებობის სიგანე	1388	72,125	1386	+2
	ნაგებობის სიგანე დანამატებითურთ	1785	81,125	1785	-
	ღარბაზისა და ბელლის საერთო სიგრძე	2008		2007,85	+0,15

თავი II იბერია

სამადლო „კომპურა ტაძარი“

ამ ნაგებობის შესახებ ძნელია რაიმე ითქვას დაბეჯითებით, რადგან ჩვენამდე უაღრესად მცირე ფრაგმენტია მოღწეული (ტაბ. XXXVII). ძეგლის გამთხრელისა და შემსწავლელის ი. გაგოშიძის მიერ იგი „კომპურა ტაძრად“ განსაზღვრული¹. ძეგლი სტრატეგრაფიული მონაცემებით ზოგადად აქემენიდური ხანით თარიღდება (ძვ.წ. VI-IV სს.), მაგრამ დასტურდება ისიც, რომ იგი შესაძლოა რამდენიმე სახეცვლილი ფორმით ელინისტურ ხანაშიც აგრძელებდა არსებობას².

ჩვენამდე შემორჩა მხოლოდ ჩრდილოეთის კედელი აღმოსავლური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი რიზალიტებით. ეს კედელი თითქმის ებჯინება კლდეს. სამშენებლო მოედნის დანარჩენი ფართობი მთლიანადაა წარეცხილი. თვით რელიეფზე დაკვირვებით ი. გაგოშიძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთიდან ნაგებობას მდგრადობისათვის საყრდენი კედელიც უნდა ჰქონოდა³. მას ნაგებობა კვადრატული გეგმით აქვს წარმოდგენილი, რაც, ვფიქრობ, გეგმის რეკონსტრუქციის ერთადერთი მისაღები სახეა.

წარმოგვიდგება კვადრატული ნაგებობა, რომლის კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ლოდებით, მაგრამ საგანგებოდ შერჩეული ქვებით და ამიტომ წყობა რეგულარულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ქვის კედლები წარმოადგენდა ცოკოლს ალიზის აგურთა წყობისათვის. ნაგებობის ზომებია 14×14 მ, ხოლო შიდა ფართობისა – 5,50×5,50 მ, ე.ი. შედარებით მცირე შიდა სივრცე ისაზღვრება მასიური, მძლავრი კედლებით. გარე მხრიდან კედლები აღჭურვილი იყო როგორც კუთხის, ასევე ცენტრალური რიზალიტებით, რომლებიც სიბრტყიდან მხოლოდ 50 სმ-ით იყო გამოზიდული.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაგებობის მეტისმეტად მცირე ფრაგმენტს ვფლობთ, მაინც დასაშვებია მგონია მისი ფუნქციის საკულტოდ განსაზღვრა. გარემო და ნაგებობის მდებარეობა მთლიანად გამორიცხავს მის რაიმე სხვა და უპირველესად საფორტიფიკაციო მნიშვნელობას. კედლის ფორმა და სტრუქტურა მხოლოდ საკულტო ნაგებობაზე მიგვანიშნებს, ხოლო რეკონსტრუირებული გეგმით იგი საკულტო ნაგებობათა იმ ტიპოლოგიური ჯგუფის კუთვნილი ჩანს, რომელიც ურარტული ტაძრების სახელითაა ცნობილი და რომელთა რამდენიმე გადამუშავებულ მოდელებს აქემენიდურ ირანში „კომპურა ტაძრების“ სახით ვხვდებით (ტაბ. XXXVII).

ამჯერად ტიპოლოგიურ ჯგუფში მხოლოდ ნაგებობათა კვადრატულობას ვგულისხმობ, რადგან ამ ტიპის ნაგებობების გარშემო თავს იყრის მრავალი გაურკვეველი და სადავო საკითხი.

სამადლოს „კომპურა ტაძარს“ მოუპოვება ანალოგები ურარტული ტაძრებისა (ალტინ-თეფე, ტოპრაკ-კალა, კაილი-დერე, აზნაურ-თეფე (ტაბ. LX13), კაყუს-თეფე, პატნოსი) და აქემენიდური კომპურა ნაგებობების სახით (ზენდან-ი სულეიმანი პასარგადეში და კააბა ზარდუშტი ნაყში-რუსტამში (ტაბ. LX4). ურარტული ტაძრებისა და აქემენიდური კომპურა ნაგებობების გეგმათა მსგავსება საესებით ცხადია. ურარტული ტაძრები თითქმის ყველა მკვლევრის მიერ პროტოტიპადაა მიჩნეული ზენდან-ი სულეიმანისა და კააბა ზარდუშტისათვის⁴.

მსგავსებას ქმნის: 1. კვადრატული გეგმა, 2. კვადრატული შიდა სივრცე, 3. რიზალიტები. მაგრამ ურთიერთგანმასხვავებელი ნიშნებიც აშკარაა. აქემენიდური ნიმუშები გაცილებით მცირე ზომებით ხასიათდება. გარდა ამისა, ურარტული ტაძრებისაგან განსხვავებით ისინი მთლიანად ქვითაა ნაგები. ურარტულ ტაძრებში ქვის ცოკოლზე ალიზის წყობაა დაფენილი. ამასთანავე, აქემენიდურ ნაგებობებში კვადრატული კამერები გამართულია ცენტრალურ სტრუქტურებში, რომლისკენაც მრავალსაფეხურიან კიბეებს მიგყავართ⁵, ხოლო ურარტულ ტაძრებში კარის ღიობები უშუალოდ ქვედა სტრუქტურებში დასტურდება⁶. თუ ურარტულ ტაძრებს მაღლივ ნაგებობად

წარმოიდგინეთ სართულიანობის გარეშე (რაც არაფრით დასტურდება), აქემენიდური კომპლექსისგან განსხვავებით მივიღებთ გარე მასების შესაბამის⁷ ვერტიკალურ, მაღლივ სივრცეს, სადაც მთელი მათი მასივი მხოლოდ ცენტრალურ ნაწილში შეიცავს კვადრატულ კამერას. ეს განმასხვავებელი ნიშნები გამოირიცხავს აქემენიდური და ურარტული კომპლექსების ტიპოლოგიურ იდენტურობას. აქ, როგორც ჩანს, აქემენიდური სამყაროს მიერ იდეის დასესხებასთან გვაქვს საქმე, რომელიც მათთვის მისაღებ ფორმებში გადამუშავდა.

ი. გაგომიძე სამადლოს ნაგებობას აქემენიდური კომპლექსის მსგავსად ცეცხლის ტაძრად მიიჩნევს და მას უშუალოდ აქემენიდური ირანიდან მომდინარე იმპულსის შედეგად არსებულად თვლის⁸.

ზენდან-ი სულეიმანისა და კაბა ზარდუშტის ფუნქციითა შესახებ აზრთა სრული სხვადასხვაობაა და მათ დანიშნულებაზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. დაახლოებით თანაბარ არგუმენტებს ვფლობთ როგორც მათი სამარხეულ ნაგებობად გამოცხადებისა, ასევე იმისათვის, რომ ისინი ცეცხლის ტაძრებად ჩავთვალოთ, თუმცა მკვლევართა დიდი ნაწილი მათ მაინც საკულტო ნაგებობებად მიიჩნევს⁹. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვადრატს როგორც გეომეტრიულ ფორმას ამ კომპლექსის კამერებისათვის. ეს ის ფორმაა, რომელიც აქემენიდური და შემდგომი პერიოდების ცეცხლის ტაძრებში თითქმის ყოველთვის ცელადაა ფორმირებული¹⁰. ამ კომპლექსის კვადრატის მიახლოებული კამერები ქმნის მათი ცეცხლთან დაკავშირების სურვილს. ვარდა ამისა, ძვ.წ. III ს-ის ფარსის მმართველთა ტეტრადრაჰმებზე არსებული გამოსახულებანი თითქოსდა პირდაპირ მიგვანიშნებს კომპლექსის ფუნქციაზე (ტაბ. XXXVII³). დაეჭვება ძნელია, რომ ამ მონეტებზე სწორედ ნაყში-ი რუსტამის ანალოგიური კომპლექსი გამოსახული¹¹ (კუთხეთა რიზალიტები, კილანები, ბრტყელი გადახურვა). მის თავზე იკითხება სამი ცეცხლის საკურთხეველი, ე.ი. ასახულია მომენტები, როცა ცეცხლი გარეთაა გამოტანილი ღვთისმსახურებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ნაყში-ი რუსტამისა და ზენდან-ი სულეიმანის კომპლექსები სრულიად სხვა ფუნქციის მატარებელი აღმოჩნდეს, ეს მონეტები ასახავს იმას, რომ ცეცხლის ტაძრებისა და სუზის „იადანას“ ტიპის ნაგებობების ჰარაღელურად არსებობდა კომპლექსის ცეცხლის ტაძრებიც.

ჩვენთვის საინტერესო ისაა, თუ სამადლოს „კომპლექსის ტაძრისთვის“ რომელი რეგიონის ნაგებობანი წარმოადგენს მოდელს – ურარტული ტაძრები თუ აქემენიდური კომპლექსები. ვფიქრობ, არც ერთი¹². სამადლოს კომპლექსი ზომებით ორჯერ აღემატება აქემენიდურ კომპლექსს (სამადლო – 14x14 მ, ზენდან-ი სულეიმანი – 7x7 მ). ძნელი წარმოსადგენია მოდელად აღებული ნიმუშის მიმართ ესოდენ დიდი სითამამე. ურარტული ტაძრებიდანაც ამ ზომის ნაგებობას ჩვენ მხოლოდ პატნოსის ტაძარს ვიცნობთ, რომელიც მათ შორის ყველაზე ადრეული ხანით თარიღდება¹³. არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან აქემენიდური კომპლექსები და სამადლოს ნაგებობა სივრცის ორგანიზაციითაც. სამადლოში, ნაგებობის ცენტრალურ სტრუქტურაში აქემენიდური კომპლექსის ანალოგიურად ძალიან ძნელია მარტოდენ ყრუ კამერის წარმოდგენა. ყველაფერი იმას მიანიშნებს, რომ ურარტული ტაძრების მსგავსად მასების შესაბამისად აქ სივრცეც მაღლივი იყო. ჭირს ურარტული ტაძრების სამადლოს კომპლექსის მოდელად მიჩნევა: ჯერ ერთი, როგორც ი. გაგომიძეს აქვს აღნიშნული, სამადლოს კომპლექსის ცენტრალური რიზალიტები სრულიად უცხოა ურარტული ტაძრებისათვის¹⁴ (ასევე აქემენიდურისათვის) და მისი არსებობა აქ კომპლექსის დიდი ზომებით ვერაფრით აიხსნება. ვარდა ამისა, რიზალიტებს, ამ თითქოსდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო არქიტექტურულ დეტალებს, ურარტულ სატაძრო ხუროთმოძღვრებაში გარკვეული ფუნქცია აკისრია. საფასადე მხარეებს შორის არსებული ჩაყვანილი სიბრტყეები ყოველთვის და უგამონაკლისოდ საზღვრავს ცელას კვადრატის ზომებს და, ამდენად, ორგანულად აკავშირებს ერთმანეთთან ტაძრის შიდა და გარე მასებს, სრულ შესაბამისობას ამყარებს ინტერიერსა და ექსტერიერს შორის. რიზალიტების ეს ფუნქცია მთლიანად დაკარგულია აქემენიდურ კომპლექსში, რაც იქ მაინც იმით აიხსნება, რომ თავიანთი ყრუ მასივის გამო ინტერიერზე მინიშნება ამ კომპლექსს არ ესაჭიროება. სულ სხვა საქმეა სამადლოს კომპლექსი. აქ მოსალოდნელი იყო რიზალიტების სწორედ ის მნიშვნელობა

დადასტურებულიყო, რაც ურარტულ ტაძრებშია, რადგან გარე მასების შესაბამისად სივრცეში მხოლოდ მალევიდაა წარმოსადგენი. მაგრამ ისინი ერთგვარად ფუნქციონირებულნი იყვნენ. სამადლოს კომპლექსის შიდა სივრცის სავარაუდო კვადრატის (5,50x5,50 მ) არაფრით ეფასადთა რიზალიტებით დანაწევრებულ სივრცეებს. არც ურარტულსა და არც აქედან მომდინარე შორის არ მეგულება ისეთი ნიმუში, რომლის მეტ-ნაკლებად ზუსტ გამოკვლევას წინააღმდეგობა უწევს სამადლოს კომპლექსს და, ვფიქრობ, არცაა მოსალოდნელი, რომ იგი რომელიმე კანონიერი მოდელს ემორჩილებოდეს. კომპლექსი ტაძრებისათვის ასეთი საყოველთაო მოდელი არსებობდა. არსებობდა მთელი აღმოსავლეთისათვის ერთი საერთო იდეა – „მალევი ურარტულისა და აქემენიდური კომპლექსის განმასხვავებელი ნიშნები უკვე აღვნიშნეთ. სასახეობას განეკუთვნება მიდიური კომპლექსი ცეცხლის ტაძარი (ტაბ. XXXVII₄)⁵. ყველა ჩამოთვლილი ნიმუშისაგან არსებითად განსხვავდება ასტინ-ბლურის მალევი ტაძრის მოდელი (ტაბ. L₇) ნაგებობებსა და მოდულებს ახასიათებს ერთი საერთო იდეა – სივრცეთა თუ საერთო ვერტიკალური ორგანიზაცია. ამათ რიგს განეკუთვნება სამადლოს კომპლექსი ტაძარიც. ამათგანვე წინა თავეში განხილული ვანის კომპლექსი ცეცხლის სამლოცველოც.

საბოლოოდ ჩვენთვის უცნობი დარჩა ამ ნაგებობის ორიენტაცია. ი. გავიხილეთ მისასვლელი დასავლეთის მხრიდან ივრად⁷. გამორიცხული არ უნდა იყოს სამხრეთის მიმართულებაც, რადგან თუ ამ მხრიდან რელიეფის შესაბამისად ივრადუბა საყრდენი შესაძლოა, იგი მისასვლელ საფეხურებსაც შეიცავდა (იხ. რეკონსტრუქცია. ტაბ. XXXVII₂).

ციხიაგორა

ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი 1971 წლიდან ითხრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ტიშვილი) კასპის რ-ის სოფ. კავთისხევეში, სოფლის ჩრდილოეთით ციხიაგორას სახელით ცნობილი სიმაღლის ბორცვზე. გათხრების ანგარიში ნაგებობათა აღწერითა და ძეგლთან დაკავშირებული არქეოლოგიური თუ ქრონოლოგიური ხასიათის შენიშვნებით არაერთხელაა გამოქვეყნებული ამჟამად ბორცვის თხემზე მთლიანადაა გათხრილი მთავარი ტაძარი და მისი მომდინარე ნაგებობა, რომელიც 0,5 ჰა-ს მოიცავს. იგი გალავნით ყოფილა მოზღვდული (ტაბ. X₁ კომპლექსი, გ. ტიშვილის აზრით, ძვ.წ. IV-III სს-ს განეკუთვნება, მაგრამ გამორიცხული იყოს რამდენადმე გვიანი პერიოდიც. ეს ძეგლი არქეოლოგთა მიერ გამოვლენილ მონაგებობებს შორის ყველაზე უკეთაა შემონახული; კედლების სიმაღლე საშუალოდ 3 მ-ს შემორჩენილი, კარგად იკითხება კონსტრუქციული კვანძები და ამის გამო შესაძლებელია კომპლექსის თავდაპირველი სახის წარმოდგენა.

მთავარი ტაძარი გალავნით შემოსაზღვრული თხემის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარესაა მდებარე. მისი ორიენტაცია ზუსტად ემთხვევა S-N ღერძს. ჩრდილოეთიდან ტაძარს სავარაუდოდ გალავნის კედელი, აღმოსავლეთიდან მას ედგმის მრავალსაფეხიანი ნაგებობა (ბედილი დასავლეთით მთავარი ტაძრისაგან 3 მ-ის დაშორებით მცირე ზომის ნაგებობაა აღმოსავლეთით მცირე ტაძარი უნდა იყოს. თავდაპირველად შეეცდები ამ კომპლექსის ნაგებობათა განხილვას.

მთავარი ტაძარი ჩაწერილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წაგრძელებულ სწორ, (ტაბ. XXXIX₁), რომლის ცენტრალურ არეში გამოიყოფა კვადრატის მიახლოებული დარბაზი დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ესაზღვრება გრძივი სათავსები. ჩრდილოეთით ტაძრის გარშემო გაჭიმულია სივრცე, რომელიც ყველა ნიშნით ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. იგი აქ დასავლეთიდან დასტურდება. თვით დარბაზის კარი სამხრეთიდანაა გამართული.

ნაგებობა, ანუ ცალკეულ უჯრედთა ერთობლიობა, კრამიტით ყოფილა გადახურული¹⁹, ხოლო კედლებით შემოფარგლული მისი სამხრეთი მხარე ღია იყო და ქმნიდა ტაძრის წინა ეზოს. მასში შესასვლელები დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან მხოლოდ ღია ეზოს ცენტრშია გაჭრილი. დარბაზის კარის პირდაპირ „საკურთხეველია“ აღმართული (ტაბ.XLI). კედელთა სისქე აქ ყველგან 1,50 მ-ია, ფლეთილი ქვით ნაგები ცოკოლი (ტაბ.XLII) 2 მ სიმაღლისაა. მასზე ყველგან ალიზის აგურის წყობა დადასტურდა²⁰ (ტაბ.XLII). აგურები კვადრატულია — $37 \times 37 \times 14$ სმ. ასე რომ, კედელზე ვლებულობთ 4 აგურისაგან შედგენილ მწკრივს ($37 \times 4 = 148 \sim 150$). მიუხედავად იმისა, რომ კედლების ქვედა სტრუქტურა (ცოკოლი) ფლეთილი ქვითაა ნაგები, აქ მაინც გამოყენებულია საფასადე მხარეთა ე.წ. საპირე წყობა, რაც შედარებით ერთი ზომისა და საგანგებოდ შერჩეული ქვებით შედგენილი რიგებით გამოიხატება, მაგრამ ამ ჯიშის ქვით ურთიერთკავშირის არასაკმარისი შესაძლებლობის გამო საპირე მხარეები გარკვეული შუალედებით დამატებით განიგი ძელებითაა ერთმანეთთან გადაბმული (ტაბ.XLII)²¹, ე.ი. აქ კედლებისთვის დადასტურებულია უძველესი კონსტრუქცია — ხის კარკასი, რომელსაც უადრესი პერიოდიდან იყენებენ ალიზის სტრუქტურისათვის²². ასევეა ნაგები ეზოში დარბაზის პირისპირ მდგარი „საკურთხეველიც“ (ტაბ.XLI).

ნაგებობის ჩრდილოეთ ნაწილში, გრძივ სივრცეში, რომელიც პუბლიკაციაში „სასახლედაა“ წოდებული²³, ცოკოლისა და ალიზის გამმიჯნავ ზოლში დადასტურდა კვლავ გარკვეული შუალედებით განთავსებული სართულშუა გადახურვის კოჭები (ტაბ.XXXVIII). იატაკი ყველგან თიხატკეპნილია, მაგრამ დარბაზსა და „სასახლეში“ თიხა დაგებულია ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი მორუბის ფენილზე. თიხით იყო შელესილი კედლების როგორც ქვის, ასევე ალიზის სტრუქტურა²⁴.

ამ ტაძრის გეგმარების სიმეტრიის საწყისი სახე ადვილად შესაცნობია. კარგად ჩანს კვადრატის, რომელსაც სამხრეთ ნაწილში საზღვრავს „საკურთხეველის“ ჩრდილოეთი მხარე, ხოლო ნაგებობისათვის მთლიან სიგრძედ ამ კვადრატის დიაგონალის ტოლი მანძილია აღებული (სწორკუთხედი $1:\sqrt{2}$). დარბაზის შიდა ფართობისთვისაც ამოსავალ გეომეტრიულ სახედ კვადრატი ჩანს, სადაც სწორკუთხედი ორი კვადრატის დიაგონალის გვერდზე გადაზომვითაა მიღებული (ტაბ.XLII). ესაა ის მარტივი გეომეტრიული ხერხი, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ნაგებობათა შიდა სისტემის მოწესრიგებისა და ცალკეულ ელემენტთა ჰარმონიული თანაფარდობისათვის ფართოდ იყენებდა მთელი წინარექრისტიანული არქიტექტურა.

„სასახლის“ ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მიკვლეულ იქნა ხარის ორმაგპროტომიანი კაპიტელი (ტაბ.XLII; XLIII). აქ დადასტურებული არქეოლოგიური სიტუაცია, ვფიქრობ, გამორიცხავს ამ დეტალის „სასახლისადმი“ მიკუთვნების შესაძლებლობას. ჯერ ერთი, სვეტი ამ სათავეს არ სჭირდება და, გარდა ამისა, იგი დავარდნილი იყო ალიზისა და კრამიტის 1,50 მ სიმაღლის გროვანზე²⁵, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კაპიტელი ცენტრალური დარბაზიდან კედლების დაშლის შემდგომ სვეტს მოწვევტილი აღმოჩნდა. დარბაზის გადახურვის გამართვა სვეტის გარეშე მართლაც ძნელი წარმოსადგენია. მთელი ნაგებობის რეკონსტრუქციისათვის მისი მდებარეობის ზუსტ განსაზღვრასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს. „სასახლე“, როგორც აღვნიშნე, ორსართულიანი იყო. პირველი სართულის სიმაღლე 3,5 მ-ია, და თუ ამავე სიმაღლისას წარმოვიდგენთ მეორე სართულსაც, მაშინ იგი ძირიდან კუბამდე დაახლოებით 8,5 მ-ით უნდა განისაზღვროს. კეხი, ცხადია, გრძივად ივარაუდება W-O მიმართულებით. შედარებით დაბალია დარბაზი. ჯერ ერთი, აქ სართულშუა გადახურვა არ ჩანს. გარდა ამისა, არც კაპიტელის ზომები იძლევა იმის საშუალებას, რომ იგი „სასახლის“ სიმაღლეს გაუუსწოროთ. თუ სვეტს ჩვენ დარბაზის ცენტრში წარმოვიდგენთ, მაშინ კეხს ვლებულობთ W-O მიმართულებით, ე.ი. „სასახლის“ კეხის პარალელურად, რაც უთუოდ შეუსაბამობაა; დარბაზისა და „სასახლის“ შეუღლების არეში გადახურვის კალთებიდან დაგროვილი ნალექი კედლის წყობას აუცილებლად დაარღვევს. ასეთ შემთხვევაში ერთადერთი მისაღები ვარიანტი კეხის S-W მიმართულების დამთხვევაა. მაგრამ ამისათვის ცენტრში აღმართული სვეტი მხოლოდ მაშინ გამოდგება, თუ კაპიტელსაც გრძივად ამავე მიმართულებას დავამთხვევთ, რაც

ასევე შეუსაბამობაა, რადგან დარბაზის ღიობის წინ კაპიტელის ერთ-ერთი ხარი — *façe* აღმოჩნდებოდა, რაც ორმაგპროტომიანი კაპიტელთათვის პროფილია, ე.ი. ცხადია, რომ კრამიტით გადახურული დარბაზი, სადაც გათხრებისას თანაბარი რაოდენობით დაფიქსირდა კრამიდიცა (ბრტყელი კრამიტი) და კალიბტერიც²⁶, გადახურული იყო ორქანობიანი სახურავით. დარბაზის ფართობიდან გამომდინარე, აქ შეუძლებელია ერთი ქანობის წარმოდგენა. დასავლეთითა და აღმოსავლეთით ორქანობიანი სახურავის კალთები კი დახრილი უნდა ყოფილიყო. ამის მისაღწევად საესებით საკმარისი ჩანს დარბაზის ცენტრში ერთი სვეტის აღმართვა, მაგრამ არა ისეთი სვეტისა, რომელიც ორმაგპროტომიანი კაპიტელით ბლოკდება — ასეთი სვეტი ამ მიზნისათვის გამოუსადეგარია და, გარდა ამისა, კაპიტელის ფორმა უთუოდ სხვა მიზნებსაც ისახავს: იგი ძირითადად იმპოსტია და მისი კონსტრუქციული ფუნქცია გამოიხატება იმაში, რომ მისი მცირე, მაგრამ დარბაზის მასიდან გამომდინარე მაინც საესებით საკმარისი ზომის გამო, გაანაწილოს, შეამციროს ნაგებობის ზედა სტრუქტურის დაწოლა კოჭზე²⁷. დარბაზში ამ სახის იმპოსტის გამოყენება, ვფიქრობ, ემსახურებოდა გვირგვინის გამართვასა და კრამიტის ორქანობიანი სახურავის ურთიერთშეთავსებას. ამ ფორმის კაპიტელის გამოყენების სხვა მიზანი არ ჩანს. გვირგვინის გასამართავად აქ სვეტი დარბაზის ჩრდილოეთ არეში იქნებოდა აღმართული და ასეთ შემთხვევაში მისი მხატვრულ-სიმბოლური მნიშვნელობაც უკეთ აღიქმებოდა და გადახურვის კონსტრუქციული სრულყოფაც უკეთ იქნებოდა მიღწეული (ტაბ.XL). კოჭების კონსტრუქციული სქემა საკმაოდ სრულყოფილია და მას ქართული ერთსვეტიანი დარბაზების სახით ეთნოგრაფიული პარალელებიც ეძებნება²⁸ (ტაბ.XL).

სვეტის ბაზისიცა და ტანიც ხისა იყო. მათ ჩვენამდე არ მოუღწევია (ნაგებობა ნახანძრალია), მაგრამ კაპიტელის საშუალებით დარბაზის სიმაღლე შეიძლება საკმაო სიზუსტით განისაზღვროს. კაპიტელის ფუძემ შემოინახა სვეტის დიამეტრის აღმნიშვნელი წრე (25 სმ) და აგრეთვე სვეტის ტანთან მის დასამაგრებლად განკუთვნილი ღრმული²⁹. სვეტის ფუძის დიამეტრი ალბათ არ აღემატებოდა 30 სმ (ტაბ.XLIV) და თუ მას ჩვენ 10-ჯერ ავიღებთ, სიმაღლეს 3 მ-ს მივიღებთ. ორმაგპროტომიანი კაპიტელი უთუოდ მიანიშნებს იმას, რომ აქ სივრცის ორგანიზაციისათვის არქიტექტორი ხელმძღვანელობს აქემენიდურ ირანში შემუშავებული მონუმენტური ხუროთმოძღვრების ნორმებით³⁰.

ციხიაგორაზე დადასტურებული სამშენებლო ტექნიკა ძირითადად აღმოსავლურ ტრადიციებს იმიორებს (თუ არ ჩავთვლით კრამიტით გადახურულ ორქანობიან სახურავებს). უნდა აღინიშნოს მთელ აღმოსავლეთში, ელინისტურსა და გვიანელინისტურ ხანაში ციხიაგორაზე დადასტურებული მსგავსი სიდიდის ალიზის აგურის (37×37 სმ) პოპულარობა³¹. აღმოსავლურ ტრადიციებზე მიანიშნებს დიდი ტაძრის ხის სვეტი და, რა თქმა უნდა, აღმოსავლური სული ჩანს თვით კაპიტელის მხატვრულ კანონშიც, რომელსაც მოგვიანებით კვლავ დავუბრუნდები.

ტაძარი ყველა ნიშნით ცეცხლის ტაძრის რამდენადმე სახეცვლილი ფორმაა. ცვლილება განსაკუთრებით დარბაზს შეეხო, სადაც უარყოფილია მისი ოთხსვეტიანი სისტემა, ძირითადი ბირთვის სიმბოლური და ტრადიციული სურათი. ცეცხლის ტაძრების ადრეულ ნორმათაგან ციხიაგორაზე დაცულია ცელას გარედან უხილაგობა. ეზოს გალაგანი მთლიანად ზღუდავს ცელასკენ თვალთახედვას. ნაწილობრივ ამასვე ემსახურება დარბაზის კარის წინ აღმართული „საკურთხეველიც“. თვით დარბაზის შუაგულში საკმაოდ მნიშვნელოვან აღმოჩენას ჰქონდა ადგილი: ესაა ფართო, ქვის კვადრატული ფილა. სრულიად გამორიცხულია მისი სვეტის ბაზისად გააზრება, სამისო მას არავითარი ნიშანი არა აქვს. გარდა ამისა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ცენტრში სვეტი არ უნდა მდგარიყო. ეს ფილა საესებით შეესაბამება ე.წ. *adoscht*-ს, საცეცხლე ქვას, ანუ ცეცხლის საკურთხეველის სადგარს, რომელიც აუცილებელი ატრიბუტი იყო ადრეულ ცეცხლის ტაძრებშიც. აუცილებელია მათი არსებობა დღევანდლამდე შემორჩენილ ზოროასტრულ სამლოცველოშიც³². ამდენად, ციხიაგორაზე, დიდ ტაძარში სრულიად ნათლად ჩანს ცეცხლის ტაძრების ცელას ორი ძირითადი ატრიბუტი: საცეცხლე ქვა, ანუ ცეცხლი-გვირგვინი, ერთმანეთის

გამაპირობებელი ორი საკულტო ელემენტი. გვირგვინი დღემდეა შენარჩუნებული ცეცხლის იმ ზოგიერთ ტაძარში, რომლის ორგანიზმი კონსერვატიულობით ხასიათდება³³.

რაც შეეხება დარბაზის მხოლოდ ერთ სვეტს, იგი ნაწილობრივ ცელას მცირე ზომამაც განაპირობა. ოთხი სვეტი – სამყაროს ოთხი მხარის სიმბოლური ასახვა აქ უარყოფილია, მაგრამ ეს იდეა, ვფიქრობ, სხვაგვარ გადაწყვეტას პოულობს: S – კარი, W და O სარკმლები ან ნიშები, N სვეტი. ეს თემა აქ სხვაგვარადაც ხაზგასმულია: ცელაში და მის სიახლოვეს აღმოჩნდა თიხის დისკოები ჯვრების რელიეფური გამოსახულებებით³⁴, რაც ასევე სამყაროს ოთხი მხარის ასახვად შეიძლება მივიჩნიოთ³⁵. გარდა ამისა, ცეცხლის ტაძართა ცელაში ჯვრების გამოსახულებანი მიდიური პერიოდიდანაა ცნობილი, კერძოდ, ნუშ-ი-ჯან თეფედან. ეს ძეგლი, დ. სტრონახის აზრით, აკმაყოფილებს ცეცხლის კულტის ყველა მოთხოვნას³⁶.

რაც შეეხება გარსშემოსავლელს, ანუ ცელას ირგვლივ ცერემონიალური სვლებისათვის განკუთვნილ დერეფანს, იგი გვიანდელ ტაძრებში სშირად ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სათავსებადაა ქცეული, მაგრამ ამ მხრივ მათგან ციხიაგორის ტაძარი ცოტათი მაინც განსხვავდება, კერძოდ, გვერდითი ოთახებისა და ჩრდილოეთ სათაესის ერთმანეთისაგან სრული იზოლაციით. ამ ტაძარში თვალში საცემია პორტიკოსის უარყოფა და მისი შეცვლა ღია ცერემონიალური ეზოთი, ე.ი. გამოდის, რომ ცეცხლის ტაძრებისათვის დამახასიათებელ პრინციპულ ელემენტთაგან აქ სახეზე გვაქვს: 1. კვადრატული ცელა გვირგვინითა და საცეცხლე სადგარით, 2. გვერდითი ვიწრო ოთახები (გარსშემოსავლელის, ცერემონიალური სვლებისათვის განკუთვნილი სივრცის გადამუშავების შედეგი) და 3. ცელაში ანთებული ცეცხლის გარედან უხილველობის დაცვა.

გვერდით კამერებს, არ შეეცდები ალბათ, თუ შესაწირავთა დასასვენებელ ადგილებად წარმოვიდგენ. მათი სხვა ფუნქცია ძნელი საგარაუდოა. სრულიად აშკარაა, რომ ცერემონიალური სვლებისათვის აქ წინა ეზოა გათვალისწინებული. დაფიქსირდა რიყის ქვებით შემოსაზღვრული ცენტრალური არეც, რაც საკურთხევლის ირგვლივ თითქოსდა ბილიქს ქმნის. გეზის ეს გრაფიკი იმაზე მიანიშნებს, რომ ამითაც იზოლირებულია ცელა, თითქოსდა ცელაში არც შედის, მისი ხილვა გეზის მიხედვითაც შეუძლებელია – მას „საკურთხეველი“ ეფარება, მაგრამ ამავე დროს ეს ტაძარი, როგორც ჩანს, კარიბჭეცაა, ამას გარე კედლების ურთიერთმოპირდაპირე კართა ლიობები მიანიშნებს. შესაძლოა, ციხიაგორის ტაძრიდან გამოჰქონდათ კიდევ ცეცხლი მსხვერპლთშეწირვისა თუ რაიმე სხვა ცერემონიის დროს³⁷. წინა ეზოს SO კუთხეში, გ. ცქიტიშვილის აზრით, ალიზის კვადრატული პლატფორმა – სამსხვერპლო მოედანი იყო გამართული³⁸. მსგავსი მოედნები პართულ (ან სელევკიდურ) პერიოდში სწორედ საკულტო-ცერემონიალურ ეზოებშია დადასტურებული³⁹ და, შესაძლოა, ისინი მართლაც სამსხვერპლოს წარმოადგენდა.

კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო. შედარებითი ანალიზის საფუძველზე გ. გროკს აღნიშნული აქვს ძველი და თანამედროვე ცეცხლის ტაძრების გეგმათა მსგავსებანი⁴⁰. ამაში აბსოლუტურად ვრწმუნდებით ციხიაგორისა და თეჰრანის თანამედროვე ცეცხლის ტაძართა (ტაბ.XL4) გეგმების შედარებითაც. ესაა გეგმარებით სქემათა სრული იდენტურობა, რაც კიდევ ერთხელ გვისაბუთებს ხუროთმოძღვრულ ტრადიციათა ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანობას.

რთულია გარკვევა ტაძრის ჩრდილოეთი, გრძივი, ორსართულიანი ნაწილის ფუნქციისა. იგი პუბლიკაციებში პირობითად „სასახლედ“ იწოდება. ვფიქრობ, ტაძრის ამ ნაწილსაც საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდა, უფრო ზუსტად, მის პირველ სართულს. ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ ალიზით ნაგები სამი „ხარო“ იყო მოწყობილი, რომელთაგან ერთის ძირში ქერი აღმოჩნდა, ხოლო ორში პატარა ზომის ქვევრები იყო ჩადგმული⁴¹. ეს სიტუაცია – გრძივი კედლის გასწვრივ განლაგებული სარიტუალო მოწყობილობანი – ძალიან გვაგონებს თანამედროვე ცეცხლის ტაძრებში დადასტურებულ საიდუმლო რიტუალთათვის გრძივ სათავსებში გამართულსა და ჩვენი შემთხვევის ანალოგიურად ცელასაგან იზოლირებულ საკულტო სივრცეებს – „Dare Mehr“-ს⁴². რაც შეეხება მეორე სართულს, იგი შეიძლება ქურუშთა სამყოფლად მივიჩნიოთ. სხვა ადგილი

ქურუმთათვის არა ჩანს და მათი სამყოფელი ისედაც აქვეა საგარაუდო, რადგან ცელაში ანთებული ცეცხლი მუდმივად მათი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა⁴³.

მინდა კვლავ კაპიტელს დაეუბრუნდე. ცხადია, რომ სუზისა და პერსეპოლისის ხართა ორმაგპროტომიანი იმპოსტები ციხიაგორის კაპიტელისათვის წარმოადგენს მოდელს, მაგრამ მათთან შედარებით ჩვენი ნიმუში აშკარად შინაარსშეცვლილია. მასში აღარ შეიგრძნობა საწყისი მხატვრული სახე. მთლიანად გარდასახულია ხართა გამომეტყველებანი. ის იმ საიმპერიო ძლიერების გამოხატულება არაა, რასაც, ვთქვათ, ასახავს სუზის კაპიტელი როგორც სიმბოლოები აქემენიდთა უძლევლობისა. ციხიაგორის კაპიტელში ეს თემა აღარაა, მაგრამ დარჩა მხატვრული კანონი, წარმოიშვა შემდგომი ეტაპი საწყისი მოდელისა. ისეთი არქიტექტურული დეტალები, რომლებიც ეჭვგარეშე აქემენიდური სტილის გავლენითაა შექმნილი, გვიანდელ ძეგლებში საკმაო ხნის მანძილზე ცრცხლობს. ამის ნათელი დადასტურებაა ნაბატეველთა ტაძარი (ძვწ. I ს.) სეაში ორმაგპროტომიანი კაპიტელებითა და ზარისებური ბაზისებით⁴⁴, ე.ი. არქიტექტურული ფორმები, რომლებიც ირანისათვის განვლილი ეტაპია, სახეცვლილი მიანც აგრძელებს არსებობას მოგვიანებითაც და დიდ გეოგრაფიულ არეალზეც. დარწმუნებული ვარ, რომ ციხიაგორის კაპიტელიც გვიანდელი ტენდენციების მაჩვენებელია და მისი შექმნის თარიღი საგრძნობლად შორდება აქემენიდურ პერიოდს.

ტაძარს აღმოსავლეთიდან ედგმის მრავალსათავისიანი ნაგებობა (ტაბ. XXXVIII), რომელიც საესებით სამართლიანად თავიდანვე ბელად იქნა განსაზღვრული⁴⁵. მასში აღმოჩნდა დანახშირებული სორობლის ნაშთები და იგი თავისი სტრუქტურითაც სამეურნეო ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. გარდა ამისა, ბელელი, როგორც ზოროასტრული საკულტო კომპლექსის აუცილებელი ნაწილი, სწორედ ტაძრის სიახლოვესაა საგულეველი. ეს ნაგებობაც კრამიტით ყოფილა გადახურული, მაგრამ ტაძრისაგან განსხვავებით მისი კედლები ქვის ცოკოლის გარეშე მთლიანად ალიზითაა ნაგები⁴⁶. ამასთანავე, იგი უთუოდ გვიანდელი ქმნილებაა, მისი დასავლეთი კედელი უშუალოდ ედგმის ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს. კომპლექსის გეგმის ერთიანად გააზრებისა და ერთდროული მშენებლობისას, ვფიქრობ, შემუშავდებოდა მათი ურთიერთკავშირის სხვანაირი, უფრო დახვეწილი სქემა. ჩვენ ამ პერიოდის აღმოსავლურ სამეურნეო ნაგებობებს ცოტას ვიცნობთ, მით უმეტეს ისეთებს, რომლებიც უშუალოდ ტაძრის მეურნეობისთვის იყო განკუთვნილი. ციხიაგორის ბელელი ცენტრალური ბირთვითა და მის ორივე მხარეს ვიწრო სათავსებით შედგენილი ნაგებობაა. მსგავსი სქემებით განხორციელებულ ნაგებობებს ვხვდებით როგორც აქემენიდური პერიოდის კომპლექსებში⁴⁷, ასევე მოგვიანო ხანებშიც⁴⁸. სქემაში ვგულისხმობ სწორკუთხედის გრძივად, სამ ნაწილად დაყოფიდან გამომდინარე ბადეს. ციხიაგორის ბელლის სამხრეთი ფასადი შესაძლოა მხატვრულ ღირსებებს მოკლებული არც ყოფილიყო. მისი ცენტრალური, შედარებით ფართო კარი და გვერდითი ვიწრო ღიობები ნაგებობის შიდა ორგანიზაციის ფასადზე ასახვის ელემენტარული ცდაა (იხ. კომპლექსის რეკონსტრუქცია. ტაბ. XXXVIII).

სრულიად სხვაგვარ სქემასაა დამორჩილებული დასავლეთი ნაგებობა, რომელიც პუბლიკაციებში ტაძრის მსახურთა საცხოვრისადაა მიჩნეული⁴⁹. ზემოთაც აღვნიშნე, რომ ეს ნაგებობა მცირე ტაძარი მგონია. ესაა თითქმის კვადრატული ნაგებობა, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე კვადრატულ ოთახს უპყრია (ტაბ. XXXVIII), ე.ი. გვაქვს სქემა — „კვადრატი კვადრატის კუთხეში“, უადრესი პერიოდებიდან მოკიდებული ეს სქემა საფუძვლად უდევს სრულიად სხვადასხვა ფუნქციის მქონე ნაგებობებს (ტაბ. XLVI, 5) და მათ შორის ძალიან ხშირად ტაძრებსაც⁵⁰. ციხიაგორაზე ამ ნაგებობის საერთო ფართობი თითქმის მთავარი ტაძრის დარბაზის ტოლია. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ განსხვავებულ სქემათა მიუხედავად, იგი დიდი ტაძრის ზოგიერთ უჯრედს დამცრობილი სახით იმეორებს. დიდი ტაძრის ანალოგიურად კვადრატული დარბაზის (ცელა) წინა ფართობი ეზოს შთაბეჭდილებას ტოვებს. მის შუაგულში საკურთხეველია აღმართული და ფართობიც ქვებით მინიშნებული ბილიკებითაა დანაწევრებული (ტაბ. XLV). ეზოში, აღმოსავლეთ კედელთან ღუმელია

გამართული – შესაძლოა, ზოროასტრული რიტუალის ერთ-ერთი ატრიბუტის, საგანგებო კვერების საცხოობი. დარბაზისათვის სავარაუდოა ბანური გადახურვა. აქ კრამიტი არ დადასტურებულია. შესაძლოა, მცირე ტაძრის დარბაზიც გვირგვინით სრულდებოდა, რომლის საფუძველს კედლები შექმნიდა.

აღმოსავლეთის სატაძრო კომპლექსებში ჩვეულებრივი მოვლენაა ორი ან მეტი ტაძრის ერთიან საკულტო მოედნებზე განთავსება. ასეთი სურათი გვაქვს მაგ., მანსურ-თეფეში⁵¹, სურხ-კოტალში⁵², ნაბატეველთა ტაძრებში⁵³ და მრ. სხვ. ყველგან მცირე ტაძრები ორიენტაციით განსხვავდება მთავარი ტაძრებისაგან (აქ არ ვგულისხმობ ე.წ. შეწყვილებულ ტაძრებს, ერთ ნაგებობაში გაერთიანებულ ორ საკულტო სივრცეს, რომლებიც ორიენტაციითა და ცერემონიალურ სულათა მიმართულებით თანხვდება ერთმანეთს), ციხიგორის კომპლექსში კი ორივე ცელა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენაა მიმართული. ამ ორიენტაციის (S-N) დაცვას იბერიაში, წინარეპროისტორიულ ტაძრებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამას გარდა, ციხიგორის მცირე ტაძარშიც დაცულია ცელას გარედან უხილველობა. ტაძრის წინა ეზოში შესასვლელი კარი აქ მხოლოდ აღმოსავლეთიდან გვაქვს. ასე რომ, ეზოში მოხვედრამდე დარბაზის კარი გარედან არ ჩანს.

ჭირს მსჯელობა იმაზე, თუ ამ კომპლექსში სივრცის რა ერთეული აწესრიგებდა ცალკეულ დეტალთა მასშტაბებს. აქ გვაქვს მხოლოდ ერთი არქიტექტურული დეტალი (კაპიტელი), ისეთი, რომელმაც შესაძლოა მიგვანიშნოს მეტროლოგიურ ზღვარზე. ვარაუდის სახით შემოიძლია ვთქვა, რომ აქაც ვანში დადასტურებული წყრთა ფუნქციონირებდა (49,5 სმ).

კედლის სისქე – 1,50 მ

ცელა – 8×7,5 მ

ტაძრის ორსართულიანი ნაწილი – 18×35 მ

პირველი სართულის სიმაღლე – 3,5 მ

სართულშუა გადახურვის კოჭებს შორის მანძილი – 95 სმ და ა.შ.

ყველა ეს ზომა დაახლოებით ჯერადია 49,5 სმ-სა ≈50 სმ-ის და კაპიტელის ფუძეზე აღნიშნული სვეტის დიამეტრი (25 სმ) შესაძლოა 1/2 წყრთაა.

ტაძარ-კარიბჭის იერში, იმისდა მიუხედავად, რომ მისი გეგმარება და სამშენებლო საქმე მთლიანად აღმოსავლურ ნორმებზეა დაფუძნებული, ელინისტური მემკვიდრეობაც სრულიად აშკარაა, რაც ვლინდება ორქანობიანი კრამიტის სახურავით (იხ. რეკონსტრუქცია. ტაბ. XXXIX₂; XLV). აქაც იგივე სურათი ჩანს, რაც აღვწერე ვანის ნაქალაქარის ტაძარ-პროპილეუმში – კრამიტის ორკალ-თიანი სახურავისა და გუმბათის (ანუ გვირგვინის) ურთიერთმეთავსება. საქართველოში ასეთი რამ შეუძლებელია ელინისტურ პერიოდზე ადრე ვივარაუდოთ. ელინისტური ხანა საკმაოდ დიდი პერიო-დია, მაგრამ თარიღის უფრო მეტად დაკონკრეტებისათვის ამჯერად სხვა მონაცემებს არ ვფლობ.

დედოფლის მინდორი

ქარელის რ-ში, სოფ. არადეთიდან დასავლეთით 3-ოდე კმ-ის დაშორებით 1972-76 წწ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დედოფლის მინდორზე გამოავლი-ნა საკულტო კომპლექსი, რომელიც თავისი გრანდიოზული მასშტაბებით, შედგენილობით, ორგა-ნიზაციითა და მრავალი სხვა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნით სრულიად უნიკალური ძეგლია. დედოფლის მინდორის საკულტო კომპლექსზე მუშაობისას ვეყრდნობოდი ექსპედიციის ხელმძღვანელის ი. გაგოშიძის მრავალრიცხოვან პუბლიკაციას⁵⁴, სადაც დაწვრილებითი აღწერილო-ბის პარალელურად მოცემულია მოსაზრებანი ძეგლთან დაკავშირებული მრავალი საკითხის გარშემო.

ძეგლი მთლიანად წარმოადგენს ერთიან გეგმარებით სქემას დაქვემდებარებულ რთულ სისტემა-ორგანიზმს, სხვადასხვა ტიპის ნაგებობებისაგან შედგენილ კომპლექსს (ტაბ. XLVIII). იგი თითქმის ზუსტად ემთხვევა S-N ღერძს.

მთელი კომპლექსის მათგან განსხვავებული და გამაერთიანებელი ბირთვი ცენტრალური კვადრატული ეზოა (G) (ტაბ. XLVIII). მისი გვერდების ცენტრალური არეებიდან (ოთხივე მხრიდან) კვადრატულ ფართობში თანაბარ მანძილებზე იჭრება ტაძარ-პროპილემები და სამლოცველოები. სამხრეთიდან მას ედგმის მთავარი ტაძარ-პროპილემი (A), რომელიც პუბლიკაციებში მთავარ ტაძარადა დასახელებული⁵⁵. სამხრეთიდანვე, ოღონდ შიდა მხრიდან, G-ს კედელზე მიშენებულია A-სგან იზოლირებული ნაგებობა, მცირე სამლოცველო (B). G-ს დასავლეთითა და აღმოსავლეთით ერთმანეთის იდენტური ტაძარ-პროპილემებია გამართული (შესაბამისად, D₁ და D₂). ჩრდილოეთი მხრიდან G-ს ფართობში შემოჭრილია მცირე ტაძარი (C), რომლის ორივე მხარეს G-ს ჩრდილოეთი კედლის მოსაზღვრედ სამ-სამი სარიტუალო ეზოა განლაგებული (F), ხოლო მათგან ასევე ჩრდილოეთით და მათ პარალელურად – სექციურად დაგეგმარებული სამლოცველოები (E₁ და E₂). ყოველი მათგანი წინა, კვადრატული ეზოთია აღჭურვილი. A-ს დასავლეთითა და აღმოსავლეთით კვადრატული ეზოები იკითხება (H), ხოლო კომპლექსის SW და SO მხარეებზე ერთგვაროვანი, მცირე კვადრატული ნაგებობანი (K) დასავლეთითა და აღმოსავლეთით მიმართული საერთო წინა ეზოებით (L) ფორმირდება. მთავარი ტაძარ-პროპილემის (A) წინ გამოიყოფა ერთგვარი წინა ეზოც (J). კომპლექსის უკიდურეს ჩრდილოეთით დადასტურდა შიდა მხრიდან ტიხრებით აღჭურვილი კედელი-ზღუდარი (M), რომელიც E₁ და E₂-თა სივრცის მცირე ფართობებს საზღვრავს. აქ, ცენტრალურ არეში, როგორც ჩანს, კომპლექსის კედევ ერთი კარი იყო გამართული, რომლის გაგრძელებაა E₁ და E₂-თა შორის ცენტრალური დერეფნის მაგვარი ფართობი (N), რომელიც კვეთს E და F ნაგებობათა გამყოფ ვიწრო დერეფანს (O). C-ს უკანა ანუ ჩრდილოეთი მხარე (P) ღიაა და წარმოგვიდგება მცირე ფართობებად დატიხრულ ეზოდ.

კომპლექსი მთლიანად ალიზის აგურითაა ნაგები (50×50×12 სმ ან 50×25×12 სმ). ცოკოლს საშუალოდ 20 სმ სიმაღლის რიყის ქვის ფენილი წარმოადგენს⁵⁶. კედლების სისქეთათვის ძირითადად ორი ზომაა აღებული – 1,6 მ და 1,1 მ⁵⁷. გვხვდება 0,30 მ-იანი სისქეც, უმეტესად ტიხრებისათვის⁵⁸. კომპლექსის ყველა ნაგებობა, გარდა A-ს პორტიკოსისა და ცენტრალური სივრცისა, კრამიტით ყოფილა გადახურული. გვხვდება როგორც კრამიტები, ასევე კალიტერები და კეხის კრამიტებიც. ისინი, ი. ვაგოშიძის აზრით, მცხეთური კრამიტების მსგავსია და მათგან რამდენადმე დიდი ზომითა (სიგრძე 57 სმ) და ცალკეულ ელემენტთა ფორმით განირჩევა (მაგ., შევირღთა მოყვანილობით)⁵⁹.

როგორც ზემოთაღნიშნულ ალენიშნე, დედოფლის მიწის საკულტო კომპლექსი წარმოადგენს ერთიან, რთულ ორგანიზმს, ასახავს მთლიან რელიგიურ-ცერემონიალურ სისტემას. ამასთანავე, იგი დამორჩილებულია მკაცრი სიმეტრიის გეგმარებით სქემას, რაც ერთი შეხედვითაც საგრძნობს ხდის, რომ გეგმარების ამგვარი ხასიათი უპირველესად სწორედ რელიგიურმა წარმოდგენებმა განაპირობა. განვიხილოთ სათითაოდ ყველა ნაგებობა და შემდგომ მათი ერთიანობა.

მთავარი ტაძარ-პროპილემი (A)

ეს ნაგებობა მკვეთრად გამოირჩევა კომპლექსის სხვა ნაგებობათაგან მასშტაბურობითაც და ტიპოლოგიურადაც (ტაბ. XLIX_{1,2}). ძირითადი საკულტო-ხუროთმოძღვრული თემა აქ ცენტრალური, კვადრატული, ოთხსვეტიანი დარბაზია – ცელა (I), რომლის წინ სამხრეთიდან ასევე ოთხსვეტიანი ფართო პორტიკოსია (II) გამართული. პორტიკოსსა და ცელას სამი მხრიდან გარს უვლის ვიწრო დერეფნების სისტემა, რომელიც ორი განივი ტიხრით სამ დამოუკიდებელ სივრცედ ნაწილდება (III, IV, V). დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ტაძარს ემიჯნება ორი გრძივი ოთახი (VI, VII): სამხრეთის ოთახებს დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს წინა ეზოდან (J) და, ამასთანავე, ორ-ორი კარით უკავშირდება დერეფანს, ხოლო ერთით ჩრდილოეთით

მომიჯნავე ოთახს (VII). VII-სა და დერეფნებს შორის მხოლოდ სარკმლებია გაჭრილი, სამაგიეროდ, მათ კვადრატული (H) ეზოდან კარის საერთო ღიობები აქვს. VII და VI ოთახები, აგრეთვე დერეფნის III და IV მონაკვეთები სრულიად იზოლირებულია ცელასა და პორტიკოსისაგან და ეს ნიშანი ტაძარ-პროპილეუმს სხვა მრავალრიცხოვან, ანალოგიური დანიშნულების ნაგებობათაგან ერთგვარ განსხვავებულ იერს ანიჭებს. ცელა უკანა კარით უკავშირდება დერეფანს, ხოლო აქედან კარის ორი ღიობით ცენტრალურ (G) ეზოს. ცენტრალური ეზოს მიმართულებით ამ დერეფანში (V) ორი სარკმელია გაჭრილი კართა ანალოგიურად და სიმეტრიულად ცელას უკანა ღიობთან მიმართებაში.

პორტიკოსის, ცელასა და ირგვლივი დერეფნების კედლები 1,6 მ სისქისაა. ამავე ზომისაა ცელას ცენტრში აღმართული ალიზის აგურით ნაგები კვადრატული პლატფორმა – საკურთხევლის პედესტალი, ე.ი. კედლების სისქე და პედესტალის კვადრატიც აგურის ზომასაა დაქვემდებარებული და მათთვის აღებულია 3 აგურის ტოლი განზომილება⁶⁰, ჰორიზონტალურ ნაკერათთვის იგულისხმება მცირე, 10 სმ-იანი სხვაობა. VI და VII ოთახების კედლების სისქე 1,1 მ-ია ანუ 2 აგურის სისქისა⁶¹. კედლების სისქიდან გამომდინარე, VI და VII ოთახების სიმაღლე ტაძრის დანარჩენ სივრცესთან შედარებით დაბალი ივარაუდება. ცელასა და პორტიკოსის სიმაღლის განსაზღვრაში კედელთა სისქის (1,6 მ) გარდა მძლავრი ორმაგი სვეტებიც გვეხმარება და საესებით დასაშვებია, რომ იგი 10 მ-მდე წარმოიდგინოთ⁶². საინტერესო კონსტრუქციისაა სვეტები ცელასა და პორტიკოსში. თითოეული მათგანი წარმოადგენს შეწყვილებულსა და თიხით შელესილ ხის ბოძებს, რომლებიც ხისსავე ბაზისებს ეყრდნობოდა (ტაბ. XLIX). ხისსავე უნდა ყოფილიყო იმპოსტებიც. ქვის კაპიტელები აქ არ აღმოჩენილა⁶³ და სვეტთა ფორმიდან და კონსტრუქციიდან გამომდინარე არც იყო მოსალოდნელი. სვეტების კონსტრუქცია აქ პირდაპირ ძველამოსავლურ სამშენებლო ტრადიციაზე მიანიშნებს და ყოველგვარ ცვლილებათა გარეშე უძველეს ნიმუშთა გამეორებაა. ანალოგიური სვეტების კარგ ნიმუშებს ვიცნობთ ჰასანლუში სწორედ პორტიკოსებში (და მათ შორის ტაძრის პორტიკოსშიც)⁶⁴. გარდა ამისა, ჩვენთან კანონიკურია მათი დგომა, გრძივად მიმართვა. მოგვიანებით ნისას კვადრატულ ცეცხლის ტაძარში გვირგვინის საყრდენად აგურის ოთხი შეწყვილებული ბოძით წარმოდგენილი სვეტებიც⁶⁵, ვფიქრობ, ხის კონსტრუქციული თემატიკის გადამუშავებაა. VI და VII ოთახები, აგრეთვე დასავლეთისა და აღმოსავლეთის დერეფნები ერთქანობიანი კრამიტის საბურველით ყოფილა გადახურული. ამაზე აქ დადასტურებული ინტენსიური კრამიტყრილი მეტყველებდა, ხოლო პორტიკოსისა და ცელას სახურავი ბანური უნდა ყოფილიყო, რომელიც სვეტებზე დაყრდნობილი გვირგვინის მეშვეობით ღიობსაც შეიცავდა. ამაზე მიანიშნებს, ჯერ ერთი ის, რომ მთელ ამ ფართობზე კრამიტი არ ყოფილა მიკვლეული და, გარდა ამისა, ცელას ცენტრში, ე.ი. კვადრატულ ფართობში, რომელსაც სვეტები შემოწერს, დადასტურდა ურთიერთგადამკვეთი დანახშირებული ძელები – გვირგვინის კვალი⁶⁶. ამასთან, ცელას ცენტრში აღმართული ოთხი სვეტი თავისთავად ისედაც წარმოშობს აზრს, რომ ისინი ემსახურებოდა გვირგვინის გამართვას. ვფიქრობ, რომ ბანური გადახურვა გრძელდებოდა ჩრდილოეთ დერეფნის (V) იმ მონაკვეთზეც, რომელსაც ცელას მსაზღვრავი კედლების ნაშვერები გამოჰყოფს (იხ. რეკონსტრუქცია. ტაბ. L2,3). იმ დროისათვის, როცა დედოფლის მინდვრის კომპლექსი შენდებოდა, აღმოსავლური ხუროთმოძღვრება საკულტო და საზოგადოებრივ ნაგებობებში ცრუთალოვანი გუმბათებისა და კამარების გამართვის მრავალსაუკუნოვან მემკვიდრეობას ფლობდა. ცრუ თალები დადასტურდა ბრინჯაოს ხანის ბაქტრიულ ხუროთმოძღვრებაში (დაშლი 3)⁶⁷, ძვ.წ. VIII ს-ის მიდიურ ცეცხლის ტაძარში⁶⁸, გვირგვინი ივარაუდება სუზის „აიადანაშიც“ (ძვ.წ. IV ს.)⁶⁹ და სხვ. ელინისტურ ხანაშიც გვირგვინი საკულტო ნაგებობების⁷⁰ საკმაოდ პოპულარული ელემენტია, მაგრამ ამავე დროიდან მას უკვე თანდათანობით დევნის ტროპეკზე დაყრდნობილი გუმბათი⁷¹, რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ პართული არქიტექტურა ცდილობს პრინციპულად უარყოს აქემენიდური პერიოდის არქიტექტონიკა⁷².

მთავარი ტაძარ-პროპილეუმი ი. გაგოშიძემ თავიდანვე ცეცხლის ტაძრად მიიჩნია⁷³. აქ თავმოყრილია ცეცხლის ტაძრებისათვის დამახასიათებელი ყველა პრინციპული ელემენტი: პორტიკოსი, ოთხსვეტიანი კვადრატული ცელა საკურთხეველთურთ⁷⁴, სვეტებს დაყრდნობილი გვირგვინი, რომელიც უეჭველად ერდოსაც შეიცავდა და გვიანდელი „გარსშემოსავლელის“ ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც ჩვენი ძეგლის ანალოგიურად ზოგიერთ ცეცხლის ტაძარში იცვლის თავის თავდაპირველ ფუნქციას (ცელას ირგვლივ ცერემონიალური სფერებისათვის განკუთვნილი სივრცე) და გრძივ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ რამდენიმე სათავსად იქცევა. განსაკუთრებით აღსანიშნავი კი ცელას ცენტრს საგანგებოდ აცილებული ღიობია – ადრეული ცეცხლის ტაძრების ძირეული მოთხოვნა, რომლის მიზანი ისაა, რომ გარეთმოყოფთა თვალთახედვის არეში არ მოხვდეს წმინდა ცეცხლი⁷⁵. ჩვენ წინაშეა ცეცხლის ტაძრის ერთ-ერთი სრულყოფილი ნიმუში, რომელიც ადრეული ზოროასტრული ტაძრების ანალოგიურად ცეცხლის კულტის ყველა ძირითად მოთხოვნას ასორციელებს, იმისდა მიუხედავად, რომ აქემენიდურ ნიმუშებს – სუზის „აიადანას“ (ძეგლი, რომელიც საწყის, სრულყოფილ მოდელად ითვლება შემდგომი პერიოდების ცეცხლის ტაძრებისათვის) სამი საუკუნითაა დაშორებული. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტაძარ-პროპილეუმი კარიბჭის ფუნქციასაც ასრულებს და ამის გამო ცალკეული ელემენტების გადაწყვეტით რამდენადმე განსხვავდება როგორც პროტოტიპისაგან, ასევე მომდევნო პერიოდების პართული ტაძრებისაგან. ეს განსხვავება ძირითადად ცელას უკანა კართ გამოიხატება, რაც განაპირობა ამ ნაგებობის მეორე ფუნქციამ – პროპილეუმმა⁷⁶.

მინდა ამ ნაგებობის კიდევ ერთი თავისებურება აღვნიშნო. ესაა გარსშემოსავლელი, რომელიც აქ სამ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ დერეფანდაა ქცეული. აღმოსავლური ტაძრების ირგვლივი, ვიწრო სივრცეების მიხედვით გამოიყოფა სულ ორი ძირითადი ჯგუფი⁷⁷: 1. ტაძრები, რომელთა ცელას სამი მხრიდან უწყვეტი გარსშემოსავლელი უვლის (სუზა, კუხ-ი ხოჯა, მანსურ-თეფე (ტაბ. XXXIII₁; XXXIV₁), ტერმეზის კლდისზედა ტაძარი, ხატრა (ტაბ. XXXV₅), ნაბატეველთა ტაძრები (ტაბ. XXXIV₃₋₅) და სხვ.); 2. ტაძრები, სადაც გარსშემოსავლელები დატირულია და ცალკეულ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სივრცეებს წარმოადგენს (პერსეპოლისი, საქსონოხური (ტაბ. XXXIII₂, XXXV₄), ბარდ-ე-ნეშანდე (ტაბ. XXXIII₄), ტახტ-ი სანგინი, დედოფლის მინდორი და სხვ.). მეორე ჯგუფში პიჩიკიანი ორ ქვეტიპს გამოიყოფს⁷⁸: 1. ტაძრები, რომელთა დარბაზები გარშემორტყმულია I-ს მაგვარი „ორმუხლიანი“ დერეფნითა და გვერდითი გრძივი ოთახით (ტახტ-ი სანგინი, პერსეპოლისი) და 2. ტაძრები, რომლებიც გვერდით, ვიწრო ოთახებს ცელას ორივე მხრიდან შეიცავს (მაგ., ბარდ-ე ნეშანდე, საქსონოხური და სხვ.). ამ მხრივ დედოფლის მინდორის მთავარი ტაძარ-პროპილეუმი არც ერთ ჯგუფს არ განეკუთვნება. კორიდორთა მსგავსი სისტემა, სადაც გვერდით, ვიწრო ოთახებთან ერთად II-ს მაგვარი დერეფანი გამოიყოფა, სრულიად უცხოა სხვა აღმოსავლური ტაძრებისათვის. ვფიქრობ, ეს ცვლილებაც ტაძრისა და პროპილეუმის ფუნქციათა ურთიერთშეთავსებამ განაპირობა.

იმ მრავალრიცხოვან ნაგებობათაგან, სადაც დედოფლის მინდორის ტაძარ-პროპილეუმისათვის დამახასიათებელი გეგმარებითი სქემა შეინიშნება, თვალსაჩინო ურთიერთმსგავსების გამო შესაძლებლად შეიძლება უფრო ადრეული ძეგლები გამოდგეს⁷⁹. ასეთებია სუზის „აიადანა“, აქემენიდური ცეცხლის ტაძარი⁸⁰ და პერსეპოლისის „ტრიპილონი“ (ტაბ. XXXVI) – საზოგადოებრივი ნაგებობა, შუალედური კარიბჭე, საიდანაც ადვილად შეიძლება მოხვედრა ნებისმიერ ტერასაზე⁸¹. თვით ამ ნაგებობათა ურთიერთშედარება იმაში გვარწმუნებს, რომ ნაგებობის ერთი და იგივე სქემა წარმატებით შეიძლება ფუნქციონირებდეს ტაძრადაც და საზოგადოებრივ ნაგებობადაც⁸². თუ ამ ორი ნაგებობის გეგმას ურთიერთს შევუდარებთ, მაშინ მივიღებთ სწორედ დედოფლის მინდორის იდენტურ ნაგებობას, რომელიც ერთდროულად კარიბჭეცაა და ტაძარიც. რაც შეეხება ამ ნაგებობათა ძირითად ბირთვის – ოთხსვეტიან კვადრატულ სივრცეს, რომელიც აუცილებელი ატრიბუტია ცეცხლის ტაძრებისათვის, მისი სიმბოლიკა, როგორც ჩანს, კარიბჭის ფუნქციასაც

შესაბამება, რაშიც ასევე პერსეპოლისის მთავარი კარიბჭე (ქსერქსეს კარიბჭე – „Ворота всех стран“) გვარწმუნებს, – ცალკე მდგომი ოთხსვეტა კვადრატული სივრცე, რომელსაც ხშირად ტაძარსაც უწოდებენ⁸³ (ტაბ.XXXVI. მასში ცეცხლის საკურთხეველიც იყო აღმართული)⁸⁴.

ორიოდე სიტყვით მსურს შევეხო პორტიკოსის თემასაც, როგორც უჩვეულოს ცეცხლის ტაძრებისათვის. მხედველობაში მაქვს პორტიკოსის ოთხსვეტიანი სისტემა, რომელიც იმეორებს ძირითადი დარბაზის სვეტთა განლაგებას⁸⁵. უნდა აღინიშნოს, რომ ოთხსვეტიანი პორტიკოსებიც სწორედ პროპილეუმებს ახასიათებს. მაგალითისათვის გამოდგება აი-ხანუმის პროპილეუმის პირველი სამშენებლო პერიოდის გეგმა (ტაბ.XXXVI), რომელიც მეორე სამშენებლო პერიოდისაგან განსხვავებით ძველ აღმოსავლურ ნაგებობათა ანალოგიურია და ბერძნულ-ელინისტური მოდელის მიხედვითაა გადაშუშავებული⁸⁶.

ტაძრის სიახლოვეს ფრიად საყურადღებო აღმოჩენას ჰქონდა ადგილი. ნაპოვნი იქნა ქვის ჭურჭელი, მცენარეთაგან სითხის გამოსადენი ქვიჯა თავისი სანაყით (სანაყი დერეფნის (V) ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა). ი. გაგომიძემ ფრთხილად გამოთქვა ვარაუდი, რომ ჭურჭელი შესაძლოა ხაომის დასამზადებლად იყო განკუთვნილი⁸⁷, სითხისა, რომელიც ყოველთვის მონაწილეობდა ზოროასტრულ რიტუალებში და თვით წარმოადგენდა ერთ-ერთ კულტს ამ ღვთისმსახურების სისტემაში⁸⁸. ქვიჯა რომ სითხის დასამზადებლადაა განკუთვნილი, ამაზე მის ზედაპირზე ამოკვეთილი სადინარი მეტყველებს⁸⁹. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი, ანუ ისეთი ჭურჭლის აღმოჩენა, რომლებიც უყოყმანოდ სითხისთვის არის განკუთვნილი, იშვიათობაა. ერთ-ერთი ასეთი ჭურჭელი, კარგად გამოკვეთილი ჰორიზონტალური სადინარით, ცნობილია მარლიკის სამაროენიდან⁹⁰, ხოლო დედოფლის მინდვრის ანალოგიურ სადინარიან ქვის ჭურჭელს ბაქტრიიდან, აქემენიდური პერიოდის დასასრულებიდან ვიცნობთ (ქირმან-თეფე)⁹¹.

სამხრეთის სამლოცველო (B)

ესაა მცირე ზომის ორსვეტიანი, აივნისმაგვარი სამლოცველო-ნიშა(?). იგი ღიობით ეზოს ცენტრისაკენ მიმართული, დიდი კვადრატული ეზოს (G) სამხრეთ კედელს ზუსტად ცენტრალურ არეში ედგმის (ტაბ.XLVIII; XLIX,2). ამავე დროს ზურგით იგი მთავარი ტაძარ-პროპილეუმის ჩრდილოეთ კედელსაც ებჯინება და ერთი შეხედვით მის გაგრძელებას წააგავს. ამიტომ ი. გაგომიძემ იგი ტაძარ-პროპილეუმის ერთ-ერთ ელემენტად, კერძოდ, ოპისტოდომოსის მსგავს სივრცე-დაც მიიჩნია⁹², თუმცა შემდგომ პუბლიკაციაში თითქოს ცალკე ნაგებობადაც გამოყოფს⁹³. ამ ნაგებობას ტაძარ-პროპილეუმთან არაფერი აქვს საერთო, იგი მისგან სრულიად დამოუკიდებელი სივრცეა და განეკუთვნება უშუალოდ ცენტრალური ეზოს ცერემონიალურ სისტემას. კედლები აქ 1,10 სმ სისქისაა და მისი სიმაღლეც რეკონსტრუქციისას მთავარი ტაძარ-პროპილეუმის VI და VII სათავსთა ანალოგიურად. 6 მ სიმაღლისა უნდა წარმოვიდგინოთ. ამ სიმაღლეზე მიანიშნებს სვეტებიც. კაპიტელთა ფუძის დიამეტრი 40 სმ-ია, ხოლო სვეტთა ქვედა დიამეტრი დაახლოებით 60 სმ ჩანს⁹⁴. არ გვაქვს არავითარი მონაცემი, რომ იგი კრამიტით იყო გადახურული. მისი სქემა სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ტაძარ-პროპილეუმის ცენტრალური არის მსგავსად აქაც ბრტყელი გადახურვა იყო გამოყენებული.

დედოფლის მინდვრის კომპლექსის მშენებელთა მიერ ცალკე მდგომი აივნისმაგვარი ნაგებობის დამოუკიდებელ სამლოცველოდ გააზრება შესაძლოა აღმოსავლური ხუროთმოძღვრული იდეის დასესხებაა. ვგულისხმობ ტაძარ-აივნებს ხატრადან⁹⁵, სადაც აივნები დამოუკიდებელ, საკულტო-ცერემონიალურ სივრცეებს წარმოადგენს. ამაში არ უნდა დაგვაეჭვოს კონსტრუქციულსა და დეკორატიულ ფორმათა შორის დიდმა განსხვავებამ (მხედველობაში მაქვს აივნების კამარული გადახურვა), რაც მხოლოდ სხვადასხვა ტექნიკური შესაძლებლობებით აიხსნება.

მცირე ტაძარი (C)

ეს ტაძარი (ტაბ.XLVIII; LII) ცენტრალური ეზოს ჩრდილოეთი კედლის ცენტრში გამართული ზუსტად სამხრეთ სამლოცველოს საპირისპიროდ. ი. გაგოშიძემ ამ ტაძრის გეგმა მცირე გადახვევებით მთავარ ტაძარ-პროპილეუმის ანალოგიურად მიიჩნია⁹⁶. მაგრამ, ვფიქრობ, აქ ტაძრის განსხვავებულ ტიპთან გვაქვს საქმე, კერძოდ იმ ტიპთან, რომელიც ცინიაგორის მცირე ტაძართან კავშირში აღვნიშნეთ. ანუ კვადრატული სივრცე, რომელსაც დერეფნები მხოლოდ ორ გვერდზე გასდევს, ე.ი. კვადრატი კვადრატის კუთხეში. ეს გეგმარებითი სქემა დერეფნების სხვადასხვა ვარიაციით უძველესი ხანიდან ხანგრძლივი დროის მანძილზე სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობით ფუნქციონირებს: ტაძრები ჩოგა-ზამბილში – ძვ.წ.XII ს. (ტაბ.XLVI), საცხოვრისი არაგაცში – ძვ.წ.VII ს. (ტაბ.XLVI), სამეურნეო ნაგებობანი პერსეპოლისში – ძვ.წ.V ს. (ტაბ.XLVI₂), ადმინისტრაციული შენობა აი-ხანუმში – ძვ.წ.III-III სს. (ტაბ.XLVI₄), სამარხი ნაგებობა ხატრაში – ახ.წ.I ს. (ტაბ.XLVI₃) და მრ. სხვ. მართალია, დედოფლის მინდვრის მცირე ტაძარში ეს ძირეული აღმოსავლური სქემა ოდნავ სახეცვლილია პორტიკოსით, მაგრამ პრინციპულად იგივე სქემაა, რაც ჩამოთვლილ ნაგებობებს ახასიათებს. ცელას ცენტრში ერთი სვეტი იყო აღმართული, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ალიზის კვადრატული პლატფორმა – საკურთხეველი. მისი სისქე ალიზის კედლების ზომისაა (1,1 მ). ამ ნაგებობისათვის ი. გაგოშიძემ ორქანობიანი კრამიტის სასურავი ივარაუდა⁹⁷, რაც საესეებით მისაღებია, რადგან სვეტთა და მზიდ კედელთა ურთიერთ-დამოკიდებულება გადახურვის მხოლოდ ამ სახეობაზე მიანიშნებს. კრამიტყრილში კეხის კრამიტებიც იქნა მიკვლეული. ძირეული აღმოსავლური სქემის მიუხედავად, გრძივი გეგმარება (რაც მას პორტიკოსმა შესძინა) და ორქანობიანი კრამიტის სასურავი მას ელინისტურ იერს ანიჭებს. გარდა ამისა, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ზოგიერთ იმ ელინისტურ სამლოცველოთა დაგეგმარება, სადაც ტაძრები პორტიკოსებით პერისტილური ეზოს სიღრმეში იჭრება. ასეთი სურათი გვაქვს მეგალოპოლისის აგორაზე ზევსის სამლოცველოებში⁹⁸. აქ ტაძრისა და ეზოს დამოკიდებულება ისეთივეა, როგორც ჩვენს შემთხვევაში. შესაძლოა ასეთი ურთიერთკავშირი (ტაძრის პორტიკოსის ეზოს სიღრმეში შეჭრა) ჩვენთან სრულიად სხვა რელიგიური წარმოდგენებითაა განპირობებული, მაგრამ კომპოზიციური მსგავსება მასსა და ელინისტურ სამლოცველოებს შორის სრულიად აშკარაა. აქ მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ და სრულებით არ ვამტკიცებ გეგმარებითი იდეის დასესხების უცვლლობას, თუმც არც ეს მგონია გამორიცხული.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ტაძარ-პროპილეუმები (D, D_{II})

ეს ნაგებობანი (ტაბ.XLVIII; LII) განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს: ჯერ ერთი, გეგმით სრულიად განსხვავდება ამ კომპლექსის ყველა დანარჩენი ნაგებობისაგან (თუ სხვა ნაგებობებში მაინც შეინიშნება გეგმათა ურთიერთმსგავსება ძირითადად კვადრატული ცელათი და ირგვლივი დერეფნებით, აქ მსგავსი არაფერი გვაქვს); გარდა ამისა, ჩვენ წინაშეა ნაგებობის უძველესი სახე, რომელიც აქ თითქმის ყოველგვარი დანამატის გარეშეა ნასესხები, თუმც მახვილგონივრულადაა შეგუებული ტაძარ-პროპილეუმის ფუნქციას. მათი გეგმარება ერთმანეთის მიმართ აბსოლუტურად სარკისებურია. ისინი სულ ხუთი უჯრედისაგან შედგება: გარე მხრიდან გამართულია ფართო, ოთხსვეტა პორტიკოსი-პრონაოსი (I). აღსანიშნავია, რომ პორტიკოსი აქაც მთავარი ტაძარ-პროპილეუმისა და აი-ხანუმის პროპილეუმთა ანალოგიურად ოთხსვეტანია. სწორკუთხა, ზედაკადას გაჭიმული ცელა (II) ფლანკირებულია ჩრდილოეთისა და სამხრეთის (III და IV) ვიწრო დერეფნის მაგვარი ოთახებით. აქედან ერთი ნამდვილად დერეფანია – პრონაოსისა და ცელას ურთიერთდამაკავშირებელი რგოლი, ე.ი. ცელას ვუკავშირდებით არა უშუალოდ პრონაოსით,

არამედ გვერდითი ოთახის მეშვეობით. ცელასა და პრონაოსის გამყოფი კედელი დამთხვეულია კვადრატული ეზოს ზღუდეებს. ასე რომ, ცელა გვერდითი კამერებითურთ მთლიანად იჭრება ეზოს სიღრმეში. სამხრეთიდან მათ ედგმის კიდევ ერთი ვიწრო კამერა (V), რომლის ფუნქციაზე გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია. სამხრეთი სამლოცველოსა და მცირე ტაძრის ანალოგიურად ეს ნაგებობანი ერთმანეთის საპირისპიროდ არის გამართული და ეზოს სიღრმეშიც იმავე მანძილით იჭრება, რა მანძილითაც ზემოთ განხილული ნაგებობანი. ეზოს ცენტრისაკენ მიმართულ ცელათა ღიობები ორ-ორი სვეტითაა გამართული.

ნაგებობათა ეს ტიპი, რომელსაც პირობითად „განივ-ღერძული“⁹⁹ ეწოდება, უძველესია და მკვლევარნი მისი გენეზისის ძიებისას უპირველესად ეგვიპტურ სასიმაგრო კარიბჭეებს განიხილავენ როგორც მათ დასაბამსა და საწყის მოდელს¹⁰⁰.

კარიბჭეთათვის ამავე სქემას წარმატებით იყენებდნენ ხეთებიც¹⁰¹. პრინციპულად ეს იგივე სქემაა, რაც ბიტ-ჰილანებს ახასიათებს (ტაბ.XLVII₂)¹⁰², მაგრამ ჩოგა-ზამბილში მას უკვე ვხვდებით სავსებით ჩამოყალიბებულს როგორც ტაძარს. (ტაბ.XLVII₁, ჩრდილო-აღმოსავლეთის ტაძარი)¹⁰³. ეს სქემა მოგვიანებითაც დიდი პოპულარობით სარგებლობს სწორედ ტაძრებისათვის და, ამასთანავე, დიდ გეოგრაფიულ არეალზე, ცხადია, სხვადასხვა ვარიაციებითა და დანამატებით, მაგრამ არა არსებითი სხვაობებით. ვფიქრობ, იგივე სქემა უდევს საფუძვლად დილბურჯინის ტაძარს (ტაბ.XLVII₄, პირველი სამშენებლო პერიოდი – ძვ.წ. III ს.)¹⁰⁴, აი-ხანუმას ტაძარი კი უთუოდ ზუსტი ასახვაა ამ სქემისა (ტაბ.XLVII₆)¹⁰⁵ ისევე, როგორც დურა-ევროპოსის არტემიდეს ტაძარი (ტაბ.XLVII₅)¹⁰⁶. ამავე სქემას ემორჩილება ტაქმასილას ბუდისტური სამლოცველოც (ტაბ.XLVII₃, ძვ.წ. I ს.)¹⁰⁷. რაც შეეხება დედოფლის მინდვრის ტაძარ-პროპილეუმის სამხრეთ დანამატებს, უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი მასებიდან მსგავსი გამოზიდულობანი სწორედ ადრეულ ძეგლებზე დასტურდება (ჩოგა-ზამბილი, ბიტ-ჰილანი შამალში და სხვ.). ვთვლი, რომ ამ ნაგებობებით დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსში მიზნის წარმატებულ გადაწყვეტასთან გვაქვს საქმე. აქ სახეზეა მთავარ ტაძარ-პროპილეუმისაგან განსხვავებული სქემა და ისეთიც, რომელიც ერთნაირი წარმატებით გამოიყენება ტაძრადაც და პროპილეუმადაც. ეს კი უთუოდ არის საუკეთესო გამოსავალი იმისათვის, რომ არ განმეორდეს სქემები და არ შემცირდეს მთავარი ტაძრის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ეს ნაგებობანი კრამიტით იყო გადახურული. კუბი, ვფიქრობ, ცენტრალური ეზოს მსზღუდავ კედლებს იყო დამთხვეული და ქანობებიც ერთი ნაგებობის ორ განსხვავებულ ფუნქციურ უჯრედს (პრონაოსი და ცელა) ერთმანეთისაგან მიჯნავდა (იხ. რეკონსტრუქცია: ტაბ.L; LI). არ გამოვირცხავ, რომ ნაგებობის ცენტრალური ეზოს კუთვნილ ნაწილზე პრონაოსი რამდენადმე მაღალი იყო, რაზედაც თითქოსდა მიანიშნებს აქ აღმოჩენილ კაპიტელთა ფუძის უფრო დიდი დიამეტრი ცელაში აღმოჩენილ კაპიტელებთან შედარებით (40 სმ), თუმც კედლების სისქე აქ ყველგან 1,1 მ-ია.

ცენტრალური კვადრატული ეზო (G)

მთელი ამ საკულტო კომპლექსის დომინანტი და ამავე დროს მთავარი საკულტო-სუროთ-მოძღვრული თემა ცენტრალური კვადრატული ეზოა (ტაბ.XLVIII; L). ოთხივე მხარის ცენტრში გამართული ტაძარ-პროპილეუმებით აღჭურვილი ეს კვადრატი უთუოდ გარკვეული წარმოდგენების ასახვაა, რასაც ალბათ თვით კვადრატის სიმბოლური მნიშვნელობა ეღო საფუძვლად და რითაც იგი გაიგივებული იყო ცასთან ან სამყაროს ოთხ წყაროსთან. ძველ არიულ წარმოდგენებში¹⁰⁸ კვადრატი განიხილებოდა აგრეთვე როგორც ზოგადად წესრიგის არქეტიპი და მოდელი¹⁰⁹. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ამ მიმართულებათა ხაზგასმა სამლოცველოთა განსხვავებული სახეებით, დასავლეთ და აღმოსავლეთ ტაძარ-პროპილეუმებისა და ჩრდილოეთ პორტიკოსისა და სამხრეთ სამლოცველოს იდენტურობა. მხარეთა მიმართულებებისადმი მათი აბსოლუტური დამთხვევა ასევე

აძლიერებს შთაბეჭდილებას, რომ იგი მთლიანად კოსმოგონიური წარმოდგენების ასახვაა, რაც უთუოდ რომელიმე ლეგენდასთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, ვფიქრობ, სიმბოლო-ორნამენტითაც დაკონკრეტებულია მისი აზრი (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ტაძარ-სამლოცველოებით გარშემორტყმული ეზო თავადაა მთავარი ღია ტაძარი, ე.ი. აქ გვაქვს საგანგებო არქიტექტურულ-გეგმარებით წესრიგს დამორჩილებული კომპლექსი, სადაც ძირითადი საკულტო ბირთვის მნიშვნელობიდან გამომდინარე ყოველი ნაგებობის ფუნქცია მკაცრადაა განსაზღვრული. მინდა აღვნიშნო თვით ეზოს გარედან უხილველობაც მრავალი სხვადასხვა წინალობით (მთავარი ტაძარ-პროპილევძის ღერეფების სისტემით სამხრეთიდან, მცირე ტაძრის უკანა დატიხრული ეზოთი ჩრდილოეთიდან, პრონაოსისა და ცელას ურთიერთდამაკავშირებელი ღერეფებით დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან). ცხადია, სწორედ ეს კვადრატია ძირითადი საკულტო რიტუალისათვის განკუთვნილი ადგილი, რომლის რეკონსტრუქციისათვის, სამწუხაროდ, არავითარი მონაცემი არ გავყავართ. მინდა ანალოგად სელევკის ძვ.წ. I - ახ.წ. I სს-ით დათარიღებული ღია ტაძარი მოვიხმო (ტაბ. XLVII), სადაც ძირითადი საკულტო-ცერემონიალური ბირთვი სწორედ ღია კვადრატული ეზოა და დედოფლის მინდვრის ცენტრალური ეზოს იდენტურად, კვლავ გარედან უხილველობის მიზნით, შესასვლელი მასში მრავალგვარი წინალობითაა გართულებული. ასეთი რამ აქაც ძველ ირანულ ტრადიციადაა მიჩნეული¹⁰.

სექციური სახლები (E_I, E_{II})

სახლები (ტაბ. XLVIII; LII) განლაგებულია კომპლექსის ჩრდილოეთით. დასავლეთითა და აღმოსავლეთით ორ სექციად განლაგებული, ისინი ერთმანეთის სარკისებური ანარეკლია. თითო სექცია სამი სახლისაგან შედგება, ხოლო თითოეული სახლის სექცია წარმოადგენს ტიპს, რომელიც ჩრდილოეთ ტაძართან დაკავშირებით მოვიხსენიეთ: „კვადრატი კვადრატის კუთხეში“, ოღონდ ჩრდილოეთ ტაძრისაგან რამდენადმე განსხვავებული კომპოზიციით წარმოდგენილი. აქაც კვადრატული ოთახის ცენტრში სვეტია აღმართული. ორსვეტიანია პორტიკოსიც. პორტიკოსის მეშვეობით მისი გეგმა რამდენადმე წაგრძელებულია. ყველა ეს ნაგებობა კრამიტით იყო გადახურული და სახურავიც ორქანობიანი ივარაუდება. ყველა სახლს წინ ღია კვადრატული ეზო აქვს. სექციური ნაგებობანი აქემენიდურ ხუროთმოძღვრებაში საკმაოდ პოპულარული ჩანს. მას ვიცნობთ პერსეპოლისიდან (სამეურნეო ნაგებობანი ტაბ. XLVI₂)¹¹ და სუზადან (აპარტამენტები)¹². კიდევ უფრო ადრე სექციური ნაგებობანი გავრცელებული იყო ურარტულ ქალაქებში და სიმაგრეებზე¹³, მაგრამ განსაკუთრებულ სიახლოვეს ჩვენი ნიმუში კვლავ ადრეულ ძეგლთან ამჟღავნებს. ასეთად ჩოგაზამბილის სამი ნაგებობისაგან შედგენილი სექცია გვესახება კვადრატული ტაძრებითა (თუმც არაკვადრატული ცელათი) და წინა კვადრატული ეზოებით (ტაბ. XLVI₁)¹⁴. ამ ნაგებობათა კომპოზიციის თითქმის ზუსტი ასლია ჩვენი სექციური ნაგებობანი. ტიპოლოგიურად უფრო ახლო პარალელი ამ კომპლექსისათვის არ მეგულება.

აღმოსავლური ტრადიციებისადმი ერთგულებას ამ კომპლექსის მთლიანი კონსტრუქციული სტრუქტურაც ავლენს¹⁵. ერთადერთ გამონაკლისად კრამიტით გადახურული ორქანობიანი სახურავები ჩანს, რომლებიც, როგორც აღნიშნული იყო, ელინიზირებულ იერს სძენს ნაგებობას. აქ გამოყენებული ალიზის აგურის ზომა ერთ-ერთი პოპულარული სტანდარტია ძველ აღმოსავლეთში (50×50×14 სმ). ამ ზომის აგურებს ჯერ კიდევ ადრეხეტურ პერიოდში იყენებდნენ ბოლახ-ყოში¹⁶, გავრცელებული ჩანს იგი აქემენიდურ ნაგებობებშიც¹⁷ და ბაქტრიის ტერიტორიაზეც ძირითად სასიმაგრო ზოლებში¹⁸. იგივე ზომის აგურები დადასტურდა ტახტი-სანგინის ცეცხლის ტაძარშიც¹⁹, მაგრამ გვიანელინისტურ ხანაში ამ ზომის კვადრატული აგური მთელ აღმოსავლეთში ფრიად იშვიათი მოვლენაა. ამ პერიოდში თითქმის ყველანაირად მცირდება მისი ზომა და უმეტეს

შემთხვევაში არ სცილდება 40 სმ-ს¹²⁰. ამ მხრივაც ეს კომპლექსი არ ღალატობს არქაულობას.

წინა თავში აღწერილი იყო მთავარი ტაძარ-პროპილემის სვეტები როგორც აღმოსავლური ხის კონსტრუქციის გამეორება. საგანგებოდ მინდა შევჩერდე სხვა ნაგებობათა სვეტებზე – ყველგან ისინი ერთმანეთის იდენტურია, ხის სვეტები, რომლებიც ხისსავე ბაზისებს ეყრდნობა, გვირგვინდება ქვის ლოტოსისებური კაპიტელებით (ტაბ. LIII; LIV). სვეტის შემადგენელი ელემენტების ასეთი კომბინაცია საკმაოდ იშვიათია. ცნობილია ხის სვეტები აღმოსავლეთში და საკმაოდ მრავლადაც¹²¹, ასევე ხის ბაზისებიც¹²², მაგრამ ქვის კაპიტელებით დაგვირგვინებული ხის სვეტები ხისსავე ბაზისებზე იშვიათია. მთავარი ისაა, რომ ქვის კაპიტელების ხის სვეტებზე აღმართვის წესი პოპულარულია აღმოსავლეთში და აქ ხის ბაზისი, ვფიქრობ, არსებით განმასხვავებელ ნიშნად არ გვევლინება და სვეტის მდგრადობისთვის ისიც საკმაო გარანტიას იძლევა.

საგანგებოდ უნდა შევჩერდე კაპიტელის ფორმასა და კონსტრუქციულ ნიუანსებზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დაწვრილებით მაქვს აღწერილი როგორც ე.წ. ლოტოსისებური კაპიტელეები¹²³ – ძირეული ეგვიპტური სუროთმოდღვრული მოტივი¹²⁴, რომელიც სხვადასხვაგვარი ფორმით საკმაოდ ვრცელდება ელინისტური ხანიდან მცირე აზიაში; ცნობილია ინდური ლოტოსისებური კაპიტელებიც¹²⁵. ერთ-ერთ ნაშრომში ი. პიჩიკიანმა დედოფლის მინდვრის კაპიტელები ბაზისებად მიიჩნია, აქემენიდური არქიტექტურისათვის დამახასიათებელ ზარისებური ბაზისების მსგავს ფორმებად¹²⁶. ისინი ერთმანეთს ნამდვილად ჰგავს, თუ კაპიტელებს გადმობრუნებულად წარმოვიდგინებთ და ბაზისისათვისაც ამ დეტალზე ყველა ელემენტი სახეზე იქნება: 1. ცოკოლი, 2. ზარისებური ტანი (ლოტოსის ფურცლებით შემკული), 3. ლილვი. ასევეა კაპიტელის შემთხვევაშიც – 1. მოჩუქურთმებული არშია, რომელიც ბაზისად მიჩნევისაც ცოკოლი უნდა იყოს, 2. ლოტოსის გაშლილი ყვავილი (ბაზისის შემთხვევაში – ზარისებური ტანი) და 3. ლილვი, რომელიც ლოტოსისებურ კაპიტელებში განიხილება როგორც ყვავილის გვირგვინის წარმომშობი ძირი¹²⁷. მიუხედავად ასეთი სურათისა, ვფიქრობ, ბაზისის სასარგებლოდ არაფერი მეტყველებს. ჯერ ერთი, ცოკოლს არავინ მოაჩუქურთმებდა. სადა ცოკოლი ზარისებურ ბაზისებში იმ მიზანს ემსახურება, რომ არ გაცვდეს ტანის ორნამენტი. ძნელი დასაჯერებელია იმ ადგილის, სადაც გაცვეთის ყველაზე მეტი შესაძლებლობაა, მისი კვეთილი ორნამენტით შემკობა. დეტალის კაპიტელობაზე თვით მისი სიბრტყეც მიანიშნებს. იგი იმ მიზნით ჩანს დახრილი, რომ ქვემოდან გაადვილდეს ორნამენტის აღქმა. გარდა ამისა, ამ დეტალის ტანი საგრძნობლად დაბალი, გაშლილი პროპორციისაა და თუ მას ბაზისად წარმოვიდგინებთ, რომელსაც სვეტი ეყრდნობა, იგი უთუოდ შექმნის სიმძიმით დეფორმირებული ყვავილის შთაბეჭდილებას. მისი პროპორცია სწორედ ყვავილის გაშლილ ფორმას შეესაბამება და კაპიტელისთვისაა მიზანშეწონილი. კაპიტელისათვის დამახასიათებელ სახეზე მეტყველებს აგრეთვე ლილვისა და ტანის ურთიერთდამოკიდებულებაც. კაპიტელებზე ლილვის გამოზიდულობა ან უსწორდება ტანის საწყის გამოზიდულობას (დედოფლის მინდორი, სარკინე, პერსეპოლისი – ძვ.წ. III ს.)¹²⁸, ან ზოგ შემთხვევაში სცილდება კიდევ ტანის საწყისს (ინდური ლოტოსისებური კაპიტელები, პართული კაპიტელები. ტაბ. LV)¹²⁹. აქაც ლილვის მაქსიმალური დიამეტრი ოდნავ აღემატება კიდევაც ტანის საწყისს და ეს სავესებით ბუნებრივად გამოიყურება, რადგან, როგორც აღვნიშნე, ლილვი ყვავილის გვირგვინის ბაზისად, მის წარმომშობად განიხილება და მისი სიგანეში გაშლილი ფორმა გვირგვინის მდგრადობას უსვამს ხაზს (ტაბ. LIV₄). ეს ასე არაა ზარისებურ ბაზისებზე. ყველა შემთხვევაში იქ ლილვთა დიამეტრი ტანის საწყისებზე გაცილებით მცირეა (ტაბ. LV).

კაპიტელის ფუძეც და ზედაპირიც კონსტრუქციული ღრმულებითაა აღჭურვილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზედაპირზე ამოკვეთილი კვადრატული ღრმა და განიერი ბუდე. მისი დანიშნულება ი. პიჩიკიანს ახსნილი აქვს როგორც დაზგაზე დასამაგრებელი დეტალი, რომლითაც დასრულების შემდგომ ბაზისი პოსტამენტზე მაგრდება¹³⁰ (მას ხომ დეტალი ბაზისად მიიჩნია). ჯერ ერთი, ასეთ ღრმულებს ზარისებრი ბაზისების ფუძეებზე არ აღწერს არც ერთი მკვლევარი (მხედველობაში მაქვს ის ნაშრომები, სადაც აქცენტი სწორედ ბაზისებზეა გადატანილი)¹³¹. დარ-

წმუნებით შემოძლია ვთქვა, რომ ჩემ მიერ აზომილ აქემენიდური სტილის ზარისებურ ბაზისებზე ასეთი ღრმულები არაა¹³². არათუ ბაზისთა ძირზე, ღრმულები ყოველთვის მათ ზედაპირზეც არაა. გარდა ამისა, ზარისებური ბაზისებისათვის სრულებით არაა დამახასიათებელი პლინტუსი ანუ პოსტამენტი და, ამდენად, არც ღრმულებს საჭიროებს ქვემოდან. სულ სხვა საქმეა ასეთი ღრმული ლოტოსისებურ კაპიტელზე. მისი წარმომშობი ეგვიპტეა, სადაც მცენარეული კაპიტელი ზედა სტრუქტურის კონსტრუქციული დეტალებისაგან მთლიანად იყო გამიჯნული ზედაპირიდან ამოზრდილი სწორკუთხა სვეტით, რათა სიმბოლო (ამ შემთხვევაში მცენარეული კაპიტელი) აცილებოდა კონსტრუქციას¹³³. ასეთ „წამონაზარდებს“ ვხედავთ ელინისტურ მცენარეულ კაპიტელებზეც (ტაბ.LIV ვ)¹³⁴. სწორედ ასეთი ხის ბოძისთვის, როგორც აუცილებელი ელემენტი, განკუთვნილია ჩვენს კაპიტელზე ეს ღრმული. ლოტოსისებურ კაპიტელებს არქიტრავთა სატვირთად არ გააჩნია სწორკუთხა აბაკუსები. მისი ფორმა არაა გამიზნული იმისათვის, რომ კოჭები უშუალოდ მას ეყრდნობოდეს. თუ სწორედ მის თავზე გადავატარებთ კოჭებს, იგი მთლიანად დაკარგავდა თავის მხატვრულსა და სიმბოლურ მნიშვნელობას. მცენარეულმოტივიანი კაპიტელის თავზე წამოზრდილ სვეტზე, როგორც აუცილებელ ელემენტზე, კარგად მეტყველებს კვიპროსში აღმოჩენილი (იდალიონი) ტაძრის ტერაკოთული მოდელი (ძვ.წ.VI ს.; ტაბ.LIV ვ), რომლის პორტიკოსის სვეტებიც ანალოგიური კაპიტელებითაა დაგვირგვინებული¹³⁵.

დედოფლის მინდვრის ხუროთმოძღვრული კომპლექსის გვემარებით სტრუქტურაზე საუბარი უნდა დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ მთელი გეგმა აგებულია მკაცრი სიმეტრიულობის პრინციპით და სწორედ ეს წარმოადგენს იმ ძირითად ნიშანს, რომელიც მას აქემენიდურ ხუროთმოძღვრულ კომპლექსებთან აახლოებს. ამ სიასლოვეს ქმნის მთლიან კომპლექსში, ასევე ცალკეულ ნაგებობებში კვადრატის გაბატონებული მდგომარეობა¹³⁶. კვადრატი, როგორც გვემარებითი კომპოზიციის საფუძველი, აქ ყველგან მკვეთრად გამოიყოფა. კვადრატები, რომლებიც მთელი გვემარების ძირითად ბირთვის წარმოადგენს ან თავისუფალი სახით მონაწილეობს ორნამენტში, ან მარტივი დანაწევრების შედეგად ქმნის მსგავსსა და თანდათან შემცირებულ ანალოგიურ გეომეტრიულ სახეებს. და იქმნება მთელი კომპლექსის მკაცრი სტანდარტიზაციისა და სიმეტრიულობის სურათი¹³⁷.

მთავარი ტაძარ-პროპილეუმი ჩაწერილია 46 მ-იან კვადრატში. კვადრატის კუთხეებიდან მისი გვერდის ტოლი რკალების შემოსაზვით დიაგონალი იკვეთება წერტილებში, რომლებიც ძირითადი კვადრატის ცენტრში ცელას შემოწერს¹³⁸. ამავე მეთოდით კონკრეტდება ცელას შუაგულში სვეტშორისი კვადრატი, რომლის თითქმის სამჯერ შემცირებული კვადრატია საკურთხეველის პლატფორმა და რომლის კვადრატი სამჯერ აღემატება ალიზის აგურს – ყველა ნიშნით ამოსავლ კვადრატსა (0,5×0,5 მ) და მასების რეგლამენტირების საფუძველს (ტაბ.LI ვ).

მთავარი ტაძარ-პროპილეუმის კვადრატის შემდგომი დანაწევრება შემოსაზღვრავს პორტიკს და აკონკრეტებს მზიდი კედლების მიმართულებას, ქმნის კოჭების სტანდარტიზაციას, ე.ი. იქმნება დაკონკრეტებული კონსტრუქციული ბადე, რომლის ყველა უჯრედი ამ უმარტივესი სქემიდან გამომდინარე სისტემაშია მოქცეული (ტაბ.LI ვ). კომპლექსის ძირითადი მაორგანიზებელი ბირთვი, როგორც აღვნიშნე, შიდა კვადრატული ეზოა, რომლის შიგნითაც შედარებით მცირე ზომის კვადრატს წარმოშობს მის სიღრმეში თანაბარი მანძილებით შეჭრილი ტაძარ-სამლოცველოები. ეს კვადრატი მთავარი ტაძარ-პროპილეუმის კვადრატის გაორმაგებაა, ხოლო კვადრატი, რომელიც მთლიანად მოიცავს C_I და C_{II} ტაძარ-პროპილეუმებს, ჩრდილოეთ ტაძარსა და საკურთხეველის პლატფორმას, ანუ მთავარ ტაძარ-პროპილეუმს, შუაზე კვეთს. იგი ამავე (მთავარი ტაძარ-პროპილეუმის) კვადრატის გასამმაგებაა. ჩრდილოეთის სამსახლანი სექციები მათი მიმდებარე ფართობებით 46 მ-იან კვადრატშია ჩაწერილი და სხვ. აქ არსად გვაქვს პროპორციათა „ფარული“ სისტემა, რომელიც მხოლოდ საგანგებო კვლევისა და ანალიზის შედეგად დგინდება, მაგრამ ზოგჯერ მაინც შეიგრძნობა ამა თუ იმ ძეგლის ჰარმონიულობისა და მთლიანობის წყალობით. ჩვენთან აქ ყველაფერი სახეზეა, მარტივად და შეუფარავად, მაგრამ ყოველგვარი უმცირესი

გადახრის გარეშე. სწორედ ამითაა შექმნილი უკიდურესად მოწესრიგებული მიკროსამყარო ხაზგასმული წესრიგით და ალბათ არ შევცდები, თუ მას მანდალურ ნახატს შევადარებ, რადგან ესოდენ მკაცრ გეომეტრიზაციასა და წესრიგის მანდალურ ასახვებს დამორჩილებული სხვა ძეგლი არ მეგულება. აქ შეუფარავად და კოსმოგრამების ანალოგიურადაა წარმოდგენილი მთელი კომპლექსი – თითქოსდა ნათქვამია, რომ განხორციელდა ქაოსის დაძლევის იდეა.

ამასთან დაკავშირებით მინდა კიდევ ერთი, ქრონოლოგიურად შორეული მაგალითი მოვიხსნო: ჩრდილოეთ ავღანეთში გამოვლენილი ძვ.წ. II ათასწლეულის ძეგლი, საკულტო ნაგებობა (ტაძარ-სასახლე, ტაბ. XLVI)გ⁸⁹, სადაც, ვფიქრობ, რომ დედოფლის მინდვრის კომპლექსის შორეულ პარალელთან, თუმცა მანდალას განსხვავებულ ნახატთან გვაქვს საქმე. ცენტრალური კვადრატული ეზო, ოთხი მხრივ სწორედ დედოფლის მინდვრის ანალოგიურად კვადრატის გვერდების ცენტრებს დამთხვეული, ერთმანეთის საპირისპირო და ურთიერთიდენტური T-ს მაგვარი კორიდორებია, რომელთა ფუნქცია მხოლოდ სიმბოლურია. ალბათ არ შევცდები თუ ჩავთვლი, რომ ამ ტაძარ-მანდალაზეც კვადრატის მნიშვნელობა სიმბოლურია. მასზე აისახა სამყაროს ოთხი წყარო და წესრიგის იდეაც თავისებურად გამოიხატა. მართალია, ესაუბრობ ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან დიდად დაშორებულ კომპლექსებზე, მაგრამ სრულიად უეჭველი მგონია მათი იდეური იდენტურობა, რომელსაც კვადრატის სიმბოლოთა კომპლექსი უძველეს საფუძვლად, უძველესი და მყარი კომპლექსი; რომელიც უპირველესად სწორედ ხუროთმოძღვრებაში უნდა ასახულიყო და სწორედ მისი ანასახებია გეგმაში კვადრატული ზიკურატები სამყაროს ოთხი მხარის აღნიშვნით, ასევე აქემენიდურ ნაგებობათა ბირთვები – კვადრატები, მაგ., სუზის აიადანა ან ზემოთ მოხსენიებული ქსერქსეს კარიბჭე⁴⁰, შემდგომ სასანური ტაძრები და სასახლეები. ამავე რიგში უნდა განვიხილოთ ნაგებობათა გვერდებით ან კუთხვებით მხარეთა მიხედვით მიმართება და სხვ.⁴¹ ასეთი მაგალითები შეიძლება უსასრულოდ გამრავლდეს, ე.ი. ვფიქრობ, რომ დედოფლის მინდვრის კომპლექსი შექმნილია როგორც გარკვეული წარმოდგენების მოდელი, მაგრამ იგი უთუოდ დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ ღვთაებასთან. მაგრამ კვადრატი, რომელზეც ამდენი ვისაუბრეთ, მასზე პირდაპირ მინიშნებას ვერ მოგვცემს, რადგან იგი უნივერსალური სიმბოლოა და სხვადასხვა ასპექტით სხვადასხვა ღვთაებასთანაა დაკავშირებული⁴².

ი. გაგომიძეს თავის ნაშრომებში განვითარებული აქვს აზრი, რომ მთავარი ტაძარი შესაძლოა ზოროასტრული ტრიადის ერთ-ერთ წევრს, არღვი-სურა ანაჰიტას ეძღვნებოდა. ამის სასარგებლოდ მას მოჰყავს ცალკეული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი არგუმენტები, რომლებიც თვით ტაძრის ორგანიზაციიდან და სტრუქტურულიდან არ გამომდინარეობს⁴³, მაგრამ მათი ერთობლიობა დიდად შთამბეჭდავია⁴⁴. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარნი ირანული ცეცხლის ტაძრების უმრავლესობას, თვით სუზის „აიადანასაც“ კი, სწორედ ანაჰიტას კულტს უკავშირებენ⁴⁵. ზოგიერთი ტაძარი შეიცავს პირდაპირ მონაცემებს, რომ ისინი ქალღვთაებას ეძღვნება⁴⁶.

დედოფლის მინდვრის კომპლექსი ღვთაების დაკონკრეტებისათვის აშკარა მითითებას არ შეიცავს, მაგრამ ზოგიერთი მისი ნიშანი ამ საკითხთან დაკავშირებით მაინც განსახილველია, კერძოდ, კომპლექსის არქიტექტურული დეკორი. ამ კომპლექსის დეკორატიულობა უკიდურესად მწირია; მთელი მისი მორთულობა კაპიტელების ორნამენტაციით ამოიწურება და იქაც დეკორატიულ არშიათა მხოლოდ ორი სახე გვაქვს (ტაბ. LIII, ვ). დეკორის ეს ხაზგასმული შეზღუდულობა მიანიშნებს, რომ მათ უპირველესად სწორედ სიმბოლური დატვირთვა აქვს. ორივე შემთხვევაში არშიათა ძირითადი ორნამენტული სახე ვარდულია. ერთგან მათ პალმეტის სტილიზებული გამოსახულების უწყვეტი ღერო უფლის გარშემო (ტაბ. LIII, ვ), ხოლო მეორე შემთხვევაში ვარდულები ორ-ორი ღეროთი შედგენილ წნულშია ჩასმული (ტაბ. LIII, ზ). ამჯერად ყურადღება სწორედ ამ მოტივზე მინდა გავამახვილო. ამ არშიით შემკული ყველა კაპიტელი აგვირგვინებს ნაგებობათა მხოლოდ იმ ნაწილის სვეტებს, რომლებიც შიდა ეზოში იჭრება, ე.ი. სამხრეთ სამლოცველოს ორ სვეტს, დასავლეთ და აღმოსავლეთ ტაძარ-პროპილეუმთა ცვლას სვეტებსა და ჩრდილოეთ ტაძრის

პორტიკოსის სვეტებს — სულ რვა სვეტს. სხვაგან ყველგან ორნამენტის მეორე ვარიანტი შექმნილი სვეტები გვაქვს. აქ, ვფიქრობ, გამოირიცხულია შემთხვევითობასთან ან მარტოოდენ არქიტექტორის კაპრიზთან გვექონდეს საქმე. შესაძლოა მრავალი საინტერესო რამ გვითხრას ამ ორნამენტის საწყისი სახეების მოძიებამ. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ მარტოოდენ ამ ხასიათის ძიებანი უეჭველ დასკვნებამდე მიგვიყვანს, მაგრამ ღვთაების ბუნების შეცნობისათვის რალაც ინფორმაცია კი მაინც უნდა შეგვიძინოს.

უადრეს ნახატს, რომელიც უეჭველად ორნამენტის ამ სისტემის საფუძველია, ეგვიპტიდან ვიცნობთ (ტაბ. LV3). ესაა სპილოს ძვალზე ამოკაწრული გადაჭდობილი ორბოლოიანი გველების გამოსახულება, რომელთა შორის თანმიმდევრულად ჩასმულია ყვაილები¹⁴⁷. აქ ყველაფერი ჯერ კიდევ ნატურალისტურადაა ასახული, მაგრამ მოგვიანო მესოპოტამიურ საბეჭდავზე¹⁴⁸ გველებს, მართალია, ჯერ ისევ შენარჩუნებული აქვთ თავიანთი სახე, მაგრამ ყვაილები უკვე სტილიზებულია და მრავალფეროვანი ვარდულებად გვევლინება (ტაბ. LV4). ხეთურ ბაზისებზე კი ეს თემა უკვე სრულყოფილ ორნამენტადაა ჩამოყალიბებული (ტაბ. LV5,6); გველი აქ მხოლოდ წნულში შეიძლება შევიცნოთ და ისიც მაშინ, თუ ამ ორნამენტის საწყის სახეებს ვიცნობთ. ამ ორნამენტის ზუსტი ასლია დედოფლის მინდვრის კვადრატულ ეზოში გამავალ სვეტთა კაპიტელების დეკორატიულ არშიათა მორთულობანი (ტაბ. LV7). აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სხვა ზომორთულ მოტივთაგან განსხვავებით თავისი უმარტივესი სხეულის გამო გველი ყველაზე ადვილად ემორჩილება დეკორატიულობას, უმცირესი სტილიზაციაც კი მასში აქრობს დამახასიათებელ ნიშნებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სიმბოლოს იდეური ძალა ქრება ან სუსტდება; უფრო მეტიც, იგი სწორედ მაშინ ხდება სიმბოლო, როცა ქრება ნატურალისტური ნიშნები, ე.ი. როცა ხდება გარდასახვა ნიშნიდან სიმბოლოდ¹⁴⁹. როცა ნახატი მთლიანად კარგავს ნატურალისტურ ნიშნებს და იქცევა სიმბოლოდ. ეს იმის მანიშნებელია, რომ იგი იქცევა საიდუმლო, დაფარული აზრის აღმნიშვნელად და შეიცნობა მხოლოდ იმათგან, ვინც ბოლომდე ნაზიარებია მათ არსს. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ ძველ აღმოსავლეთში მთელი საკაცობრიო კულტურა განიხილებოდა როგორც ღვთაებათა ქმნილება და, ამდენად, სწორედ ტაძრები წარმოადგენდა ყოველგვარი ცოდნის თავმოყრის პუნქტებს, ქურუმნი კი ამ ცოდნის მფლობელებს¹⁵⁰. ხეთურ ბაზისებსა და დედოფლის მინდვრის კაპიტელებზე ეს ორნამენტი შემოწერს მრგვალ ფორმას; მისი დანაწევრება უთუოდ დაარღვევს ორნამენტის მთლიანობას. იგი აქ უწყვეტი უნდა იყოს. ზოგიერთი მკვლევარი მას ხეთურ ბაზისებზე უსასრულობის სიმბოლოდაც მიიჩნევს¹⁵¹ სწორედ თავისი უწყვეტობის გამო¹⁵². აღიარებულია, რომ ორი გადახლართული გველი ასახავს პოპულაციის პროცესს და ამგვარ გამოსახულებებს უყოყმანოდ ათავსებენ სიმბოლოთა იმ რიგში, რომელიც ნაყოფიერების საყოველთაო იდეაზე მიაწინებს¹⁵³. თავისთავად კი ნაყოფიერების იდეა უკვე ქალღვთაებასთანა დაკავშირებული, მაგრამ თვით გველიც ძველამოსავლურ წარმოდგენებში თითქმის ყოველთვის (განსაკუთრებით, ელამურ კულტურულ წრეში) სწორედ ქალური საწყისის სიმბოლოა¹⁵⁴, მით უმეტეს მაშინ, როცა ის მცენარესთან ან რომელიმე მცენარეულ მოტივთან ერთადაა გამოსახული.

მცენარესთან კავშირში გველი განასახიერებს ქვედა სამყაროს და ხშირად ისინი გამოისახებიან ერთმანეთზე გადახლართული, როგორც მიწიდან ამომავალი მცენარეები. ასეთ შემთხვევაში თავებს ვარდულები ენაცვლება¹⁵⁵. თუ ჩვენ დედოფლის მინდვრის კაპიტელების ორნამენტს იდეადაუკარგავად ჩავთვლით, მაშინ მივიღებთ. ლოტოსის ყვაილის გვირგვინს — მცენარეთა სიცოცხლის სიმბოლოს¹⁵⁶, რომელიც დაკონკრეტებულია ნაყოფიერებისა და ქალური საწყისის გამოხატვული ზემოთ განხილული ორნამენტით, ე.ი. გველებთან დაკავშირებული ნახატთა სერია მცენარეულ სვეტად და ამავე დროს სიმბოლოთა კომპლექსად არქიტექტურულად ჩამოყალიბდა. კვადრატი სამყაროს ოთხი კარით მთლიანად მოცულია ნაყოფიერების საყოველთაო იდეით. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო საპალი-თეფეში მოპოვებული ბრინჯაოს ფირფიტა-მანდალა, რომელიც თითქოსდა ჯვრისებური ფორმით ასახავს სამყაროს და რომლის ოთხივე კუთხე გველებითაა

შევესებული (ტაბ. LV გ)⁵⁷. ჩემი აზრით, ესაა ზემოთ განხილული წარმოდგენების – საერთო და საყოველთაო იდეის ზუსტი ასახვა.

თუ ყველაფერი ის, რაზედაც ვისაუბრე, მისაღებია, მაშინ საფუძველი გვაქვს წარმოვიდგინოთ დედოფლის მინდვრის საკულტო სისტემა როგორც ქალური საწყისებიდან გამომდინარე და ნაყოფიერების იდეასთან დაკავშირებული სამყაროს ძველარიული წარმოდგენები, რაც ერთად შეიძლება მართლაც განსახიერებელიყო არტემიდეს კულტში და, ამდენად, ანაჰიტაშიდაც, რადგან ეს ორი ღვთაება ირანულ სამყაროში ამ დროისათვის კარგა ხნის სინკრეტიზირებულია⁵⁸.

ცხადია, დედოფლის მინდვრის მთელი კომპლექსი სრულად ასახავს ხუროთმოძღვრულსა და ძირეულ აღმოსავლურ საკულტო ტრადიციებს. უბრალოდ ეს ორი ცნება აქ ერთმანეთისგან განუყოფელია და ამითიცაა იგი სწორედ აღმოსავლური, რადგან მისი ფორმები და სტრუქტურა ბერძნულ-ელინისტური არქიტექტურისაგან განსხვავებით გამოხატულებაა სიმბოლური აზრისა, სადაც საწყის სიმბოლოთა კომპლექსი სწრაფად გაითქვიფა და გადაიქცა ჰარმონიულობის გამოსატყულებად, ყოველი არქიტექტურული ფორმა კი კონსტრუქციული სრულყოფის ანასახად⁵⁹. აქ თავმოყრილია ძველი აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა გეგმარებითი სქემა და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ყველა მათგანი თითქმის პირვანდელი სახისაა. მთავარი მაინც ისაა, რომ ვერ ვხედავთ ამ მემკვიდრეობის უშუალო გადამცემს, ე.ი. ვერ ვხედავთ ვერც ერთ ისეთ სხვა რეგიონს, სადაც ყველაფერი ერთად ასე სრულყოფილად იყოს თავმოყრილი. ჩემი აზრით, ესაა უმაგალითო კრებული როგორც არქაული არქიტექტურული ფორმებისა, ასევე არქაული წარმოდგენებისა.

თუ მივიჩნევთ არქაულ არქიტექტურულ ფორმებს ფუნქციონალურად, ასევე სიმბოლომწარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ არქაული ორნამენტიც.

არქიტექტურული ერთიანობის მეთოდი, რომლითაც შემუშავდა კომპლექსის სახე, შეიძლება მხოლოდ აქემენიდურს შევადაროთ და ისიც არა ყველა ნიშნით, ე.ი. გველისხმობ გეგმარებითი სქემების შერჩევას, დასესხებასა და საკუთარი მიზნებისთვის დამორჩილებას, მაგრამ გადაშენებისა და არსებითი ცვლილებების გარეშე. ესაა სწორედ ის ნიშანი, რითაც იგი განსხვავდება აქემენიდური პრინციპისაგან. აქემენიდური არქიტექტურა ფორმების საფუძვლიან გადახალისებას ახდენს. ამისათვის მას აქვს ძლიერი იმპულსი – მონარქი და მისი სიდიადის ქება⁶⁰. და ყველა ფორმა, საიდანაც არ უნდა იყოს ის ნასესხები, ამ იდეის შესაბამისად მუშავდება.

დედოფლის მინდორზე შეიქმნა დასესხებულობის ჯგამი, მაგრამ რის ხარჯზე, ჩემთვის უცნობია – ადრე მიღებულ, ჩვენთვის უცნობ მემკვიდრეობათა საფუძველზე თუ მეზობელ რეგიონებში შექმნილი ადრეული ნიმუშების ნაგვიანევი გაზიარების ხარჯზე.

უფლისციხის ციხის სამლოცველო

უფლისციხის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე კლდეში გამოკვეთილ სივრცეში სამლოცველო იყო გამართული, რომელსაც მოგვიანებით ქრისტიანული ეკლესია დაეფუძნა და ამის გამო ნაგებობა ამჟამად „სამნავიან ბაზილიკად“ იწოდება.

მკვლევრებმა გამოთქვეს ვარაუდი იმის შესახებ, რომ აქ ადრეულ, ბაზილიკამდელ პერიოდში წარმართული ტაძარი ფუნქციონირებდა⁶¹. ი. გაგოშიძემ მისი თავდაპირველი სტრუქტურა მითრათეუ მად განსაზღვრა⁶². უკანასკნელ ხანს დამკვიდრდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც უფლისციხე, ეს კლდეში ნაკვეთ ნაგებობათა ერთობლიობა, წინარექრისტიანულ ხანაში სატაძრო ქალაქის ფუნქციასაც ასრულებდა⁶³. თუმცა, ჩემი აზრით, უფლისციხის ამდაგვარი ატრიბუციისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს⁶⁴.

ნაგებობის ძირითადი ბირთვი, ანუ დარბაზი (ფაქტიურად ესაა მთელი სამლოცველოც) სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ რამდენადმე წაგრძელებული სწორკუთხედაა (ტაბ. LV I), რომლის

ცენტრში ოთხი კლდოვანი ბურჯი საზღვრავს ცელას. ნაგებობის სამხრეთი კედლის ამჟამინდელი სტრუქტურა (ტაბ. LVII₂) გვიანდელი ქმედების შედეგია, ალბათ იმდროინდელი, როცა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ მოახდინა ამ სივრცის ეკლესიად ადაპტაცია. კედელი დუღაბითა და სხვადასხვა სახეობის შემთხვევითი ქვებით ამოყვანილია კლდოვან ცოკოლზე, თავდაპირველი კედლის ნაშთზე, მაგრამ სამლოცველოს S-W კუთხეში კედლის უფრო ადრეული, წინარექრისტიანული ნაშთიც შემორჩა – საუკეთესო ნიმუში „ფსევდოიზიდომური“ წყობისა (ტაბ. LV₁₂), მაგრამ ელინისტური სამშენებლო საქმის ნორმებისგან განსხვავებით, რაც მშრალ წყობას ითვალისწინებდა და შემავსებლად იშვიათად მხოლოდ თიხის ხსნარს გულისხმობდა, კვადრები აქ ერთმანეთთან დუღაბითაცაა დაკავშირებული. დუღაბით გასრულებული „ფსევდოიზიდომური“ წყობა არაა თავდაპირველი. ჩანს, რომ იგი გაიმართა მას მერე, რაც აქ მოირღვა კედლის ზღუდე.

ტაძარს სამხრეთი კედლის SW და SO არეებში ორი კარი ჰქონია (ტაბ. LV₁₁). კარვად ჩანს კლდეში გამოკვეთილი ღიობები და ისიც, რომ ეკლესიამ მათი ადგილი უცვლელი დატოვა, ე.ი. აღარ მოახდინა მისი გაუქმება და სხვაგან გადატანა. ბურჯები გეგმაში ჯვრისებურია და უნდა ვიფიქროთ, ეს სახე მას ქრისტიანულმა ხანამ მიანიჭა. ყველა მათგანზე ეს სახე ბოლომდე არაა მიყვანილი (ტაბ. LV₁₃).

ჩემი აზრით, ნაგებობა თავის საწყის ეტაპზე ცეცხლის ტაძარს წარმოადგენდა. ეკლესიის სტრუქტურულიდან გამომდინარე უყოყმანოდ წინარექრისტიანული ეპოქის კუთვნილია მისი ამჟამინდელი სწორკუთხა დარბაზი, ცენტრში აღმართული, კლდეში ნაკვეთი ოთხი ბურჯი და კართა ღიობები. კარები აქ საგანგებოდაა აცილებული ცენტრს, რის შედეგადაც მიღებულია კედელი-ფარი, გარედან ცელას უხილველობის განმაპირობებელი სტრუქტურა ცეცხლის ტაძართა იმ კედლების ანალოგიურად, რომლებიც დარბაზში შესასვლელის მხრიდან ცელასაა აფარებული და ერთმანეთისაგან განსხვავებული ხერხებით იცავს ცეცხლს თვალთახედვისაგან.

გარდა ამისა, მინდა ნაგებობის იატაკსაც შევხვ. მოგვიანებით ბურჯებს შორის ფართობი საგანგებოდ გადაითალა, მაგრამ დარბაზის მთელი იატაკის განახლება არც დაუსაზავთ მიზნად. ამალღებული დარჩა ტაძრის ჩრდილოეთი მხარე, ერთადერთი მიზეზი ასეთი ქმედებისა ის შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ ეკლესიას მოეშალა წარმართული სარიტუალო დეტალი. მიუხედავად იატაკის გადათლისა, ბურჯებს შორის მაინც შეიმჩნევა კლდეში ნაკვეთი წრის არცთუ სუსტი კონტური, რაც უთუოდ წრიული ჩაღრმავების კვალია. ასეთი ჩაღრმავებანი ხშირია ცეცხლის ტაძრებში; მას თითქმის ყველგან ვხვდებით. ისინი მეტ-ნაკლები სიზუსტით უპირისპირდება ერდოს, გუმბათის სტრუქტურაში შექმნილ ღიობს.

ცეცხლის კულტთან დაკავშირებული საგნის საინტერესო ნიმუში შემოგვინახა სამხრეთის კედელმაც. მასში (შიდა მხრიდან, საღიაკენეს არეში) ჩამოხეულია ცეცხლის საკურთხეველის კვადრატული მოყვანილობის ზედა ფილა (ტაბ. LVII₃) ცენტრში საცეცხლე ძაბრისებრი ღრმულით (ტაბ. LV₁₄), რომელსაც ახლაც ეტყობა ცეცხლის შემოქმედების კვალი. იგი ტიპური ირანული ცეცხლის საკურთხეველის დეტალია (მდრ. ტაბ. LV₁₅)⁶⁵. მისი ზედაპირი მიანიშნებს, რომ იგი ბერძნულ ან სირიულ-ფინიკიური საკურთხეველებისგან განსხვავებით (ბერძნულ საკურთხეველთა კუთხეებს ძირითადად ვოლუტები აგვირგვინებს⁶⁶, ხოლო სირიულ-ფინიკიურებს – რქოვანა ნაშვერები⁶⁷) არ შეიცავს კუთხის აკროტერიონებს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ი. გაგომიძემ ნაგებობის ადრეული დანიშნულება მითრაუჟმად განსაზღვრა და ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში, დარბაზისა და ბემის მიჯნაზე კლდეში ნაკვეთი ღრმა რეზერვუარიც მითრას კულტს დაუკავშირა⁶⁸. რა პერიოდში მოხდა ამ რეზერვუარის გამოკვეთა, ჩვენთვის უცნობია. უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესია აქ ალბათ გვიანფეოდალურ ხანაში უქმდება და მთელი მისი ფართობი სასაბაზოდ უქცევიათ, მის იატაკზე ამოუკვეთათ თონეები⁶⁹ და სხვა დანიშნულების ღრმულები. შესაძლოა, ეს დიდი, რეზერვუარის მაგვარი ორმოც მაშინ გაჩნდა. მითრული მისტერიებისათვის გამიზნული ღრმულისათვის ადგილი უხერხულად შერჩეული

გამოდის. მისი აღმოსავლეთი კიდე უშუალოდ კედლის მოსაზღვრედ აღმოჩნდებოდა. სარიტუალო მოედანი თავის კომპონენტებით ისედაც ცენტრშია საგულეველი. მგონია, რომ უფრო მისაღები იქნება (თუ, ცხადია, ორმო მართლაც წინარექრისტანული დროის ქმნილებაა), თუ მას ხაროდ განესაზღვრავთ, მარცვლეულის საცავად. ცნობილია, რომ ცეცხლის კულტის მსახურება შეიცავს რიტუალთა მთელ რიგს, სადაც დიდი რაოდენობით მონაწილეობს მარცვლეული (უფრო მეტად ქერი)⁷⁰ და ასეთი საცავი სწორედ ცელასაგან მოშორებითაა სავარაუდო.

განხილული ნაგებობა მხოლოდ დარბაზის შემცველი ცეცხლის ტაძრის (სიმცირის გამო მას სამლოცველოც შეიძლება ვუწოდოთ) უმარტივესი სახეა, რომელსაც არაერთი დამხმარე სათავსი არ გააჩნდა, მაგრამ ამასთანავე ის, როგორც ცენტრალური ოთხბურჯიანი ნაგებობა, ირანული ცეცხლის ტაძრების უშუალო მემკვიდრეა.

¹ Гагошидзе Ю.М. Самadlo (археологические раскопки). Тб., 1979. с.51,52. таб.VIII.

² იქვე გვ.52.

³ იქვე

⁴ C. de Francovich. Problems of Achaemenid... p.225; D. Stronach. Urartian and Achaemenian Tower Temples. JNES.26. 1967. s.278-88; Луконин В.Г. Искусство Древнего Ирана. М., с.48; Тирация Г.А. Урарту и Армения (К вопросу о преемственности материальной культуры). ВОНАН Арм. ССР. Ереван. 1968. №2. с.17-30.

⁵ D. Stronach. Urartian and... fig.2,3.

⁶ C. de Francovich. Problems... fig.90.

⁷ ურარტული ტაძრები კოშკურა ნაგებობებად წარმოდგენილი აქვს ე. აკურგალს (E. Akurgal. Urartäische und Altiranische Kunstzentre. Ankara. 1972. s.10-7. Abb.1) მაგრამ ამის შესახებ არსებობს განსხვავებული აზრიც ვ. კლეისისა (W. Kleiss. Zur Rekonstruktion des urartäischen tempels. IM. B. 13/14. 1963/1964 s.1-10). მან ურარტული ტაძრები დაბალ ნაგებობებად ასახა თავის რეკონსტრუქციაზე სარგონ II-ის დროინდელ ხორსაბადის რელიეფზე გამოსახული მუსასირის ტაძრის მიხედვით. ამის საფუძველს თითქოსდა რიზალიტები იძლეოდა, რომელიც მკვეთრად შეიმჩნევა მუსასირის ტაძრის გამოსახულებაზე. ე. აკურგალის აზრით, ეს რელიეფი ტაძრის სრულიად სხვა ტიპს ასახავს და არა კვადრატული გეგმის მქონე ტაძარს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რიზალიტები აღმოსავლურ სუროთმოდგრებაში უადრესი პერიოდიდანვე ერთნაირად ასახაიანებს როგორც მალლიც, ასევე დაბალ შენობებსაც, მაგ., ჩოგაზამბილის კვადრატული ტაძრები შეიცავს როგორც კუთხის, ასევე ცენტრალურ რიზალიტებს (R. Ghirchman. Tchoga Zanbil. (Dar-Untash), v.1. Paris. 1966. Pl.3), მაგრამ ძნელია ისინი კოშკებად წარმოვიდგინოთ, ვერ ერთი, მათი დიდი ზომისა და ამასთან შედარებით თხელი კედლების გამო. ურარტულ კვადრატულ ტაძრებს მალლიც შენობებად მიიჩნევენ სხვა მკვლევრებიც. იხ. T. Özgüç. Altintepe. Ankara. 1966. s.4. abb.1; C.A. Burneu. A First Season of Excavations at the Urartian Citadel of Kayalidere. AS. 16. 1966. p.73.

⁸ Гагошидзе Ю.М. Самadlo. с.52.

⁹ თავის ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში რ. გირშმანი შეეცადა დაემტკიცებინა აქემენიდურ კოშკთა საკულტო მნიშვნელობა და მათ კვალზე ნურაბადის კოშკის ასეთივე ფუნქცია, რომელსაც იგი პართული პერიოდით ათარილებდა (R. Ghirschman. La Tour de Nourabad. "Syria". v.24. 1944-1945. p.175-93). უკანასკნელ პერიოდში ნურაბადის კოშკის გარშემო ჩატარებული არქეოლოგიურმა სამუშაოებმა სასანური პერიოდი განსაზღვრა როგორც მისი შექმნის თარიღი, რაც ე. პერცფელდის ადრე გამოთქმული მოსაზრების დადასტურებაა (იხ. E. Herzfeld. Paikuli. Monument and Inscriptions of the Early History of the Sasanian Empire. v.1. Berlin. 1924; E. Herzfeld. Reisenbericht... ZDMG. Bd.5. 1926. s.258).

სამუშაოთა ხელმძღვანელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნურაბადის კოშკი სრულიად გამოუსადეგარია ცეცხლისათვის (D. Huff. Nurabad. Dium-i Mil. AMI(NF). Bd.8. 1975. s.167-209). მას ნაწილობრივ დაეთანხმა რ. გირშმანი და ამ კოშკისათვის სრულიად ახალი მნიშვნელობა შემოგვთავაზა — მემორიალური ნაგებობა (Гиршман Р. Царь Нарсе в Бишапуре. ДВМК. М., 1981. с.119-20). მაგრამ ძნელი სათქმელია ეს მნიშვნელობა რამდენად შეიძლება გავრცელდეს აქემენიდურ კოშკებზე. კ. შიპმანმა, რომელმაც ყველა ურთიერთგამომრიცხავი მონაცემი შეაჯერა ერთმანეთს, ვერ მიანიჭა უპირატესობა ვერც „სამარხულ ნაგებობას“ და ვერც „ცეცხლის ტაძრებს“ (თუმცა უფრო მეტად ამ უკანასკნელისაკენ იხრება) და არ გამოიციხა ამ კოშკების სრულიად სხვა, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობ ფუნქციას (K. Schippmann. Die Iranischen Feuerheiligtümer. s.199).

მ. ბოისიც შეხვო ამ კოშკთა ფუნქციას და მათი შიდა სივრცეებისა და კიროსის სამარხის კამერის ურთიერთმსგავსების

გამო ისინი კვლავ სამარხებად განსაზღვრა (A.J. Deuxième Série. v.23. Leiden. 1984. p.67-71). მაგრამ ამ კამერათა მსგავსება არაფერს ამტკიცებს, რადგან მონუმენტურ სამარხთა იერსახე სშირად საკულტო ნაგებობათა მოდელბია. ბოისის ამ მოსაზრებას არ იზიარებს მ. დანდამაევი, რომელმაც სხვა არგუმენტებოც დაუპირისპირა მას. იხ. Дандамаев М.А. Новая литература по иранистике. ВДИ. 1987. №3. с.214-5.

¹⁰ უმეტეს შემთხვევაში ეს ასეა; ცნობილია სხვაგვარი შემთხვევებიც, მაგ., საქსონოსურის ტაძარი სწორკუთხა ცვლათი სასიათღბა. იხ. Литвинский Б.А., Мухитдинов Х. Античное... с.160-77. рис.3.

¹¹ A. Godard. L'Art de L'Iran. Pl.83. p.168; K. Galling. Der Altar... t.14,6. s.82.

¹² ი. გაგოშიძე თვლის, რომ სამადლოში მოდელად სწორედ აქემენიდური ნიმუშებია აღებული. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად მას ძირითადად წამოყენებული აქვს ქრონოლოგიური რიგის არგუმენტები. იხ. Гагошидзе Ю.М. Самадло. с.52.

¹³ E. Akurgal. Urartäische... s.10.

¹⁴ Гагошидзе Ю.М. Самадло. с.52.

¹⁵ M. Roaf, D. Stronach. Тере Нух. I Jan. 1970: Iran. v.XI. p.130-8. fig.1-2.

¹⁶ Халпахчян О.Х. Строительная культура армянского нагорья с древнейших времен по VII в. до н.э. АН.31. М., 1983. с.131-2. рис.42.

¹⁷ Гагошидзе Ю.М. Самадло. с.52.

¹⁸ ბ. შატბერაშვილი, გ. ცქიტიშვილი. კასპის რ-ნის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები. საქ-1972. (მა), თბ., 1973. გვ.6; გ. ცქიტიშვილი, ბ. შატბერაშვილი, ჯ. გვასალია, ა. ნუცუბიძე, ჯ. გვეტაძე და სხვ. კასპისა და გორის რაიონების არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. საქ-1973 (მა), თბ., 1974. გვ.41-4; Цкитишвили Г. Результаты работ на "Цихиагора". ПАИ-1974. Тб. 1976. с.60; გ. ცქიტიშვილი, კეთისხევის „ციხიაგორა“. ძმ. 1977. №46. თბ., გვ.51-5; ნ. ხაზარაძე, გ. ცქიტიშვილი. ციხიაგორას კრამიტი. კაქ. VI თბ., 1984. გვ.146; Цкитишвили Г.Г. Результаты работ на "Цихиагора" (1971-1974 гг). КСИА. №151. М., 1971. с.87-93.

¹⁹ Цкитишвили Г.Г. КСИА. №151. с.88-9.

²⁰ იქვე გვ.87.

²¹ იქვე გვ.88.

²² R. Naumann. Architektur Kleinasiens. s.78-101. Abb.78-86.

²³ Цкитишвили Г.Г. КСИА. №151. с.87.

²⁴ იქვე

²⁵ Цкитишвили Г.Г. ПАИ-1974. с.64.

²⁶ Цкитишвили Г.Г. КСИА. №151. с.88.

²⁷ ე.ი. სახეზე გვაქვს არქიტექტურული დეტალის ისეთი ნიმუში, რომელიც პირობითად იწოდება როგორც „დეკორატიულ მოტივში გადაზრდილი კონსტრუქცია“. იხ. Бартнев И.А. Форма и конструкция в архитектуре. Л., 1968. с.254.

²⁸ Сумбадзе Л. Архитектура грузинского народного жилища Дарбази. Тб., 1984. таб.43,3 (გ. ლუჯავას ანაზომი).

²⁹ გ. ყიფიანი. კაპიტელები. თბ., 1987. გვ.6-11 ტაბ.11-V.

³⁰ აქემენიდური სვეტები, რომლებსაც ძირითადად პერსეპოლისიდან ვიცნობთ, გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სიმწკობრივით. დიამეტრის სიმაღლესთან შეფარდება მერყეობდა 1:10-დან 1:13-მდე. უფრო სშირად ქვედებით 1:12. იხ. С. Babin. Note sur la metrologie... p.371-2. fig.8,21.

³¹ მაგ., ძველ ნისაში 38x38 ან 39x39. იხ. Кошеленко Г.А. Культура Парфии. с.18-9. ღერა-ვერობისში 37x37 – Кошеленко Г.А. დას. ნაშრ. გვ.136. დილბერჯინში 36x36 სმ ან 38x38 სმ. იხ. Кругликова И.Г. Дильберджин. Храм Диоскуров. М., 1986. с.47, 60; და მრ. სხვ.

³² G. Gropp. Die Funktion... s.152.

³³ იქვე

³⁴ გ. ცქიტიშვილი, ბ. შატბერაშვილი და სხვ. საქ-1973. გვ.43.

³⁵ J. C. Cooper. LAS. s.99-101.

³⁶ M. Roaf and D. Stronach. "Iran". v.XI. p.130-7.

³⁷ კ. შიპმანს დასაშვებად მიაჩნია (იგი ამ დროს ძირითადად მ. ბოისის ავტორიტეტს ეყრდნობა) წმინდა ცეცხლიდან საშსვერალოზე ცეცხლის ანთება. იხ. K. Schippmann. Die Iranische ... s.472. გ. გრიპს კი დაუშვებლად მიაჩნია ცელაში არსებული ცეცხლის სადმე ცერემონიებისათვის გადატანა. შდრ. G. Gropp. Die Funktion... s.155.

- 38 გ. ცქიტიშვილი. ძმ. 46. გვ.53.
- 39 K. Schippmann. Die Iranische ... Abb.32.
- 40 G. Gropp. Die Funktion... s.167.
- 41 Цкитишвили Г.Г. КСИА. 151. с.89.
- 42 G. Gropp. Die Funktion... s.156.
- 43 იქვე
- 44 F. Oelmann. Persische Tempel. s.283.
- 45 გ. ცქიტიშვილი, ბ. შატბერაშვილი და სხვ. საკმ-1973. გვ.43.
- 46 იქვე
- 47 Umb. Scerrato. Excavations at Dahan-i Ghulaman (Seistan - Iran). EW(NS). v.16. No.1-2. 1966. fig.2. ნაგებობანი №№5, 6, 12 და სხვ.
- 48 Кругликова И.Г. Дильберджин... рис.1. ნაგებობანი VII, VIII და სხვ.
- 49 გ. ცქიტიშვილი. ძმ. №46. გვ.53.
- 50 მაგ, ჩოგა-ზამბილის სექციური ნაგებობანი (შესაძლოა ტაძრები) ძვ.წ. XIII ს, NW და S ტაძრები ასევე ჩოგა-ზამბილში. იხ. R. Ghirchman. Tchog Zanbil. v.1. 1966. v.2. 1968.
სამეურნეო ნაგებობანი პერსეპოლისში, ქალაქის უკიდურეს სამხრეთ ტერასაზე. იხ. L.Vanden Berghe. Archéologie de L'Ian ancien Leiden. 1959. t.2; ნაგებობა არაგაცის სიმაგრის სიასლოვს (Халпахчян О.Х. Строительная... рис.33). ადმინისტრაციულ ნაგებობათა ერთ-ერთი ბირთვი აი-ხანუმაში (ძვ.წ. II ს). იხ. Пугаченкова Г.А. К архитектурной типологии... т. VIII; სამარხი კამერა სატრადან. Литвинский Б.А. Погребальные сооружения и погребальная практика в Парфии (К вопросу о парфиано-бактрийских соответствиях) САКЗВД. М., 1983. с.96. таб. XXXV₄₆, და მრ. სხვ.
- 51 Кошеленко Г.А. Серахский оазис. В кн.: ДГКСА. М., 1985. с.215. таб. LXXIV_{1,7}.
- 52 Ставиский Б.Я. Кушанская Бактрия. с.200-1. рис.29.
- 53 Кауфман С.А. Архитектура Набатеев... с.165-6. рис.74.
- 54 ი. გაგოშიძე. წარმართული ტაძარი დედოფლის მინდორზე. ძმ. 1974. №35. გვ.70-8; ი. გაგოშიძე. წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე. სსმაე V. თბ., 1977. გვ.72-83; ი. გაგოშიძე. დედოფლის მინდორის სატაძრო კომპლექსის 1976-1977 წწ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. სსმაე VI. თბ., 1978. გვ.62-77; Гагошидзе Ю.М. Раскопки храма I в. до н.э. в Дедоплис Миндори (Восточная Грузия). КСИА. 151. М., 1977. с.102-7; Гагошидзе Ю.М. Из истории грузино-иранских взаимоотношений (храм II-I вв. до н.э. Дедоплис Миндори). В кн.: КСАДС. М. 1981. с.102-15; Гагошидзе Ю.М. Дохристианские храмы Грузии. МСГИ-IV Тб., 1983. с.1-12.
- 55 Гагошидзе Ю.М. Из истории... с.103.
- 56 იქვე გვ.102.
- 57 იქვე გვ.104.
- 58 ი. გაგოშიძე. წარმართული სატაძრო კომპლექსის... გვ.75.
- 59 იქვე გვ.73.
- 60 Гагошидзе Ю.М. Раскопки... с.81.
- 61 იქვე გვ.81
- 62 Гагошидзе Ю.М. Из истории... с.104.
- 63 Гагошидзе Ю.М. Раскопки... с.80.
- 64 T.C. Young. The Architecture of Hasanlu IV JA. v.6. 1966. p.52; R.H. Dyson. The Question of Balconies at Hasanlu. AG. Philadelphia. 1975. fig.3.
- 65 Кошеленко Г.А. Культура Парфии... с.19-20.
- 66 Гагошидзе Ю.М. Из истории... с.103-4.
- 67 Сариниди В.И. Памятники монументальной архитектуры Бактрии. СА. 1977. №1. с.224.
- 68 M. Roaf, D. Stronach. "Iran". v.XI. p.136-7.
- 69 F. Oelmann. Persische Tempel... s.276-8; U.M. de Villard. The Fire Tempels... p.178-9.

- ⁷⁰ მაგ., ცეცხლის ტაძარი ნისაში (იგივე „კვადრატული დარბაზი“) Пугаченкова Г.А. Пути развития... с.90.
- ⁷¹ Кошеленко Г.А. Культура Парфии... с.21.
- ⁷² E. Porada. The Art of Ancient Iran. N-Y. 1965.
- ⁷³ Гагошидзе Ю.М. Из истории... с.112-3.
- ⁷⁴ შდრ. K. Schippmann. Die iranische... s.495.
- ⁷⁵ ზოროასტრული ტაძრების ამ ნორმის შესახებ იხ. I. Duchesne-Guillemin. Fire in... p.203; აგრეთვე K. Erdmann. Das Iranische... s.25.
- ⁷⁶ მართალია, ცელას უკანა კარი იშვიათი მოვლენაა აღმოსავლურ ტაძრებში, მაგრამ მას მაინც ვხვდებით სულ სხვა მნიშვნელობით კუბ-ი ხოჯასა (როგორც აქემენიდურ, ასევე პართულ სამშენებლო პერიოდებში) და ბარდ-ე ნეშანდში (იხ. K. Schippmann. Die iranische... s.61-5. Abb.9, 10, 37). ისინი ერთმანეთს ცელასა და ყრუ კამერას აკავშირებს. მანსურ-თეფეში კი უკანა კარი გაარსმემოსავლელს უკავშირდება, რომელიც იქ თავდაპირველი სახით გამოიყურება და არა ისე, როგორც დედოფლის მინდორზე, ცალკეულ დერეფნებად დანაწევრებული. ასე რომ, დედოფლის მინდორის მთავარი ტაძარ-პრობილეუმის უკანა კარი ამ ნიმუშთან სრულიად განსხვავებული ფუნქციის მქონეა და მხოლოდ იმ მიზნითაა გამართული, რომ მლოცველი ტაძრის შემდგომ ცენტრალურ ეზოს დაუკავშირდეს.
- ⁷⁷ შდრ. Пичикийн И.Р. Композиция храма Окса... с.56-8.
- ⁷⁸ იქვე გვ.54.
- ⁷⁹ ი. გაგოშიძეს არაერთხელ აქვს აღნიშნული დედოფლის მინდორის მთავარი ტაძრის გეგმის მსგავსება სწორედ ადრეულ ძეგლებთან და არა მის თანადროულებთან. იხ. Гагошидзе Ю.М. Из истории... с.108; Гагошидзе Ю.М. Дохристианские... с.2-7.
- ⁸⁰ სუზის „აიადანას“ აქემენიდური ასაკის შესახებ იხ. K. Schippmann. Die iranische... s.496.
- ⁸¹ Уилбпер Д. Персеполь (Археологические раскопки резиденции персидских царей). М., 1977. с.51.
- ⁸² ამდაგვარ ნაგებობათა გენეზისის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ყველა მონაცემის ურთიერთშეჯერების შედეგად კ. შიბმანი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სუზის ცეცხლის ტაძარი აქემენიდურ სასახლეთა გეგმარებითი სქემით სარგებლობს და მისი რელიგიურ მისწრაფებათა შესაბამისად გადაამუშავება – K. Schippmann. Die iranische... s.482-5, 486.
- ⁸³ Луконин В.Г. Искусство... с.67.
- ⁸⁴ L. Vanden Berghe. Archéologie... p.31. იხ. აგრეთვე R. Boucharlat, Susa under Achaemenid Rule, Mesopotamia and Iran in the Persian Period: Conquest and Imperialism 539-331 BC. London. 1997. p.57-9. fig.24.
- ⁸⁵ ერთადერთი შემთხვევა ოთხსვეტიანი პორტიკოსიანი ცეცხლის ტაძრისა კუბ-ი ხოჯას აქემენიდური გეგმაა, მაგრამ იქ ოთხივე სვეტი ერთ განივ საზნაუკანა განლაგებული და არა კვადრატის შემომფარგვლელად, როგორც ეს ცელაშია. იხ. K. Schippmann. Die iranische... s.61-2. Abb.9.
- ⁸⁶ Ol. Guillaume. Fouilles d’Ai’Khanoum II. Les propylees de la rue Principale. MDAFA. t.XXVI. p.44-5. pl.2.a, 2.b.
- ⁸⁷ Гагошидзе Ю.М. Из истории... с.112.
- ⁸⁸ Бойс М. Зороастрийцы. Верования и обычаи. М., 1987. с.89.
- ⁸⁹ შდრ. Курочкин Г.Н. К интерпретации некоторых изображений раннего железного века с территории северного Ирана. СА. 1974. №2. с.43-4.
- ⁹⁰ E. Negahban. A preliminary report on Marlik excavation. Teheran. 1964. fig.33; Курочкин Г.Н. К интерпретации... с.44.
- ⁹¹ Литвинский Б.А., Седов А.В. Тепаи-Шах. Культура и связи кушанской Бактрии. М., 1983. с.77.
- ⁹² Гагошидзе Ю.М. Из истории... с.108.
- ⁹³ Гагошидзе Ю.М. Дохристианские... рис.9.
- ⁹⁴ Гагошидзе Ю.М. Из истории... с.104.
- ⁹⁵ იხ. Д. Шлюмберже. Эллинизированный Восток. М., 1985. с.113-5.
- ⁹⁶ Гагошидзе Ю.М. Из истории... с.104.
- ⁹⁷ იქვე
- ⁹⁸ H. Lauter. Die Architektur des Hellenismus. Darmstadt. 1986. s.110-1. Abb.14-5.
- ⁹⁹ იხ. Пугаченкова Г.А. К архитектурной типологии... с.125-7.

- ¹⁰⁰ Fr. Oelmann. Hilani und Livanhans. BJ. H. 127. 1922. s.191-7.
- ¹⁰¹ R. Naumann. Architektur Kleinasiens... Abb.471.
- ¹⁰² შტრ. R. Naumann. Architektur Kleinasiens... Abb.462; Fr. Oelmann. Hilani... Abb.3 (H.II).
- ¹⁰³ R. Ghirchman. Tchoga Zanbil... v.1. Pl.3.
- ¹⁰⁴ Кругликова И.Г. Дильберджин... рис.3. S.B. Downey, Mesopotamian...p.76. fig.28.
- ¹⁰⁵ Пугаченкова Г.А. К архитектурной типологии... таб.VIIa.
- ¹⁰⁶ Кошеленко Г.А. Культура Парфии... с.154. დაზუსტებული გეგმა ობ. S.B. Downey, Mesopotamian... p.89-92. fig.39.
- ¹⁰⁷ Fr. Oelmann. Hilani... abb.51.
- ¹⁰⁸ Лелеков Л.А. Отражение некоторых... с.13-5.
- ¹⁰⁹ J.C. Cooper. LAS. s.145.
- ¹¹⁰ Кошеленко Г.А. Культура Парфии... с.162-3; S.B. Downey, Mesopotamian... p.57. fig.16.
- ¹¹¹ A. Godard. L'Art de l'Iran. fig.144. პერსეპოლისი, გეგმაზე K-თა აღნიშნული.
- ¹¹² J. Perrot. L'Architecture Militaire et Palatiat des Achéménides A'Suse: 150 Jahre Deutsches Archäologisches Institut. Festveranstaltungen und Internationales Kolloquim. 17-22 April 1979 in Berlin. Mainz. tab.36.
- ¹¹³ Мартиросян А.А. Аргиштихинили. Урартские памятники. Вып. I. Ереван. 1974. рис.29. с.74-93; Оганесян К.Л. Архитектура Урарту. ВИА. т. I. М. 1970. с.261. рис.13.
- ¹¹⁴ R. Ghirchman. Tchoga Zanbil. v.1. pl.3.
- ¹¹⁵ ეს დამასსათბელი ნიშანი ამ კომპლექსისა აღნიშნული აქვს ი. გაგოშიძეს. ობ. Гагошидзе Ю.М. Из истории... с.108.
- ¹¹⁶ R. Naumann. Architektur Kleinasiens... s.46.
- ¹¹⁷ Umb. Scerpatto. Excavations... p.13, 18-9.
- ¹¹⁸ Долгоруков В.С. Оборонительные сооружения Дильберджина. ДБ. вып.3. М., 1984. с.64, 81.
- ¹¹⁹ Пичикий И.Р. Композиция храма Окса... с.52.
- ¹²⁰ სახს ვუსუამ კვადრატულს, რადგან სწორკუთხა აგურები, რომლის გრძელი გვერდი 50-დან 60 სმ-მდე მერყეობს, საკმაოდ ხშირია, მაგ., დილბერჯინში. ობ. Кругликова И.Г. Дильберджин... с.15, 56, 65.
- ¹²¹ Пугаченкова Г.А. Искусство Бактрии эпохи Кушан. М., 1979. с.39.
- ¹²² Литвинский Б.А. Древнее и раннесредневековое архитектурно-строительное дело в Восточном Туркестане. ЦА. М., 1987. с.194-200.
- ¹²³ ეგვიპტურ სუროთმოდერულ მოტივში ვგულისხმობ თემას, რომელიც სვეტს მცენარის ტანად და კაპიტელს გაშლილ ყვავილად წარმოსახავს (ლოტოსი, პაპირუსი, პალმა და სხვ.). ობ. L. Borchardt. Die Aegyptische Pflanzensäule. B. 1897.
- ¹²⁴ გ. ყიფიანი. საქართველოს ანტიკური ხანის არქიტექტურა. კაპიტელები. თბ., 1987. გვ.49-54.
- ¹²⁵ Тюляев С.И. Архитектура индии. М., 1939. с.7. рис.3.
- ¹²⁶ Пичикий И.Р. Элементы восточного ордера в Колхиде и Иберии. VIII Всесоюзная конференция по древнему Востоку, посвященная памяти Ак. В.В. Струве. ХД. М., 1979. с.71.
- ¹²⁷ Тюляев С.И. Архитектура индии... с.7. рис.3.
- ¹²⁸ ობ. E. Herzfeld. Iran in the ancient East. L-N-Y. 1941. fig.375.
- ¹²⁹ იქვე.
- ¹³⁰ Пичикий И.Р. Элементы... с.71.
- ¹³¹ შტრ. E.F. Schmidt. Persepolis I. fig.28, 37, 39, 56, 72, 98, 107 და სხვ.; R. Ghirchman. L'apadana de Suse. IA. v.III. F.I. 1963. p.148-54. pl.L, LI; A.Br. Tilia. A Study on the Methods of Working and Restoring Stone and on the Parts Left Unfinished in Achaemenian Architecture and Sculpture. EW. (NS). v.18. №.1-2. 1968.
- ¹³² ესენია ზარისებური ბაზისები. აღმოჩენილია აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიასა (ყაზახის რ-ნი) და საქართველოში (სიღნაღის რ-ნი) კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. ობ. გ. ყიფიანი. არქიტექტურული დეტალები. სახა. თბ., 1993.
- გვ.4 და შტდ.
- ¹³³ Брунов Н.Н. Египетская архитектура и проблемы синтеза искусств. ВА. М., 1935.

- ¹³⁴ H. Lauter. Die Architektur... tab.41a.
- ¹³⁵ იხ. H.Th. Bossert. Altsyrien. Tübingen. 1951. 16.
- ¹³⁶ კვადრატის გაბატონებული მდგომარეობის შესახებ აქემენიდურ ნაგებობებში იხ. Мёссель Э. Пропорции... с.139; აგრეთვე C. Babin. Note sur la metrologie... p.347-79.
- ¹³⁷ ი. გაგოშიძეს არაერთხელ აქვს აღნიშნული დედოფლის მინდვრის კომპლექსის მკაცრი სიმეტრიულობა და მთელისა და ნაწილების ურთიერთდამოკიდებულება ე.წ. ოქროს კვეთის პროპორციით (Гагошидзе Ю.М. Из истории... с.108). უნდა აღვნიშნო, რომ „ოქროს კვეთის“ პროპორცია ამ კომპლექსის გვეგმარებით კომპოზიციაში არ მონაწილეობს ან შესაძლოა ჩემთვის შეუუმჩნეველი, დამხმარე, მეორეხარისხოვანი პოზიცია ეკავოს. მთელი კომპლექსის გვეგმარებას გაც-ლიებით მარტივი გეომეტრიული სახეები და სისტემა უდევს საფუძვლად.
- ¹³⁸ მსგავსი თანაფარდობანი უდევს საფუძვლად პერსეპოლისის ნაგებობებს, რასაც განაპირობებს კვადრატი როგორც გვეგმარებითი სქემის ძირითადი ბირთვი. იხ. Мёссель Э. Пропорции... с.139-41. рис.57, 58.
- ¹³⁹ Сариниди В.И. Памятники монументальной архитектуры Бактрии. СА. 1977. №1. с.212.
- ¹⁴⁰ მართალია, ქსერქსეს კარიბჭე მხოლოდ კარის სამი ღიობითაა აღჭურვილი, მაგრამ მეოთხე მხარე აღნიშნულია სამხრეთის ღიობის საპირისპირო კედელზე მიდგმული ცეცხლის საკურთხეველით. იხ. L.Vanden Berghe, Archeologie... p.30-1. tab.2.
- ¹⁴¹ შტრ. Антонова Е.В. Орнаменты на сосудах и “знаки” на статуетках анауской культуры. САСДС. с.14-5.
- ¹⁴² J.C Cooper. LAS. s.145.
- ¹⁴³ ასევე თვლის ამას არქეოლოგი ნ. აფხაზავა. იხ. ნ. აფხაზავა. ქვემო ავღღევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბ., 1988. გვ.80.
- ¹⁴⁴ Гагошидзе Ю.М. Из истории... с.112-4.
- ¹⁴⁵ St. Wikander. Feurprister in Kleinasien und Iran. Lard. 1946. s.59-60.
- ¹⁴⁶ მაგ., პერსეპოლისის ფრატადარა. იხ. Бойс М. Зороастрийцы... с.78-9.
- ¹⁴⁷ H.J. Kantor. Ägypten. РК.В.13. fig.24. s.248.
- ¹⁴⁸ Антонова Е.В. Мургабские печати... САКЗВД. т.ІІІ,1.
- ¹⁴⁹ იხ. Лосев А.Ф. Логика символа. В кн.: Контекст 72. с.184.
- ¹⁵⁰ Коростовцев М.А. О понятии “Древний Восток”. ВДН. 1970. №1. с.15.
- ¹⁵¹ Ed. Pottier. L’art Hi ttite. F.I. Paris. 1926. p.47-8.
- ¹⁵² ორნამენტის გააზრება არ ხერხდება დამოუკიდებლად, იმ სხეულისაგან განცალკევებით, რომელზეც დატანილია. როცა სრულდება არქიტექტონიკური გააზრება ფორმისა, მხოლოდ მერე შეიძლება გაჩნდეს ორნამენტი მასზე და ის დაქვემდებარებული ხდება ფორმაზე, რაც თავისთავად იწვევს სახეთა განმეორებადობას (იხ. Арнхейм А. Искусство и визуальное восприятие. М., 1974. с.7). მაგ., ჩვენი შემთხვევის ანალოგიურად, ვარდულთა უწყვეტი რივი გველების თანხლებით, რამაც გამოიწვია გველის იკონოგრაფიული ნიშნების გაქრობა.
- ¹⁵³ E.D. Van Buren. Symbols of the Goods in Mesopotamien Art. Roma. 1945. p.40-1.
- ¹⁵⁴ E. Porada. Ancient Iran. p.42.
- ¹⁵⁵ Антонова Е.В. Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азии. М., 1984. с.156-7.
- ¹⁵⁶ L. Borchardt. Die Aegyptische... s.53-8.
- ¹⁵⁷ V. Sarianidi. Die Kunst des alten Afganistan. Lpz. 1986. Abb.95.
- ¹⁵⁸ Бойс М. Зороастрийцы... с.76-9. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა დედოფლის მინდორზე 1926 წ. აღმოჩენილი განძის ერთი ნივთი – ოქროს მედალიონი ქალღვთაების გამოსახულებით, როპლის იკონოგრაფია თანაბრად შეიცავს როგორც ანაპიტას, ასევე არტემიდეს გამოსახულებათათვის დამახასიათებელ ნიშნებს. იხ. Гагошидзе Ю.М. Из истории... с.113.
- ¹⁵⁹ იხ. Лелеков Л.А. Отражение некоторых... с.14.
- ¹⁶⁰ J.L.Hiut. Iran I, Geneve, Paris. München. 1965. p.177.
- ¹⁶¹ დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე – ქალაქი კლდეში. თბ., 1989. გვ.38-9; თ. სანიკიძე. უფლისციხე. თბ., 1987. გვ.39; Химшиашвили К.В. Зодчество Уплисцихе... с.15; გ. ყიფიანი. უფლისციხის კლდოვანი ბაზილიკა. თბ., 1990. გვ.1-8.
- ¹⁶² Гагошидзе Ю.М. Дохристианские... с.5-6.
- ¹⁶³ თ. სანიკიძე. უფლისციხე. გვ.35; Химшиашвили К.В. Зодчество Уплисцихе... с.15.

¹⁶⁴ ჩემ მიერ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის 1993 წლის სამეცნიერო სესიასა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ გამართულ კონფერენციაზე (1995 წ.) წაკითხულ იქნა მოხსენებები, რომლებიც უფლისციხის თავდაპირველ პერიოდის ქრონოლოგიისა და ატრიბუციის პრობლემებს ეხებოდა. ამ მოხსენებებში მთლიანად უარყოფილია აზრი, რომ ქალაქი „სატაძრო“ იყო. მისი საწყისი პერიოდის ქვაბულთა ანალიზისა და მათი წინა აზიისა და ანატოლიის ანალოგურ ძეგლებთან შეჯერების შედეგად ეს ძეგლი კლდოვან სამარხთა კომპლექსად მაქვს განსაზღვრული, რომელიც ტაძარსაც შეიცავდა.

¹⁶⁵ შტრ. Br. Genito. Altari a Gradini Nell'Iran Antico. SOR. v.LVI,2. Roma.1987. tab.IV.

¹⁶⁶ იხ. C. Yavis. Greek Altars. fig.43, 44, 46.

¹⁶⁷ იხ. K. Galling. Der Altar... s.65-7. Abb.17-36. ირანული ცეცხლის საკურთხევლების შესახებ იხ. აგრეთვე W. Kleis. Bemerkungen zu achaemenidischen Feueraltären. AMJ. B.14. 1981. p.61-4.

¹⁶⁸ Гагошидзе Ю.М. Дохристианские... с.6.

¹⁶⁹ თ. სანიკიძე. უფლისციხე. გვ.40.

¹⁷⁰ მარცვლეულთა დიდი როლი საკულტო რიტუალებში კარგად ჩანს იმ წერილობითი დოკუმენტებიდან, რომლებიც პერსეპოლისში სასიმაგრო კედლებთან იქნა მიკვლეული. იხ. Дандамаев М.А., Луконин В.Г. Культура и экономика древнего Ирана. М., 1989. с.324-5.

თავი III

მოსაზრებანი კავკასიის ალბანეთისა და სომხეთის ზოგიერთი ძეგლის შესახებ

კავკასიის ალბანეთი

ყაბალის ნაქალაქარის ძვ.წ. I-ახ.წ. I სს-ის ნაგებობასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი

კავკასიის ალბანეთი, თუ ნარატული წყაროების მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენი ერის დასაწყისისათვის 29 ქალაქს ითვლიდა (კლავდიოს პტოლემეაიოსის მიხედვით), ხოლო პლინიუს უფროსი სწორედ ყაბალას ასახელებს ამ ქვეყნის მთავარ ქალაქად². აქ დიდი ხანია, რაც მიმდინარეობს სისტემატური არქეოლოგიური გათხრები და განსახილველი ნაგებობაც სწორედ ნაქალაქარის ფარგლებშია მოქცეული.

ნაგებობა წლების მანძილზე ითხრებოდა და ეტაპობრივი ანგარიშებიც სისტემატურად ქვეყნდებოდა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში³, ხოლო 1977 წელს სრული ანგარიში მივიღეთ ძეგლის ანალიზითურთ, სადაც მისი ფუნქციის განსაზღვრისა და გრაფიკული რეკონსტრუქციის ცდებიცაა მოცემული⁴. ეს ძეგლი შემდგომაც არ დარჩენილა ყურადღების გარეშე. აღმოსავლური ხუროთმოძღვრების ზოგად საკითხებზე მსჯელობისას მას ხშირად მიმართავენ მკვლევარნი⁵.

ნაგებობა საგრძნობლად წაგრძელებულ სწორკუთხედშია ჩაწერილი (ტაბ. LVIII) და სათავეები მიმდევრობით ებმის ერთმანეთს, რითაც ის, ერთი შეხედვით, ვანის ტაძარ-პროპილეუმს ემსგავსება (თხრობის გამარტივებისათვის სათავესაც მიმდევრობით მარცხნიდან მარჯვნივ ვნომრავ). პუბლიკაციის ავტორი აღნიშნავს ამ ძეგლის „ორნაწილიანობას“⁶, რაც მართლაც კარგად ჩანს გეგმაზე. დასავლეთი ნაწილი შედგება: ვიწრო, ყრუ კამერისაგან (1), დასავლეთ (2) და სამხრეთ (4) კორიდორებისაგან, სვეტებიანი კვადრატული დარბაზისა (3) და „პოლისაგან“ (5). ნაგებობის ამ ნაწილს სამხრეთიდან თავისი კარიბჭე აქვს, რომლიდანაც „პოლში“ შევდივართ. „სათავეები“ მიმდევრობით ებმის ერთმანეთს ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილშიც. ნაგებობის უკიდურესი აღმოსავლეთი სივრცე (9) ვიწრო დერეფნით (8) უკავშირდება ვრცელ სვეტებიან დარბაზს (7), რომელსაც თავის მხრივ კიდევ ერთი დარბაზი ებმის (6).

ნაგებობას ქვის ცოკოლი არა აქვს. სამშენებლო მოედანი ალიზის აგურებითაა ნიველირებული და ნაგებობაც, რომლის კედლების სტრუქტურა მთლიანად ალიზისაა (აგურის ზომებია $18 \div 20 \times 44 \div 45 \times 13$ სმ) უშუალოდ პლატფორმაზეა დასმული. კედლების სისქე ყველგან ერთი ზომისაა — 2,1 მ, რაც 10 გრძივად დაფენილ აგურს ითვალისწინებდა. ნაგებობის გრძივ კედლებს გარე მხრიდან ებჯინებოდა სუბსტრუქციაში 3,5 მ შუალედებით ჩარჭობილი ხის 30 სმ დიამეტრის მქონე ბოძები. პუბლიკაციაში მათი ფუნქცია ახსნილია როგორც ნაგებობის კედლების გამყოფი დერეფნის გასამართავი სვეტები⁷. რეკონსტრუქცია ძნელი მისაღებია, რადგან ალიზის აგურით ამოყვანილ ჰორიზონტულ წყობაში ნივნივების დაფერდებული გარჭობა კონსტრუქციულ აზრსაა მოკლებული. ვფიქრობ, რომ ბოძები აქ კედლის მდგრადობის გასაძლიერებლად იყო საჭირო. ისინი პილასტრების ფუნქციასაც ასრულებდა და კედელს შესაძლო დეფორმაციისაგანაც იცავდა, რაც მოსალოდნელი იქნებოდა, რადგან იგი მყარი ცოკოლის გარეშე უშუალოდ პლატფორმიდან იწყება.

ამავე დროს „პილასტრებს“ უთუოდ დაეყრდნობოდა კედლის ზედა, ჰორიზონტული სარტყელი, რომელიც თავის მხრივ კრამიტის საბურვლისათვის ზღუდარი იქნებოდა.

სამ დარბაზში, როგორც ჩანს, ხის სვეტებისთვის განკუთვნილი ქვის ბაზისები იდგა. მათი სახე — მაღალსაფეხურებიან პლინტუსზე დაფუძნებული ნაოთხალი ლილვი (ტაბ. LVIII₂) შეიძლება

„ორდინალურად“ მონათლოს ამიერკავკასიისათვის. ეს დეტალები აქემენიდურ ცენტრებში სრულყოფილ ლილვიან ბაზისთა მემკვიდრეებია და მათი გამარტივების შედეგია, რაც იმაში ვლინდება, რომ სრულფასოვანი ლილვი აქ ნაოთხალით შეიცვალა. ისინი განსაკუთრებით პოპულარული სწორედ ამიერკავკასიაში ჩანს, სადაც მისი გავრცელების ქრონოლოგიური საზღვარიც კი არ დგინდება მყარად⁸.

აღმოსავლეთ დარბაზთა (№№6, 7) ბაზისები გაცილებით დიდია (ზედაპირის დიამეტრი - $52 \div 55$ სმ), ვიდრე დასავლეთ ნახევარში (№3 დარბაზში) განთავსებულებისა (დიამეტრი - $40 \div 45$ სმ). გარდა ამისა, დიდ ბაზისთა პლინტუსები თითქმის მთლიანად მიწაშია ჩაფლული, რაც გვაფიქრებინებს მათ აქ მეორეულ გამოყენებას⁹. ჩანს ისიც, რომ ნაგებობის სიმაღლეს ხუროთმოძღვარი მცირე ბაზისთაგან გამომდინარე მოდულს უქვემდებარებს. ბაზისთა განსხვავებული დიამეტრები სვეტთა სხვადასხვა სიმაღლესაც გულისხმობს, მაგრამ აქ ნაგებობის ორივე ნაწილსათვის უთუოდ ერთი სიმაღლეა განზრახული და ბაზისთა სანახევროდ დამალვა აღმოსავლეთ მხარის დარბაზებში ვიზუალური შეუსაბამობის დასაფარავად ჩანს გამიზნული.

რეკონსტრუქციის ავტორს მთელი ნაგებობა ერთიანი გადახურვის ქვეშ აქვს მოქცეული და შიგადაშიგ ცალკეულ უჯრედებში გვირგვინებსაც (ცრუ გუმბათებს ერდოთი) ვარაუდობს. მცირე დარბაზის (3) გვირგვინი საესებით სარწმუნოა, რადგან აქ ბაზისთა გრძივ ლერძზე განთავსება უთუოდ განივ კოჭებს ითვალისწინებდა. რაც შეეხება (5) სათაესს, სადაც ასეთივე გვირგვინი წარმოდგენილი, ვფიქრობ, იგი საერთოდაც გადაუხურავი უნდა ყოფილიყო. ჩრდილოეთ არეში მიკვლევულ იქნა (in Situ) სწორკუთხა კვადრი (40×50 სმ), რომელიც სვეტის ბაზისადაა მიჩნეული¹⁰. დარბაზებისგან განსხვავებით, არ ჩანს მეორე ბაზისი და, ცხადია, შეგვიძლია დავუშვათ კიდევ, რომ მან ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ საეჭვო ისაა, რომ ხუროთმოძღვარს სწორედ ამ სათაესში, რომელიც სამხრეთიდან ფართო, საზეიმო კარითაა აღჭურვილი, სვეტთა საყრდენად ესოდენ უსახო კვადრი გამოეყენებინა, რომლის ზედაპირი იატაკის დონეს არც კი სცილდება. გარდა ამისა, იგი აცილებულია როგორც დიდ, ასევე მცირე დარბაზების ჩრდილოეთ ბაზისთა ცენტრებზე გამავალ გრძივ ლერძებს. თავის მხრივ, არც მცირე და არც დიდ დარბაზთა ბაზისების გრძივი ლერძები თანხვდება ერთმანეთს (ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს გამოქვეყნებულ გეგმაზე, ტაბ. LVIII). ეს „შეუსაბამობანი“ მთელი ნაგებობისათვის უწყვეტი გადახურვის წარმოდგენას აძნელებს და ამავე დროს კიდევ ერთხელ ადასტურებს ნაგებობის დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეთა ერთმანეთისაგან სრულ გამიჯნულობას, რაც თავის მხრივ წარმოშობს აზრს იმის შესახებ, რომ მათ სხვადასხვა ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ჩემი აზრით, შესაძლებელია ამ ნაგებობისათვის მიკუთვნებული განსაზღვრება - „საზოგადოებრივი“ უფრო მეტად დაკონკრეტდეს.

ნაგებობის დასავლეთი მხარე (ტაბ. LVIII), ვფიქრობ, საკულტო დანიშნულებისაა, ხოლო მთელი ნაგებობა - ტაძარ-სასახლეა. მინდა შევჩერდე მეორე დარბაზზე (3) როგორც კვადრატული გეგმის მქონე სვეტებიან სფერულ ცენტრალური ჩაღრმავებითა და საგანგებოდ კუთხეში გამართული კარით. ყველაფერმა ამან, ერთად თავმოყრილმა, შეუძლებელია არ მოგვაგონოს ცეცხლის ტაძარი, უფრო ზუსტად, აქ გვაქვს ცეცხლის ტაძრების პრინციპულ ელემენტთა ერთობლიობა. სვეტებს შორის არსებული ჩაღრმავება, რომლის კედლები ცეცხლისგანაა გაწითლებული, უთუოდ საკულტო კერაა და, ცხადია, მის თავზე გვირგვინი საესებით ლოგიკური წარმონაქმნია. ამასთანავე, კიდევ მინდა გავიმეორო, რომ სვეტთა ამდაგვარი, განივი კოჭებისათვის გამიზნული და სხვა დარბაზთაგან განსხვავებული დგომა შეიძლება მხოლოდ გვირგვინს ითვალისწინებდეს.

რაც შეეხება სათაესსა (5) და მასში in Situ ფილასს, რომელიც, ჩემი აზრით, შეცდომით სვეტის ბაზისად იყო მიჩნეული, იგი შეიძლება მხოლოდ საკურთხევის ფრაგმენტი იყოს; მისი ძირი და მთლიანად ფართობი ასევე საკულტო დანიშნულების ცერემონიალური სველებისთვის გამიზნული ღია ეზო მგონია. სრულყოფილი გარსშემოსავლელის ნაცვლად ცელას ირგვლივ აქ უკვე მხოლოდ დარბაზის ორ მხარეს გამყოფი დერეფნები გვაქვს (№№2 და 4). გარსშემოსავლელი

მიჩნეულია ცეცხლის ტაძართა ყველაზე დამახასიათებელ ელემენტად, მაგრამ იგი გადამუშავებასაც ადვილად ექვემდებარება და სახეცვლილი ფორმით აქემენიდური ხანის მომდევნო ტაძრებშიც ძალიან ხშირად გვხვდება.

№№1 და 2 სათავსოებში კრამიტყრილისა და დანახშირებული ძელების ქვეშ ხორბლისა და ქერის გროვები აღმოჩნდა, რაც მიგვანიშნებს, რომ აქ ტაძრის ბელელი იყო გამართული. როგორც ჩანს, მარცვლელი აქაც მონაწილეობდა ქურუმთა მეშვეობით წმინდა პკურების რიტუალებში.

კიდევ ერთ ელემენტზე მინდა შევაჩერო ყურადღება. ესაა უშუალოდ ნაგებობის სამხრეთი კედლის სტრუქტურაში, შიდა მხრიდან, ტაძრის ღიობის კუთხეში გამართული ორწერტიანი ღუმელი. პუბლიკაციაში ვარაუდობენ, რომ ეს სათავსოა გასათბობი და კერძების დასამზადებელი ღუმელია, მაგრამ იგი ისეთ ადგილასაა გამართული, რომ ვერაფერს გაათბობს. აქვე მინდა გავიხსენო, რომ ზოროასტრულ რიტუალში მონაწილეობდა ცერემონიალური საკვებიც, საგანგებო კვერი („დარუნ“¹²) და ამ დანიშნულებისათვის, თუ ტაძარი ზოროასტრულია, ღუმელის აღნიშნულ ადგილას გამართვა საესებით მიზანშეწონილი ჩანს ორივე საკულტო უჯრედთან (№№3 და 5) სიახლოვის გამო.

ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში საეჭვო მგონია №9 სათავსოს გადახურვის ქვეშ მოქცევა. აქ ბაზისები არ აღმოჩენილა, შუალედური სვეტების გარეშე კი მის გადახურვას 12 მ სიგრძის კოჭი მაინც დასჭირდებოდა, რაც თავისთავად შეუძლებელი არ უნდა იყოს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი კია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ნაგებობაში გაცილებით მცირე დარბაზები ასეთ საყრდენებს საჭიროებდა. ისედაც ამ უჯრედის იერი ალბათ ნაწილობრივ მოზღლდული ეზოს შთაბეჭდილებას ქმნის. გამოქვეყნებულ რეკონსტრუქციაში არ ჩანს, რა კონსტრუქციას ვარაუდობს ავტორი მის გადასახურადად.

ყბაღის ტაძარ-სასახლეში ორი, ფუნქციონალურად ერთმანეთისგან განსხვავებული ნაგებობაა გაერთიანებული. ისინი კიდევაც რომ არ ებმოდეს ერთმანეთს, ცალ-ცალკეც თითოეული მათგანი გრძივი სტრუქტურისაა, რაც გამოარჩევს მათ აღმოსავლურ სამყაროში გავრცელებული არქიტექტურული კომპლექსებისაგან. ტაძარ-სასახლეთა აღმოსავლური ტიპი შეიძლება მოკლედ დახასიათდეს როგორც ცენტრალური ეზოს გარშემო განლაგებულ სათავსო ერთობლიობა. ამავე სქემის მორჩილი სასახლეებიც, ხოლო ცეცხლის ტაძრები, როგორც ვანის ტაძარ-პროპილემთან დაკავშირებით აღვნიშნე, შეკრული, კვადრატული დარბაზისა და მის გარშემო თავმოყრილ სათავსო ერთობლიობაა. ესოდენ დიდი განსხვავება ყბაღის ტაძარ-სასახლისა ირანულ-პართული კომპლექსებისაგან გვაფიქრებინებს, რომ კავკასიის ალბანეთის ტერიტორიაზე რაღაც მძლავრი ფაქტორი განაპირობებს ნაგებობის გრძივი სტრუქტურის წარმოქმნას (იხ. რეკონსტრუქცია, ტაბ. LVIII). ჩემი აზრით, ეს ფაქტორი ელინისტური სამშენებლო საქმე და არქიტექტურული ნორმებია, რაც აქაც, საქართველოს ძველი ტაძრების ანალოგიურად, კრამიტით გადახურულ სახურავში გამოიხატა და რომელიც გადასახურავი ფართობის მეტ-ნაკლებ სიგრძივობას ნამდვილად მოითხოვს. აქაც ერთმანეთს შეუთავსდა გვირგვინი და კრამიტის ორქანობიანი სახურავი, იკვეთება ის მოთხოვნაც, რაც ადგილობრივმა კულტურულმა წრემ წაუყენა ხუროთმოძღვარს: უნდა შეიქმნას ტაძარ-სასახლე, სადაც უნდა შენარჩუნდეს ცეცხლის ტაძრის ყველა პრინციპული ელემენტი, ამასთანავე, მისი გარეგნული სახე მაინც უნდა იყოს ელინიზირებული და, ამდენად, პრესტიჟული იერის მქონე.

ძველი სომხეთის სატაძრო ხუროთმოძღვრება (მოკლე მიმოხილვა და მოსაზრებანი)

ძველი სომხური ტაძრების შესახებ ძნელი იქნება საუბარი და გაურკვევლობას ვერ დავაღწევთ თავს, თუ მასთან ერთად მოკლედ მაინც არ განვიხილავთ მის წინამორბედ, მძლავრ ურარტულ სატაძრო არქიტექტურას. ურარტულ ტაძრებზე მრავალი ნაშრომი არსებობს და

ალბათ შეიძლება მხოლოდ მათი ზოგადი დასკვნები გაგვეთვალისწინებინა, მაგრამ ამ ხუროთ-მოდღერების ზოგიერთ მხარეზე ყურადღების გამახვილება მაინც საჭირო მგონია. ურარტულმა სატაძრო არქიტექტურამ უდიდესი გავლენა იქონია მეზობელ რეგიონთა მოგვიანო პერიოდის საკულტო ნაგებობებზე და, ცხადია, მისი როლი სომხური, ე.ი. იმ კულტურული წრის ხუროთ-მოდღერებაზე, რომელიც უშუალოდ დაემკვიდრა ურარტულ სამყაროს, განუზომელია.

ურარტულ სამყაროში ტაძრის ყველაზე მეტად გავრცელებულ სახეს კოშკურა ნაგებობანი წარმოადგენდა¹³. ესაა გეგმაში კვადრატული შენობები კვადრატული ცელათი, სქელი კედლებითა და კუთხის რიზალიტებით. ამდაგვარი ტაძრები მრავალ პუნქტშია გათხრილი და, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მათ მეტ-ნაკლებად სხვადასხვა ზომას, ყველა ნიშნით ისინი ერთგვაროვანია (ტაბ. LX₁₃).

ამ ნაგებობებში განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც არქიტექტურული აზროვნების შედეგი, რიზალიტები აძეობს. იგი არაა მხოლოდ კონსტრუქციული ან დეკორატიული დანამატი. რიზალიტებს შორის მოქცეული საფასადე სიბრტყეები ზუსტად ასახავს ექსტერიერზე ცელას მოცულობას, ე.ი. რიზალიტები გვევლინება იმ დეტალებად, რომელიც ორგანულ კავშირს ამყარებს ნაგებობის გარე და შიდა მასებს შორის. მართალია, აქ გარე და შიდა მასების ერთიანობის ასახვა უმარტივესადაა გადაწყვეტილი, მაგრამ ასევე მარტივი სტრუქტურისაა თვით ტაძარი, შეზღუდულია შესაძლებლობები. სწორედ ასეთი შემთხვევის დროს ამ იდეის ასახვის მარტივი და ამავე დროს მხატვრულად სრულყოფილი გადაწყვეტა ურარტული სატაძრო არქიტექტურის მნიშვნელოვან მონაპოვრად მიმაჩნია. რიზალიტებმა სავსებით დაკარგა ეს მნიშვნელობა აქემენიდურ „კოშკურა ტაძრებში“ (ტაბ. LX₄) და იქ მხოლოდ დეკორად გააგრძელა არსებობა¹⁴. ძირითადი არსი ურარტული რიზალიტებისა ირანში უცნობი დარჩა.

როგორც ჩანს, რიზალიტებს შეიცავდა აქემენიდური პერიოდის არინ-ბერდის „დიდი ცეცხლის ტაძარიც“, რომელიც ურარტული სუზის ტაძრის გადაკეთების შედეგად მივიღეთ (ტაბ. LX₆)¹⁵. ვფიქრობ, თავდაპირველად ეს ტაძარიც ზემოთ აღწერილ ნაგებობათა მსგავსი იყო. ამაზე უპირველესად წინა ფასადი მეტყველებს – კარის ღიობის პილონები და კედლის შესქელებებს შორის შეწყული საფასადე სიბრტყე. კარის ღიობის ამდაგვარი გადაწყვეტა შესაძლოა მომდინარეობს გვიანხეთური სამყაროდან: კარსემიშის კვადრატული ტაძარი (ტაბ. LX₅)¹⁶ და ურარტულ კოშკურა ტაძართა ღიობები ერთი და იგივე სქემითაა შექმნილი. რაც შეეხება აქემენიდურ ცეცხლის ტაძართა გეგმარებით სტრუქტურას, აქ იგი ვერ მივიღეთ. მისი გავლენა მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ ტაძრის ირგვლივ გარსშემოსავლელის მსგავსი სივრცე შეიქმნა. ჩემი აზრით, მთლიანად არინ-ბერდის ხუროთმოდღერული კომპლექსი ფრიად საინტერესო სურათს იძლევა (ტაბ. LX₁₃): ამ ურარტული ქალაქის ნანგრევები აქემენიდთა იმპერიის ერთ-ერთი სატრაპიის ცენტრის საფუძველი გახდა¹⁷. შეიძლება თვალი გავადევნოთ იმას, თუ რა შემთხვევაში და რა დონით შეძლო აქემენიდურმა არქიტექტურულმა ფორმებმა მძლავრობა ურარტულ ნაქალაქარში. აქ მთლიანად აისახა აპადანას ტიპოლოგიური სურათი¹⁸, მაგრამ სრულებით ვერ მივიღეთ „აიადანა“ თავისი ყველა კომპონენტით და ეს მაშინ, როცა ურარტულ სახელმწიფოებრიობასა და აქემენიდური იმპერიის შექმნას შორის სულ ცოტა 70 წლის შუალედი. ცხადია, ასეთი რამ უპირველესად ურარტულმა მძლავრმა ტრადიციებმა განაპირობა.

ფაქტურად ურარტულია აქემენიდური პერიოდის მეორე ტაძარიც არინ-ბერდში, ე.წ. მცირე ცეცხლის ტაძარი (ტაბ. LX₁₁₄). მის გეგმარებას არაფერი აქვს საერთო ირანულ ცეცხლის ტაძრებთან – ესაა კვადრატის მარტივი დანაწევრების შედეგად მიღებული სქემა, სადაც გრძივი სათავსი ცელადაა გააზრებული. ამ ტაძრის ტიპოლოგიის დასადგენად ფრიად შთამბეჭდავია ოვანესიანის მიერ მოხმობილი პარალელი. ესაა ურარტული კლდის სამლოცველო სენგირიდან (ტაბ. LX₁₁₅)¹⁹. მისი და „მცირე ცეცხლის ტაძრის“ გეგმები ერთ სქემასაა დამორჩილებული. ამ პარალელს, ვფიქრობ, უნდა მიემატოს მსგავსი, მაგრამ არა იდენტური კომპოზიციის არმაფირის (არგიშტიხინილის) დასავლეთ ციტადელის ურარტული ტაძარიც (ტაბ. LX₁₁₃)²⁰. ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ

ნუშ-ი ჯან თეფეს მიდიური „მცირე ცეცხლის ტაძარიც“ ურარტული გეგმარებითი სქემის უშუალო გავლენითაა შექმნილი (ტაბ. LXII)²¹, ყურადღება აქაც გრძივ ცელას უნდა მივაპყროთ როგორც კვადრატული ტაძრებისაგან პრინციპულად განმასხვავებელ ძირითად ბირთვს. მიდიელთა მიერ ტაძრის ურარტული სახეობის დასესება სავსებით შესაძლებლად და ბუნებრივად გამოიყურება, თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა აზიაში სწორედ მიდიამ შეცვალა ურარტუ როგორც ჰეგემონი და ნაწილობრივ მის კულტურულ ტრადიციებსაც დაემკვიდრა. გარდა იმისა, რომ „მცირე ცეცხლის ტაძრისა“ და ნუშ-ი ჯან თეფეს ასევე „მცირე ცეცხლის ტაძარში“ შეინიშნება ერთი საწყისი სქემა, ცელას კედლები ორივე შემთხვევაში ნიშებითაა დანაწევრებული. ასევეა ურარტულ კლდის სამლოცველოშიც. ტაძართა ამ ტიპს გრძივი ცელათი უახლოვდება ურარტული პერიოდის მრავალმხრივ საინტერესო ნაგებობაც – ჰალდეს ტაძარი კვლავ არინ-ბერდიდან (ტაბ. LXI4). ნაწილობრივ ამ ძეგლს მიება აქემენიდური აბადანა ძვ.წ. IV ს-ში²². გამორიცხული არა მგონია, რომ ტაძრის ეს მოდელი ზემოაღწერილი სქემის სრულყოფაა. მართალია, მოგვიანებით სომხეთში არ შეინიშნება ამ მოდელის უშუალო გავლენა, მაგრამ, ვფიქრობ, გაცილებით გვიან, ადრექრისტიანულ ხანაში ამ ტიპმაც გარკვეული როლი შეასრულა სომხური არქიტექტურის შემდგომ განვითარებაში.

ჩემი აზრით, საკმაოდ საინტერესო ძეგლია ასტხი-ბლურის საკულტო კომპლექსი (ტაბ. LXII5). ოვალური მოყვანილობის ტერიტორია გეგმაში მოზღუდულია წრიულ-ოვალური ორმაგი გალავნით, შემოფარგლული ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში კი თვით სამლოცველოა აღმართული. ამჟამად სამლოცველოს (თუ ტაძრის) მხოლოდ ქვედა სტრუქტურაა შემორჩენილი, მაგრამ მისი გეგმა სრულად იკითხება (ტაბ. LXII6)²³. საინტერესო ისაა, რომ ნაგებობის კედლები უზომოდ სქელია, რამაც თავისთავად დაბადა აზრი, რომ ტაძარი კოშკურა იყო. გარდა ამისა, ყველა კედელი სხვადასხვა ზომისაა. დასავლეთიდან ნაგებობას აფარებული აქვს კედელი-ფარი. ამდენად, ტაძარში შესვლა ხდებოდა სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. აქ აშკარადაა გატარებული ცელას გარედან დაფარულობის პრინციპი. ესაა ცელას დაფარულობის უმარტივესი გადაწყვეტა. ტაძრის მთავარი კარი, ვფიქრობ, სამხრეთიდან უნდა ყოფილიყო გამართული, რადგან იგი ორიენტირებულია წინა, მომრგვალებული ეზოსაკენ. განსაკუთრებულ ყურადღებას ტაძრის ნ მ სისქის კედელი იპყრობს. მსგავსი სურათი გვაქვს კარხემიშის ხეთურ ტაძარშიც. აქაც უკანა კედელი საგანგებოდაა შესქელებული (ტაბ. LX5). რ. ნოიბანს მიაჩნია, რომ უკანა კედლის შესქელებაში საფეხურები და ნიშები იყო მოწყობილი²⁴. ეს აზრი სავსებით მისაღები ჩანს ჩვენს შემთხვევაშიც. ამ კომპლექსის გათხრისას დიდი რაოდენობის სატაძრო ინვენტარი აღმოჩნდა – თიხათერიონები²⁵. თუ არა ნიშები, მათი სათავსი აქ არსად არის.

როგორც ჩანს, ეს კედელი თავის სტრუქტურაში ტაძრის ზედა ნაწილში ასასვლელ საფეხურებსაც შეიცავდა. ტაძრის კედლები სრულიად ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ ნაგებობა მხოლოდ ერთსართულიანი არ იყო.

აქვე აღმოჩნდა ორსართულიანი ტაძრის თიხის მოდელიც (ტაბ. LXII7)²⁶, მრავლისმეტყველი ნივთი. ძალიან მოკლედ ესეც მინდა განვიხილო. ტაძრის გამოსახულება აქ წრიულ ფართობშია აღმართული და ამ ფართობის შემომსაზღვრელი გალავანიც გულდასმითაა გამოსახული. მოდელზე არსად ჩანს ზედა სართულში შესასვლელი კიბე. ცხადია, პირველი სართულის სტრუქტურაში იგულისხმება საფეხურები. ამასთანავე, ტაძრის გამოსახულება აქ დასმულია არა წრის ცენტრში, არამედ რამდენადმე კიდისაკენ – ამით ტაძრის წინა ეზოა გამოყოფილი. ზუსტად ასეთივე სურათია თვით ასტხი-ბლურის სატაძრო კომპლექსში. ყურადღება უნდა გამახვილდეს აგრეთვე მოდელის ორქანობიან სახურავზე. ესლა ძნელია რაიმეს თქმა იმის შესახებ, თუ რა სახის საბურველი ივარაუდება მოდელში, მაგრამ ეს ორქანობიანობა რეალურ სინამდვილეს ასახავს და ეს სინამდვილე უთუოდ ისაა, რამაც მოგვიანებით, ელინისტურ ხანაში სომხეთში კრამიტის საბურველი განაპირობა, ე.ი. აქ გაცილებით ადრე, ვიდრე კრამიტი გაჩნდებოდა, მის მისაღებად,

განსხვავებით აღმოსავლური ხუროთმოძღვრებისაგან, მზად ჩანს ნაგებობათა ზედა სტრუქტურები, რომელიც ბოლომდე გულგრილი დარჩა ორქანობიანობისა და, შესაბამისად, კრამიტისადმიც. დარწმუნებული ვარ, რომ მოდელი ზოგადად არა, მაგრამ დაწვრილებით ასახავს თვით კომპლექსის ძირითად ხუროთმოძღვრულ თემატიკას. მრავალსართულიანობა, გეგმაში მომრგვალებული გალავანი, ტაძრის მდებარეობა შემოსაზღვრულ ფართობსა და ასეთივე სურათი მოდელში საკმაო საფუძველს მძლევს ამ აზრის გამოსათქმელად. ამასთანავე, მოდელზე, ტაძრის გამოსახულების კარის ღიობის საპირისპიროდ, გალავნის გარე მხრიდან კარგად შეინიშნება წრიული დანამატები. ტაძრის საპირისპიროდ ასეთივე გამოყოფილი, ცალკე მოსაზღვრული ფართობი კომპლექსშიც ჩანს. მართალია, კომპლექსის გალავანი ზუსტად არ იცავს წრიულობას, მაგრამ აქ რომ გატარებულია მისი გეგმის სიმრგვალე როგორც თემა, ვფიქრობ, ცხადია. ეს იმდენად ხერხდება, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა რელიეფი. ასე რომ, მოდელი მე შესახება ასაგები კომპლექსის წინასწარული გააზრების ანასახად, სამუშაო მოდელად, მხატვრული და რელიგიური მისწრაფებების მიკროსტრუქტურად.

კიდევ ერთი ძეგლი მინდა განვიხილო – ადრესომხური პერიოდის ნაგებობა ერვანდშატიდან (ტაბ. LXI). მაგრამ მანამდე ურარტული ტაძრის რეკონსტრუქციებსა და მათთან კავშირში ხორსაბადის რელიეფზე ასახულ მუსასირის ტაძარს (ტაბ. LIX₄) ზოგადად შევეხები. ძირითადად ცნობილია ურარტული ტაძრის რეკონსტრუქციის სამი ვარიანტი: ტ. ოცვიუსის (ტაბ. LX₂)²⁷, ე. აკურგალისა (ტაბ. LIX₁)²⁸ და ვ. კლეისის (ტაბ. LIX₃)²⁹. ეს რეკონსტრუქციები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება, მიუხედავად იმისა, რომ სამივე ერთსა და იმავე საფუძველს ეყრდნობა – კვადრატული ტაძრის გეგმას. ოცვიუსის მიხედვით, ტაძარი წარმოადგენდა კუბურ მოცულობას, რომლის მთელი სიმაღლე ფლანკირებულია რიზალიტებით. რეკონსტრუქციაზე ეს ფორმები სცილდება რიზალიტების დანიშნულებას და პილონების მსგავს სახეებად გამოიყურება. მათ ე. აკურგალი ცრუ სარკმლებითა და მერლონებით დასრულებულ, ზედა სტრუქტურაიან კოშკურა ტაძრად – მაღლივ ნაგებობად მიიჩნევს, სადაც სართულიანობის გარეშე შიდა სივრცე ვერტიკალურადაა ორგანიზებული. ამათვან პრინციპულად განსხვავდება კლეისის რეკონსტრუქცია. მან სხვა საფუძველიც შეიტანა რეკონსტრუქციაში, კერძოდ, მუსასირის ტაძრის გამოსახულება და ტაძარი კვადრატულ (კვადრატული ტაძრების გეგმათა მიხედვით), დაბალ, რიზალიტებით დანაწევრებულ, საფასადე სიბრტყეებიან და პირამიდულსახურაფიან ნაგებობად წარმოსახა. ე. აკურგალმა სავსებით უარყო კლეისის რეკონსტრუქცია როგორც კვადრატული ტაძრების საერთო მასების შესაძლო ვარიანტი იმ მიზეზის გამო, რომ ამ ნაგებობათა მასიური, არაბუნებრივად სქელი კედლები შეიძლება მხოლოდ მაღლივ შენობებს გულისხმობდეს. გარდა ამისა, იგი თვლის, რომ მუსასირის რელიეფი ტაძრის სრულიად სხვა, არქეოლოგიურად ჯერ გამოუვლენელ ტიპს ასახავს და მას საერთო არაფერი აქვს კვადრატულ კოშკურა ტაძრებთან³⁰. ერთი რამაა აქ ცხადი: მუსასირის რელიეფი ასახავს ტაძრის რეალურად არსებულ ტიპს და იგი სრულებით არაა ფანტაზიის ნაყოფი. ვფიქრობ, ტაძრის სწორედ ამ ტიპზე მიგვანიშნებს ან სულაც ამ ტიპთან გვაქვს საქმე ერვანდშატის ნაგებობის სახით (ტაბ. LXI₂). ესაა დიდი, კვადრატული (25,05×25,05 მ) ნაგებობა, რომელიც საცხოვრისადაა მიჩნეული. აღნიშნავენ აგრეთვე მისი იერის ურარტულ ნაგებობებთან, მაგ., ოშაკანის სიმაგრესთან მსგავსებას³¹. უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ ურარტული კვადრატული (კოშკურა) ტაძრებისაგან განსხვავებით, ეს ნაგებობა არა მხოლოდ კუთხეებში, კედლის საფასადე სიბრტყეებზეც რიზალიტებს შეიცავს. მიჭირს ამ ნაგებობის საცხოვრისად მიჩნევა. ჩვენ მრავლად ვიცნობთ ურარტულსა და მოგვიანო პერიოდის საცხოვრისებს, როგორც ცალკეულ, ასევე სექციურ ნაგებობებს³². მათ სტრუქტურასთან ერვანდშატის ნაგებობას არაფერი აქვს საერთო. თანაც ესოდენ დიდი, დაუნაწევრებელი შიდა კვადრატული სივრცე (დაახლოებით 400 მ²) სრულიად მიუღებელია საცხოვრისისათვის. არ უნდა გამოვრიცხოთ ის, რომ ეს ურარტული პერიოდის ქმნილებაა და მან არსებობა მოგვიანებითაც გააგრძელა. მაგრამ იგი უთუოდ საკულტოა, მისი სხვა ფუნქცია აქ არ ჩანს. ამასთანავე, შეუძლებელია მისი კომკად გააზრება: ჯერ ერთი, მისი დიდი ფართობისა და,

ამასთანავე, შეუდარებლად თხელი კედლების გამო. ვფიქრობ, ეს ნაგებობა თითქმის ზუსტად ასახავს მუსასირის ტაძრის ტიპოლოგიურ მოდელს და რელიეფის ავტორიც სწორედ ამდაგვარ ტაძარს ითვალისწინებდა. ხორსაბადის რელიეფზე კედლის ისეთივე სტრუქტურა იკითხება, როგორც ამაზე ერვანდაშატის ნაგებობის გეგმა მიგვანიშნებს, იმ განსხვავებით, რომ მუსასირის ტაძარზე კედლის სიბრტყე ოთხი (ტაბ. LIX₄), ხოლო ერვანდაშატში ორი რიზალიტით (ტაბ. LXI₁) ნაწევრდება. ერვანდაშატის გეგმა მნიშვნელოვანი მონაპოვარი მგონია. იგი სრულ ტიპოლოგიურ შესაბამისობაშია მუსასირის ტაძართან, ე.ი. ვთვლი, რომ ხორსაბადის რელიეფისათვის გვაქვს რეალურად შესატყვისი ტაძარი. შესაძლოა, ამ ორ ქმნილებას შორის დიდი ქრონოლოგიური შუალედია, მაგრამ ეს მხოლოდ ტრადიციათა სიმძლავრეზე მიანიშნებს.

როგორც ვხედავთ, ურარტული სახელმწიფოებრიობის მოსაზრების შემდგომ ამ კულტურული წრის მიერ შემუშავებული სატაძრო არქიტექტურის ნორმები მოგვიანო პერიოდშიც აგრძელებს არსებობას და მეჩვენება, რომ ჩვეული გზითაც ვითარდება (ასტხი-ბლურის მოდელზე ასახული თემატიკა) და ირანული იმპულსების მეტ-ნაკლები სიძლიერით ასხლეტასაც ახერხებს. ირანიდან შემოსული ის ორიოდე ელემენტი, რომელიც თავს იჩენს ადრესომხურ პერიოდში (გარსშემოსავლელი, კედელი-ფარი და სხვ.), ნაგებობათა ტიპოლოგიაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. სრული დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ირანულმა „ცეცხლის ტაძარმა“ სწორედ ურარტული მძლავრი ტრადიციების გამო ვერ მოიკიდა ფეხი. ამ ტრადიციებმა გაკვალეს, ჩემი აზრით, სომხური არქიტექტურის შემდგომი განვითარების გზაც.

¹ Ptolem. Geogr. V. 11,2.

² Plin. NH. VI. 10,29.

³ Бабаев И.А., Казиев С.М., Османов Ф.Л. Исследования в Кабале. АО-1970 г. М. 1971. с.394; Бабаев И.А. Раскопки городища и могильника Кабалы. АО-1971 г. М., 1972. с.485 და შებდ.

⁴ Бабаев И.А. Исследования общественного здания второй половины I в. до н.э. - I в. н.э. на городище Кабала. СА. 1977. №4. с.217-27.

⁵ Акопян А.М. Связи Армении и Кавказской Албании с Парфией (Градостроительство и архитектура) СА. 1979. №4. с.26-38.

⁶ Бабаев И.А. Исследования... с.218.

⁷ იქვე სურ.4.

⁸ ბაზისთა ამ სახეობის შესახებ იხ. Пичикян И.Р. Традиции Востока в древнеармянской архитектуре. МСАИ- II. Ереван. 1978. с.4; Пичикян И.Р. Торovidные базы (происхождения, хронология) КИНСАДС. М., 1979.

⁹ რამდენადმე სხვა მიზნით პერსეპოლისშიც ვხვდებით მსგავს სურათს – ზარისებურ ბაზისთა ცოკოლი სანახევროდ მიწაშია ჩაფლული (პარეში, აპადანა), ნაწილობრივ მიწითაა დაფარული ტორუსიანი ბაზისები საგანძურშიც და სხვ. ასე რომ, ეს წესი (ბაზისთა კორპუსების ნაგებობებში არასრულად გამოვლენა) მეტ-ნაკლებად აღმოსავლური ტრადიციით გაპირობებული ჩანს. იხ. E.F. Schmidt. Persepolis. I. fig.56_F; 72; 107_{F,1}.

¹⁰ Бабаев И.А. Исследования... с.218.

¹¹ იქვე

¹² G. Gropp. Die Funktion... s.159.

¹³ Th. B. Forbes. Urartian Architecture. Oxford. 1983. p.76-81.

¹⁴ შტრ. D. Stronach. Urartian and Achaemenian Tower Temples. JNES. 26 (1967). s.278-88. fig.1.

¹⁵ Оганесян К.Л. Арин-Берд. I. с.88-9.

¹⁶ R. Naumann. Architektur Kleinasiens. s.404; Th. B. Forbes. Urartian... fig.49.

¹⁷ Оганесян К.Л. Арин-Берд. I. с.77-8.

¹⁸ იქვე

¹⁹ იქვე გვ97-102. სურ.51/52.

- ²⁰ Th. B. Forbes. Urartian... p.74. fig.40.
- ²¹ ռ. D. Stronach. La Decouverte du Premier temple Mede dans la Region D'ecbatane (Hamadan. Iran). AIBL-1977. Nov.-Déc. Paris. 1977. fig.2,2.
- ²² Th. B. Forbes. Urartian... fig.39.
- ²³ Եսայն Ս.Ա. Древняя культура племен Северо-Восточной Армении. Ереван. 1976. с.44-5, 231. таб.29.
- ²⁴ R. Naumann. Architektur Kleinasiens. s.404.
- ²⁵ ռ. Եսայն Ս.Ա. Астхиблурский могильник. ВОН №6. 1968.
- ²⁶ Եսայն Ս.Ա. Древняя культура... таб.29; Халпахчян О.Х. Строительная культура... с.131, 42; Тиранян Г.А. Армения VI-IV вв до н.э. ДГКСА. с.38-9. таб.ХI₂.
- ²⁷ Th. B. Forbes. Urartian... fig.51.
- ²⁸ Էк. Akurgal. Urartüische und... abb.1.
- ²⁹ W. Kleiss. Zur Rekonstruktion... IM. В 13/14. 1963/1964. s.1-14. abb.5,8,9.
- ³⁰ Էк. Akurgal. Urartüische und... s.16.
- ³¹ Канемян А.Г. Архитектурно-строительная культура античной Армении. Рукопись. с.67. таб.30; Канемян А.Г. Архитектурно-строительная культура античной Армении. Автореферат, дисс. на звание канд. ист. наук. Ереван. 1988. с.11-6.
- ³² ՅԵԸ. Th. B. Forbes. Urartian... p.115-33.

თავი IV

საქართველოს წინარქისტინული სატაძრო არქიტექტურის განვითარების ძირითადი მიმართულებანი

წიგნის ამ თავის მიზანი ზემოთქმულის ნაწილობრივი შეჯამება და ძველი ქართული საკულტო არქიტექტურის ცალკეულ საკითხთა განზოგადების ცდაა. აქვე მინდა განვსაზღვრო ძველი ქართული ტაძრების როგორც ქმნილებათა საეტაპო მნიშვნელობა მონუმენტური საკულტო არქიტექტურის განვითარების გზაზე.

განხილული ძეგლებიდან ყველაზე ადრეული ნაგებობა (ძვ.წ.V-IV სს.) ვანის ნაქალაქარის ხის ტაძარია (ტაბ.12,3), რომელმაც ბევრი რამ შესძინა ჩვენს ცოდნას როგორც სამშენებლო ტექნიკის, ასევე გეგმარებითი კომპოზიციის თვალსაზრისით. აქ უპირველესად საძირკვლის კონსტრუქცია იქცევა ყურადღებას როგორც კარგად გააზრებული სისტემა, რაც კლდის ზედაპირის, ნაგებობის ხის სტრუქტურასთან ფუნქციონალური კავშირით გამოიხატება. ვიტრუვიუსი კოლხური ხის საცხოვრისის აღწერას სწორედ საძირკვიდან იწყებს და წარმოსახავს მას როგორც პირდაპირ მიწაზე დაწყობილ მორებს, რომლებსაც უშუალოდ ებმის კედელი¹. მასთან მინიშნებაც კი არაა სუბსტრუქციის რაიმე საგანგებო მომზადებაზე. ასეთი სურათი არქეოლოგიურადც დადასტურდა: კოლხეთის არქეოლიგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილ მრავალფენიან საცხოვრისში საძირკვლად სწორედ მიწაზე დაწყობილი პირველადი მორები ჩანს², მაგრამ ნამჭედურის გათხრებმა საძირკვლის სრულიად სხვა სისტემა გამოავლინა – წინასწარ შეუქმნიათ ქვაფენილი როგორც სუბსტრუქცია და მასში ხის მორები – საძირკვლის ბალიშები გარკვეული შუალედებით განუთავსებიათ³, ე.ი. კოლხეთში საძირკვლის კონსტრუქციას რელიეფის მიხედვით ირჩევდნენ და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მის ბუნებას საინჟინრო თვალსაზრისით იაზრებდნენ.

არანაკლებ საყურადღებო მგონია ვანის ხის ტაძარში კედელთა კონსტრუქციაც (ტაბ.111). ტრადიციული ჩანს მორების ურთიერთჭდობა, რაც საყვებით შეესაბამება ვიტრუვიუსის მიერ აღწერილ სქემას⁴. კოლხეთის მრავალ პუნქტში საკედლე ძეგლების კუთხეებში გადაბმის სწორედ ეს სისტემა დადასტურდა არქეოლოგიურად⁵, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ვანის ხის ტაძრის მიხედვით გავაცნობიერეთ ხის გრძივ კედელთა სტრუქტურა, რომლის შესახებ არც წერილობითი წყაროები და არც ეთნოგრაფიული პარალელები არაფერს ამბობდა. ვიტრუვიუსის ტექსტიდან ჩანს, რომ საცხოვრისის კედლები მთლიანი, დაუნაწევრებელი მორებით იგება და მის ფართობს მხოლოდ მორის სიგრძე განაპირობებს. ეთნოგრაფიული პარალელითაც (ჯარგვალი, კუმტურა, რაჭული სახლი და სხვ.) ფართობს მხოლოდ მორის სიგრძე განსაზღვრავს⁶ და არც აქ ჩანს მათი გრძივად გადაბმის რაიმე მცდელობა. მაგრამ სულ სხვაა ტაძარი, რომელიც ითვალისწინებს გალერეას და მასიურ, მზღუდავ კედლებს. აქ ეფექტური კონსტრუქციული სქემა მოსაძებნია სწორედ საძირკვლის ბალიშებიდანვე როგორც ყველაზე მდგრადი წერტილებიდან. კვლავ მორების ურთიერთჭდობის პრინციპით იმართება ხის „პილასტრები“, რომლებიც მთელ სიმაღლეზე კონტრფორსების ანალოგიურად მისდევს კედლებს და ამთლიანებს ცალკეული მორებით შედგენილ სტრუქტურას. კონსტრუქციული თემა აქ პილასტრის მსგავსია, ხოლო სქემა მთლიანად ხის შესაძლებლობებზეა დაფუძნებული.

ამავე დროს იგი ვერტიკალურად აღმართული ძელის, აფრის ანუ ბოყვის პროტოტიპია, რომლის ამოღარულ, ვიწრო გვერდებში ფიცართა ბოლოებია ჩასმული, რათა გამთლიანდეს და შეიკრას კედლის სტრუქტურა.

განსაკუთრებით საყურადღებო მანც ვანის ადრეანტიკური ტაძრის გეგმარებითი სქემა მგონია, ნაგებობის ძირითადი ბირთვი მასიური კედლებია და გალერეით გამხოლოებული, კვადრატული, გადაუხურავი სივრცე, რომელიც სანახევროდ ღიაა, მაგრამ მანც მკვეთრად გამოხატული გარსშემოსავლელითაა აღჭურვილი. ტაძრის ორგანიზაციის ეს პრინციპი იდეურ კავშირში ნამდვილადაა აღმოსავლურ საკულტო ერთეულებთან, სადაც გაცილებით ნათლადაა გამოხატული ცენტრალური კვადრატული სივრცისა და გარსშემოსავლელის ერთიანობა. მაგრამ ამ ძეგლიდან გამომდინარე, კოლხეთში, ადრეანტიკურ ხანაში თვით სატაძრო ნაგებობისადმი დამოკიდებულებაა უთუოდ სხვა. ვგულისხმობ ტაძრის გარე სამყაროსთან კავშირს, რაც გარემოსაგან სრული იზოლაციით გამორჩეული აღმოსავლური საკულტო ნაგებობისაგან განსხვავებით სწორედ გადაუხურავი სივრცითა და სანახევროდ ღია გარსშემოსავლელით ვლინდება. ვანში ბუნებრივი რელიეფი და გარემო, როგორც არქიტექტურული ელემენტი, უშუალოდ ტაძრის სისტემაში შედის და განაპირობებს ცერემონიულ სვლათა ორგანიზაციას.

შესაძლოა სწორედ ამ კოლხურმა ტრადიციამ შეასრულა გარკვეული როლი ელინისტური ხანის ვანის ტაძარ-პროპილეუმში, სადაც ვერ მივიღეთ ვერც გარსშემოსავლელი და ვერც ცალკეული დერეფნების სისტემა დარბაზის გარშემო: აქ, შესაძლოა, იბერთა გავლენითაც ადრეული, ღია კვადრატული ფართობის ნაცვლად კვადრატული დარბაზი გვაქვს, მაგრამ რიტუალისათვის (მსხვერპლთშეწირვა) საგანგებო მოედნები ღიაა და ის არეებიც, რომლებიც ცენტრალური ბირთვის გარშემო იყრის თავს, უშუალოდ განეკუთვნება ტაძრის არქიტექტურულ სისტემას. ვანის ნაქალაქარის ტაძარ-პროპილეუმის ცენტრალური კვადრატული ბირთვი შესაძლოა კოსმოგონიური წარმოდგენებით ენათესავებოდა კიდევ ადრეანტიკური ტაძრის ასევე კვადრატულ მოედანს. ქრონოლოგიურად ერთმანეთს საკმაოდ დაშორებულ ამ ნაგებობებში დარბაზიცა და მოედანიც ერთნაირად, კუთხეებით არის მიმართული სამყაროს მხარეებისადმი.

თუ ადრეანტიკური სამლოცველოს გავლენა ვანის მოგვიანო ცეცხლის ტაძარში მანც არაყოვლისმომცველია, ვანშივე ელინისტური ხანის ღია სამსხვერპლოები უშუალოდ მისი მეშვეობით რეა. ესაა სამი მხრიდან დაბალი კედლებით მოზღუდული, აღმოსავლეთისაკენ მიმართული ღია მოედნები, რომლებსაც გარს დედაქანში ნაკვეთი სასიარულო არე ევლება (ტაბ. LXIII).

ვანის ტაძარ-პროპილეუმში აგებულია ელინისტური სამშენებლო საქმის თითქმის ყველა ნორმის გამოყენებით. მასში ჩართულია ბერძნული ტრადიციული დეკორი, ვფიქრობ, პროპორციულობის სისტემაც ბერძნულია. ბუნებრივია, იბადება კითხვა: წარმოშობით ვინ იყო ამ ძეგლის ხუროთმოძღვარი — ბერძენი, კოლხი თუ იბერი? ამას ჩვენ ველარასოდეს გავიგებთ, მაგრამ ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი სამყარო, ხედა და ხერხები ნამდვილად ბერძნულია, და არათუ ხერხები, ბერძნულია სტერეოტიპებიც. ეს ვლინდება იმით, რომ ხუროთმოძღვარს დაუშვებლად მიაჩნია ელინისტური ტაძრების კანონიკურ მორთულობათა უარყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობის სტრუქტურა ამ დეკორის, როგორც წესი, უწყვეტ ფრიზად განთავსების საშუალებას სრულებითაც არ იძლევა, იგი მას მანც შეაქვს ტაძრის მორთულობაში, ამასთანავე, ამ თემისათვის სრულიად უჩვეულო ფორმებზე — ანტიფიქსებზე, ე.ი. ხუროთმოძღვარს აუცილებლად მიაჩნია მისი ასახვა. ეს მისთვის მორთულობის კანონიკური სახეა და ამ დეკორის გარეშე ტაძრის არსებობა ვერც კი წარმოდგენია, ე.ი. სამშენებლო საქმე და მორთულობის ელემენტები უდავოდ ბერძნულია.

ამასთანავე, აშკარად შეიგრძნობა ხუროთმოძღვრის ერთგვარი შებორკილება. იგი არაა დამნერგავი იმ არქიტექტურული კონცეფციისა, რომელსაც შინაგანად ატარებს. არქიტექტურულ კონცეფციას აქ განსაზღვრავს ადგილობრივი კულტურული წრე, ადგილობრივი საღვთო წარმოდგენები, წარმოდგენები საერთოდ ტაძარზე როგორც ღვთის სახლზე და სწორედ მათი ხორცშესხმა ევლება ხუროთმოძღვარს. ტაძარი, როგორც ტრადიციული სახეა, არსებობს ადამიანთა წარმოდგენაში მანამდე, სანამ იგი აღიმართება. ქმნილება უთუოდ უნდა პასუხობდეს წარმოდგენებს და შეავსოს წარმოდგენები. სწორედ ამიტომ არქიტექტორი აქ მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილუ-

ბას უქვემდებარებს ადგილობრივ მოდელს, აღმოსავლურ, შესაძლოა, ზოროასტრულ თემატიკას და მხოლოდ მისი პროფესიონალიზმის შედეგია ტადრის შედგენილობა, რომელიც სხვადასხვა წარმოდგენის ორგანული მთლიანობაა.

მართალია, ვანის ტადარ-პროპილეუმში ანთებული ცეცხლის ბუნების გასარკვევად პირდაპირი, კონკრეტული მოწმობა არა გვაქვს (იგი ძალიან ჰგავს ზოროასტრულ ცეცხლს), მაგრამ საქართველოში ცეცხლის ტადრების ესოდენი სიმრავლე დაფიქრების მიზეზს გვაძლევს. ორიოდ გამოწკიპის გარდა მათ ცელაში მუდმივი ცეცხლი ანთია. და ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ თვით ირანშიც ძვ.წ. IV ს-დან მოყოლებული მთელი პართული პერიოდის ჩათვლით დაახლოებით იმდენივე ცეცხლის ტადარია გამოვლენილი, რამდენიც საქართველოში (და ერთიც კავკასიის ალბანეთში), თანაც მხოლოდ ელინისტურ ხანაში. ამ მოვლენის საბოლოო ახსნა ამჯერად შეუძლებელი მგონია, მაგრამ, ვფიქრობ, მხედველობაში მისაღებია საერთო ისტორიული პროცესები. ჩვენ არ ვიცით ირანში რა მასშტაბს მიიღებდა „აიადანას“ მოდელი, მას რომ წინ არ გადალობებოდა თითქმის მთელი აღმოსავლეთის ძლიერი ელინიზაცია, რომელმაც რადიკალურად უარყო აქემენიდური არქიტექტურის პრინციპები. და თუ ამ დროსაც ტადრები აქა-იქ კვლავ ძველ სახეს მიჰყვება, ეს რელიგიურ წარმოდგენათა სიცოცხლისუნარიანობით აიხსნება, რომელიც მანც მძლავრად და შერყეული. ამის საილუსტრაციოდ მართოდენ ხატრაც კმარა, სადაც ამ საკულტო ქალაქის ტადრების დიდი ნაწილი უდავოდ ელინიზირებულია და დაახლოებით 40 ტადრიდან „აიადანას“ მოდელი მხოლოდ ერთ მათგანს უძევს საფუძვლად⁷.

ირანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე რელიგიური არქიტექტურის ელინიზაციას, ცხადია, იწვევს აქ ბერძნულ ღვთაებათა შემოღწევა, რაც პირველ ეტაპზე, პერსეპოლისის ცეცხლის ტადრის პილონთა წარწერით თუ ვიმსჯელებთ, მათ სინკრეტიზაციაში გამოიხატება (აპურა მაზდა – ზევსი, მითრა-აპოლონი და ჰელიოსი, ანაჰიტა-არტემიდა), თანდათანობით კი ამ პროცესს ღვთაებათა განუყოფელი ელემენტი – ტადარიც თან მოჰყვება, რომელიც ფუძნდება ირანში და ქმნის წინააღმდეგობას ტრადიციულ მოდელთა განვითარების გზაზე.

სხვა სურათია საქართველოში. მთელ მის ტერიტორიაზე არ ჩანს ბერძნული ტიპის არც ერთი ტადარი. აქ სახეზე გვაქვს არა ელინიზაცია მთელი რეგიონისა, არამედ მხოლოდ დასესხებული ცალკეული ფორმები და მათით საზრდობის ცდები, თანაც საზრდობა გააზრებული და ქმედითი, რომელიც არქიტექტურის შემდგომი განვითარების გზაზე სრულიად ახალ საწყისებს წარმოშობს (იხ. ქვემოთ). საქართველოში ელინისტურ ხანაში ბერძნულ ღვთაებათა საკმაოდ მრავალრიცხოვან გამოსახულებებს ვხვდებით, მაგრამ მათ არ მოჰყვება შესატყვისი კომპლექსი და მისი ძირითადი ელემენტი – ტადარი. ბერძნულ ღვთაებათა გამოსახულებანი ასეთ შემთხვევაში აქ ჩანს მოდელად. მსგავსი ბუნების ადგილობრივ ღვთაებათათვის ბერძნული ღვთაების ყოველი გამოსახულება იძენს ადგილობრივ შინაარსს და წყვეტს არსებობას იმ სახით, რაც მას ჰქონდა თავის წარმომშობ მხარეში. სხვანაირად ვერ აიხსნება მათი ეულად, ტადრის გარეშე სიცოცხლე კოლხეთსა და იბერიაში.

საქართველოში თვით ტადრის ბუნებაა აღმოსავლური. ამ ტადრებში არსად გვაქვს ღვთაების ცხადი, პირდაპირი მინიშნება. ყველგან ვაწყდებით კულტის მაქსიმალურ გასაიდუმლოებას, მიწიერისაგან მისი განცალკევების ცდებს, რაც ვლინდება ღვთაების ჯაცნობიერების გზაზე აღმართული რთული და შთამბეჭდავი წინააღმდეგობით: მზლუდავი კედლებით, დერეფნებით, სამსხვერპლოებით, ყრუ კამერებით, დახშული კარიბჭეებით. შესაძლოა, სწორედ კულტის გასაიდუმლოების იდეა ის ძირითადი ფაქტორი, რამაც აღმოსავლეთში ვერ წარმოქმნა ტადრის ბოლომდე შემუშავებული, მყარად კანონიერი სახე. აქ, ცხადია, არსებობს სახელმძღვანელო, ერთგვარი იდეური მოდელი, მაგრამ არ არსებობს სტერეოტიპი, რადგან კანონიურობა შეიცავს განმეორადობის ცნებასაც, რაც გასაიდუმლოების იდეას ასუსტებს. ამიტომაც წინააღმდეგობა კომპლექსის ცალკეული ელემენტები აღმოსავლეთში ყველა შემთხვევაში ერთმანეთისგან განსხვავებულ სახეს იძენს. საქართველო

წარმართულ ტაძრებში ღვთაებანი სიმბოლოებით ან მათი კომპლექსითაა მინიშნებული: ტაძარ-პროპილევუმის ვარდულთა ფრიზით სწორედ შეწირულობათა მოედნის თავზე, კაპიტელთა რთული სიმბოლოებით დედოფლის მინდორზე და სხვ.

ტაძრებისადმი ეს დამოკიდებულება ცხადად და პირდაპირ სამკაულებითაც შეინიშნება და მინდა წიგნის მომდევნო ქვეთავი ექსკურსით დაეტვირთო, მით უმეტეს, ვფიქრობ, რომ მათი განხილვა შეეფერება ჩვენს წარმოდგენებს საქართველოს წინარექრისტიანული საკულტო ნაგებობების შესახებ.

ტაძართა გამოსახულებანი ძველი ქართული ოქრომეჭიდლობის ნიშნებში

მხოლოდ სამი ნივთის განხილვა მინდა, რომელთა შედგენილობა, ჩემი აზრით, ტაძრის გამოსახულებებს შეიცავს. ესენია ახალგორის განძის სასაფეთქლე საკიდები (ძვ.წ. IV ს.), გონიოს განძის ოქროს ბალთა (II ს.) და ხაიშის ოქროს საკიდი (III ს.).

ახალგორის სასაფეთქლე საკიდები (ტაბ. LXIV₁) იმ სამარხეული ინვენტარის ნაწილია, რომელსაც 1908 წელს სოფ. ახალგორის მიდამოებში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიაკვლიეს. განძის ყოველი ნივთი დაწვრილებით აღწერა ი. სმირნოვმა, მაგრამ ნაშრომის დასრულება მას არ დასცალდა და იგი იმავე სახით, როგორც მკვლევრის არქივმა შემოინახა, გ. ჩუბინაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოქვეყნდა⁸. მიუხედავად იმისა, რომ ი. სმირნოვი სასაფეთქლე საკიდებში აქემენიდური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ნიშანს ხედავდა, მათ იგი მანც ადგილობრივ ოსტატთა ქმნილებად თვლიდა⁹. ეს ნივთები მოგვიანებით არაერთმა მკვლევარმა განიხილა როგორც აქემენიდური სამყაროს პერიფერიული სკოლის შემოქმედება¹⁰. სასაფეთქლე საკიდები უკანასკნელ პუბლიკაციაში ძვ.წ. IV ს-ითაა დათარიღებული¹¹.

საკიდთა ცენტრალური ნაწილი წყვილი ცხენის ქანდაკებაა (ტაბ. LXIV₃), რომელთაც ზურგზე ზიარი უნაგირი ადგას; უნაგირიდან აღმართულია დეკორატიული არშია, რომელიც ვარდულით (ტაბ. LXIV₂) სრულდება. ცხენები დგანან ყოველი მხრიდან მერლონებით მოზღუდულ კვადრატულ ბაქანზე, რომელსაც გარს უწყვეტი, ორმაგი წნელი არტყია, ხოლო ქვემოდან მას მიჩრილულ რგოლებზე დაკიდებული სწორკუთხა ფირფიტები საზღვრავს. ფირფიტების პარალელურად განლაგებულია საკიდების მეორე ჯგუფიც — ძეწკვებზე დაკიდებული ბიკონუსური ფორმები (ტაბ. LXIV₃).

მკვლევართა მიერ აღნიშნულია ბაქნის დამაგვირგვინებელ ელემენტთა — ქონგურების, მერლონების აღმოსავლური ფორმა, მაგრამ ამასთანავე იგი ის ელემენტია, რომელიც ხუროთმოდერული თემატიკიდანაა ნასესხები და საკიდებზე წარმოდგენილია როგორც არქიტექტურული დეტალის მოდელი. ამასთანავე, უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მერლონები მხოლოდ ნაგებობათა უკიდურესი ზედა სტრუქტურებისთვისაა შექმნილი როგორც მათი დაგვირგვინება. ისინი ძველი აღმოსავლეთის თითქმის ყველა რეგიონის ტაძრებისათვის ერთნაირად იყო დამახასიათებელი (ტაბ. LXV_{2,3}). ახალგორის სასაფეთქლეთა მერლონებიც აღმოსავლური ტრადიციული არქიტექტურული ფორმის მინიატურაა¹². ის ბაქანი (ტაბ. LXVI₂), რომელზეც ცხენები დგანან, იკითხება როგორც ტაძრის ზედა ნაწილის გამოსახულება. საკიდები კი საზღვრავს კვადრატული გეგმის მქონე მაღლივ სივრცეს და მერლონებითურთ ასახავს კომპლურა ტაძრის მოდელს, რომლის წარმოდგენა ადვილდება, თუ სასაფეთქლეების ამ ნაწილს შევხედავთ როგორც მთლიან, დაუნაწევრებელ ფორმას (ტაბ. LXVI₁).

სასაფეთქლე საკიდების სახით ჩვენ წინაშეა კომპოზიცია: საკულტო ნაგებობა, რომლის თავზეც ღვთაებრივი ცხოველები დგანან. ესაა თემატიკა, რომელიც დამახასიათებელი ჩანს მთელი ძველი სამყაროსათვის (ტაბ. LXV_{1,6}). საკულტო ნაგებობანი გამოისახება იმ ცხოველთა თანხლებით, რომლებიც ამა თუ იმ შინაარსით დაკავშირებული არიან ღვთაებასთან და რომლისადმი მიძღვნილ

ტაძარსაც ასახავს მოდელი, ნახატი ან რელიეფი. ცხოველები ტაძართა სახურავებზე მინიშნება და განმარტებაა მათი საკულტო თემატიკისა. ვფიქრობ, რომ იგივე როლი აკისრია ახალგორის სასაფეთქლეთა ცხენის ქანდაკებებსაც.

როგორც ვარაუდობენ, ცხენმა რელიგიურ წარმოდგენათა სისტემაში პირველად უძველეს ინდოიანელთა შორის მოიპოვა ადგილი¹³. თანდათანობით მისი გამოსახულება სარიტუალო ნივთებზეც ჩნდება, თანდათანობითვე იძენს იგი სიმბოლურ, ღვთაებებთან დაკავშირებულ მნიშვნელობასაც და მხედრებითურთ თუ უმხედრებოდ მათი თანმხლებლის როლშიც გვევლინება. მას ძალიან ხშირად, ჩვენი კომპოზიციის ანალოგიურად, საკულტო ნაგებობათა თავზე რელიგიურ კონტექსტში ვხვდებით. გვხვდება იგი ბაბილონური პანთეონის ერთ-ერთ სიმბოლოდაც¹⁴ (ტაბ. LXVI). და რაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი მგონია, ცხენები წარმოგვიდგება ანაპიტას, ინდოიანული ღვთაების წმინდა ცხოველებად როგორც მჭიდროდ დაკავშირებული მის ღვთაებრივ ბუნებასთან, მის თანმხლებად და მტვირთველად¹⁵. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ცხენის კულტი ინდოევროპელთა რელიგიურ წარმოდგენებში შერწყმულია წყვილის, ტყუპის ღვთაებრივ არსთან¹⁶. სწორედ ამ ურთიერთშერწყმის ასახვაა დაწვეილებული ცხენებისა თუ მხედრების მრავალრიცხოვანი გამოსახულება. ახალგორის სასაფეთქლეთა ცხენებიც წყვილის ასახვის ტრადიციული მოდელის საფუძველზეა შექმნილი (ორი გვერდიგვერდ მდგომი და ერთმანეთის იდენტური ფიგურა).

სხვათაგან განსხვავებით, ახალგორის კომპოზიციაში არ ფიგურირებს ეტლი, მხედრები და არც ღვთაების დაკონკრეტებული სახე. აქ მარტოდენ ცხენები, როგორც ღვთაებრივი ცხოველები, წარმოადგენენ ღვთაების თანმხლებს, რომელიც სიმბოლოთი – მრავალფურცლა ვარდულითაა ასახული. ვარდული, ლოტოსის გაშლილი ყვავილი, როგორც ღვთაების არსისა და ბუნების გამონახტულება, აქ დაფუძნებულია წყვილი ცხენის ზიარ უნაგირზე. ამ კომპოზიციაში სასაფეთქლეთა თემატიკის ძირითად განმსაზღვრელს ვარდული წარმოადგენს. იგი მცენარეული მოტივით – ლოტოსის ყვავილით გაპირობებული ფორმაა და, ამდენად, მასში იმ ღვთაების სახე უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც მცენარეთა მარადიული სიცოცხლის გამოჩატულებათა, ე.ი. ქალღვთაებისა. ვფიქრობ, მასში ანაპიტას სახეა უნდა დავინახოთ, ხოლო სასაფეთქლეები მთლიანად მასთან დაკავშირებულ სიმბოლოთა კრებულად.

მინდა ერთ შორეულ პარალელს – ჰინდუიზმის მთიანეთში დადასტურებულ საკულტო ნაგებობათა ერთ ჯგუფსაც შევხვ. ამ რეგიონის პანთეონი მთლიანად წარმართულია, თითქმის არ იგრძნობა ისლამის გავლენა და ზოროასტრიზმის კვალი საკმაოდაა შემონახული. ჰინდუიზმის საკულტო ნაგებობანი წარმოადგენს ქვის კვადრატულ, დაბალ შენობებს, რომელთა თავზე აღმართულია ორი ან ოთხი ცხენის ხის გამოსახულება, ხოლო საფასადე ხისსავე დაფა შემკულია ვარდულებითა და გეომეტრიული ორნამენტით¹⁷ (ტაბ. LXVI). ჩვენ წინაშეა აღწერილი კომპოზიციის (საკულტო ნაგებობათა თავზე ღვთაებრივი ცხოველები) უძველესი ტრადიციის დღემდე შემორჩენილი რეალური სურათი.

არქიტექტურული თემა სასაფეთქლეებში ასახული კომპოზურა ტაძარია – საკულტო ნაგებობათა ერთ-ერთი ყველაზე არქაული და პოპულარული სახე და, რაც მთავარია, იგი საქართველოშიც დადასტურებულია სამადლოსა და ვანის კომპოზურა ტაძრების სახით. ახალგორის სასაფეთქლენი ადგილობრივი ოსტატის ქმნილებადაა აღიარებული და, ბუნებრივია, მივიჩნით, რომ იგი თავის-სავე კულტურული წრისათვის დამახასიათებელ რეალურ არქიტექტურულ ფორმებს ასახავდა.

მეორე განსახილველი ნივთი სოფ. გონიოში 1974 წელს მიკვლეული განძის ნაწილია¹⁸. იგი ოქროს ბალთაა (ტაბ. LXVII), რომელიც სამი ფირფიტისგანაა შედგენილი: სწორკუთხედზე დარჩილულია სამკუთხედი, რომლის ერთ კალთაზე ლომის გამოსახულებათა დასმული (ტაბ. LXVII). სქემატურობის მიუხედავად, კარგადაა გადმოცემული ლომის მოძრაობა – სვლა ქიმისაკენ. სწორკუთხედის ცენტრი შემკულია მუქი წითელი ფერის ქვებით შედგენილი ვარდულით. ბალთის ქვედა ნაწილი აღჭურვილია მარყუქებით, რომლებზეც ეკიდა მრგვალი ფირფიტებითურთ ძეწკვები.

მის მორთულობას აგრეთვე შეადგენს ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედები, ვარდულები და თვლების მოჩარჩოებანი. განძი მთლიანად ას.წ. II ს-ითაა დათარიღებული¹⁹.

ვფიქრობ, რომ ბალთა ტაძრის სქემატური გამოსახულებაა, სადაც ფრონტონითა და კარნიზ-თათვის დამახასიათებელი პროფილის მქონე სარტყლით არქიტექტურული თემატიკაა ნაჩვენებ. სარტყლის პროფილი სრულებით არაა შემთხვევითი. სწორედ მსგავსი დეტალითაა ფორმირებული ფრონტონი ძვ.წ. III ს-ის ოქროს ბერძნულ მოდელებზე, რომელიც საკმაოდ დეტალურად დიონისესად-მი მიძღვნილ ტაძარს ასახავს²⁰ (ტაბ. LXVIII). ასეთივე სარტყელი საზღვრავს ბალთას ლოს განძიდან²¹ (ტაბ. LXVIII), რომელიც უფრო მკვეთრად ასახავს არქიტექტურულ თემატიკას ფრონტონის ცენტრალური ფართითა და აკროტერიონებით. იგივე ფორმას იმეორებს II ს-ის ფირფიტო-ვანი საყურეები ქერჩიდან²², რომელზეც სქემატურად კონსტრუქციული დეტალებიც კია ნაჩვენებ (ტაბ. LXVIII). ამჟამად, რომ გონიოს, ლოსა და ქერჩის ნიმუშებს საფუძვლად ტაძრის ერთი ზოგადი სქემატური მოდელი უძევს და მათ დამატებით შეიძინეს ის ნიშნები, რომლებიც ასახაობს მათ შემქმნელ რეგიონებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას გონიოს ბალთა „ფრონტონის“ კალთაზე დარჩილული ლომის გამოსახულებით იწვევს, რაც პირდაპირ მიანიშნებს იმას, რომ ნივთი ასახავს საკულტო ნაგებობას და, ამასთანავე, იქმნება იგივე კომპოზიცია, რაც ზემოთ აღვწერეთ – ღვთაებრივი ცხოველი ტაძრის თავზე.

ლომი წარსულში ღვთაებრივი ბუნების მატარებელ ცხოველად იყო აღქმული და ტაძრებზე მათი გამოსახულებანიც საკმაოდ ხშირია (ტაბ. LXIX_{1,2}). ამასთანავე, გონიოს ბალთის ლომის მხარი და თქო ვარდულებითაა შემკული, რაც სრულებით არაა მარტოდენ დეკორატიული ხერხი. აქ საქმე გვაქვს ლომის ღვთაებრიობის აღმნიშვნელ უძველეს სიმბოლიკასთან, რომელიც სათავეს ძველი ეგვიპტიდან იღებს და შემდგომ თითქმის მთელ აღმოსავლეთს მოიცავს²³ (ტაბ. LXIX₃₋₆). თანდათანობით ლომის გარდა იგი სხვა საკულტო ცხოველების გამოსახულებებზეც ვრცელდება და საქართველოში გამოვლენილ ნიმუშებზეც, თანაც ხანგრძლივი დროის მანძილზე (ტაბ. LXX), მრავლად გვხვდება. ერთი რამაა კიდევ აღსანიშნავი. ღვთაებრივ ცხოველთა სიმბოლოებით შემკობის ტრადიცია წყდება სელევკიდურ ხანაში და აღარსად ჩანს მთელი პართული პერიოდის მანძილზე²⁴. მას აფერხებს აღმოსავლეთის ელინიზაცია. მხოლოდ სასანური ხელოვნება ახდენს ამ ტრადიციის ახალი ძალით აღორძინებას. გონიოს ბალთა შექმნილია სწორედ იმ პერიოდში (II ს.), როცა ღვთაებრივი ცხოველები აღმოსავლეთში ვარდულებით აღარ ირთვება. ამ მოვლენაშიც, ვფიქრობ, უნდა დავინახოთ „არაყოვლისმომცველობა“ საქართველოს ტერიტორიის ელინიზაციისა, რის შედეგადაც ურყევი რჩება ძველი საკულტო ტრადიციები. თვით ღვთაება ბალთაზე შესაძლოა სიმბოლი-ზებულია თვლებით შედგენილი კომპოზიციით. თვლები გონიოს ბალთაზე, განსაკუთრებით ცენ-ტრალური, მუქი წითელი, თითქმის მოშავო ფერისაა. მოშავო ფერის ქვები კიბელას ერთ-ერთ სიმბოლოდაა მიჩნეული²⁵.

ახალგორის განძის სასაფეთქლე საკიდთა ანალოგიურად გონიოს ბალთაზეც არ გვაქვს ღვთაების კონკრეტული გამოსახულება. აქ ყველაფერი მინიშნებულია სიმბოლოებით და მათი მნიშვნელობაც მათთვის იყო ალბათ გასაგები, ვინც ბოლომდე ნაზიარები იყო ღვთაებათა არსს. საქართველოს წარმართული ტაძრების მსგავსად აქ ფიგურირებს სიმბოლოები. სამკაულებზე ასახული სურათი სრულ შესატყვისობაშია ტაძართა არსთან. თუ ამ თვალსაზრისით შევადარებთ ზემოთ ანალოგიის სახით მოხმობილ ნიმუშებს, მაგ., დიონისესადმი მიძღვნილი ტაძრის ბერძნულ მოდელებს (ტაბ. LXVIII), სადაც თვით დიონისეს გამოსახულება განსაზღვრავს ნივთის საკულტო თემატიკას, და ბრიტანეთის მუზეუმის ამფორაზე ასახულ სურათს, სადაც ტაძარში თვით ღმერთ-ების დიდი ღვდაა ასახული ყოველგვარი შენიღბვის გარეშე (ტაბ. LXIX₂), კიდევ უფრო ცხადი გახდება ძირეული განსხვავებანი კულტისადმი დამოკიდებულებაში ბერძნულსა და აღმოსავლურ ტრადიციებს შორის.

კიდევ ერთი ნივთი დაგვრჩა განსახილველი – „ხაიშის განძის“ ოქროს საკიდი, რომელიც, გარდა იმისა, რომ ეპასუხება წინა ორ ნიმუშთან დაკავშირებით ზემოთ განხილულ საკითხებს, არქიტექტურული თემატიკითაც დიდძალი ინფორმაციის შემცველია. განძის, რომელიც სოფ. ხაიშის მიდამოებში აღმოჩნდა 1948 წელს, შემადგენელი ნივთები დაწერილებითაა აღწერილი და ზოგადად გვიანანტიკური ხანით თარიღდება²⁶. მის შემადგენლობაში შედის ოქროს საკიდიც, რომელიც დეტალურად წარმოსახავს ხის ორფერდა სასურავიან ნაგებობას (ტაბ.LXXI).

მოდელის კორპუსი ასახავს მორების პარალელური წყობით შედგენილ, სიმაღლეში თანაბრად გაფართოებულ სტრუქტურას. კორპუსის ორ გვერდზე ნაჭდევებით ღიობების მინიშნებაცაა. საკმაოდ დეტალურადაა გადმოცემული სხეენიც: კორპუსს ზემოდან ადგას ფართო, კვადრატული ფირფიტა, რომლის ორი მოპირდაპირე მხარე დაბალი კედლებითაა მოზღუდული. მათ ზემოდან სასურავის კალთები ეფენება. სხეენის ფუძიდან აღმართულია სვეტებიც – ორფერდა სასურავის კეხის საყრდენი. მოდელი ბაქანსაც შეიცავს, სხეენის ფუძიდან საგრძნობლად წინ გამოშვერილ სიბრტყეს (ტაბ.LXXII). საკიდი უხვადაა შემკული სხეენის წიბოებისა და ბაქნის მიმანიშნებელი წნულებით. წნულებითაა მინიშნებული საბურველიც, კეხის საყრდენი სვეტებიცა და ცენტრალური მარყუჟიც. სასურავის კიდისა და სხეენის შეუღლების არეებიდან ქვემოთ ეშვება ოთხ-ოთხი ძეწკვი, ფერადი ქვებითა და ოქროს საკიდებით დაბოლოებული. ასეთივე ორი ძეწკვი ეკიდა ბაქნის წინა კუთხეებზეც. სასურავზე მტრედის ექვსი გამოსახულებაა დასმული იმ კომპოზიციით, როგორც აკროტიერიონებს შეესაბამება. გარდა ამისა, ბაქანზე ადამიანის ორი ფიგურაცაა დარჩილული; ერთ მათგანს ხელთ კვერთხი უპყრია, ხოლო მეორე ავლოსზე დამკვრელს გამოსახავს (ტაბ.LXXIII).

მკვლევართა ერთი ნაწილი საკიდს საცხოვრისის მოდელად განიხილავს²⁷. გ. ლორთქიფანიძე მასში ქონ-სამლოცველოს ხედავს²⁸, ხოლო მ. ჯანდიერსა და გ. ლეჟაევს იგი კოშკად წარმოუდგენიათ²⁹.

ზემოთ აღვნიშნე, რომ მოდელის ტანი თანდათანობით ფართოვდება სიმაღლეში. ერთი შესედევით, ანალოგიური შენობის წარმოდგენა ჭირს, რადგან მისი მდგრადობა არაფრით ჩანს გარანტირებული. აქ უთუოდ უნდა იყოს ნაგულისხმევი სხვა კონსტრუქციული ელემენტებიც – მოდელის ანალოგიური სტრუქტურა თავისთავად თხოულობს მდგრადობისათვის საყრდენს. ვფიქრობ, რომ ისინი აქ ძეწკვებითაა მინიშნებული და იმ წერტილებშია განთავსებული, სადაც სწორედ სვეტებია სავარაუდო. ხაიშის მოდელის ანალოგიურად კუთხეებითაა სვეტებს დაყრდნობილი არგოსში აღმოჩენილი ტაძრის ტერაკოტული მოდელის ღია ბაქანიც (ტაბ.LXXII). ამგვარად, ხაიშის მოდელი წარმოგვიდგენს ხის გარსშემოსავლელიან ნაგებობას, სადაც წინა ორ სვეტზე სხეენის ბაქანია დაფუძნებული (ტაბ.LXXIII).

უთუოდ საკიდის საკულტო შინაარსზე მიანიშნებს ბაქანზე დასმული ავლოსზე დამკვრელის ფიგურაც. ავლოსზე დამკვრელნი ტაძართა ფრიზეებსა და ფრონტონებზე, როგორც წესი, სწორედ საკულტო-ცერემონიალურ კონტექსტში გვხვდება³⁰. ხშირად მონაწილეობენ ისინი ცერემონიალური სვლების ამსახველ კომპოზიციებშიც³¹ და, რაც მთავარია, ავლოსზე დამკვრელი ერთ-ერთი თანმხლებია კიბელასიც, ღმერთების დიდი ღედის ფრიგიული ღვთაებისა (ტაბ.LXXIII)³².

რაც შეეხება მტრედების კომპოზიციას საკულტო ნაგებობათა თავზე, იგი ჯერ კიდევ მიკენური პერიოდიდანაა ცნობილი და მისი გამოსახვის უწყვეტი ტრადიცია ჩანს მთელი ანტიკური პერიოდის მანძილზე. ამასთანავე, მტრედები ყოველთვის ქალღვთაების სიმბოლოებად და უფრო ხშირად ღმერთების დიდი ღედის ქალური საწყისისა და დედობრიობის გამოსახულებად გვევლინება. ამ მხრივ საინტერესო ნიმუშია კვიპროსზე აღმოჩენილი ჭურჭელი (ტაბ.LXXII) – ირგვლივ მტრედების გამოსახულებებით შემკული³³ – საკულტო ნაგებობის მოდელი – ნიშაში ქალღვთაების გამოსახულებით. ხაიშის საკიდზე თავმოყრილია ის ფიგურები, რომლებიც დიდი ქალღმერთის კულტთანაა დაკავშირებული. ამ სიმბოლოებით ესოდენ დატვირთული მოდელი მხოლოდ ქალღვთაებისადმი მიძღვნილ ტაძარს, სამლოცველოს შეიძლება ასახავდეს, მიუხედავად იმისა, რომ წინა განხილული ნიმუშების მსგავსად, არც აქ გვაქვს ქალღვთაების სახე და მისი ბუნება მართლმოდენ სიმბოლოებითაა მინიშნებული.

ცალკე უნდა შეეცხო სასურავის სახეს, მის ორქანობიანობასა და აგრეთვე იმას, რომ მტრელები მასზე აკროტიერიონთა ანალოგიურადაა განაწილებული, რაც, ჩემი აზრით, ტაძრის ბერძნულ სახესთან მიახლოების ცდაა. ამასთანავე, კვადრატული გეგმის მქონე ხის ტაძრისათვის არცთუ ბუნებრივად გამოიყურება მოდელზე გრძივი, ორქანობიანი სასურავი, რომლის წნულებით მინიშნებული საბურავიც შესაძლოა კრამიტებსაც კი ასახავს. ცხადია, რომ მოდელშიც აირეკლა ის განსაკუთრებული ყურადღება ნაგებობათა ზედა სტრუქტურებისადმი, რაც თვალსაჩინოა კონკრეტული არქიტექტურული ძეგლების ანალიზისას. იმავდროულად ჩანს სწრაფვა მათი ბერძნულ სახესთან მიახლოებისა და ამ დროს თვით ნაგებობათა ძირითადი სხეულის უცვლელობის შენარჩუნებისაკენ.

ჩვენი შესაძლებლობანი პარალელების მოშველიებისა, რათა მეტი დამაჯერებლობა შეემატოთ მოდელით წარმოდგენილი ტაძრის რეალურობას, უკიდურესად შეზღუდულია, მაგრამ კავკასიის მთიანეთის ზოგიერთი ტრადიციული საკულტო ნაგებობა ბოლომდე ინარჩუნებს იმ ნიშნებს, რომლითაც მათი ხაიმის მოდელთან გასაოცარი მსგავსება დგინდება. მხედველობაში მაქვს ხის წარმართული, ე.წ. რეკომის სამლოცველო ჩრდილოეთ ოსეთში³⁴, სადაც ხაიმის მოდელისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანია თავმოყრილი; ორფერდა სასურავი, სვეტებიანი გარსშემოსავლელი, სასურავის კედელზე აღმართული ზოომორფული სიმბოლოები, სიმალღეში გაფართოებული „კორპუსი“ და, რაც მთავარია, წინ გამოზიდული ბაქანი (ტაბ.LXXIII₄). მსგავსი ბაქანი აქაც და მთიანეთის სხვა ტრადიციულ სალოცავებშიც დღემდე სწორედ ის ერთეულებია (ხაიმის მოდელის ანალოგიურად), სადაც სხვადასხვა სახის საკულტო სიმბოლოები იფინება³⁵ (ტაბ.LXXIII₃).

ზემოთ განხილული ნივთები იმასაც მიგვანიშნებს, რომ ღვთაება მხოლოდ ტაძართან ერთად იყო აღქმული, ანუ მისი ბუნება ღვთის სახლითაც ცნობიერდება. ამ თვალსაზრისით, ცხადია, ტაძრის გამოსახულებაც მისი შეცნობის გზაზე ღვთაების ერთ-ერთი სიმბოლო იყო. ეს ტრადიცია იმდენად ძლიერ მოვლენად ჩანს საქართველოში, რომ მოხერხდა რთული, რეალურად არსებული არქიტექტურული ფორმების მინიატურისზირება, ნაგებობათა ცალკეული ელემენტების სასამკაულე დეკორად გააზრება და, საერთოდ, ტაძრის წმინდა სხეულის იმგვარივე გასაკუთრება, როგორც თვით ღვთაებებისა.

საქართველოში ყურადღებას უთუოდ იპყრობს ელინისტური არქიტექტურული ტრადიციების შეთვისების უთანაბრობა და მისი სხვადასხვა ხარისხი; ამ ტრადიციათა შედარებითი სიმძლავრე კოლხეთში, სადაც ტაძრებში ბერძნული ხასიათი საბურვლის გარდა პროფილებით, დეკორითა და სამშენებლო საქმითაც აისახა; იბერიაში კი ელინისტური კვალი მხოლოდ კრამიტის სასურავით გამოიხატა. იბერიის არქიტექტურის სტრატონისეული დახასიათება, ფფიქრობ, რამდენადმე ეპასუხება განსახილველ საკითხს: „მართლაც, იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაც და დაბებითაც, ისე რომ, იქ არის კრამიტის სასურავები, არქიტექტურულად მოწყობილი სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადო /დაწესებულებანი/“³⁶. ვერ ის უნდა აღინიშნოს, რომ „არქიტექტურულად მოწყობილი“ უპირველესად არქიტექტურულ წესრიგს აღნიშნავს და, გარდა ამისა, „წესრიგის“ განმაპირობებელ (გარეგნულისა მაინც) ელემენტად კრამიტია მიჩნეული, ე.ი. აქცენტის მხოლოდ კრამიტზეა დასმული და არსადაა ნახსენები შენობების სხვა რაიმე კომპონენტი. უნდა ვიფიქროთ, რომ სტრატონისთვისაც კი (არათუ ადგილობრივი კულტურული წრისათვის) კრამიტი ის ელემენტია, რომელიც არქიტექტურის პრესტიჟულ სახეს განსაზღვრავდა ელინისტური სამყაროდან ისეთ დაშორებულ რეგიონში, როგორიცაა იბერია.

კოლხეთსა და იბერიაში კრამიტის გავრცელებასთან დაკავშირებით (და შესაძლოა, კავკასიის ალბანეთშიც) ფრიად საინტერესო სურათი ისახება. აღმოსავლეთის ძლიერი, თითქმის ყოვლისმომცველი ელინიზაცია ვერ ნერგავს კრამიტს მთელი ამ უზარმაზარი ტერიტორიის ვერც ერთ მონაკვეთზე. აღმოსავლეთი ბოლომდე გულგრილი დარჩა მისდამი. აქ ვერ შეთავსდა ერთად კრამიტი და ნაგებობათა ტრადიციული აღმოსავლური ტიპები, ხოლო ამიერკავკასიაში, სადაც შეუდარებლად ნაკლებია ელინიზაციის ტალღა, მიმდინარეობს აღმოსავლური და დასავლური

არქიტექტურული ფორმების შეთავსების რთული და გააზრებული პროცესი. ერთი შეხედვით, კრამიტი შეიძლება მეორეხარისხოვან დეტალადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ ელინისტურ ხანაში კოლხეთსა და იბერიაში მისმა ათვისებამ არსებითი ხასიათის ძვრები მოახდინა ქართული მონუმენტური არქიტექტურის განვითარების პროცესში.

კრამიტმა მცირე ცვლილებები გვემარებით სქემებშიც შეიტანა, რაც გამოიხატა მთლიანად ტაძართა ან ძირითად ბირთვთა ოდნავი სიგრძივობით. ცხადია, კრამიტის ათვისება აქ მარტივად, ფორმის დასესხებით არ კლასიფიცირდება, რადგან ამ გზაზე ურთულესი პრობლემაა გუმბათისა და ორკალთიანი სახურავის ურთიერთშეთავსება. გუმბათი, ანუ მისი საწყისი სახე-გვირგვინი ერდოთი, საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ხანიდან, არქიტექტურის ჩასახვიდანვეა წარმოქმნილი და უკანასკნელ პერიოდამდე მან უწყვეტი და განვითარებადი გზა განვლო.

როგორც ცნობილია, ვიტრუვიუსის ტრაქტატში ქართული სინამდვილეც აისახა „კოლხური“ და „ფრიგიული“ სახლების სახითაც³⁷. სახლები უმარტივესი სქემისაა – „კოლხური“ მორებით მოზღუდული კვადრატული გეგმის მქონე სივრცეა, ხოლო „ფრიგიული“ სახლი – მიწური ან ნახევრად მიწური საცხოვრისი. მათ რაღაც განსაკუთრებული მიიქცეის ვიტრუვიუსის ყურადღება, რისი წყალობითაც მოხვდნენ ამ ყოვლისმომცველ ტრაქტატში, რომლის მიზანი იყო თავი მოეყარა მთელი წარსულის არქიტექტურული და საინჟინრო მემკვიდრეობისათვის და რომელიც იმპერატორისადმი მისართმევად იყო გათვალისწინებული. „კოლხური“ სახლის ზედა სტრუქტურა რომ მორების პარალელური წყობით შედგენილი ცრუ გუმბათია, ეს ტექსტიდანაც კარგად ჩანს და ყველა მკვლევარი მას სწორედ ასე წარმოადგენს, მაგრამ გადასურვის ამ სისტემას აზრი მხოლოდ მაშინ აქვს საცხოვრისში, თუ იგი ერდოსაც შეიცავს, რაც თავისთავად ცენტრში დანთებული ცეცხლითაა გაპირობებული. ცეცხლი, გარდა იმისა, რომ მაორგანიზებელია სივრცისა, ამავე დროს ასეთი კონსტრუქციის შენობებში უსხვენობის კომპენსაციაცაა. სხვენის შექმნა აბსოლუტურად გამორიცხულია გვირგვინით დასრულებულ სახლებში, ხოლო თუ აქ ცეცხლი არ ინთება, მაშინ ცხოვრებაც შეუძლებელი ხდება.

გვირგვინით დასრულებულია „ფრიგიული“ სახლიც. ტექსტი გვაუწყებს, რომ იგი მიწური ნაგებობაა და აქ სინათლის წყაროდ მხოლოდ ერდოიანი გვირგვინი უნდა ვიგულისხმოთ. ეს ტექსტიდანაც ჩანს, სადაც ნათქვამია, რომ „...ლარტყების (კოჭების, ძელების) ერთად შეერთებით აგებენ კონუსურ სახურავებს, ფარავენ მათ ფიჩხითა და შემდეგ საცხოვრისთა თავზე ქმნიან მიწის უზარმაზარ გროვას“. ცხადია, რომ აქ ლარტყების ჰორიზონტალური წყობა უნდა წარმოვიდგინოთ და არა მათი დახრითა და თავების ცენტრში შევკუთვებით წარმოქმნილი კონუსი. ვიტრუვიუსის „კონუსური“ აქ უთუოდ მიიღება „გვირგვინის“ ერთ-ერთი რთული სახეობით – „რვაკუთხოვანი“ ანუ „თორმეტკუთხოვანი“ წყობით. მხოლოდ ამდაგვარ კონსტრუქციას შეუძლია აიტანოს მიწის „უზარმაზარი“ გროვა. გ. ჩუბინაშვილმაც ერთ-ერთ ნაშრომში ივარაუდა, რომ „ფრიგიული“ სახლის აღწერილობა გულისხმობს „ერდოს“³⁸. ცხადია აგრეთვე ისიც, რომ ვიტრუვიუსის „ფრიგიაში“ არ იგულისხმება ისტორიული ფრიგიის სახელმწიფოს საზღვრები. აქ ჩვენ ზოგადად მცირე აზნა და მისი მიმდებარე ტერიტორიები უნდა ვივარაუდოთ, მეტ-ნაკლებად ერთნაირი გეოგრაფიული პირობებით – მთავორიანი, შედარებით უტყეო ზონები. ნაგულისხმევი არქიტექტურული დეტალებით ამ სახლის აღწერილობა აბსოლუტურად შეესატყვისება ქართულ სინამდვილეს – მესხურ მიწურ ან ნახევრად მიწურ დარბაზს, სადაც გვირგვინი მთელი ფართობის მომცველია და სადაც მის სატვირთად ისევე, როგორც ფრიგიულ სახლში, არა გვაქვს ცენტრალური ბურჯები, ე.ი. ვფიქრობ, რომ ტრაქტატის ეს ნაწილი აღწერს „ფრიგიული სახლის“ ზოგადი სახელწოდებით საცხოვრისის იმ ტიპს, რომელიც გავრცელებული იყო ანატოლიის ზეგანსა და მის მიმდებარე მესხეთშიც.

მკვლევართა ერთ ნაწილს „კოლხური“ სახლი კომპად, მრავალსართულიან ნაგებობად წარმოუდგენია იმის საფუძველზე, რომ მისი აღწერილობისას ვიტრუვიუსი ორჯერ ხმარობს ამ ტერმინს. მაგრამ კომპში იგი სრულიად სხვა რამეს უნდა გულისხმობდეს და არა მალევე შენობას.

ჩემი აზრით, აქ სახლის კვადრატულობა იგულისხმება, რადგან ბერძნულ-რომაულ სამყაროში ამ გეომეტრიული სხეულის ფორმა მხოლოდ საფორტიფიკაციო კოშკებს უდევს საფუძვლად, და აგრეთვე მისი ჩაკეტილობა, სადაც უარყოფილია ყოველგვარი ღია გალერეები და ეზო, რაც ასევე უცხოა ელინისტური საცხოვრისისათვის. როგორც ყრუ და, ამასთანავე, კვადრატული ერთეული, იგი მართლაც კოშკია. ამიტომაც უსვამს ხაზს იგი მის ბარბაროსულ იერს. მაღლივ შენობად მის გააზრებას, სხვა მრავალ მიზეზთა გარდა, საკუთრივ აღწერილობაც ეწინააღმდეგება, სადაც ნათქვამია, რომ მის საფუძველს პირდაპირ მიწაზე დაწყობილი მორები წარმოადგენს. ცხადია, საგანგებო საძირკვლის გარეშე მრავალსართულიანი ნაგებობა ვერ აიგება. ასეთი საფუძველი (პირდაპირ მიწაზე დაწყობილი მორები) შეიძლება გამოდგეს მხოლოდ დიდი ფართობის მომცველი, დამჯდარი პროპორციების მქონე ნაგებობისათვის³⁹.

ზოგადადაც და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაშიც საცხოვრისი პროტოტიპია ღვთის სახლისა და, ცხადია, რომ მისი დომინირებული ელემენტია გვირგვინი ერდოთი, რომელსაც პრაქტიკული დანიშნულების გარდა ოჯახის რელიგიურ წარმოდგენათა იდეური გამამთლიანებლის ფუნქციაც აკისრია, ტაძარშიც იგი სასესებით ბუნებრივად და სამართლიანად იკავებს კუთვნილ ადგილს. საცხოვრისში გვირგვინი ოჯახის განუყოფლობის სიმბოლოც იყო და მისი მარადიულობის გამოსახულებაც⁴⁰, ხოლო ერდო კი ის ელემენტი, რომელიც შიდა სამყაროს კოსმოსთან კავშირს განაპირობებდა⁴¹. ვფიქრობ, რომ ერდოთი უნდა ყოფილიყო დასრულებული ძვ.წ. VII-VI სს-ის სამლოცველო მცხეთის მახლობლად⁴². მისი შიდა სივრცე უყოყმანოდ მიანიშნებს იმას, რომ აქ რთული, ჩვენთვის უცნობი რიტუალები იმართებოდა, მის დარბაზში სულ ცოტა ხუთი საკულტორიტუალური ხასიათის დეტალი იქნა დაფიქსირებული, რომლებიც უშუალოდ ცეცხლით ფუნქციონირებდა. ამიტომაც მისი ერდოს გარეშე წარმოდგენა შეუძლებელია. ეს სამლოცველო გეგმით სრულებით არა ჰგავს „აიდანას“, არც აქ დანთებული ცეცხლის ბუნებაა ჩვენთვის ცნობილი. თვით აქემენიდურ ირანშიც კი ცეცხლის კულტი მხოლოდ ზოროასტრული ბუნებით არ კლასიფიცირდება, მაგრამ იგი ყველგან წარმოქმნის გვირგვინს ერდოთი, მიუხედავად იმისა, ცეცხლი ოჯახის კეთილდღეობის მფარველადაა გააზრებული, დინასტიური კულტისათვის ინთება თუ რომელიმე კონკრეტული ღვთაებისათვის.

გვირგვინი საქართველოს ტერიტორიაზე ადრესამიწათმოქმედო პერიოდიდან გამოჩნდა⁴³. საქართველოშივე განვლო მან სრულყოფისაკენ მიმავალი გზა გვირგვინის პრიმიტიული ჩანასახიდან რთულ არქიტექტურულ ფორმამდე⁴⁴ და ამჟამად თითქოსდა არც შეინიშნება გარდამავალი საფეხური ცრუ გუმბათიდან სრულყოფილ გუმბათამდე. არა გვაქვს ამ ეტაპის აღმნიშვნელი უშუალო მოწმობა, მაგრამ, ვფიქრობ, იგი არც დაფიქსირდებოდა, რადგან ეს დაკავშირებულია მსოფლმხედველობის რადიკალურ შეცვლასთან. სწორედ ეს აისახა რელიგიურ არქიტექტურაში, რამაც ძირითადი პრინციპებით გამიჯნა ღვთის სახლის სტრუქტურა საცხოვრისისათვის დამახასიათებელი ორგანიზმისაგან. სრულყოფილი გუმბათი, ვფიქრობ, უნდა წარმოექმნა თვით სივრცისადმი დამოკიდებულების ცვლილებას, ე.ი. მსოფლმხედველობის იმ ეტაპს, როცა ტაძარი იძენს სამყაროს სრულყოფილი მოდელის მნიშვნელობას, როცა გუმბათი, როგორც მთლიანი, შეკრული სივრცე, ანასახი ხდება ცისა. ეს დამოკიდებულება უპირველესად ერდოს სპობს და, ამდენად, აღარაფერი ელოდება ამ სტრუქტურის გამთლიანებას. იგი გუმბათის ტექტონიკური სრულყოფის გზაზე ახალ ტექნიკურ ხერხებს წარმოშობს.

გვირგვინი უთუოდ გუმბათის პროტოტიპია, მაგრამ გუმბათი მიღებული გვაქვს არა ცრუ გუმბათის თანდათანობითი ევოლუციის, არამედ რადიკალური ცვლილებების შედეგად ისევე ერთბაშად, როგორი სიმძაფრითა და მიზანდასახულობითაც შეიცვალა წარმოდგენა ღვთის სახლზე. რაც შეეხება კონსტრუქციულ ელემენტებს, რომლებმაც განვითარების თანდათანობითი სრულყოფის გზა განვლო, იგი მოთხოვნათა აუცილებლობით ნაპოვნი საშუალებებია, მკაცრად განსაზღვრული პროგრამის შედეგად მიღებული ხერხები.

ზემოთ განხილულ ტაძრებში შეიძლება ეჭვი დაბადოს იმ გარემოებამ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ., ვანის ტაძარ-პრობილეუმისა და უფლისციხის ცეცხლის სამლოცველოში (იგივე უფლისციხის კლდოვანი ბაზილიკა) გვირგვინისა თუ გუმბათის საყრდენად კვადრატის ნაცვლად სწორკუთხედი გვხვდება. მაგრამ საქართველოში, როგორც ჩანს, მისი კვადრატული საფუძველი ნორმას არ წარმოადგენდა. თუ თვალს გადავაგვლებთ ლ. სუმბაძის მიერ თავმოყრილ ქართულ დარბაზებს, აღმოჩნდება, რომ გვირგვინის საფუძველები ძალიან ხშირად სწორკუთხედი, მაშინაც კი, როცა იგი ოთხ სვეტს ეყრდნობა⁴⁵, მაგრამ ასეთი რამ სრულებით არ არღვევს ნაგებობათა ცენტრულობის პრინციპს.

საქართველოში წინარეპრისტიანული მონუმენტური არქიტექტურის განვითარების პროცესი, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მსგავსია აღმოსავლეთის ზოგიერთ რეგიონში მიმდინარე მოვლენებისა. მაგრამ მსგავსია მხოლოდ ზედაპირულად, გარეგნულად, რაც კლასიფიცირდება მხოლოდ იმით, რომ ორივე შემთხვევაში ელინიზაციის შედეგად გააზრებული ბერძნული ფორმების მიღმა ძირეული, ადგილობრივი ტრადიციები იფარება. მაგრამ სრულიად სხვაა გაზიარებული ფორმებისადმი დამოკიდებულება, მათი საკუთარი მხატვრული მისწრაფებებისადმი დაქვემდებარების ხარისხი.

იბერიასა და კოლხეთში მიმდინარე პროცესებთან შესაჯერებლად მრავალმხრივ საინტერესო რეგიონს ვფლობთ – სირიას, სადაც საკულტო ნაგებობებისათვის ასევე დაფუძნდა „აიადანას“ მოდელი. ამავე დროს მათ ფასადებზე ასახულმა ბერძნულმა ცალკეულმა ფორმებმა გარეგნულად სავსებით დააშორა ისინი აღმოსავლურ ტაძართა ტრადიციულ სახეს. ამ ტაძრებში სრული თავმოყრა გვაქვს ბერძნულ-რომაული არქიტექტურული ფორმებისა და სისტემების: კორინთული ორდერი თავისი ყველა შემადგენელი ელემენტით, ფრონტონი აკროტერიონებითურთ, მრავალფეროვანი ბერძნული პროფილები და ორნამენტული სახეები ბაალ-შამინის ტაძარში სეა-სი-ში ან დორიული კოლონადა, იონიური ქიმატიონისა და ასტრაგალოსის გამოსახულებანი სურის ტაძარში და სხვ. ყველაფერი ეს გარედან აჩარხოებს ტაძრებს, რომელთა საფუძველთა საფუძველი „აიადანა“, მაგრამ, სრულყოფილად ასახული ფრონტონი ბაალ-შამინის ტაძარში ფარავს ტაძრის ბრტყელ, ტრადიციულ აღმოსავლურ გადახურვას და სრულებითაც არ წარმოშობს ფრონტონის სტრუქტურულად შესატყვის სახურავს. ასეთივე სურათია სურშიც და ზუ-შარას ტაძრებშიც⁴⁶. აქ სხვადასხვა ტრადიციათა ორგანული ურთიერთკავშირის ოდნავი გამოხატულებაც კი არა გვაქვს. ორივე ტრადიცია (აღმოსავლური გეგმა და დასავლური ფასადი) არსებობს ცალ-ცალკე და ვერ წარმოიქმნა ერთიანი, მთლიანი ორგანიზმი.

ძირეულად განსხვავებული რამ ხდება საქართველოში. ყველა გაზიარებული ფორმა დაქვემდებარებულია ნაგებობის სტრუქტურულ შინაარსს, რაც სრულიად გამორიცხავს დასესხებულ ელემენტთა „დეკორატიულობას“. მთელი სამშენებლო არქიტექტურული კომპლექსის ელემენტები – გეგმა, სივრცის ორგანიზაცია, სამშენებლო ტექნიკა და მასალები, სტრუქტურა მთელის განმსაზღვრელ ნაწილებადაა აღქმული; ყოველი მათგანის ურთიერთორგანული კავშირი განაპირობებს ნაგებობათა მთლიან ორგანიზმებად წარმოქმნას, შემთხვევითი სრულებითაც არ მგონია, რომ იბერიისა და კოლხეთის წარმართულ ტაძრებში ვერ მივიღეთ ფრონტონი, სადაც ამ თემის გამაპირობებელი სტრუქტურა ორკალთიანი კრამიტიანი სახურავია (აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ფრონტონი, როგორც „დეკორაცია“, გვაქვს სირიაში, რაც სრულებით არ პასუხობს ნაგებობათა მოცულობას. საქართველოსა და სირიის მოვლენათა ურთიერთშეჯერება კიდევ ერთხელ მარწმუნებს იმაში, რომ სხვადასხვა რეგიონის არქიტექტურულ თემატიკასთან დაკავშირებული პროცესები გარეგნული მსგავსების მიუხედავად არ იძლევა იდენტურ სურათს მაშინაც კი, როცა მოვლენებს ერთი საწყისი იდეა წარმართავს). საქმე ისაა, რომ ქართულ წარმართულ ტაძრებში მხოლოდ ცოკოლათათვის გამოიყენებოდა ქვის წყობა, ხოლო მისი მთელი მასივი ალიზის აგურით იგებოდა. ალიზი კი არაერთარ საშუალებას არ იძლევა ფრონტონის ფასადზე გამოსაყოფად. ფრონტონს ამ მასალის შესაძლებლობანი არ შეესატყვისება და, ამდენად, იგი არ კარნახობს მის წარმოშობას.

ეს დამოკიდებულება შენარჩუნდა ქართულ არქიტექტურაში შემდგომაც, ე.ი. მაშინაც, როცა კედელთა სტრუქტურები მთლიანად ქვით შენდებოდა. ფრონტონებისადმი მაინც ბოლომდე გულგრილი დავრჩით, რადგან მისი ტრადიციულობა წარსულით არ იყო გაპირობებული. ამ მიმართებითა და სატაძრო არქიტექტურის არსის თვალსაზრისითაც მისი სახე მრავალ საინტერესო მხარეს შეიცავს. მინდა განვიხილო მცხეთის „მაგზოლეუმის ტიპის აკლდამა“.

აკლდამა (ტაბ.LXXIV₁, LXXV₂) 1951 წელს აღმოჩნდა სადგურ მცხეთასთან და მან თავიდანვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება⁴⁷. მკვლევარნი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამავე პერიოდის სხვა მრავალრიცხოვან აკლდამებს შორის მას ანალოგი არ ეძებნება. და მართლაც არ მოიპოვება სამარხეულ ნაგებობებს შორის ისეთი ნიმუში, რომელიც მცხეთის მაგზოლეუმის ტიპის აკლდამასთან უშუალო შედარებისთვის გამოდგება.

აკლდამა უსწორდება O-W მიმართულებას. იგი ჩასმულია ფართო, სწორკუთხა მოყვანილობის კედლით შემოფარგლულ ჩაღრმავებაში (ტაბ.LXXV_{3,4}) ისე, რომ აკლდამის წინ იქმნება კვადრატული ეზო, რომელშიც ჩრდილოეთის მხრიდან გამართული კარის ღიობითა და საფეხურებით შევდივართ.

აკლდამის სივრცე ნახევარწრიული კამარით იზღუდება, ხოლო მის ორფერდა სახურავს კრამიტი ფარავს (ტაბ.LXXV_{1,3}). იგი ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით და მათი თანაბარი სიმაღლე და ნაკერთა სწორხაზოვნება წყობის მხოლოდ ქვედა რიგშია დაცული. საპირე კვადრები დაბალი რუსტიითაა გაფორმებული, ხოლო მთლიანად აკლდამა ქვიშაქვის ფილებისაგან შედგენილ დაბალ პლატფორმაზეა დასმული. „ფრონტონის“ დახრილ კალთებს საკმაოდ რთული პროფილის მქონე კარნიზი ამკობს (ტაბ.LXXIV₂).

ვფიქრობ, რომ აკლდამა, რომელიც I-II სს-ით თარიღდება, ტაძრის შემცირებული მოდელია და მისი თითქმის ყველა დეტალი საკულტო არქიტექტურის თემატიკიდანაა ნასესხები. იგი თანაბარი დონით შეიცავს როგორც ბერძნულ, ისე აღმოსავლურ არქიტექტურულ მემკვიდრეობას, აქ აკლდამის პლატფორმა, სტილობატის ანასახი უთუოდ ელზინისტური ტაძრის ქვედა სტრუქტურის მინაბაძია. სამარხეულ ნაგებობათა შორის ეს ერთადერთი ძეგლია, რომელიც შეიცავს პლატფორმას⁴⁸. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ თითქმის ყველა სხვა სამარხეული ნაგებობა – აკლდამა, რომელიც მეტ-ნაკლებად „მონუმენტური“ იერით ხასიათდება, საცხოვრისთა სახეს იმეორებს. თვალში საცემია აგრეთვე მცხეთის აკლდამის კედლების ქვედა რიგის „ორთოსტატული“ და ზედა ნაწილის ირეგულარული წყობა, ე.ი. ერთ ფასადზე წყობის ორი სხვადასხვა სახის არსებობა. ასეთი რამ, ვფიქრობ, ადგილობრივი ტრადიციებითაა გაპირობებული, კერძოდ იმით, რომ წარმართულ ტაძართა კედლების შედგენილობა საქართველოში ყოველთვის ორნაწილიანი იყო: თლილი ქვების ან რიყის ქვით ნაგებ ცოკოლზე ამოყვანილი იყო ალიზის აგურის კედლები. თლილი ქვების ცოკოლში ყოველთვის იყო დაცული რიგთა განსაკუთრებულად მწყობრი იერი. მცხეთის აკლდამის კედლების ქვედა ნაწილი სწორედ ამ ტრადიციის გამოხატულებად მესახება. გარდა ამისა, ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციას მივაწერ აკლდამის უტიმპანო ფასადსაც. უტიმპანო ფასადი სრულიად უცხოა ბერძნული არქიტექტურისათვის, ხოლო რაც შეეხება კოლხეთსა და იბერიას, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, აქ ალიზის წყობა მისი გამოყოფის საშუალებას სრულებითაც არ იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ აკლდამა მთლიანად ქვითაა ნაგები, საუკუნეთა მანძილზე ფასადთა ჩამოყალიბებულმა სახემ, რომელიც შექმნა ქვისა და ალიზის კომბინაციამ, გადამწყვეტი გავლენა იქონია აკლდამის გარეგნულ სახეზე იქ, სადაც ყველა საშუალება იყო ტიმპანის ასახვისა და რაც ამავე დროს ბერძნულ მოდელთან მიახლოებაც იქნებოდა. რაც შეეხება აკლდამის ღიობს, მოჩარჩოებულსა და სიმაღლეში შევიწროებულს, იგი მთლიანად ბერძნული ტაძრების კართა მხატვრული სახის გამეორებაა⁴⁹.

ყურადღებას იქცევს აკლდამის დაგეგმარებაც, კერძოდ მისი წინა ეზო, რომელსაც ანალოგი არ ეძებნება სამარხ ნაგებობებს შორის. ეს კი პირდაპირი, შეუფარავი ასახვაა იბერიის წარმართუ-

ლი საკულტო კომპლექსების გეგმარებითი სქემებისა, სადაც უკლებლივ ყველა სატაძრო ნაგებობა შეიცავს წინა, ცერემონიალურ მოედანს. შესაძლოა აკლდამის ჩრდილოეთისა და დასავლეთ ნაწილებში აღმოსავლური ტაძრებისადმი მიბაძვაა სიმბოლური დერეფნებიც როგორც ნაწილობრივი გამოვლინება ცვლას გარსშემოსავლელისა. გარდა ამისა, არ შეიძლება არ აღვნიშნო ნაგებობის გარე მსაზღვრავი სწორკუთხედის საგანგებოდ კვადრატულობა.

ჩვენ წინაშე ფრიად საყურადღებო ძეგლია. ესაა სამარხეული ნაგებობა, რომლის არქიტექტურული მოდელი ტაძარია და, ამასთანავე, ნაგებობა, რომელიც ძირითადი ნიშნებით ადგილობრივ ტრადიციას ასახავს. მისი ბერძნული იერი, როგორც აღვნიშნე, სტილობატითა და კარის ღიობით გამოიხატება, რაც შეესაბამება ორფერდა კრამიტის სანურავს, ამ დროისათვის მისი სტრუქტურა უკვე ორგანულადაა შეთვისებული ადგილობრივი სამშენებლო კულტურის მიერ.

მცხეთის „მაგზოლუქის ტიპის აკლდამა“ უპირველესად იმას მიგვანიშნებს, რომ გვიანანტიკურ ხანებშიც კი ბერძნულ-რომაული ტაძრის მოდელი იბერიაში კვლავ არაპოპულარულია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცალკეული ელემენტების გამოყენების ფაქტებს აქაც ვხვდებით. გარდა ამისა, ეს ჩვენამდე სრულფასოვნად მოღწეული ძეგლია და განსაკუთრებით ფასეული იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს წარმართული არქიტექტურისათვის უცხოა „დეკორაციები“, ე.ი. ისეთი ელემენტები, რომელსაც თვით ნაგებობის სტრუქტურა არ კარნახობს (მღრ. თუნდაც პეტრას ამავე პერიოდის სამარხები, რომელთა ფასადების ელინისტურ-რომაული დეკორი არაფრით შეესატყვისება ამ ნაგებობათა სტრუქტურას). ის, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავი მგონია, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვყალიბო: საქართველოში არსებობდა ტაძრის კულტი, რაზეც უპირველესად მიგვანიშნებს მათი სიმრავლე და მონუმენტურობა. შემდგომ: სამარხი-მოდელი ტაძრისა და ტაძართა მოდელი, როგორც სამკაული, ე.ი. იგი იჭრება ყველგან, ხდება თაყვანისცემის დამოუკიდებელი ელემენტი და არა მხოლოდ ღვთაების გასააზრებელი სიმბოლო. და ეს, ვფიქრობ, საესკებო ბუნებრივია, რადგან ამ პერიოდის ქართული არქიტექტურა უპირველესად ტაძართა არქიტექტურაა, მთელი ენერჯია და შემოქმედებითი ძალა მათ სრულყოფასა და ხორცშესხმას ხმარდებოდა. ამიტომაც ხდება მისი სულიერი გასაკუთრებაც და გათავისებაც. ამ პროცესს, ჩემი აზრით, ღვთაების გასაიდუმლოებაც უწყობს ხელს – კრძალვა დაფარულისადმი, მისი შეუცნობლობა და საიდუმლო ბუნება, ამავე დროს ტაძარი წარმოგვიდგება როგორც ნათელი გამოსატყულება ღვთაების მარადიული სიცოცხლისა. საესკებით შესაძლებელია ამ მიზეზთა გამო თვით ტაძრის მოდელი ან გამოსახულება ადამიანთა შეგნებაში რამდენადმე წინა პლანზე წამოწეულიყო და ღვთაებრიობა მისით და არა კონკრეტული ღვთაების გამოსახულებით გაცნობიერებულიყო. ცალკე მინდა შევეხო ქართულ წარმართულ ტაძართა წინა ეზოებსაც. იგი უკლებლივ ყველა მათგანისთვისაა დამახასიათებელი. აქ თითქოსდა არაფერია საკვირველი, რადგან ირანულ-პართული ცეცხლის ტაძრებიც ზუსტად ასევე შეიცავს წინა ეზოს, მაგრამ საქართველოში (და კავკასიის ალბანეთშიც) მათი ცერემონიალური ფუნქცია საკურთხეველთაა ხაზგასმული. შესაძლოა, აქ ცერემონიალური სვლები სწორედ ეზოში, საკურთხეველის გარშემო მიმდინარეობს, რაზეც თითქოსდა პირდაპირ მიგვანიშნებს ცინიაგორის ტაძართა წინა ეზოების მონიშნული ბილიკები. ასეთივე სურათი უნდა ყოფილიყო, ჩემი აზრით, ყაბალის ტაძარ-სასახლის კომპლექსშიც. რაც მთავარია, წინა ეზო, თანაც კვადრატული, როგორც ტაძრის ორგანიზმის აუცილებელი ელემენტი, ასახა სამარხმაც, ე.ი. ვთვლი, რომ ცერემონიალური სვლებისათვის განკუთვნილი ადგილი საქართველოში წინა ეზოებია და არა დარბაზი. დროებით კვლავ ირანულ ტაძრებს უნდა დავუბრუნდე.

ირანულ ცეცხლის ტაძრებში დარბაზები შედარებით მალე იქცა ცერემონიისათვის განკუთვნილ სივრცეებად, ხოლო მუდმივმა ცეცხლმა კი ყოველ კამერაში გადაინაცვლა. ამიტომ ცვლას მხედველობის არედან საგანგებო დაცვის საჭიროება მოისპო, იქ მუდმივი ცეცხლი აღარ ინახებოდა. მაგრამ საქართველოში უთუოდ იქცევა ყურადღებას ტაძართა კონსერვატიული ხასიათი. აქ ცვლამ ბოლომდე შეინარჩუნა თავისი თავდაპირველი, ტაძრის ყველაზე გასაიდუმლოებული ბირთვის

ფუნქცია. ამდენად, ცერემონიალურ სვლათათვის აქ ყველაზე გამოსაძევ ერთეულად წინა ეზოლა რჩებოდა. მის ცენტრში აღმართული საკურთხეველი განსაზღვრავს კიდევაც რიტუალის ორგანიზაციას, მით უმეტეს, რომ ცელას ირგვლივ გარსშემოსავლელი ირანშიც და საქართველოშიც მალე იქცა ცალკეულ ვიწრო, ყრუ ოთახებად, რომლებიც მხოლოდ ცელას განმხოლოებებს განაპირობებდა. ტაძართა ამ კონსერვატიულმა ბუნებამ შექმნა არქიტექტურული ნორმა, რომელმაც თავი იჩინა მთიანეთის ტრადიციულ საკულტო ძეგლებში. აქ დარბაზთა კარის ღიობები უკლებლივ ყველა ძეგლში აცილებულია ცენტრს და, ამდენად, კერასაც⁵⁰. ცხადია, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ეს შენარჩუნებული წესი რაიმეს გვკარნახობს აქ ცეცხლის ბუნების გამოსაცნობად, მაგრამ იმის მოწმობად კი გამოდგება, რომ საუკუნეთა მანძილზე საწყისი სიმბოლოთი გაპირობებული არქიტექტურული ნორმა აგრძელებს არსებობას მაშინაც, როცა მისი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი დავიწყებას ეძლევა ან დროთა განმავლობაში მნიშვნელობას კარგავს.

ეფიქრობ, არსებითი ხასიათის საკითხია კოლხეთისა და იბერიის წარმართულ ტაძართა ორიენტაცია, რადგან ეს ერთადერთი რეგიონია მთელ წინა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში, სადაც საკულტო ნაგებობების წარმოქმნის პროცესში სამყაროს მხარეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ირანულ-პართული სამყაროს ტაძრებში ორიენტაციის მხრივ რაიმე ერთიანი მოთხოვნა არ შეინიშნება⁵¹. იგი არ ჩანს არქიტექტურულ ნორმად ძველ სომხურ სატაძრო არქიტექტურაში შესაძლოა იმიტომაც, რომ მისი წინამორბედი ურარტული სამყაროც არ აქცევს მას დიდ ყურადღებას⁵², ხოლო შუამდინარულ ტაძართა ორიენტაციის მრავალფეროვნებას (და არა საყოველთაო ერთ მიმართულებას) აკანონებს ღვთაებათა განსხვავებული ბუნება⁵³.

საქართველოს თითქმის ყველა წარმართული ტაძარი შეფარულად თუ ცხადად სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენაა ორიენტირებული. ასეთი ნორმა, ცხადია, დააკანონა ქართული წარმართული პანთეონის ჩვენთვის უცნობმა ერთ-ერთმა მოთხოვნამ ან რომელიმე ღვთაების ბუნებისგან გამომდინარე შემუშავებულმა ნორმამ. გამორიცხული სრულებით არ მგონია, რომ ტაძარს, როგორც ღვთაებრიობის გაცნობიერების კომპლექსის ერთ-ერთ ნაწილს, მხოლოდ ერთი რომელიმე ღვთაება შეიცავდა. იქითკენ ვიხრები, რომ ეს ღვთაება ქალური საწყისისაა და, შესაძლოა, ანაპიტასთან ან ზოგ შემთხვევაში კიბელასთანაც ყოფილიყო იდენტიფიცირებული.

და ბოლოს, უნდა აღვნიშნო ქართული წარმართული ტაძრების მკვეთრად გამოხატული და საერთოდ მისი სტრუქტურის განმსაზღვრელი ნიშანი – ცენტრულობა. ცხადია, არა აქვს მნიშვნელობა რა ფორმითაა ცენტრი ხაზგასმული, ე.ი. შემოსაზღვრულია იგი როგორც მაგ., ეს დედოფლის მინდორზე გვაქვს, თუ მარტოოდენ რაიმე აქცენტითაა მინიშნებული. მხოლოდ კოლხეთსა და იბერიაში და, შესაძლოა, კავკასიის ალბანეთშიც მოხდა ცენტრის ორკალთიან სტრუქტურასთან შეთავსება. ამ სინთეზმა შექმნა ის გზაჯვარედინი და გარდამტეხი ეტაპი, რომელიც საფუძვლად დაედო შემდგომი პერიოდის მონუმენტური არქიტექტურის განვითარების გზას.

¹ Витрувий, II, I, 4.

² თ. მიქელაძე არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბ., 1978. გვ.51-2.

³ ა. ჯაველიძე ახალი მასალები ძველი კოლხური მშენებლობის ხელოვნების შესწავლისათვის. სლსდ. XIII. თბ., 1985. გვ.5.

⁴ შდრ. Витрувий, II, I, 4; დაწვრ. იხ. გ. ყიფიანი, ნ. ამაშუკელი. კოლხური და ფრიგიული სახლები. თბ., 1995. გვ.5 და შმდ.

⁵ Гагшидзе В. С. Конструкция древнейшего типа колхидского жилого дома по Витрувию „მაცნე“. ისტორიის... სერია. 1974. №4. გვ.159-60.

⁶ Сумбадзе Л.М. Архитектура грузинского... с.75-6. рис.27; თ. ჩიქოვანი. ამიურკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან. თბ., 1967. გვ.204-6.

⁷ Шлюмберже Д. Эллинизированный Восток. с.112-6.

⁸ Смирнов Х.И. Ахалгорийский клад. Тиф., 1934.

⁹ თავდაპირველად ი. სმირნოვისეული „კულტურული წრის“ განსაზღვრა არ იყო გაზიარებული ყველა მკვლევრის მიერ, ა. ტალღერეი განძს ასურულ წრეს აკუთვნებდა (იხ. A. M. Tallgren, G. G. Smirnov. Der Schatz von Achalgori ESA. x. 1936. s.265).

მაგრამ ამ მოსაზრებას წარმატება არ ჰქონდა მკვლევართა შორის. იხ. H. Luschey, Die Phiale, Bleicherode am Harz, 1936. s.50.

¹⁰ R. Ghirshmann, Persia From the Origins to Alexander the Great, London. 1964. p. 265; W. Culican, The Meads and Persians, London, 1965. p.141; B. Brentjes. Die iranische Welt vor Mochammed. Lpz. 1978. s.136.

¹¹ Al. Dshawachischwili. Golschmiedekunst und Toreutik im vorchristlichen Georgien. Leningrad. 1988. s.12.

¹² მერლონთა სიმბოლოკის შესახებ იხ. Ed. Porauda. Battlements in the Military Architecture and in the Symbolism of the Ancient Near East. ЕНА. 1967.p.1-12.

¹³ Кузмина Е.Е. На вершине со всадниками из дагестана. СА. 1973. №2. с.187.

¹⁴ A. Champdor. Kunst Mesopotamiens, Lpz. 1964. 207.

¹⁵ G.C. Cooper. LAS. s.138.

¹⁶ Иванов В.В. Опыт истолкования древнеиндийских ритуальных и мифологических терминов, образованных от asva - “Конь” Сб. памяти В.С. Воробьева-Десятовского. М-Л., 1972.

¹⁷ Йетмар К. Религия Гиндукуша. М., 1986. с.381. рис.14.

¹⁸ ით. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი. გონიოს განძი, 1980 (შემდგომ სკოლოში – გონიოს განძი).

¹⁹ გონიოს განძი. გვ.23-7.

²⁰ B. Peftakos, National Museum, Athens. 1981, 100 №279.

²¹ Иванова М.И., Голубев П.М. Находки в Лоо. СА. 1961. №3. рис.8₂.

²² Мацулевич Л.А. Кто был Каллисфен названный в надписи открытой в Керчи в 1894 г. СА. 1941. с.79; Скалон К.М. О культурных связях восточного прикаспия в позднесарматское время. Арх. Сб. Вып.Г. 1961. с.118.

²³ H.G. Kantor. The Shoulder ornament of Near Eastern Lions. INES. v.VI. 1947. №4. p.250-67.

²⁴ იქვე. გვ.264-5.

²⁵ J.C. Cooper. LAS. s.183.

²⁶ ალ. ჯავახიშვილი. ხაიშის განძი. ურ. „მნათობი“. 1958. №3. გვ.149-77.

²⁷ ირ. ციციშვილი. ქართული არქიტექტურის ისტორია. თბ., 1955. გვ.28; გ. გობეჯიშვილი. განვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის სათავეებში. სა. 1959. გვ.203; გ. ლომთათიძე. გვიანანტიკური ხანა. სა. გვ.308-9; ალ. ჯავახიშვილი. ხაიშის განძი. გვ.154.

²⁸ Лордкипанидзе Г. К истории древней Колхиды. Тб., 1970. с.118.

²⁹ Джандиери М. Древние истоки... с.8; გ. ლევაგა. ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები. თბ., 1959. გვ.9.

³⁰ R. Demengel. La Frise Jonique, Paris. 1932. fig.81, 83, 92.

³¹ P. Stengel. Die Griechischen Kultusaltertümer. München. 1920. tab.III. fig.10.

³² H. Metzger. Anatolia II. London. 1969. fig.21.

³³ H. Th. Bossert. Altsyrien. 132.

³⁴ Калоев Б.А. Материальная культура и прикладное искусство осетин. М., 1973. таб.100₃.

³⁵ ე. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ.II თბ., 1982. ტაბ.69.

³⁶ თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957. გვ.127. XI,III,1

³⁷ გ. ყიფიანი, ნ. ამაშუკელი. „კოლხური“ და „ფრიგიული“ სასხლები. თბ., 1995. გვ.5 და შმდ.

³⁸ Чубинашвили Г.Н. Очерк развития в Грузии дофеодальной архитектуры. АГ. 5. 1959. с.62.

³⁹ დაწერ. იხ. გ. ყიფიანი, ნ. ამაშუკელი. „კოლხური“ და „ფრიგიული“ სასხლები.

⁴⁰ Робакидзе А.И. Традиционные формы поселения в Аджарии. В кн.: ОАЭ. Тб., 1982. с.22-3.

- ⁴¹ Илынна М. Древнейшие типы жилищ Закавказья. СИИТАА. Вып.5. М., 1946. с.19.
- ⁴² რ. ელანიძე, ვ. სადრაძე, ბ. მურვანიძე, ნ. სუბულური. რკინის ფართო ათვისების ხანის სამლოცველო კალანდაძის გორიდან. სმამ. 134. 1989. №3. გვ.201-3.
- ⁴³ Джавахишвили А.И. Строительное дело и архитектура поселении Южного Кавказа V-III тысяч. до н.э. Тб., 1973. с.301-2.
- ⁴⁴ Сумбадзе Л. Архитектура Грузинского... с.26 და შემდ.
- ⁴⁵ მაგ., დარბაზები გაგულთქარში, დორეთქარში და სხვ. იხ. Сумбадзе Л. Архитектура... таб.28, 29.
- ⁴⁶ Кауфман С.А. Архитектура набатеев... с.167.
- ⁴⁷ Ломтатидзе Г.А., Цицишвили И.Н. Новооткрытый склеп в Мцхета, Сообщения АН. Груз. ССР. т.ХII. 1951. №10; Ломтатидзе Г.А. Археологические раскопки в Мцхета. Тб., 1955. с.86-7; ა. აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ., 1963. გვ.107-8.
- ⁴⁸ შტრ. Гандукевич В.Ф. Боспорские города, уступчатые склепы. Л., 1981. с.6-54; Кауфман С.А. Об уступчатых склепах Боспора СИИТАA. вып.6. 1947. с.1-32; А. К. Orlandos Les Materiux. P.II p.185-213.
- ⁴⁹ იხ. Н. Klenk. Die Antike Tur Giessen. 1924.
- ⁵⁰ მაგ., ცაბაურთა მთავარანგელოზის ხატი ან მათური, ასევე მთავარანგელოზის ხატი. იხ. ვ. ბარდაველიძე აღმოსავლეთ საქართველოს... I ტაბ.57. აგრეთვე როშკა, დიდგორის ჯვარის დარბაზი, ჭორმეშაი, ფიტარეთის ჯვარის დარბაზი (ვ. ბარდაველიძე აღმოსავლეთ საქართველოს... II ტაბ.68, 46) და მრ. სხვ.
- ⁵¹ K. Schippman. Die iranische... s.498-9.
- ⁵² ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს ეს გამოქვეყნებული მასალის მიხედვით. იხ. Th. B. Forbes. Urartian Architecture p.69-96.
- ⁵³ იხ. E. Heinrich. Die Tempel und Heiligtümer im Alten Mesopotamien. Text. DAA. Bd. 14. Berlin. 1982. ამასთანავე იხ. წიგნის მეორე ნაწილი - Abbildungen.

ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები

ირანიდან „აიადანა“, როგორც საკულტო ნაგებობათა მოდელი, ძირითადად სამი მიმართულებით გავრცელდა (ტაბ.LXXVI). სირიაში იგი საფუძველს ქმნის ადრექრისტიანული ტაძრების ერთი გარკვეული სახეობისთვის – „კადრატული“ ბაზილიკებისათვის¹. თვით ირანსა და აღმოსავლეთში მან დასაბამი მისცა სასანურსა და შემდგომ ისლამურ საკულტო არქიტექტურას². რაც შეეხება ჩრდილოეთის მიმართულებას, იგი გვერდს უვლის სომხეთს. აქ მის გავრცელებას, როგორც ჩანს, წინ ელობება მძლავრი ურარტული ტრადიციები და, ამდენად, მკვიდრდება კოლხეთში, იბერიასა და ასევე კავკასიის ალბანეთში. თუ სტრაბონისა და პავსანიას ცნობებით ვიმსჯელებთ, ალბათ ცეცხლის ტაძრები ნაწილობრივ მცირე აზიაშიც გავრცელდა და ისიც მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შემდეგ. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მცირე აზიაში ტაძრის ამ მოდელმა ხანგრძლივად ვერ შეძლო ფეხის მოკიდება, ეს მხოლოდ ბერძნული, ყოვლისმომცველი არქიტექტურული ტრადიციებით აიხსნება³.

ძველ საქართველოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წინარექრისტიანული ტაძრები გარკვეულ მძლავრ მოთხოვნათა მიხედვით შემუშავებული ორგანიზმებია. აქ ჩანს ტექტონიკური და მხატვრული სრულყოფისაკენ მისი სწრაფვის ეტაპები. და ახლა ძნელია ვირწმუნოთ, რომ ახალი იდეოლოგიის გაჩენისთანავე ეს მემკვიდრეობა საქართველოში ქრება. შეუძლებელი მგონია დავიწყებას მისცემოდა საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული სატაძრო ნორმები და მემკვიდრეობანი, წარმოდგენები და ხსოვნა ღვთის სახელზე. ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიისათვის ასეთი ფაქტი უცნობია. როცა მოქმედებას იწყებს ახალი რელიგიის მიერ შემუშავებული ნორმები, სრულებით არ ისპობა წარსულის მემკვიდრეობანი. ისინი მონაწილეობს ახლის ფორმირებაში. ახალი რელიგია ეძებს იმ ტრადიციულ ფორმებსა და სახეებს, რომლებიც შესაბამისობაშია მის მისწრაფებებთან. არცთუ იშვიათად სწორედ ძველი სახეები და სტრუქტურები იმ ახალი ძვრების სათავე, რომელსაც თანდათანობით განვითარებისა და სრულყოფისაკენ მიჰყავს სინთეზის შედეგად წარმოქმნილი ფორმები.

ქრისტიანული არქიტექტურის პირველი ნაბიჯები კარგად ჩანს იმ რეგიონებში, სადაც იმთავითვე ეზიარნენ ამ სარწმუნოებას. ჩანს, თუ როგორ ცდილობს ქრისტიანული არქიტექტურის ჩანასახი გაბატონდეს ძველ წარმართულ ნაგებობაში ან შეეგუოს მის სტრუქტურას.

საკვალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ნეკრესის ბაზილიკა იმ ძველადა მიჩნეული, რომელმაც დასაბამი მისცა საქართველოში ბაზილიკური ფორმების განვითარებას. მისი მოცულობა და სივრცე ჩამოუყალიბებელია, ვერც თემას ასახავს ნათლად და არც მისი შექმნის თარიღისათვის მოგვეპოვება მონაცემები. ნეკრესის ბაზილიკა ისეთ ქმნილებად მქსახება, რომელიც ნებისმიერ პერიოდში შეიძლება წამოიმართოს არაკვალიფიციური მშენებლის მიერ და რომლისთვისაც ბოლომდე უცნობი დარჩა დროის მოთხოვნები. ასეთი ოსტატები საკმაოდ იყვნენ ყველა ეპოქასა და ყველა ქვეყანაში და მათი ქმნილებანი არქიტექტურის საერთო განვითარებაში არავითარ როლს არ ასრულებდა⁴.

გ. ჩუბინაშვილმა არაერთხელ გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ თავდაპირველი ბაზილიკური ნაგებობანი საქართველოში სიტყვიერი აღწერილობის შედეგად ფორმირდება⁵. იგივე თეზისი გვხვდება ვ. ბერიძის ნაშრომებშიც⁶. ეს მოსაზრება ეჭვს იწვევს მკვლევართა ერთ ნაწილში. გარდა ამისა, მათი აზრით, თითქოსდა თეზისი პირდაპირ მიანიშნებს, რომ საქართველო ხუროთმოძღვრული აზროვნების მხრივ სავსებით მოუშაადებელი შეხვდა ახალ თემატიკას⁷. ცხადია, ვერსად არქიტექტურული კონცეფცია სიტყვიერი აღწერილობით ვერ დამკვიდრდებოდა, მაგრამ ზოგიერთი ნორმა,

როგორცია, მაგალითად, ეკლესიის ორიენტაცია ან აბსიდა, დადგინდებოდა სწორედ სიტყვიერ მოთხოვნათა შედეგად, როგორც ღვთისმსახურთა დაკვეთები ხუროთმოძღვრებისადმი. აქ ძნელა წარმოდგენა იმისა, რომ წინასწარულად არსებობდა საიდანაღაც გადმოტანილი მშამზარეული ნიშნები და საქართველოში მის განვითარებას მიჰყვებოდა ხელი. ვფიქრობ, რომ ასეთი ნიშნები არ არსებობდა და, ამასთანავე, ვერც სიტყვიერი აღწერილობა იქნებოდა ყოვლისმომცველი, ანუ პროგრამის ტოლფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერაფრით ავხსნით იმ ფაქტს, რომ ქართულ ბაზილიკებში ვერ მივიღეთ ისეთი ელემენტები, როგორცია ატრიუმი, ნართექსი ან ტრანსეპტი, რომაულ ბაზილიკათა ის ცალკეული უჯრედები, რომელთა ადაპტაცია თავიდანვე მოახდინა ახალმა რელიგიამ. გარდა ამისა, ეს ელემენტები ქრისტიანულ ბაზილიკებში ვერ მივიღეთ იმიტომაც, რომ საქართველოში რომაულ ბაზილიკათა სრულყოფილი სახე ეკლესიად⁸ არ გააზრებულა, მაგრამ წინამორბედი საკულტო არქიტექტურა ბაზილიკის ზოგად სახეს დიხასაც კარნახობდა.

ძველი სომხური სატაძრო არქიტექტურის მიმოხილვისას შევეცადე მეჩვენებინა რამდენად გამიჯნულია ერთმანეთისაგან მისი და კოლხეთ-იბერიის ხუროთმოძღვრული თემები. გამიჯნული დარჩა ისინი (სომხური და ქართული ხუროთმოძღვრული სკოლები) ადრექრისტიანულ ხანაში და მრავალი არსებითი ხასიათის ნიშნით განვითარებული შუა საუკუნეების დროსაც⁹. საწყისი წერტილები ქრისტიანული არქიტექტურისათვის ამ უძველეს რეგიონებში სხვადასხვა იყო და განსხვავებანიც ფორმათა წარმოქმნის პირველ ეტაპზე ამის შედეგია. ეს განმასხვავებელი ნიშნები თავიდანვე გააცნობიერა გ. ჩუბინაშვილმა¹⁰ და მისი კვლევის ადრეულ პერიოდშიც სრულიად ცხადად იკვეთებოდა სხვადასხვა წინაპირობა სომხეთისა და საქართველოსათვის ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა წარმოქმნისა და განვითარების პროცესში.

ქართული ქრისტიანული არქიტექტურის დასაწყისიდან მისი შემდგომი განვითარება და სრულყოფა გ. ჩუბინაშვილს ესახებოდა ერთიან, უწყვეტ ჯაჭვად. ამ გზის შესასწავლად მის მიერ შემოთავაზებულ იქნა სისტემა, რომელიც დღეს „ევოლუციური თეორიის“ სახელით ფიგურირებს ლიტერატურაში. ადრეული პერიოდისათვის ამ თეორიის მიხედვით მკაცრადაა განსაზღვრული ქრისტიანული არქიტექტურის დასაწყისის წინამძღვარი, რაც ზოგადად შემდეგნაირია: საქართველოში წარმართულსა და ქრისტიანულ რელიგიათა დაპირისპირება მხოლოდ მცირე ზომის ნაგებობათა აგების შესაძლებლობას იძლეოდა. გარდა ამისა, საქართველოსათვის უცნობი იყო ის რომაული მემკვიდრეობანი, რომლებმაც დასავლეთში შექმნა ქრისტიანული ბაზილიკის საფუძველი და ამიტომაც აქ იძულებული იყვნენ თითქმის ცარიელი ადგილიდან, ყოველგვარი საწყისი მოდელის გარეშე თავად განვითარებინათ საკულტო ხუროთმოძღვრება, სწორედ ამის შედეგია ქართული ქრისტიანული არქიტექტურული სკოლის თვითმყოფადობა. იმ დროისათვის ეს თეზისი პასუხობდა პრობლემას. პრობლემა კი ასეთი იყო: ჩანდა და შეიგრძნობოდა თვითმყოფადობა ქართული არქიტექტურისა და უცნობი რჩებოდა მისი მიზეზები. ამასთანავე, ვფიქრობ, რომ დღევანდელი ჩვენი ინფორმაციულობის პირობებში ამ თეორიაში კორექტივების შეტანა აუცილებელია. გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებანი ქართული ქრისტიანული არქიტექტურის წარმოშობის შესახებ ბევრი სხვადასხვა გარემოებით იყო ნაკარნახევი. იმ დროისათვის სრულებით არ ჩანდა საქართველოში წარმართული საკულტო ძეგლები, შეუძლებელი იყო საუბარი საინჟინრო ტრადიციებზეც კი უცნობი იყო საწყისები, ამდენად, მეზობელი რეგიონებიდან მომავალი იმპულსების ძიებასაც რეალური საფუძველი არ ჰქონდა. ამის საშუალებას თვით ძეგლები არ იძლეოდა. ამ და კიდევ სხვა მიზეზებმა წარმოქმნა გ. ჩუბინაშვილისეული თეორია, რომელიც, ჩემი აზრით, შემუშავდა გამო-რიცხვის გზით, შედეგად მივიღეთ სისტემა, რომელიც ზოგადად დაკავშირებულია ძირეულ, ქართულ ტრადიციებთან, ქართველთა შეხედულებებსა და მის მიკროსამყაროსთან, რომელიც, მკვლევრის აზრით, საცხოვრისში ჩამოყალიბდა¹¹.

გარდა ამისა, დიუბუა დე მონპერეს დებულების (რომლის მიხედვითაც, ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრება სომხურის განშტოებად იყო მიჩნეული და რომელსაც მკვლევართა მთელი

კოპორტა უკრიტიკოდ დაეყრდნო)¹² საყოველთაო დამკვიდრება სწორედ აღნიშნულმა თეორიამ შეაბრკოლა. გ. ჩუბინაშვილის თეორია იყო არა ხელოვნური, განყენებულად შექმნილი, არამედ რეალურად, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, გამორიცხვის გზით შემუშავებული და მასში კორექტივი უნდა შეეტანა დროსა და შეზღოვებულ კვლევა-ძიებას, რომელიც ან დაადსტურებდა, ან უარყოფდა, ან სხვაგვარ მიმართულებას მისცემდა მის ცალკეულ დებულებებს. შემდგომი კვლევის ეს გზა ხელოვნებათმცოდნეობაში, არქიტექტურის თეორიასა და არქეოლოგიაში უსასრულოა. აქ ძნელია დაისვას სადმე წერტილი და ყველაფერი ფორმულით აისახოს, რადგან ეს დარგები ახდენს არა მხოლოდ წარსულის, არამედ შემოქმედთა აზროვნების შესაძლო რეკონსტრუქციასაც. კვლევის ეს გზა ისევე ამოუწურავია, როგორც თვით შემოქმედთა შესაძლებლობანი.

ქართული არქიტექტურის ისტორიის ერთ-ერთი პრობლემა გუმბათის წარმოშობასთან დაკავშირებული საკითხია. აქვე მინდა ვთქვა, რომ ე.წ. ჭერემის კვადრატის (ტაბ. LXXVII)¹³ მხედველობაში მიღება ამ საკითხთან დაკავშირებით მიძნელდება. მისი გეგმა ნათელი მოწმობაა იმისა, რომ იგი სასანური ტიპის ქმნილებაა (ტაბ. LXXVII-6), ე.წ. კიოსკი, რომელიც ხშირად ასრულებდა გვიანდელ ზოროასტრულ სამლოცველოთა ფუნქციას¹⁴. საუკუნეთა მანძილზე უცვლელი რჩება მათი გეგმა და ეს ძეგლი („ჭერემის კვადრატი“) – თავისთავად საყურადღებო ფაქტი – ადრეული ძეგლიც შეიძლება იყოს და გვიანდელი რეპლიკაც¹⁵. ამდგვარ ნაგებობებში ყოველმხრივ თაღებით გახსნილი კედლები გვიანდელი, ზოროასტრული სულისკვეთების გამოხატულებაა¹⁶.

ყოველ ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ ფორმას ეძებნება თავისი პროტოტიპიც და იდეურ-სიმბოლური საწყისიც. გ. ჩუბინაშვილის მიერ საესეებით სამართლიანადაა მიჩნეული გვირგვინები (იგივე ცრუ გუმბათები, პორიზონტალური წყობით ნაგები) გუმბათთა პროტოტიპებად¹⁷. ეს მოსაზრება პრინციპულადაა სწორი. ცხადია, ცრუ კამარით შედგენილი „გუმბათი“ სხვა არაფერია, თუ არა ხის შესაძლებლობებით განხორციელებული იგივე თემა, რასაც წარმოსახავს სრულფასოვანი გუმბათი. ამ თემის განვითარებამ და ქვაში განსხეულებამ ახალი საინჟინრო ხერხები და მიგნებები წარმოშვა, რაც ტექნიკურ პროგრესს უკავშირდება. მაგრამ გუმბათის პროტოტიპი სივრცით, ფორმითა და ნაწილობრივ იდეით უეჭველად გვირგვინია. ამ მიმართებით გ. ჩუბინაშვილისეულ მსვლელობაში კორექტივის შეტანა უთუოდ საჭიროა. აქ ქართულ, დარბაზულ საცხოვრისთა გვირგვინებიდან ადრექრისტიანულ გუმბათებამდე გამოტოვებულია შუალედური რგოლი – წარმართული ტაძრები. ყველა კულტურულმა რეგიონმა გაიარა ხანგრძლივი წიაღსვლებით აღსავსე გზა საცხოვრისიდან ტაძრამდე, მაგრამ არა საცხოვრისიდან მანცადამანც ქრისტიანულ ეკლესიამდე¹⁸. მაგრამ „გუმბათოვან“ ნაგებობათა ეს რიგიც: საცხოვრისი (დარბაზული) – წარმართული ტაძარი – ქრისტიანული გუმბათოვანი ტაძრები გუმბათის განვითარების უწყვეტი გზის ამსახველად მანც არ გვევლინება. აქ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რატომ ქრება გუმბათი ქართული ქრისტიანული არქიტექტურის საწყის ეტაპზე? გუმბათის როლი, ფეიქრობ, წარმართული ტაძრებისათვის საკმაოდ იყო ნაჩვენები წინა თავებში. იქ ისაა ქუდი რიტუალისა, მთელი ღვთისმსახურება საბოლოოდ მისით ცნობიერდება როგორც წმინდა ცეცხლის მიერ წარმოქმნილ ფორმაში. ეს ნათელი, მძაფრი, გარე მასებში გამოვლენილი წარმართული სულისკვეთება სრულად მიუღებელი უნდა ყოფილიყო ახალი რელიგიისათვის და, ცხადია, იგი პირველ რიგში მისი მოშორებისათვის იზრუნებდა და არა თვით წარმართულ სატაძრო ნაგებობათა სტრუქტურების საფუძვლიანი გადაკეთებისათვის. ამ მხრივ ფრიალ საყურადღებოა სომეხი ისტორიკოსის ზენობ გლაკის ცნობა პირველი სომხური ეკლესიების მშენებლობის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ ქრისტიანები წარმართულ ნაგებობებს დაეფუძნენ ისე, რომ გეგმარებით სქემაშიც კი არ მოუხდენიათ ცვლილებანი და მხოლოდ კარი გადაიტანეს დასავლეთით¹⁹. საყურადღებოა, რომ ქართულ ეკლესიებში ეს ნორმა (დასავლეთი კარი) საყოველთაოდ არ გავრცელდა, თუ მოვაცილებთ გუმბათს ირანულ-იბერიულ ტაძრებს, მივიღებთ ნაგებობას, რომელსაც გარეგნულად მანც ბაზილიკის იერი აქვს. ესაა მისი სახე, რომელსაც ძირითადად გეგმა განაპირობებს და აგრეთვე კრამიტის საბურველი, რომელმაც

სახურავის დაფერდებული სიბრტყეები წარმოშვა. გარდამავალ პერიოდში საკულტო ნაგებობათაგან გუმბათის მოცილება მისი განვითარების ხელოვნური შეწყვეტა და შეფერხებაა, და რამდენადაც უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, ეს მოვლენა ქრისტიანული რელიგიის მძლავრობის შედეგია. სულ სხვა საკითხია გუმბათები „Croix libre“-ს ტიპის შენობებში (ვთქვათ, სამწევრისში ან ატენის მცირე ეკლესიაში). ეს სისტემა არ უფროსის გუმბათს, რადგან მისი თემატიკა მთლიანად ახალი იდეოლოგიის ქმნილებაა, მისი გეგმის ჯვრული საფუძველი მას სხვა იდეალებით მოსასვს²⁰. გუმბათი „Croix libre“-ში წარმოადგენს არა რიტუალის ცენტრს, არამედ არქიტექტურული თემის დაგვირგვინებას. აქ მოხდა გუმბათისა და სარიტუალო მოედნის განცალკევება. სულ სხვაა ბაზილიკის მსგავსი ფორმები. მათ საქართველოში გუმბათის თავიდან წარმოსაშობად რთული წიაღსვლები დასჭირდა. ამ ნაგებობებში გუმბათის საფუძველი გეგმაშივეა ჩადებული, მაგრამ ფერხდება მისი ამოზიდვა საერთო მასებიდან, რადგან ალბათ ცოცხალი იყო ხსოვნა წარმართულ ტაძრებზე.

არქეოლოგიურმა კვლევამ რაღაც უნდა გვიჩვენოს ადრეულ ეკლესიათა შექმნისა და ჩამოყალიბების შესახებ. ასეთი კვლევა მრავალ პუნქტშია ჩატარებული, რამაც დაგვანახა, რომ ქრისტიანული არქიტექტურის პირველი ნაბიჯები საკმაოდ ხშირად არა მხოლოდ რომაულ საზოგადოებრივ ნაგებობათა, არამედ წარმართულ სალოცავთა ათვისებასაც ითვალისწინებდა. იგი მძლავრობს წინარექრისტიანულ ნაგებობებზე, უძებნის ახალ ფუნქციას ცალკეულ დეტალებს, იყენებს ეკლესიისათვის ისეთ ძველ ნაგებობებს ან მათ ნაშთებს, რომლებიც ორიენტაციით მაინც ესადაგება ქრისტიანულ ნორმას. თუმცა ყოველთვის ამასაც არ აქცევს ყურადღებას. ცხადია, ახალი რელიგია ეკლესიად ნებისმიერი ტიპის ნაგებობას განურჩევლად არ ითვისებს. იგი საგანგებოდ არჩევს ისეთ ფორმებს, დახურულ, ჩაკეტილ სივრცეებს, რომელიც უკეთ შეესაბამება მის პროგრამას. ეს მოვლენა არ შეიძლება მომსდარიყო რომელიმე ერთ ლოკალურ რეგიონში. იგი წერილობითი წყაროებით ძირითადად დასტურდება სომხეთსა და არქეოლოგიური კვლევა-ძიებით მთელ ძველ ქრისტიანულ სამყაროში. რამდენიმე მაგალითის მიხედვით, ვფიქრობ, საკმარისი იქნება: ქრისტიანულ სამლოცველოდაა გარდაქმნილი რამხეს III-ის ტაძარი მედინეტ-ჰაბუში (ტაბ.LXXIX₅). აქ აბსიდა ჩართულია აღმოსავლეთ გალერეის სტრუქტურაში. აბსიდა მიება კოლონადას უზუნ-ბურცში, ზევის ტაძარში, რის შედეგადაც იგი ეკლესიად იქცა (ტაბ.LXXIX₆). აბსიდის მიშენებით დელოსის თესმოფორიონიც (ტაბ.LXXIX₄), ისევე როგორც ათენის თესეიონი (ტაბ.LXXIX₁) ქრისტიანულ სამლოცველოდ მოგვევლინა, ხოლო ასოსის აგორას ერთ-ერთ ტაძარში აბსიდა დასაუ-ლეთით ჩასვეს (ტაბ.LXXIX₂). აქ ორიენტაციაც კი არაა დაცული, ამის საშუალებას ეს ნაგებობა არ იძლეოდა²¹.

ამ პროცესებისაგან გამიჯნული არც საქართველო ჩანს. ეს დაგვანახა ნასტაკისის ველზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა. აქ მე-ნ თხრილში გამოვლინდა დიდი ანტიკური ნაგებობა, რომლის ერთი ნაწილი ეკლესიისათვის საგანგებოდაა გამოცალკევებული²². ჩრდილოეთი კედელი ეკლესიის დროინდელი ჩანს; სწორედ იგი ჰყოფს საეკლესიო ფართობს დანარჩენი მასისაგან. აღმოსავლეთ ნაწილში კარგად შეინიშნება კედელზე გვიანდელი მინაშენი, რომელმაც აბსიდა შექმნა (ტაბ.LXXXI₂), ე.ი. აბსიდის ჩანაშენი და ნაგებობის კედლები სხვადასხვა დროისაა, თუმცა შესაძლოა, რომ ისინი ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან დიდად არცაა დაშორებული. ეს სურათი ანალოგიურია ზემოთ განხილული შემთხვევებისა – წარმართული ნაგებობა გადაკეთდა ეკლესიად და ყველა ეს მაგალითი, ერთად თავმოყრილი, გვაძლევს მათზე თვალის გადევნების საშუალებას. აქ უპირველესად ისაა გასაგები, რომ მთავარი ნაგებობათა ორიენტაციაა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) და სრულებითაც არ ჩანს არსებითი ასათვისებელი შენობა როგორი სახის სწორკუთხედშია ჩაწერილი – კვადრატში, მასთან მიახლოებულში, თუ მეტისმეტად წაგრძელებულში (როგორც მაგ., ეკლესია ათენის თესეიონში). ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (უზუნ-ბურცი) ეკლესია ითვისებს ისეთ შენობებს, რომელთაც შედარებით ჩაკეტილი, დახურული სივრცე ახასიათებს. არ ექცევა ყურადღება ნაგებობის ზომებს. ეკლესია ეფუძნება ნებისმიერი სიდიდის შენობას და მისთვის სრულიად არა აქვს

მნიშვნელობა იმასაც, აბსოლუტურად გარედან მიედგება ნაგებობას თუ მასში ჩაშენდება. ამ ელემენტის პოზიციას იმისდა მიხედვით ადგენდნენ, თუ რა საშუალებას იძლეოდა არსებული ნეგებობა საამისოდ. როგორც ჩანს, განსაკუთრებული მნიშვნელობისა ორი ძირითადი მოთხოვნა იყო: ჩაკეტილი სივრცე და ორიენტაცია. მაგრამ სულ სხვაა საკითხი, თუ რა სახის ნაგებობას ირჩევს ქრისტიანული რელიგია ისეთ საყოველთაო მოდელად წარსულის არქიტექტურული მემკვიდრეობიდან, რომელიც საესტეტიკო შეძლებს მისი იდეალების განხორციელებას. ასეთი ნაგებობა რომაული ბაზილიკაა გრძივი დახშული სივრცით როგორც მოდელი და მხატვრული კანონის შემქმნელი დასავლური ქრისტიანული ბაზილიკებისათვის²³.

ქართული ბაზილიკების განხილვას დაიწყებთ მატანის ცხრაკართ (ტაბ. LXXXIV 4) და ვიგულისხმებ მის მსგავს ძეგლებსაც (ტაბ. LXXXIV 3), რომლებიც ადრეულ ეკლესიათა ერთ ტიპოლოგიურ რიგს ქმნიან. გ. ჩუბინაშვილის დახასიათებით, ესაა მეტად სათუო ბაზილიკები, ერთნაგვიანი ეკლესია სამი მხრიდან გარსშემოსავლელით. აქაც არ არსებობს არავითარი ბურჯები, შენობას რომ სამ ნაგად ჰყოფდეს²⁴.

უკეთესად ამ ძეგლთა დახასიათება შეუძლებელია, მათი ხასიათი სრულად ჩანს, მაგრამ აქ ზოგადად მინც უნდა გაეარკვიოთ, რა განსხვავებაა „სათუ“ და ნამდვილ ბაზილიკებს შორის. ნამდვილ ბაზილიკაში გვაქვს ვრცელი, გრძივი, ერთიანი სივრცე, რომელიც სვეტების ან ბურჯების ორი რიგით სამ ნაწილად იყოფა. „სათუ“ ბაზილიკა კი იმით შეიძლება დახასიათდეს, რომ სასხეუ გვაქვს სივრცობრივად ერთმანეთისგან ფაქტიურად დამოუკიდებელი ერთეულები. აქ არსად გვაქვს სვეტთა ან ბურჯთა ის ჰარმონიული სისტემა, რომელიც ბაზილიკებში ჰყოფს ნაგებს და იყრდნობს ცენტრალური ნაგის ზედა სტრუქტურის კედლებს. „სათუ“ ბაზილიკებშიც შეიძლება მოგვეჩვენოს მსგავსი სურათი, მაგრამ აქ ნაგების გამყოფი „სვეტთა“ სტრუქტურა ფაქტიურად არც განსხვავდება ზედა ნაწილის კედლებისაგან, თითქოს სვეტები აქ ნაგების გამყოფი კედლების ლიობებით დანაწევრების შედეგადაა მიღებული. ეს კარგად ჩანს სწორედ მატანის ცხრაკარისა და მისი რიგის სხვა ძეგლებშიც, ე.ი. ნამდვილსა და „სათუ“ ბაზილიკებს შორის განსხვავებანი უფრო სტრუქტურული ხასიათისაა, ვიდრე ტიპოლოგიური.

კვლავ მინდა დაეუბრუნდე ძველი ქართული წარმართული ტაძრების რეკონსტრუქციის საფუძვლებს. დედოფლის მინდორზეც და ციხიაგორაზეც ამდღეებულა ცენტრალური სივრცე და იგი გუმბათითაა დაგვირგვინებული. კრამიტით გადახურული გვერდითი სათავსები ცენტრალურ ნაგთან შედარებით გაცილებით დაბალია. ამაზე მიგვანიშნებს შემორჩენილი კედლები: ცენტრალური ნაგისა საგრძნობლად განიერია გვერდითებთან შედარებით. ცხადია, აქ ცენტრალური ბირთვის დიდი სიმაღლე უნდა ვიგულისხმით და შედარებითი სიმაღლე გვერდითი სათავსებისა. საბოლოოდ ვლბულობთ ძირითად ცენტრალურ ბირთვს ირგვლივი გარსშემოსავლელით (დედოფლის მინდორი) ან ცენტრალურ ბირთვს გვერდითი გრძივი და დაბალი მინაშენებით (ციხიაგორა). გარეგნულადაც და განივკვეთშიც ისინი ჰგავს ბაზილიკებს და წარმოადგენს „ცრუ ბაზილიკებს“, ზუსტად ისეთებს, როგორცაა მატანის ცხრაკარა ან ამავე პერიოდის ნებისმიერი ქართული „სათუ“ ბაზილიკა, ე.ი. ადრეულ ქართულ ბაზილიკებში სივრცობრივი კომპოზიციის იგივე სურათია, რაც ქართულ წარმართულ ტაძრებში. აქაც გარსშემოსავლელი ანუ გვერდითი „ნაგები“ მიშენებულია ცენტრალურ ბირთვს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მატანის ცხრაკარის (ტაბ. LXXXIV 4), შუამთის ბაზილიკის (ტაბ. LXXXIV 3), ან გორისჯვრისა (ტაბ. LXXXVII 4) და სხვათა გვერდითი ნაგების კედლები წარმართულ ტაძრებში დადასტურებულ სქემათა ანალოგიურად გაცილებით ნაკლები სისქისაა, ვიდრე ცენტრალური ნაგისა, ე.ი. საფუძვლის სქემაშიც კი არა გვაქვს განსხვავებანი, რადგან მოცულობით ისინი თითქმის იდენტურია (თუ არ ჩავთვლით ადრექრისტიანულ ბაზილიკათა უგუმბათობას). ვფიქრობ, წინარექრისტიანულ ხანაში (ელნისტურ-გვიანანტიკური პერიოდი) საქართველოში ჩამოყალიბებული გვაქვს სივრცობრივი კომპოზიციის ის სურათი, რომელიც თითქმის ცვლილებების გარეშე შეითვისა ადრექრისტიანულმა არქიტექტურამ. შესაძლოა, ეს აპრობებს იმ ფაქტს,

რომ ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოში თითქმის მხოლოდ სამნავიანი ბაზილიკები შენდებოდა („ცრუ ბაზილიკები“), მაშინ, როცა მეზობელ სომხეთში უმეტესად დარბაზული ეკლესიები²⁵. უნდა გავიმეორო, რომ სომხური, წინარექრისტიანული სატაძრო არქიტექტურისათვის სრულიად უცხოა იბერიაში გავრცელებული ტაძრის ის ტიპი, რომელსაც გარეგნულად სამნავიანი ბაზილიკის იერი აქვს.

ამასთანავე, მგონია, რომ გუმბათის მოშორება საკულტო ნაგებობებისაგან არცთუ უმტკივნეულო პროცესი უნდა ყოფილიყო. მეჩვენება, რომ მის ხელახლა წარმოშობას რთული წიაღსვლები დასჭირდა. ცრუ გუმბათები გვაქვს მთელი რიგი ძეგლების პასტოფორ-უმებში; ახმეტის ღვთაებაში²⁶, წირქოლში, არმაზში და სხვ. ამასთანავე, გუმბათოვნება ცენტრალური ბირთვები წირქოლსა და არმაზში (ტაბ. LXXXV_{1,2}), ოლონდ ისე, რომ მათი სივრცე არ სცილდება ძირითად მასებს და მოქცეულია გადახურვის ქვეშ. სურათი, ჩემი აზრით, საინტერესოა: ერთდროულად ჩანს სწრაფვა გუმბათისაკენ და, ამავე დროს, მისი მიჩქმალვის მცდელობაც, ე.ი. წარსულისაგან დაგვრჩა სქემა: სვეტებით ან ბურჯებით მოსაზღვრული, ან გუმბათის იდეურობით გაპირობებული „ცელა“, გუმბათი კი ქრება ცენტრალური სივრციდან, აღწევს ცენტრსაც, მაგრამ უხილველი რჩება. ვფიქრობ, ეს გამოწვეულია იმით, რომ გუმბათი ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის ადრეულ ეტაპზე წარმართობის ყველაზე ნათელ გამოვლინებად რჩებოდა, მაგრამ მის საბოლოოდ გაქრობას აბრკოლებდა ხსოვნა და ტრადიციები, ის ტრადიციები, რომელიც ცხადად თუ მიჩქმალვით დროდადრო წარმოშობდა გუმბათის არასრულ ფორმებს. გარდა ამისა, ტრადიციამ ახალი, ძლიერი იმპულსი მიიღო VI ს-ში ქრისტიანული ლიტურგიის ახლებური გააზრებით, სადაც ტაძრის ყველა ელემენტმა შეიძინა ღრმად სიმბოლური აზრი და იდეურად დაუკავშირდა ამა თუ იმ რიტუალს²⁷. შესაბამისად, გუმბათის როლიც, როგორც დომინანტისა, საბოლოოდ გამოიკვეთა. ჩამოყალიბდა მისი სიმბოლური არსიც – ტაძრით გაცნობიერებული სამყაროს ზეცა²⁸. ამ ფაქტორებმა თავდაპირველად წარმოშვა ჯერ უხილველი გუმბათი წირქოლსა და არმაზში და შედგომ სილუიტი კაბენსა და გურჯაანის ყველაწმინდაში. ესაა ის ძეგლები, სადაც გუმბათისა და ტაძრის ძირითადი მასების ურთიერთშეთავსება რთულად წარიმართა. შესაძლოა იმიტომაც, რომ საბოლოოდ გააზრებული არც იყო იმ დროისათვის გუმბათის იდეური როლი. საგანგებოდ მინდა შევეხო ამ ძეგლებს, რადგან ყველა მათგანი, ჩემი აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ თარიღთაგან განსხვავებით რამდენადმე უფრო ადრეულ პერიოდს განეკუთვნება.

გურჯაანის ყველაწმინდა

გურჯაანის ყველაწმინდა დიდი, ორგუმბათიანი ბაზილიკაა (ტაბ. LXXXIV_{1,2}; LXXXVIII; LXXXIX₂). იგი გ. ჩუბინაშვილმა შეისწავლა და VIII-IX სს-ით დაათარიღა²⁹. მოგვიანებით ს. კაკაბაძემ ეჭვი შეიტანა გ. ჩუბინაშვილისეულ დათარიღებაში და ძეგლის შექმნის პერიოდად ძირითადად კედლების წყობის არქაული იერისა და აბსიდის ნალისებური მოყვანილობის გამო V-VI სს-ები შემოგვთავაზა³⁰. გ. ჩუბინაშვილს აღნიშნული აქვს, რომ ძეგლის სტრუქტურაში ზოგიერთი ელემენტი ადრეული პერიოდებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ყველაწმინდაში მათ არსებობას არქაულ სახეთა სიცოცხლისუნარიანობით ხსნის³¹. მოხმობილი ძეგლის თარიღის დასაზუსტებლად ს. კაკაბაძისეული არგუმენტაცია მთლიანადაა უარყოფილი დ. თუმანიშვილის მიერ³².

ს. კაკაბაძე თვლიდა, რომ რადგან ნალისებური ფორმები, ასე მრავლად რომ გვაქვს გურჯაანის ყველაწმინდაში (თაღებსა და აბსიდებში), წყვეტს საქართველოში თავის არსებობას VI ს-ში, ძეგლი ამ თარიღზე გვიანდელი არ უნდა იყოს³³. დ. თუმანიშვილს კი კონტრარგუმენტად ქსნის ხეობის ძეგლები – არმაზი, წირქოლი და ყანჩაეთის კაბენი მოჰყავს, VIII-IX სს-ით დათარიღებული ეკლესიები, სადაც მართლაც გვაქვს ნალისებური ფორმები. ნალისებური თაღები

ნამდვილად აღარ გვხვდება საქართველოში VII ს-ის ბოლოდან მანც³⁴ (შესაძლოა, გამონაკლისი სადმე გვიანდელ ძეგლზე დადასტურდეს). რაც შეეხება ქსნის ხეობის მოხსენიებულ ძეგლებს, ყველაწმინდის ანალოგიურად, მე ისინიც ადრეული ხანისანი მგონია, რის დასაბუთებასაც ქვემოთ შევეცდები. და თუ მათ მანც VIII-IX სს-ის ძეგლებად მივიჩნევთ, როგორც ამას გარუბინაშვილი თვლიდა, მაშინ მისი აზრიც უნდა გავიზიაროთ მათზე – გამონაკლისი. მისი დასასიათებით, ისინი წარმოადგენს ჩვენთვის ცნობილი არქიტექტურული კომპოზიციების რიგიდან მთლიანად ამოვარდნილ ძეგლებს³⁵. ამდენად, არმაზის, კაბენისა და წირქოლის მოხმობა ამ საკითხს მანც არათუერს მატებს, იმისდა მიუხედავად, დროის რა მონაკვეთს მივიჩნევთ მათი შექმნის თარიღად.

ს. კაკაბაძის მეორე არგუმენტი კედლის წყობის ხასიათია, რომელიც ასევე ძეგლის ადრეულობაზე მიანიშნებს. ეს არგუმენტიც უარყოფილია დ. თუმანიშვილის მიერ როგორც ნაგებობათა სტრუქტურის კონსერვატიული ხასიათის ელემენტები და, ამდენად, არცთუ საიმედო საშუალება თარიღის დასადგენად³⁶. ვფიქრობ, ეს სინამდვილეში ასე არ არის. კედლის წყობა თვალსაჩინო ცვლილებებს განიცდიდა საუკუნეთა მანძილზე და სწორედ ამ ცვლილებათა გათვალისწინებით საკმაო სიზუსტით დგინდება ამა თუ იმ ძეგლის თარიღი. ყველაწმინდის კედლები გვიანდელი ნიმუშია ე.წ. ისოდომური წყობის გამარტივებული სახისა. იგი ხასიათდება იმით, რომ „კლასიკურ ისოდომურ“ წყობათაგან განსხვავებით, აღარ ხდება კვადრების ყოველმხრივი დამუშავება, აღარ კეთდება რუსტები და მათი მოჩარჩოებანი, მაგრამ შენარჩუნებულია რიგში მოხვედრილ კვადრთა თანაბარი სიმაღლე და აგრეთვე მათი მეტ-ნაკლებად თანაბარი სიგრძე³⁷. საქართველოში წყობის ეს სტილი V-VII სს-შია გავრცელებული და VII ს-ის შემდგომ თითქმის აღარ გვხვდება³⁸.

რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში წყობის ხასიათი დამატარილებლად არ გამოდგება, რადგან ამა თუ იმ ჩამოყალიბებულ სისტემათა (რომელიც თავისთავად ეპოქაზე მიანიშნებს) პარალელურად გვხვდება შემთხვევითი არასისტემური წყობანიც. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს: ნაგებობის დანიშნულება, დამკვეთის შესაძლებლობანი, ოსტატთა არაკვალიფიციურობა და სხვ., მაგრამ როცა წყობის ესა თუ ის სისტემა წურავს თავის შესაძლებლობებს და წყვეტს არსებობას, მისი აღორძინება ჩვეულებრივ აღარ ხერხდება, რადგან ასპარეზზე სხვა სახეობები გამოდის, დროის შესაბამისად უფრო რაციონალური. ყველაწმინდაში დადასტურებული წყობა „ისოდომური“ სისტემის ბოლო საფეხურია, მისი უკანასკნელი შესაძლებლობა. მან არქაული ხანიდან VI ს-მდე გრძელი გზა განვლო თანდათანობითი გამარტივებისაკენ და საბოლოოდ ამოწურა შესაძლებლობანი. ამიტომ ძნელია წარმოვიდგინოთ IX ს-ში მისი ყველაზე მარტივი სახით აღორძინება და თანაც მხოლოდ ერთ პუნქტში. მით უმეტეს, ძნელია დაეუშვათ, რომ მხოლოდ ერთ წერტილში შენარჩუნდა ამ წყობის ესოდენ ხანგრძლივი სიცოცხლე.

გარდა ამისა, ყველაწმინდის გუმბათები ძნელია V ს-ზე უფრო გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნოს, მის „არქაულ“, რეაწახნაგა ფორმას ვ. ბერიძეც აღნიშნავს³⁹ და, რაც მთავარია, მის ადრეულობაზე რეაწახნაგა საფუძვლის არატოლგვერდობა და სიგანეში წაგრძელებული სახე მეტყველებს (ტაბ. LXXXIV 2). ეს ნიშნები მხოლოდ და მხოლოდ ადრეულ ძეგლებს ახასიათებს⁴⁰ ისევე, როგორც გუმბათის დაბალი ყელი (შდრ. მაგ., ძელი შუამთა და ა.შ.).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დასავლეთ ფასადზე ერთი მცირე დეტალი. ესაა სარკმლის ღიობის გარე მხრიდან შედარებით გვიანდელი მოჩარჩოება წყობით (ტაბ. LXXXIX), უფრო ზუსტად, სარკმლის ჭრილის საფასადე მხრიდან დავიწროება. შიდა მხრიდან კედლის სტრუქტურა აბსოლუტურად უცვლელია. ეს გვიანდელი შეკეთებისა თუ გადახალისების კვალი აღნიშნა გ. ჩუბინაშვილმა⁴¹, თუმცა აღარ დაუკონკრეტებია, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მიზანი ასეთი ქმედებისა. ცხადია, აქ სარკმლის ჭრილის პარალელური კედლები გვიანდელ მოთხოვნათა შესაბამისად გადააკეთეს, გააფართოვეს შიდა მხრიდან. სხვა მიზეზი ამ გადაკეთებისა არ ჩანს, პარალელურკედლებიანი სარკმლები კი თითქმის უგამონაკლისოდ მხოლოდ ადრეული ძეგლების დამახასიათებელი ნიშანია⁴². ძეგლზე სხვა მრავალი „არქაული“ ნიშანიც გვხვდება. ეს ნიშნები

გ. ჩუბინაშვილსაც აქვს აღნიშნული⁴³. ამ ძეგლში ბევრი ისეთი ფაქტორი იყრის თავს, რომ, ვფიქრობ, ძნელია VIII-IX სს-ით მისი დათარიღება. ყველაწმინდა არაუგვიანეს VI ს-ის მეორე ნახევრის ქმნილებად მესახება და არც მეგულება სხვა ისეთი ნაგებობა, ესოდენ ძუნწი მორთულობითა და ლაკონური ტექტონიკურად, რომელიც დამათარიღებელ ნიშანთა ესოდენ ერთიან კომპლექსს შეიცავდეს.

გურჯაანის ყველაწმინდა ნამდვილი გუმბათოვანი ბაზილიკაა. მის გვერდით ნაფთა სივრცე დაუნაწევრებელი და მთლიანია. აქ არა გვაქვს გუმბათის საფუძველს მიბჯენილი სამხრეთი და ჩრდილოეთი თაღები. ცენტრალურ ნაფთა T-ს მაგვარი ბურჯები სამ კვადრატს ქმნის (ტაბ. LXXXIV) და ხდება სრულიად მოულოდნელი რამ — გუმბათები წამოიზარდა განაპირა უჯრედებში და არა ცენტრში. ამ ნიშნით ყველაწმინდა სრულიად განსხვავდება ყველა გუმბათოვანი ბაზილიკისაგან. ამ ძეგლთან შესადარებლად გ. ჩუბინაშვილმა არაერთ ორგუმბათოვან ბაზილიკას მოუხშმო, მაგრამ, მისივე აზრით, ისინი არაფერს მატებს ამ ძეგლთან დაკავშირებულ საკითხებს⁴⁴. ორგუმბათოვან ბაზილიკებში ყოველთვის დომინირებს ერთი ცენტრალური გუმბათი, ანუ ის, რომელიც უშუალოდ ბემას ან აბსიდას ებჯინება, მიუხედავად იმისა, მეორე გუმბათი მოგვიანო დანამატია⁴⁵ თუ ძირითადი მასების თანადროული, განსხვავებით ყველაწმინდისაგან, სადაც გუმბათები ყველა ნიშნით ერთმანეთის იდენტურია. ამას გარდა, ყველა სხვა ორგუმბათოვანსა და მრავალგუმბათოვან ბაზილიკებში, და არა მარტო ბაზილიკებში⁴⁶, გუმბათები ერთმანეთთან მიჯრითაა განთავსებული⁴⁷. აქ არსადაა დატოვებული გუმბათებს შორის თავისუფალი, მათი ფართობის ტოლი შუალედი როგორც ეს ყველაწმინდაშია. გეგმით ეს ძეგლი მრავალგუმბათოვანი ბაზილიკის მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ აქ არა გვაქვს ცენტრალური გუმბათი, რომელიც სქემის მიხედვით დომინირებული უნდა ყოფილიყო, როგორც, მაგ., ექვსგუმბათოვან VI ს-ის ეფესოსის ტაძარში⁴⁸. სქემით ყველაწმინდა საოცრად ემსგავსება ალექსის კათედრალური ტაძრის გუიერის მიერ რეკონსტრუირებულ გეგმას, რომელმაც ბურჯები T-ს მაგვარად წარმოადგინა და სამი გუმბათი მიჯრით განათავსა ცენტრალურ ნაფთაში⁴⁹. გუმბათთა განთავსების ამ სისტემის კლასიკური ნიმუში მგონია წმ. ეპიფანეს ეკლესია სალამინზე (კვიპროსი)⁵⁰.

გურჯაანის ყველაწმინდაში, რომელიც სქემით სამგუმბათოვანი ბაზილიკაა, გამოყოფილია ცენტრი, მაგრამ გარე მასებში იგი უგუმბათობამ გამოჰყო, ე.ი. გუმბათი წამოზარდა ბაზილიკამ, მაგრამ არა იქ, სადაც უნდა წამოზიდულიყო. ცოტა მოგვიანებით სრულიად სხვა ტიპის ნაგებობაში იგი უკვე ცენტრში გვაქვს.

ქსნის არმაზი

ქსნის ხეობის სამი ძეგლი — არმაზი, წირქოლი და კაბენი ასევე VI ს-ის ქმნილებად მესახება, გუმბათოვნების იდეით გატაცებული ხუროთმოძღვრის⁵¹ საინტერესო ნამოღვაწრად. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ეს ძეგლები VIII-IX სს-ითაა დათარიღებული, მაგრამ, ვფიქრობ, ეს აზრი განაპირობა არმაზში, სამხრეთ ფასადში ჩართულმა ქვებმა ლაპიდარული წარწერით, სადაც თარიღიც იკითხება: ქორონიკონი 84, ანუ 864 წელი. მაგრამ ძალიან ძნელია წარწერა ძეგლის შექმნას დაუკავშიროთ. რადგან ეს წარწერა გახდა სამივე ძეგლისთვის ამოსავალი წერტილი მათი შექმნის პერიოდის განსასაზღვრავად, ჯერ არმაზს (ტაბ. LXXXV₂) განვიხილავ, მიუხედავად იმისა, რომ ძეგლთა ამ რიგში პირველად წირქოლი მგონია აგებული.

აღნიშნულ წარწერაში ვკითხულობთ: „ქ. სახელითა ღმრთისამათა მე გ(იორგი) (არმაზისა?) მამასახლისმან დ(ავდევ ეს) წმინდაი ეკლესიაჲ ქრონიკონსა ჰდ ხელმწიფობასა“... უნდა აღინიშნოს, რომ წარწერა ორნაწილიანია, ე.ი. ერთი სიმაღლის ორი ფილა წყობაში ვიწრო გვერდებით ებჯინება ერთმანეთს და წარწერისათვის ერთიან, გრძივ არეს ქმნის. მიუხედავად ამისა, ტექსტი

აქ დანაწევრებულია შემდეგნაირად: პირველ ფილაზე იკითხება „ქ. სახელითა ღმრთისათა მე გ(იორგი)“, ხოლო წარწერის დანარჩენი ნაწილი – გვერდით ფილაზე⁵². წარწერიანი ქვები მოთავსებულია ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში, თანაც ძალიან მაღლა და ნაკლებად ჰგავს სამშენებლო წარწერას. რაც შეეხება ტექსტის აღდგენილ ნაწილს, რამაც საერთოდ განსაზღვრა ძეგლის თარიღი, სარწმუნოებას სრულიად მოკლებულია – „დ(ავდევე ეს)ე“, ორი კიდურა ასონიშნით აღდგენილია ორი სიტყვა და თანაც ეს „O“ და „I“ თავის დროზეც თითქმის არ იკითხებოდა და მხოლოდ ივარაუდებოდა⁵³.

რაც შეეხება თვით ძეგლს ან, უფრო ზუსტად, მის თავდაპირველ სტრუქტურას, ვფიქრობ, რომ იგი მთლიანად ადრეული შეხედულებების გამოხატულებაა და IX ს-ის შესატყვისი აქ არაფერი გვაქვს. ძეგლი დაწვრილებით არაერთხელაა აღწერილი, გამოქვეყნებულია მისი ყველანაირი ასახულობა⁵⁴, ამიტომ დეტალებს აღარ შეეხები. მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილავ მას.

ეკლესიის ძირითადი ბირთვი კვადრატულია. მასში იკითხება შიდა კვადრატიც, რომელსაც ოთხი რვაწახნაგა სვეტი შემოსწერს – ეს გუმბათქვეშა კვადრატია. სფერული გუმბათი რვაწახნაგა საფუძველზე ამოყვანილია ოთხი ტრომპით, მაგრამ მას არა აქვს ყელი; იგი არ სცილდება ნაგებობის გარე მასებს და მოქცეულია ორფერდა სასურავის ქვეშ. საკურთხეველის აბსიდა ნალისებურია, ხოლო პასტოფორიუმები – უაფსიდონი, საღიაკენის ხურავს პარალელური წყობით ამოყვანილი ცრუ გუმბათი, ხოლო სამკვეთლოს – ცენტრალური ბირთვის ანალოგიურად რვაწახნაგა საფუძველზე დაყრდნობილი სფერული გუმბათი. ძეგლის თავდაპირველი სტრუქტურისათვის სამხრეთიდან და დასავლეთიდან მოგვიანებით გაღერვა მიუშენებიათ⁵⁵.

ძეგლის შემოთავაზებული თარიღისათვის ერთ-ერთ არგუმენტად ტრომპთა კილისებური კონტურია მიჩნეული⁵⁶, მაგრამ, ვფიქრობ, იგი ვერაფერს აზუსტებს. აქ მთავარი თვით ტრომპის სახეა, რომელიც ღრმად არქაულია და არა სფერული ფორმისა ანუ, როგორც ეს VIII-IX სს-ის ძეგლებში გვხვდება, ერთგვარი გარდამავალი საფეხური კუთხოვანი ტრომპიდან პანდატივისაკენ⁵⁷. გარდა ამისა, კილისებური ნაშევრებით დასრულებული ნალისებური ფორმები (ასეთია სწორედ არმაზის ტრომპები) აღმოსავლურ არქიტექტურაში IV-VI სს-ის ძეგლებზე ძალიან ხშირია⁵⁸. კილს თავისთავად წარმოშობს პარალელური წყობით შედგენილი ცრუ თალი⁵⁹. პარალელური წყობითაა ნაგები არმაზის ტრომპები და მისი მოჩარჩოებაც ბუნებრივად იმეორებს სტრუქტურით ნაკარნახევ ფორმას.

ასევე შეუძლებელია IX ს-ისა იყოს არმაზის პარალელურკედლებიანი სარკმლებიც. როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგი მხოლოდ ადრეულ ძეგლებს ახასიათებს.

კიდევ ერთი დეტალით მინდა მივიქციო ყურადღება. ესაა ფრონტონთა სარტყლები შიგნით შეკეცილი მხრებით, რომელიც ოდნავ გამოჰყოფს ფრონტონის სამკუთხა არეს. სომხურ არქიტექტურაში ასეთი კარნიზები მხოლოდ VI-VII სს-ის ძეგლებს ახასიათებს⁶⁰. ასევე ჩანს ეს საქართველოშიც. ამ ტაძარში კაპიტელებიც ადრეულ ნიმუშებს ემსგავსება. მხედველობაში მაქვს მხოლოდ ტანი კაპიტელისა აბაკუსითურთ, რაც ჯერის დიდი ტაძრის სამხრეთი კარის იმპოსტების აბსოლუტურად იდენტური ასახვაა⁶¹. არმაზის ეკლესია ერთ საინტერესო რელიეფსაც შეიცავს, კერძოდ ლომის გამოსახულებას (ტაბ.XCგ) და მისი VI ს-ზე გვიანდელ ქმნილებად მიჩნევა რამდენადმე გაჭირდება. ყურადღება მინდა გავამახვილო ამაღლებულ ზურგზე და აღვნიშნავ მისი ამოზიდულობის ისეთივე დონეს, როგორც ბოლნისის სიონის კაპიტელთა ლომებს (ტაბ.XC7) ახასიათებს. ადრეული ლომების ამაღლებული ზურგი საუკუნეთა მანძილზე თანდათანობით დაბლდება და ბოლოს სრულიად ქრება (ტაბ.XC7-11).

სარკმელთა არქაული სახე უკვე აღვნიშნე, მაგრამ მინდა მისი ერთი ნიშანიც ვახსენო, სადაც, ჩემი აზრით, სირიული გავლენა შეინიშნება. ვგულისხმობ სარკმელთა სიმაღლეში შიდა მხრისაკენ თანდათანობით, საფეხურისებური ტეხილებით გაფართოებას. ასეთი სარკმლებიც (სადაც გვერდითი კედლების პარალელურობა შენარჩუნებულია) ადრეულ ხანაზე, კერძოდ, VI ს-ზე მიგვანიშნებს⁶².

წიგნობა

წიგნობის იერი მთლიანად ანტიკურია (ტაბ.LXXXV) და, ცხადია, ეს მასში თავმოყრილმა „არქაულმა“ სახეებმა განაპირობა. რამდენიმე ნიშანს თავიდანვე აღვნიშნავ: კედლის ფსევდოპროლოგიური წყობა; კარნიზის შიგნით შეკვეცილი, მხრებით გამოყოფილი ფრონტონის სიბრტყე (ტაბ.XCII); (გაცილებით უფრო მკვეთრად გამოხატული, ვიდრე ეს არმაზში გვაქვს); ზედა, ირგვლივი სარტყელი (ტაბ.XCII₂), რომელმაც ანტიკური ტრადიციისამებრ ერთმანეთისაგან გამოიჯანა კედლებისა და გადახურვის სტრუქტურები; თართოი მკვეთრად გამოყოფილი ცოკოლი და, რაც მთავარია, მისი ორთოსტატული წყობა (ცოკოლის ყველა კვადრი რიგში ვერტიკალურადაა აღმართული) და სხვ. გამოყოფილი ფრონტონის სიბრტყის გამო გ. ჩუბინაშვილმა აღნიშნა ამ ძეგლში სირიული გავლენის შესაძლო არსებობა⁶³. ამ ნიშნის გარდა აქ მრავლადაა სხვა ისეთი დეტალებიც, რომლებიც წიგნობას ადრეულ სირიულ ძეგლებთან აახლოებს. უპირველესად ეს მკვეთრად გამოყოფილი ცოკოლი⁶⁴ და საკურთხეველის აბსიდის შეწყვილებული სარკმელია⁶⁵.

ეკლესია გრძივი, ერთნაფიანი ნაგებობაა, რომლის შიდა სივრცე სამ უჯრედადაა დანაწევრებული (ტაბ.LXXXV). ცენტრალურ ნაწილში გუმბათია შექმნილი, მაგრამ არმაზის ანალოგიურად მას ყელი არა აქვს და ნაგებობის ძირითად მასებს არ სცილდება. აქაც იგი რვაწახნაგა საფუძველზე ტრომპების საშუალებითაა ამოყვანილი, მაგრამ არმაზისაგან განსხვავებით კედლებს ეყრდნობა. ტაძრის დასავლეთ არეში სვეტით, პილასტრებითა და თაღებით ცენტრალური სივრცისაგან კვადრატული ფართობიც იმიჯნება. ეკლესიის ეს მხარე ორსართულიანია. ეკლესიის მესამე, აღმოსავლეთი ნაწილი საკურთხეველსა და სწორკუთხა, უახლოო პასტოფორიუმებს უყვრია. სამკვეთლოც და სადაკენეც ცრუ გუმბათებით — ქვის ფილებით შედგენილი გვირგვინებითაა გადახურული. ამ ნაგებობას არქაულობის ელფერს ანიჭებს ცენტრში აღმართული მხოლოდ ერთი სვეტი, რამაც საფუძველი მისცა რ. აგაბაზიანს მისი სქემა დარბაზული საცხოვრისისთვის შეედარებინა⁶⁶.

გეგმარებითი კომპოზიციის დასახასიათებლად აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ შიდა სივრცის დანაწევრება ზუსტადაა ასახული ფასადზე. შიდა და გარე მასების ურთიერთშესატყვისობის მსგავსი ასახვა გვიანდელ ძეგლებში არ გვხვდება. ინტერიერის პილასტრებს აქ ზუსტად შეესაბამება ფასადთა რიზალიტები (ტაბ.LXXX₂), ისევე, როგორც ეს V-VI სს-ის სირიულ ძეგლებშია, მაგ, ალაჰან მონასტრის აღმოსავლეთ ტაძარში (ტაბ.LXXX₁)⁶⁷. ორივე შემთხვევისათვის კიდევ ერთი დეტალია აღსანიშნავი: გრძივ ფასადზე ერთ-ერთი ცენტრალური რიზალიტით (და ინტერიერში მისი შესაბამისი პილასტრით) აღინიშნება ტაძრის განივი ღერძიც, რაც უთუოდ ზოგიერთი ადრექრისტიანული ეკლესიის მიერ უცვლელად ათვისებული წინარექრისტიანული ტრადიციაა⁶⁸ (ტაბ.LXXVII₂). წიგნობაში დასავლეთი ნაწილი ორსართულიანი იყო. ზედა სართული, როგორც ჩანს, პატრონიკეს ფუნქციას ასრულებდა, ხოლო მასში აყვავდით გარედან მიშენებულ ღია საფეხურებს. გარედან მიშენებული, ღია კედელს მიბჯენილი და მისი პარალელური კიბეები ასევე VI სს-ის სირიული ძეგლებიდანაა (ტაბ.LXXVIII₃) ცნობილი (It-Tuba)⁶⁹.

ამ ძეგლში არქაულობის მაჩვენებლად ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების გარდა გურჯაანის ყველაწმინდის ანალოგიურად გუმბათის რვაწახნაგა საფუძვლის არათანაბარზომიერება და ამის გამო თვით გუმბათის ოვალური ფორმაც უნდა აღვნიშნო.

ქვეგარეშე მგონია, და ეს გ. ჩუბინაშვილმაც დაასაბუთა, რომ წიგნობა წინ უსწრებს არმაზს⁷⁰.

კაპანი

ჩემი აზრით, ქსნის ხეობის ამ სამეულში კაპანი ბოლო ქმნილებაა. ძეგლის ამჟამინდელი დასახელობა საუკუნეთა მანძილზე მისი მრავალჯერადი გადაკეთების შედეგია, მაგრამ 1955 წელს ვ. ცინცაძის მიერ ჩატარებულმა კვლევამ ერთმანეთისაგან გამოიჯანა ძეგლის თავდაპირველი

სტრუქტურა და გვიანდელი შენაძენები. ჩვენ აქ მხოლოდ თავდაპირველი ნაგებობა (ტაბ. LXXXV ვ) უნდა მოვიხილოთ, რომლის შექმნის თარიღი ვ. ცინცაძის მიერ IX ს-ითაა განსაზღვრული⁷¹. ვფიქრობ, ვ. ცინცაძის შრომებში ძეგლის თავდაპირველი სახე დამაჯერებლადაა წარმოდგენილი. როგორც აღვნიშნე, ძეგლის პირველადმა სტრუქტურამ მოგვიანებით საფუძვლიანი ცვლილებები განიცადა: აღმოსავლეთი მხრიდან საკურთხეველის აბსიდის მიშენების გამო (ძველი აბსიდის ხარჯზე შეიქმნა ბემა) დაგრძელდა ბემა და თვით ძეგლიც⁷². გვიანდელი დანაშაულებიდან მისმა გაწმენდა-გასუფთავებამ შემოხაზა აბსიდის თავდაპირველი კონტური. მოგვიანებით ძეგლისთვის სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან გაღვრები და კარიბჭეები მიუშენებიათ. ეს დამატებანი სხვადასხვა დროს ხდებოდა და ძალიან ძნელია ამ ქმედებთა კონკრეტული დროის დადგენა.

კაბენის თავდაპირველი სტრუქტურის შექმნის თარიღი განსაზღვრულია წარწერით, სადაც იხსენიება ლატავრა. იგი გაიგივებულია ადარნასე ბაგრატიონის ასულთან და ამის მიხედვით ძეგლი IX ს-ის დასაწყისს მიეკუთვნა⁷³.

- 1 ნეტა ად
2. ლატავ
3. თო

ვფიქრობ, ეს არაა სამშენებლო წარწერა და იგი არც თავდაპირველი ეკლესიის დროინდელია. წარწერა წითელი საღებავით დატანილია თავდაპირველი ნაგებობის სამხრეთ ფასადზე და შესრულებულია მამინ, როცა ამ მხრიდან მიშენებულმა გაღვრებამ იგი ინტერიერის ნაწილად აქცია. ფასადის შელესვა, ცხადია, ნაკლებ სარწმუნოა და, ამდენად, ამ წარწერით ძეგლის თარიღის განსაზღვრა სარწმუნოებას მოკლებულია. წარწერა გაკეთდა ინტერიერში, ინტერიერის ნაწილად სამხრეთი კედელი კი გვიანდელმა მინაშენმა აქცია.

კაბენი გუმბათოვანი დარბაზია. წინა ორი ძეგლისაგან განსხვავებით რვაწახნაგა საფუძველზე ტრომპებით ამოყვანილ სფერულ გუმბათს (ტაბ. LXXXV ვ) დაბალი ყელიც აქვს (მოგვიანებით ყელი შეუმალღებიათ). ტაძრის ცენტრალური, გუმბათქვეშა ბირთვი N-დან S-კენ რამდენადმე წაგრძელებულია და ამ მხარეებიდან, კედლის სტრუქტურიდან გამოშვებული პილასტრები შიდა სივრცეში ღრმა უბეებს ქმნის. სამკვეთლო უაბსიდოა და ცრუ გუმბათით გადახურული. სამხრეთით, იქ, სადაც სადიაკვნეს არეა, ვიწრო ნიშისებური სათავსია, აბსიდისა და სრულიად იზოლირებული ტაძრის ძირითადი სივრცისაგან. მისი შესასვლელიც ისევე ყოფილა ხაზგასმული (ნალისებური თავსართით), როგორც ტაძრის მთავარი კარი (ტაბ. LXXXV ვ). რეკონსტრუირებული ფასადები შეიცავს თითქმის ყველა იმ ელემენტს, რომლებიც წინა ორ ძეგლთან დაკავშირებით მოვიხსენიე როგორც ძეგლის ადრეულობის მაჩვენებელი და სირიული, ადრექრისტიანული ხუროთმოძღვრული თემატიკიდან ნასაზრდოები სახეები (მაგ., ფრონტონის არასრულად გამოძყოფი, შეკვცილმხრებიანი კარნიზი, კედლისა და გადახურვის სტრუქტურის ურთიერთგამიჯნავი სარტყელი).

განსაკუთრებით მინდა შევეხო მცირე ნიშისებურ სამხრეთ სათავსს, რომელიც პუბლიკაციებში საგანგებო დანიშნულების ოთახადაა მიჩნეული⁷⁴. მისი განსაკუთრებულობა აქ უთუოდ ხაზგასმულია თუნდაც კარის ისეთივე გაფორმებით, როგორც ტაძრის ძირითადი ღიობისთვისაა შექმნილი. გაცხადებულია ამ „სათავსის“ არანაკლებ დამოუკიდებელი მნიშვნელობა. რაც მთავარია, ნიში აბსიდისა, რამაც მაფიქრებინა, რომ აქ სანათლაფი იყო. ამას ტაძრის ძირითად სივრცეზე მისი დამოკიდებულებაც მიანიშნებს. გარდა ამისა, ტაძრის სამხრეთი მხრიდან ბაპტისტერიუმების გამართვა სწორედ ადრეულ სირიულ ძეგლებს ახასიათებს⁷⁵.

ძეგლის თავდაპირველი სტრუქტურიდან ხელუხლებელი ღიობები თითქმის არ შემოგვრჩა, მაგრამ გუმბათის ყელის სარკმელთა მოჩარჩოებანი (ტაბ. XCIII) ნამდვილად ემსგავსება სირიულ-კაპადოკიურ ნიმუშებს⁷⁶.

ასევე ადრეულობის დამადასტურებლად და თანაც წინარექრისტიანულ ტრადიციად (ტაბ. LXXVIII) მივიჩნევ შიდა სივრცეში ღრმა, ნიშისმაგვარი უბეების შექმნას⁷⁷.

ზემოთ განხილული ამ სამი ძეგლის აგების ვ. ცინცაძისეული თანმიმდევრობა ასეთია: კაბენი, წირქოლი და არმაზი⁷⁸, მაგრამ რეალური სურათი სრულიად სხვაგვარია, მით უმეტეს, თუ სამივე ძეგლი ერთი ხუროთმოძღვრის ან თუნდაც ერთი „სახელოსნოს“ ქმნილებაა. კაბენის გარე მასები დაგვირგვინებულია გუმბათით. ამის შემდგომ რას უნდა გამოეწვია არმაზსა და წირქოლში მისი დაფარულობა? ჩანს, წირქოლისა და არმაზის გუმბათები არქიტექტურული დომინანტის ისეთივე ძიების ეტაპია, როგორც საქართველოში გაცილებით ადრეულ ხანაში (V ს) დასტურდება „Croix libre“-ს ტიპის შენობებში. ვგულისხმობ ზეგანის წმინდა მარინეს დაფარულსა და ამ ტიპის შემდგომი ძეგლების ამოზიდულ გუმბათებს⁷⁹. ძიების პროცესში მუდამ შეინიშნება გარკვეული თანმიმდევრობა და ეს გზა განპირობებულია ფორმათა სრულყოფის იდეით. უკუპროცესი აქ ყოველთვის ძნელი წარმოსადგენია. მით უმეტეს, რომ არ ჩანს საამისო მიზეზი. ძირითადად ამიტომ კაბენი ძეგლთა ამ სამეულში ბოლო ქმნილება მგონია და წირქოლისა და არმაზის ანალოგიურად ასევე VI ს-ისაა.

სამივე ძეგლს, გარდა ზემოთ განხილული დეტალებისა, კიდევ ერთი საერთო ნიშანი ახასიათებს. კერძოდ, ფასადთა შემკულობის მუქი წითელი საღებავით (სანგინი) გამძაფრება, მათი ჩაღვენთა ორნამენტულ ჭრილებში⁸⁰. ეს მთლიანად ანტიკური ტრადიციაა და ქრისტიანულ ძეგლებში ამ ფაქტის დადასტურება წარსულის გვიანდელი გამოძახილია. ადრეული ქართული ქრისტიანული ძეგლებიდან მსგავსი შემთხვევა სამწევრისიდანაა ცნობილი⁸¹ და ძალიან დამახასიათებელია ადრექრისტიანული კაპადოკიური ეკლესიებისათვისაც⁸².

ფეიქრობ, კარგად ჩანს, თუ როგორ ძვრებს იწვევს გუმბათოვნების იდეა ზემოთ განხილულ ძეგლებში. წირქოლში გუმბათი დარბაზულ ეკლესიას შეუთავსდა, მაგრამ ვერ გამოდგა მთელი სივრცის შემკვრელად და გამაერთიანებლად. დასავლეთი ნაწილი ფაქტიურად დამოუკიდებელ ნაწილად იქცა. თითქოს არმაზში ხუროთმოძღვარი არღვევს (ნაწილობრივ) ბაზილიკურობის სისტემას, მაგრამ აქ ოთხი სვეტის განთავსებით გვერდით, ე.ი. ჩრდილოეთსა და სამხრეთ ნაწილებს მთლიანად დაუკარგა ფუნქცია და სივრცე ვერ მივიღეთ სრულყოფილი სურათი კაბენშიც, რადგან აქაც განცალკევდა დასავლეთი ნაწილი და ჩრდილოეთი და სამხრეთი უბეები გუმბათქვეშა კვადრატისაგან. ბაზილიკისაგან გურჯაანშიც ვერ შეიქმნა ერთიანი სივრცე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბაზილიკურობამ ძირითადი სივრცისაგან გვერდითი ნაგები მთლიანად ისევე განკვეთა, როგორც მაგ. დაგ-პაზარის (A) ეკლესიაში, სადაც გუმბათმა გვერდითი ნაგები ფაქტიურად გარსშემოსავლელად აქცია⁸³ (ყველაწმინდის ანალოგიურად). ყველა ზემოთ განხილული ნიმუში, რომლებმაც წარმოქმნა გუმბათები ქართული ქრისტიანული არქიტექტურის განვითარების ერთ-ერთ ადრეულ ეტაპზე, როგორც მოდელი აღარ განვითარებულა და არსებობა შეწყვიტა, რადგან აქედან სულაც არ ჩანდა ის შესაძლებლობები, რომლებიც წარმოშობდა წრომს, ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას და რომელიც იქცა მხატვრული კანონის შემქმნელად მთელი შემდგომი დროის ქართული საკულტო არქიტექტურისათვის. ეს მოდელი სრულად პასუხობდა ქართველთა მხატვრულ მისწრაფებებს. წრომის, როგორც სრულყოფილი ნიმუშის, წარმომქმნელ საწყის სახედ კვადრატული „ქართული“ ბაზილიკები მესახება, რომელთა არსებობა წინარექრისტიანული ტრადიციითაა გაპირობებული, როგორც ცენტრული ნაგებობის ანტიკურობიდან ქრისტიანულ ხანაში გარდამავალი, უწყვეტი თემა. კვლავ მინდა დავუბრუნდე ზემოთქმულს. მატანის ცხრაკარაში, შუამთის ბაზილიკაში, გორისჯვარში, ვაზისუბნის VI ს-ის ეკლესიაში (ტაბ.LXXXVll) და მრ. სხვ. ყველაფერია შექმნილი იმისათვის, რომ მათ ჰქონდეს გუმბათი. ამ ძეგლებში ბურჯებით ყოველგვარი შეფარვის გარეშე გვაქვს კვადრატი ან მასთან მიახლოებული სწორკუთხედი, ე.ი. გვაქვს „გუმბათქვეშა“ კვადრატი უგუმბათოდ. წინაქრისტიანული ხანის საკულტო ნაგებობებშიც ასეთივე სივრცეა გუმბათით.

აქ უნდა შევჩერდე იმ არქიტექტურულ თემაზე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ასაზრდოებდა აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის არქიტექტურას. ესაა კვადრატის მიახლოებული გეგმის მქონე ნაგებობა ცენტრალური ოთხი ბურჯით ან სვეტით. დასავლეთში ამ თემამ განვითარება და

სრულყოფა შუაბიზანტიური პერიოდიდან განიცადა, მაგრამ აღმოსავლეთში იგი პოპულარული წინარექრისტიანულ ხანაშივე იყო (მაგ., ბალ-შამინის ტაძარი სეა-სიში - 31/33 წწ. ან ზევსის ტაძარი მისმიეში 161/169 წწ.)⁸⁴. და აი, ამ საფუძველს სირიაში მოსდევს მთელი რიგი ადრექრისტიანული ტაძრებისა კვადრატული გეგმითა და შიდა კვადრატებით⁸⁵, რომელთა წაგრძელებული ასახულობა ძირითადად პასტოფორიუმის დამატების ხარჯზეა მიღებული. იგივე თემის არსებობამ სომხეთში (ბაგარანი) ი. სტრუგოვსკის ათქმევინა, რომ ამიერკავკასიისათვის ეს სქემა ისევეა დამახასიათებელი, როგორც რომაული ბაზილიკა დასავლეთისათვის (იგი ამ ტიპის ნაგებობებს ასე მოიხსენიებს - „კვადრატი ცენტრალური ოთხი ბურჯით“)⁸⁶. ი. სტრუგოვსკი ამიერკავკასიის კი ახსენებს, მაგრამ მხოლოდ სომხური მაგალითით მსჯელობს, რომლის სირიული წარმომავლობა უდავოა. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის იმ რეგიონში, რომლის ხუროთმოძღვრებასაც ვიხილავთ, გეგმის ეს ტიპი ადრეულ ხანაშივე ჩაისახა და ადრექრისტიანულ პერიოდშიც, მის საწყის ეტაპზეც ფრიად პოპულარული ჩანს. მხედველობაში მაქვს მთელი რიგი ძეგლებისა: ივრის სიონი, აკაურთა (ტაბ. LXXXVI_{1,2}), ჟალეთი (ტაბ. LXXXVII_{1,2}), უფლისციხის კლდოვანი ბაზილიკა (ტაბ. LXXXVI₁), ნოქალაქევი (ტაბ. LXXXVI₄), რომელთა ერთი ნაწილის შექმნის თარიღად სპეციალურ ლიტერატურაში რამდენადმე გვიანდელი პერიოდებია შემოთავაზებული. ყველა ეს ძეგლი მე ადრეული ქმნილება მგონია და იმის გამო, რომ მათ გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართული ქრისტიანული არქიტექტურის საწყის ეტაპში გარკვევისათვის, ზოგიერთ მათგანს ცოტა უფრო ვრცლად შევხები.

აკაურთა და ივრის სიონი

აკაურთა (ტაბ. LXXXVI_{1,2}) ლ. რჩეულიშვილმა შეისწავლა და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე V ს-ით დაათარიღა⁸⁷. მან ძეგლი განიხილა როგორც დარბაზული ეკლესია. მხოლოდ გვიან, 1977 წელს ძეგლის გაწმენდა-გასუფთავებისას ნაგებობის ცენტრში ოთხი სვეტი დადასტურდა და ნაგებობის ტიპიც საბოლოოდ განისაზღვრა - სამნავიანი შერეობისტილიანი ბაზილიკა. ნაგებობის ტიპოლოგიურ დაკონკრეტებას ძეგლის თარიღი არ შეუცვლია⁸⁸. აკაურთა კვადრატს მიახლოებულ სწორკუთხედშია ჩაწერილი და ცენტრშიც სვეტები კვადრატს ქმნის. ნაგებობის ფასადებიც იმ დროისათვის უხვი დეკორით გამოირჩევა. ეს ძეგლი საყრდენად იქცა სხვა მსგავს ნაგებობათა დასათარიღებლად და ამიტომ მასთან ურთიერთკავშირში მინდა განვიხილო ივრის სიონი (ტაბ. LXXXVI₂), ყველა ძირითადი განმსაზღვრელი ნიშნით აკაურთის იდენტური ნაგებობა. ამ ძეგლის თარიღის გარშემო არ არსებობს ერთიანი აზრი. ძეგლის გამთხრელმა, არქეოლოგმა რ. რამიშვილმა სტილისტური ანალიზითა და არქეოლოგიური სიტუაციის რამდენადმე გათვალისწინებითაც ძეგლი V-VII სს-ით დაათარიღა⁸⁹. მთლიანად გაიზიარა ეს თარიღი არქეოლოგმა ბ. ჯორბენაძემაც⁹⁰. ი. ციციშვილიც ძეგლის გათხრის პროცესში, როგორც ჩანს, ამ თარიღს იზიარებდა (ე.ი. V-VI სს.)⁹¹, მაგრამ საბოლოოდ მაინც VIII ს-ზე შეჩერდა⁹². უკანასკნელ ხანს მკვლევართა ერთმა ნაწილმაც ძეგლის გ. ჩუბინაშვილის მიერ შემოთავაზებული თარიღის (VIII ს.) გადასინჯვა საჭიროდ მიიჩნია და თავიანთი დამოკიდებულებაც გამოხატა - მათაც ივრის სიონი ადრეულ ქმნილებად მიაჩნიათ⁹³.

ძეგლი, როგორც აღვნიშნე, VIII ს-ით პირველად გ. ჩუბინაშვილმა დაათარიღა, მხოლოდ ზოგადად და წინასწარულად; იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო ყოველმხრივ გამომხეურებული ძეგლი. ამასთანავე, მან მისი დეკორიც მდარე სელოვნების ნიმუშად მიიჩნია⁹⁴.

ამჟამად დამკვიდრებული აზრით, ივრის სიონი (მას ხშირად თიანეთის სიონის სახელითაც იხსენიებენ) წარმოადგენს აკაურთის მინაბაძს, აკაურთის შექმნის დროიდან სამი საუკუნით დაშორებულ ქმნილებას, რომელმაც გაიზიარა მოდელის (ანუ აკაურთის) ყველა პრინციპული დეტალი. დ. თუმანიშვილის აზრით, მკვლევრები (კონკრეტულად, რ. რამიშვილი), რომლებიც ივრის

სიონის ადრეული თარიღისაკენ იხრებიან, ვერ ითვალისწინებენ „გარკვეულ ეპოქებში ძველი ნიმუშების განაზრახი მიზანების შესაძლებლობას“⁹⁵. ეს საკითხი უთუოდაა გასათვალისწინებელი. ასეთი შემთხვევები არსებობს⁹⁶ და აქ თუ საუბარი გვიწევს ამ მოვლენაზე, ნიმუში ივრის სიონია, ხოლო მინაბაძი – აკაურთა. ამ ორ ძეგლს ვრცლად შეეხო ი. ელიზბარაშვილიც (მის მიერ აკაურთა V ს-ის ძეგლადაა მიჩნეული, ხოლო ივრის სიონი VIII ს-სად, აკაურთის გვიანდელ მინაბაძად). მის ნაშრომში ხაზი ესმება აკაურთის მონუმენტურობასა და ივრის სიონის კამერულობას (და ამდენად, ამის გამო მის გვიანდლობას), აგრეთვე ოსტატთა სხვადასხვა დამოკიდებულებას ერთი და იგივე თემისადმი⁹⁷. თუ რა ქმნის ერთის „მონუმენტურობას“ და მეორის „კამერულობას“, ამას მოგვიანებით შევეხები, მანამდე კი ორნამენტი მინდა განვიხილო.

მორთულობის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი, გ. ჩუბინაშვილის ტერმინოლოგიით, „გადაჯვარედინებული წრეხაზული მოტივი“⁹⁸. რ. რამიშვილი მას ხევესურულ „ხუთანას“ უწოდებს⁹⁹. ორნამენტს ზოგადად ელნისტური შეიძლება ეწოდოს, რადგან სწორედ ამ დროიდან შეინიშნება მისი საყოველთაო გაერცვლება. ფრიად პოპულარული ჩანს იგი მთელ მახლობელ აღმოსავლეთში¹⁰⁰ და მას ყოველგვარი ცვლილებების გარეშე სესხულობს ადრექრისტიანული არქიტექტურა და საწყისს ეტაპზე¹⁰¹.

ორნამენტს (ტაბ.XCI₁; XCIV₂) საფუძვლად მარტივი სქემა უძევს. იგი ადვილად შეიგრძნობა მის ქარგაში. მისი ამოსავალი სახე კვადრატია, ხოლო ორნამენტული სახის უწყვეტი რიგისათვის კი ერთმანეთის მომიჯნავე კვადრატთა მწყრივები. კვადრატის ყოველი გვერდის შუა წერტილიდან კვადრატის ნახევრის ტოლი მანძილით შემოსაზღვრულია რკალები, რაც კვადრატის შუაგულში, დიაგონალური დგომით ოთხფურცლა ვარდულებს ქმნის, ხოლო კვადრატთა მომიჯნავე ნახევრები ერთ მთლიან წრეს შიგ ჩახაზული გვერდებზე ხეკილი რომბებით. ეს მარტივი, ძირითადად ფარგლის შესაძლებლობებზე დაფუძნებული სქემა მორთულობის საკმაოდ მეტყველ სურათს ქმნის. ივრის სიონში ეს ორნამენტი ადრეული, თითქმის საწყისი ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი. აქ ბოლომდე შეიგრძნობა კვადრატის გვერდებიც (რომბების ვერტიკალურად გამყოფი ზოლები) და ის წერტილებიც (რამდენადმე ადგილმონაცვლებული), საიდანაც რკალები შემოიხაზა. უფრო ზუსტად, ორნამენტის ასაგები საწყისი წერტილები და ხაზები ორნამენტის სტრუქტურაშია ჩართული. ბოლნისსა და მთელ რიგ სხვა ადრეულ ძეგლებში უკვე სრულიად სხვა სურათია; ორნამენტი თავისუფლდება თავდაპირველი ასაგები ელემენტებისაგან და ვლებულობთ მისი განვითარების შემდგომ საფეხურს. ოსტატი თამამად იშორებს ასაგებ წერტილებსა და ხაზებს. აკაურთის ორნამენტში (ტაბ.XC₂) კი ძირეულ განსხვავებასთან გვაქვს საქმე. აქ ოსტატისათვის ბოლომდე უცნობი დარჩა ის გეომეტრიული რიტმი, რაც ამ სახის ორნამენტს უდევს საფუძვლად. მან მხოლოდ წრეხაზში ჩაწერილი რომბები დაინახა (ამ ორნამენტულ ზოლში მართლაც ყველაზე მარტივად აღსაქმელი დეტალი), ამ მთლიანი ქარგიდან და კონტექსტიდან მოწყვეტით მხოლოდ ეს სახე შეარჩია და მათი განმეორებადობით შეეცადა კომპოზიციის შექმნას, რაც კრახით დამთავრდა. მიიღო ისეთი სურათი, როგორიც საკმაოდ იშვიათია ქართულ ხუროთმოძღვრულ პლასტიკაში – ერთი და იგივე სახეთა არაორგანული კავშირი. ვფიქრობ, რომ სადავო არ უნდა იყოს აკაურთის ორნამენტის შედარებით გვიანდელი წარმომავლობა ივრის სიონის მორთულობასთან შედარებით.

ივრის სიონის ერთ ფრიად საინტერესო გამოსახულებასაც მინდა შეეხო – სიცოცხლის ხის მოტივს. აქ შეუძლებელია შევიცნოთ რომელიმე კონკრეტული მცენარე (ტაბ.XC₂), მაგრამ ერთი კია, ძველადმოსავლური „სიცოცხლის ხის“ ნიმუშებს ძალიან ემსგავსება (ტაბ.XC₆). ესაა სხვადასხვა მცენარეულ მოტივთა კრებითობა: პალმის ტანი¹⁰², ლოტოსის ფურცლები, იონური ვოლუტები და სხვ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი საფუძველი – გველი. იგი ძველადმოსავლურ გამოსახულებებში ყოველთვის, ფარულად თუ ცხადად სიცოცხლის ხეს ახლავს როგორც მისი წარმომშობი და მასთან იდუარად დაკავშირებული ცხოველი¹⁰³. ამ მოტივის უადრესი გამოსახულება

ცნობილია ძველი ეგვიპტიდან (ტაბ.XC1) და მისი გაჩენა იერის სიონზე ვერ დათარიღდება ვერც VIII და ვერც VI ს-ით. ეს მოტივი მთლიანად წარმართული სულისკვეთების გამოხატულებაა და, როგორც ჩანს, ეს კომბინირება (გველი-ხე) უდევს საფუძვლად კლაკნილ, ლილვისებურ თავსართებს, რომლებზეც სიცოცხლის ხის ნაცვლად უკვე ჯვარია წამოზრდილი (ტაბ.XC3-5)¹⁴. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იერის სიონში საერთოდ არ გვხვდება ჯვრის გამოსახულება, მაშინ, როცა ძალიან მრავლად გვაქვს სხვადასხვა სახის ვარდულები (ტაბ.XCIV3,4) და საკმაოდ იშვიათი ნიმუშებიც (ვარდულის ცენტრში ჩასმული სრულიად სხვა ტიპის ლოტოსის გამოსახულება (ტაბ.XCIV1).

მთავარი მაინც ის მგონია, რომ ამ ორ ძეგლში – აკაურთასა და იერის სიონში – ინტერიერისა და ექსტერიერისადმი განსხვავებული დამოკიდებულება ჩანს. იერის სიონში ფასადები მკაცრია და ლაკონიური, მხოლოდ დასავლეთი და სამხრეთი კარები შეიცავს ორნამენტს (შესაბამისად, ვაზის გამოსახულება და წრეში ჩახაზული ექვსკუთხედის მწკრივი ფლანკირებულია დიდი ვარდულებით). სხვა ყველაფერი, საკმაოდ მრავალფეროვანი მორთულობა ინტერიერს ეკუთვნის. ასეთი სურათი საესებით პასუხობს დასაწყისი პერიოდის ქრისტიანულ სულისკვეთებას, რომელიც მოწოდებულია იმისათვის, რომ ტაძრის შიდა სივრცე წარმოსახოს მიკროსამყაროდ¹⁵ და ყველაფერი შექმნას ღვთაებრივი განცდების გასამძაფრებლად (შდრ. ბოლნისის სიონის ანალოგიურ სურათს)¹⁶.

პრინციპულად სხვა სურათია აკაურთაში. აქ ინტერიერისადმი ამდაგვარი დამოკიდებულების ნასახიც აღარაა, ორნამენტი მხოლოდ ფასადებს რთავს. ესაა ტაძრის ღვთაებრივი შინაარსის გარეთ გამოფენის პირველი გაუბედავი ცდები.

იერის სიონში შეერილი აბსიდა თითქოს განცალკევებულია ეკლესიის ძირითადი ბირთვისაგან. ეს ხდება იმიტომ, რომ ნალისებური აბსიდის ღიობს მისი მხოლოდ 1/4 უპყრია. ამ ორი, თითქმის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სივრცის (აბსიდისა და დარბაზის) ურთიერთმიბმა დარბაზის აღმოსავლეთი კედლის სტრუქტურაში შივ შემოზიდულ მახვილ კუთხეებს ქმნის. აბსიდისა და დარბაზის ეს ურთიერთკავშირი მთლიანად არქაული ხასიათისაა და ადრეული კაბადოკიური ნიმუშების ანალოგიურია¹⁷. მისი მიზანია ძირითადი საკულტო სივრცის (საკურთხევლის აბსიდის) შექმნისდაგვარად დარბაზისაგან განცალკევება. ესაა ის, რაც იერის სიონში კამერულობის შთაბეჭდილებას ტოვებს და დარბაზი და აბსიდა ერთიან სივრცედ ვერ აღიქმება¹⁸.

სულ სხვა სურათია აკაურთაში. იქ აბსიდის ღიობს გაცილებით დიდი მონაკვეთი უპყრია და ნაკლებ ნალისებურიცაა. ამასთანავე, ღიობის წიბოები სხვადასხვა კუთხისაა. ფეიქრობ, რომ აქ ოსტატის ნაკლებ კვალიფიციურობასა და მიზნის ნაკლებ სიცხადესთანაც გვაქვს საქმე.

ამ ძეგლში სარკმელთა პარალელური კედლებიც, აბსიდისა და სატრიუმფო თაღის ნალისებური მოყვანილობაც არქაულობის მაჩვენებელია. რაც მთავარია, ღრმად არქაულია სამხრეთი კარის ღიობის ინტერიერისაკენ გაფართოებული ჭრილი. ეს ანტიკური ტრადიციია, რომელიც მთელ რიგ წინარექრისტიანულ ტაძრებს ახასიათებს და უცვლელად სულ საწყის ეტაპზე ქრისტიანულ ეკლესიებშიც (ტაბ.LXXX4-11) ჩანს. მოგვიანებით ღიობის ეს სახე სწრაფად განიცდის ცვლილებას და საქართველოში არათუ VIII-IX სს-ის ძეგლებზე, არამედ VI ს-ის ეკლესიებშიც კი აღარ გვხვდება.

იერის სიონში ინტერიერის კედლები შელესილია და შელესილობაზე ნაჭდევებით ბადე ან წყობის იმიტაციაა გადმოცემული (ტაბ.XCIV5), რაც აქ მხოლოდ კაბადოკიური გავლენით შეიძლება აიხსნას¹⁹. ადრეული კაბადოკიური ძეგლებისათვის ინტერიერთა ამდაგვარი მორთულობა ძალიან დამახასიათებელია. აქვე მინდა შევეხო დარბაზის კედლის მთელ სიგრძეზე გამყოლ ხარისხს. წინარექრისტიანულ ტაძრებში ასეთი ჩამოსაჯდომი ხარისხი ძალიან ხშირია და მათ უფლისციხის ცეცხლის სამლოცველოშიც ვხვდებით²⁰. საფეხურები ცელას (და ასევე საკურთხევლის) ირგვლივ ქურუმთა ჩამოსასხდომად იყო განკუთვნილი და ქრისტიანულმა ხუროთმოძღვრებამ ტაძრის ეს ელემენტი შემდგომში აბსიდაში და აქაც საკურთხევლის ირგვლივ გადაიტანა. იერის სიონის დარბაზში შენარჩუნებულია წინარქრისტიანული ტაძრის ეს ელემენტი, მაგრამ საკურთხევლის აბსიდა ჯერ კიდევ სინთრონონის გარეშეა²¹.

იერის სიონი, ჩემი აზრით, წინ უსწრებს აკაურთასაც და ყველა ჩემთვის ცნობილ ქართულ ადრექრისტიანულ ძეგლს. მისი შექმნის თარიღად მე მხოლოდ IV ს. მესახება. იერის სიონის დახასიათებისას მრავლად აღვნიშნე მასზე ადრეული კაბადოკიური გავლენები. ესაა მხოლოდ გავლენები და არა კაბადოკიისათვის დამახასიათებელი ადრექრისტიანული ეკლესიის მოდელის განხორციელების ცდა. კაბადოკიაში ოთხსვეტიანი კვადრატული ბაზილიკები სრულიად უცნობია. იერის სიონში უცხო გავლენათა კომპლექსი სრულებით ვერ შეესო არქიტექტურულ კონცეფციას.

ჟალეთი

ეს ძეგლი (ტაბ. LXXXVII₂) იმავე რეგიონში მდებარეობს, სადაც იერის სიონია აგებული. იგი შესწავლილია მონოგრაფიულად და VIII-IX სს-ითაა დათარიღებული¹². ვფიქრობ, ეს თარიღიც გადასასინჯია, ყოველ შემთხვევაში, ძეგლის ამჟამინდელი სტრუქტურა ნამდვილად შეიცავს გაცილებით ადრეული ხანის დეტალებსა და ფენებს.

ჟალეთის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა ორი წყვილი ბურჯით, რომლებიც ნაგებობის ცენტრში შიდა კვადრატს შემოსწერს. მოგვიანებით ძეგლისათვის სამხრეთი და დასავლეთი გალერეები მიუშენებიათ. ნაგებობის ძირითადი ბირთვი კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია და მის გრძივ ასახულობას აღმოსავლეთი „სათავსები“ ქმნის (ღრმაბემიანი საკურთხევლის აბსიდა და გეგმაში სწორკუთხა პასტოფორიუმი). თავდაპირველად ძეგლს მხოლოდ სამხრეთი კარი ჰქონია (დასავლეთი კარი მოგვიანებითაა გაჭრილი); შემორჩენილია მისი პორტალის ფრაგმენტები, კერძოდ პილასტრები (ბაზისები, სვეტის ტანი, კაპიტელი). გეგმაში ბურჯები სწორკუთხა მოყვანილობისაა მცირე წამონახარდებით. ისინი გრძელი მხრიდან ასევე სწორკუთხა პილასტრებს შეიცავს, მაგრამ მათი მცირე ზომის გამო ჭირს ბურჯების T-ს მაგვარი სახეობისადმი მიკუთვნება. აღმოსავლეთ ბურჯებს შორის ამბიონია მოთავსებული — ექვსკუთხა ბაქანი დასავლეთი და აღმოსავლეთი მხრიდან საფეხურებით. ძეგლის სიახლოვეს აღმოჩნდა სტელა წმ. სტეფანეს გამოსახულებით და აგრეთვე რელიეფებით შემკული ქვის სანათლაგის ფრაგმენტები. სტელაც ასევე VIII-IX სს-ს განეკუთვნება, მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონაც ეჭვი ეპარება მათ ესოდენ გვიანდელ წარმომავლობაში¹³. ნ. ჩუბინაშვილის აზრით, სანათლაგის ფრაგმენტები VI-VII სს-ის ქმნილებაა¹⁴. რაც შეეხება ამბიონს, იგი მთლიანად არქაულია და ვერაფრით ვერ მიეკუთვნება VI ს-ზე უფრო გვიანდელ პერიოდს. ადრეულობაზე მიანიშნებს არა მხოლოდ მისი ფორმა, არამედ ტაძარში მისი ადგილმდებარეობა, მისი მოსაზღვრეობა საკურთხევლის აბსიდასთან¹⁵.

ვფიქრობ, გვიანდელ ხანას ვერც პორტალის კაპიტელი მიეკუთვნება. მსგავსი დეტალები სწორედ ადრეული ძეგლებიდანაა ცნობილი (ამას ნ. ქადეიშვილიც აღნიშნავს)¹⁶, მაგ., ჯვრის მცირე ეკლესიიდან¹⁷, ატენის სიონიდან¹⁸ და გვხვდება ადრეულ სომხურ ძეგლებშიც¹⁹, აგრეთვე სირია-კაბადოკიაში²⁰. მათ იერსახეში ჯერ კიდევ მძლავრია კორინთიზირებულ კაპიტელთა ტექტონიკა.

ამ ძეგლში კარნიზის სახე, ნ. ქადეიშვილის აზრით, XI ს-ზე მიანიშნებს²¹. იგი მართლაც გვიანდელი ქმნილებაა. ცნობილია მთელი რიგი ძეგლებისა, სადაც მოგვიანებით კარნიზები ნაწილობრივ იცვლება (მაგ., სამწევრისზე)²² ძველი ფილების ჩამოცვენისა ან დაზიანების გამო, მაგრამ მისი მთლიანი შეცვლა მხოლოდ მათ გლობალურ გადაკეთებასა და ტექსტურის მთლიან განახლებაზე მიანიშნებს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჟალეთში, რომლის ამჟამინდელ სტრუქტურაში უდავოდ ჭარბობს გვიანდელი შენაძენები (შესაძლოა, უფრო გვიანდელიც, ვიდრე VIII-IX სს.), შემოგვრჩა თავდაპირველი ნაგებობის ელემენტებიც: ბურჯების, პორტალის ფრაგმენტების, სანათლაგის, ამბიონის, სადიაკნესა და ფასადის ზოგიერთი დეტალის სახით და ისინი ეკლესიის დაფუძნების ეტაპს არა უგვიანეს VI ს-ს განეკუთვნება.

უფლისციხის კლდოვანი ბაზილიკა

ამ ძეგლის (ტაბ.LXXXVI) ადრეული, ანტიკური სტრუქტურა უფლისციხის ცეცხლის სამლოცველოს სახელწოდებით წიგნის მეორე თავში განვიხილეთ. აქ ცეცხლის ტაძარს, მის რეალურად არსებულ სივრცეს ადრექრისტიანულ ხანაში უშუალოდ დაეფუძნა ეკლესია. ეს შემთხვევა იდენტურია იმ მრავალრიცხოვანი მაგალითებისა, როცა ქრისტიანული ღვთის სახლი წარმართულ სამლოცველოებში იმართებოდა²³. მისი გეგმა წინამორბედი სამლოცველოთა გაპირობებული და ივრის სიონის მსგავსად ცენტრში ოთხ ბურჯს შეიცავს.

ეს ძეგლი ნ. ჩუბინაშვილის მიერაა შესწავლილი და VI ს-ით დათარიღებული ძირითადად იმ ცნობილი კონცეფციიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც საქართველოში მხოლოდ V ს-დან იწყება დიდი ეკლესიების მშენებლობა, ე.ი. იმ პერიოდიდან, როდესაც თითქოსდა საქართველოში ბაზილიკის ამ კანონიკურ სახესთან მიახლოების ტენდენციამ იჩინა თავი²⁴. ნ. ჩუბინაშვილი ერთმანეთისაგან არ მიჯნავს ძეგლის სივრცის ორ – წინარექრისტიანულსა და ქრისტიანულ პერიოდებს. ეკლესია აქ გაიმართა მზამზარეულ სივრცეში. მან ცეცხლის ტაძარი თავისი მიზნებისთვის აითვისა და მის შესაბამისად დაუმატა აღმოსავლეთი სათავსები (და თანაც, ვფიქრობ, რამდენიმე ეტაპად)²⁵. კონკრეტულად როდის მოხდა ცეცხლის ტაძრის ათვისება ეკლესიად, ესაა ძალიან ძნელი საგარაუდოა. ვფიქრობ, რომ ეს უნდა მომხდარიყო ეკლესიათა მშენებლობის სულ საწყის ეტაპზე. აქვე მინდა გავიხსენო, რომ ძველ ქრისტიანულ ქვეყნებში უპირველესად სწორედ კლდეში ნაკვეთ ნაგებობებს გარდაქმნიდნენ ხოლმე ეკლესიებად (შესაძლოა იმიტომაც, რომ ქრისტიანული რელიგიისათვის კლდე და ასევე ქვაბულიც რთული სიმბოლური აზრის შემცველია)²⁶ და ხშირად ისეთებს, რომლებიც მანამდე წარმართულ სამლოცველოებს წარმოადგენდა²⁷. კლდოვანი ბაზილიკის აბსიდა სინთრონონსს შეიცავს, მაგრამ, ვფიქრობ, ნაგებობის ეს ნაწილი რამდენჯერმეა გადაკეთებული და მისი თავდაპირველი (ქრისტიანულ საწყის პერიოდს ვგულისხმობ) მოხაზულობა ბემას არ შეიცავდა. ბემის ჩრდილოეთი კედლის საწყისი მონაკვეთი მიგვანიშნებს აბსიდის თავდაპირველ კონტურს. ეს ადგილზეც კარგად ჩანს და თ. ქარუმიძის ანაზომზეც. გარდა ამისა, ბემის ჩრდილოეთ კედელზე ნამდვილად შეიმჩნევა აბსიდის არეში კონტურის არაერთგზისი ცვლილების კვალი.

ბაზილიკამ მთლიანად შეინარჩუნა წინამორბედი ტაძრის სივრცე და ცალკეული დეტალები. თითქმის ხელუხლებლად დატოვა სამხრეთი კარნი, რომლებიც ცეცხლის ტაძარში კულტის გარკვეული მოთხოვნის მიხედვით იყო განთავსებული. დარბაზში შემორჩა თავის დროზე ქურუმთა ჩამოსასხდომად განკუთვნილი პერიმეტრს გამყოლი ხარისხიც, ჩანს ქრისტიანული პერიოდის მშენებლობის კვეთისა და გადახალისების ეტაპებიც: გამოიკვეთა პასტოფორიუმი და, ამასთანავე, რამდენიმე ეტაპად საკურთხევლის აბსიდა. მათი წყალობით ნაგებობამ შეიძინა ახალი, W-O გრძივი მიმართულება წარმართული ტაძრის S-N ღერძის ნაცვლად. ამავე დროსაა ნაწილობრივ დადაბლებული ცენტრალური ბირთვის იატაკი (რათა მოესპოთ წარმართული, კლდეშივე ნაკვეთი სარიტუალო დეტალი). ამ სამუშაოთა გასრულება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ცეცხლის ტაძრიდან ქრისტიანული ეკლესია მიგვეღო, ე.ი. წარმართული, ცენტრული გეგმის მქონე ნაგებობისაგან ქრისტიანული ბაზილიკა ძირითადად მხოლოდ აღმოსავლეთ დანამატთა შედეგად მივიღეთ. იგი ისეთივე ბაზილიკაა, როგორიც იყო მისი წინამორბედი ოთხბურჯიანი ცეცხლის ტაძარი.

უფლისციხის კლდოვანი ბაზილიკა სივრცის ორი ძირითადი ეტაპით – წარმართულითა და ქრისტიანულით – მოწმობაა იმისა, თუ როგორ იქცა ცენტრული გეგმის ოთხბურჯიანი ცეცხლის ტაძარი ბაზილიკად და ამასთანავე იმისა, თუ როგორ შეესატყვისებოდა საქართველოს ადრექრისტიანულ სულისკვეთებას წარმართული ტაძრის სტრუქტურა. ამ ფონზე, ცხადია, ნაკლებმნიშვნელოვანია, კონკრეტულად ეკლესიამ როდის აითვისა ტაძარი – IV, თუ VI ს-ში. აქ არსებითი, ვფიქრობ, ისაა, რომ ცეცხლის ტაძრის სტრუქტურა ყველა თავისი ძირითადი არქიტექტურული თემით საგნებით მისაღები იყო ადრექრისტიანული ეკლესიისთვის.

უფლისციხეში დადასტურებულია იგივე მოვლენა, რაც ცნობილია სირიიდან, სადაც მისიქს „პრეტორიუმი“, კვადრატული, ოთხბურჯიანი წარმართული ტაძარი V ს-ის პირველ ნახევარში აღმოსავლეთიდან საკურთხეველის აბსიდისა და პასტოფორიუმის დამატების შედეგად იქცა ქრისტიანულ ქკლესიად (ტაბ.LXXVIII)¹²⁸. ესაა ის სქემა, რომელმაც წარმოშვა აღმოსავლეთში გუმბათი, უფრო ზუსტად, კვადრატისა და გუმბათის ურთიერთშეთავსება აღმოსავლეთში იქცა სივრცის მორგანიზებელ ძირითად თემად, განსხვავებით ქრისტიანული დასავლეთისაგან, სადაც გუმბათი ძირითადად მრგვალ ან პოლიგონალურ ნაგებობებს შეუთავსდა¹²⁹ (იგულისხმება, რა თქმა უნდა, ქრისტიანული არქიტექტურის საწყისი ეტაპები).

თუ თვალს გადავაგვლებთ აღმოსავლურ ქრისტიანულ რეგიონებს, აღწერილ სქემაზე დამოკიდებულების მხრივ დაახლოებით ერთი და იგივე სურათი წარმოგვიდგება. ერთი შეხედვით, ანალოგიური სურათი გვაქვს სომხეთშიც. თვლიან კიდევაც (და შესაძლოა იმიტომ, რომ ზემოთ განხილულ ძეგლთა გვიანდელი თარიღები იყო გაზიარებული ან, უბრალოდ, ეს ნაგებობანი არ მოხვდა სამეცნიერო მიმოქცევაში), რომ სწორედ სომხეთში შეიქმნა პირველად ოთხსვეტიანი ბაზილიკები (ასცი, თეკორი)¹³⁰, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, ჯერ ერთი ის, რომ სომხეთში ამდაგვარი ნაგებობანი მხოლოდ ერთეულებია და თეკორი, თორამანიანის აზრით, ექვსბურჯიანი ბაზილიკის გადაკეთების შედეგადაა მიღებული. იგი სომხური არქიტექტურისათვის ოთხბურჯიან ნაგებობებს გამონაკლისად თვლიდა და მხოლოდ ასცის აღმოჩენამ (1973 წელს) განაპირობა ამ აზრის დამკვიდრება¹³¹. გარდა ამისა, საესებით ცხადია ის, რომ სომხური არქიტექტურა დასაწყისი პერიოდიდანვე უაღრესად ფრთხილად და იშვიათად მიმართავდა ოთხ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათის თემას და მალე საბოლოოდ გაქრა კიდევაც მისი რეპერტუარიდან¹³². იქ ამ თემას შემდგომი განვითარება აღარ განუცდია.

კვლავ მინდა დაგვბრუნდე ირანულ ცეცხლის ტაძარს. მისი სქემა, როგორც ქრისტიანული არქიტექტურის დასაწყისი პერიოდის მოდელი, დიდი ხანია აღელვებს მკვლევართ და ირანული სამყაროდან მომდინარე იმპულსების შესაძლებელ გზებს ისინი უკანასკნელ დრომდე სხვადასხვა ნიუანსებით გვთავაზობენ. მონორე დე ვილიარი პირდაპირ გზას ხედავს სუზის ცეცხლის ტაძრიდან რუსაფამდე¹³³. კიდევ უფრო ადრე დაახლოებით იგივე აზრი გამოსჭვივოდა ფრანც ოელმანის ნაშრომებშიც¹³⁴. ჰერცფელდიც მსგავს შეხედულებებს ავითარებს და უფრო შორსაც მიდის. მისი აზრით, ცეცხლის ტაძრები პირდაპირ მოქმედებს ბიზანტიურ არქიტექტურაზე¹³⁵. ეს პრობლემა ბელგიელ ირანისტს ვანდენ ბერგსაც აღელვებს. მან განაახლა რუსაფასა და ცეცხლის ტაძრებს შორის მსგავსების საკითხი¹³⁶. უკანასკნელ ხანს ამ საკითხს ბ. მარშაკიც შეეხო¹³⁷. მან, მართალია, ტიპოლოგიურად ერთმანეთისაგან გამოიჯნა ადრეირანული და სასანური ცეცხლის ტაძრები, მაგრამ აღმოსავლური საწყისების როლი ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ჩამოყალიბების პროცესში მაინც მნიშვნელოვანი ჰგონია.

ჩვენც უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ჯვარგუმბათოვანი ტაძრის წარმომშობი ირანული იმპულსის ორი შტო – აქემენიდური და სასანური და უნდა გავერკვეთ მათ სტრუქტურაში. შიპანის ყოვლისმომცველი ნაშრომის მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ ირანული ტაძრის ტრანსფორმაციას¹³⁸. ოთხსვეტიან სისტემას თანდათანობით შორდება გალერეები და ვიწრო, ყრუ კამერები და ოთხი ბურჯით მონიშნული კვადრატი საბოლოოდ გამიშვლებული რჩება. იქ ცენტრალური ბურჯები იმდენად დიდი და მასიურია, რომ გარე კედლების დამოუკიდებელი მნიშვნელობა ქრება და საბოლოოდ ეს პროცესი სულაც სპობს მათ¹³⁹. ბურჯები თითქმის კედლად გადაიქცა და გუმბათი აღარაა შექმრავი და დიდი დანაწევრებული სივრცის გამაერთიანებელი. საბოლოოდ მივიღეთ „კიოსკი“ – სასანური ცეცხლის ტაძრის ყველაზე პოპულარული ტიპი. ცხადია, მისი მიღება „ჩაწერილი ჯვრის“ პროტოტიპად ჭირს, რადგან აქ ოთხი სვეტი გუმბათითურთ გაშიშვლებულია და გვერდით სივრცეებს აღარ შეიცავს, მაგრამ ეს „ცეცხლის ტაძრის“ საბოლოო ეტაპია და არცთუ ყოვლისმომცველი. როცა საუბარია სასანურ ცეცხლის ტაძრებსა და მათ

გავლენაზე „ჩაწერილი ჯერის“ ტიპის ნაგებობებზე, ყოველთვის მოუხმობენ ხოლმე რუსაფას ტაძარს (ტაბ. LXXVIIg) და მასთან ყველა ნიშნით საოცრად მსგავს სასანურ ცეცხლის ტაძრებს, „კოსკისაკენ“ მიმავალ იმ ტაძრებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ შემოუძარცვავს გვერდითი სივრცენი. ასეთი ტაძარია, მაგ., ცეცხლის ტაძარი გირაში, სადაც გვერდითი სივრცეები ჩართულია საერთო სივრცით კომპოზიციაში და მას ამთლიანებს გუმბათი (ტაბ. LXXVIIg). რუსაფასა და გირას ტაძრების ურთიერთშედარება უპირველესად იმაში გვარწმუნებს, რომ, მიუხედავად იმ საერთო მოვლენისა, რომელმაც მთელ აღმოსავლეთში ოთხბურჯიანი სისტემა გუმბათის წარმომშობ ძირითად სქემად აქცია, სივრცობრივ ორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველო სრულიად სხვა სურათის წარმომდგენია. გირას ტაძარში თითქმის აღარცაა შიდა, თავისუფალი სივრცე. იგი ძალიანაა შეზღუდული მასიური, ჯვრული ბოძებითა და პილასტრებით. სივრცისადმი პრინციპულად იგივე დამოკიდებულებაა რუსაფაშიც. საქართველოში კი სრულიად სხვა სურათი ჩანს. ვგულისხმობ წრომს (ტაბ. XCV₂), რომლის განვითარებული, გუმბათქვეშა სივრცე და მასთან ჰარმონიულად დაკავშირებული გვერდითი სივრცეები სრულად გამოარჩევს მას მახლობელი რეგიონის ამავე ტიპის ყველა ტაძრისაგან. ამიტომაც მის ამ ნიშანს მკვლევარნი ყოველთვის აღნიშნავენ¹⁴⁰. ხოლო ბ. მარშაკმა, ჩემი აზრით, სავსებით სამართლიანად, ვარაუდი გამოთქვა იმის შესახებ, რომ ამავე ტიპის სომხურ ტაძრებსა და წრომს სხვადასხვა საწყისები უძევს¹⁴¹.

საქართველოში „ცეცხლის ტაძარი“ თავისი ძირითადი პრინციპული ელემენტებით ქრისტიანობის დამკვიდრებამდე შემორჩა. მან ცენტრალური კვადრატის გარშემო სივრცეცა და გალერეებიც ბოლომდე შეინარჩუნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრაუტჰაიმერი, რომელიც სავსებით უარყოფს ცეცხლის ტაძრების როლს ბიზანტიური არქიტექტურის განვითარებაში¹⁴², ამ აზრამდე მივიდა იმიტომ, რომ იგი ვერ ხედავს „აიადანას“ ტიპის უშუალო გადამცემ შუალედურ რგოლს. შუა გზაზე აქ სასანური ცეცხლის ტაძარი იბადება.

ერთი შეხედვით, საქართველოსა და სირიაში „აიადანას“ მოდელისადმი ქრისტიანული არქიტექტურის დასაწყის პერიოდში თითქოსდა ერთგვაროვანი დამოკიდებულება ჩანს, მაგრამ, ვფიქრობ, ეს დამოკიდებულება იდენტური არაა.

სირიული, წინარექრისტიანული ოთხსვეტიანი ტაძრების ირანიდან მომდინარეობას ზემოთაც შევხე და კვლავ აღვნიშნავ, რომ ამ აზრს უკლებლივ ყველა მკვლევარი იზიარებს, ე.ი. გვაქვს ორი რეგიონი — სირია და ძველი საქართველო, სადაც მკვიდრდება „ცეცხლის ტაძარი“ და მოდელთან დამოკიდებულების მხრივ საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებს პრინციპულ ელემენტებს. ერთი შეხედვით, საქართველოსა და სირიაში „აიადანას“ მოდელისადმი დასაწყისი პერიოდის ქრისტიანული არქიტექტურის თითქოსდა ერთგვაროვანი დამოკიდებულება ჩანს. მეორე მხრივ, ტაძრის იგივე ტიპი თვით ირანში იქცევა ე.წ. კოსკად. მაგრამ თუ სქემის მხრივ ქართული და სირიული ცეცხლის ტაძრები კონსერვატიულობით ხასიათდება, სტრუქტურის მხრივ კოლხური და იბერიული ტაძრები რადიკალურსა და თამამ ნაბიჯს დგამს. სტრუქტურაში შეჰყავთ კრამიტი და, ამდენად, დახრილ-სიბრტყიანი სახურავები, რომელთა სივრცეში გუმბათებია ამოზრდილი.

სირიულ ტაძრებში (მხედველობაში მაქვს ბატლერის მიერ დიდი დამაჯერებლობით რეკონსტრუირებული ტაძრები, მაგ., ტაძარი სეა-სიში) ბოლომდე, ე.ი. ქრისტიანულ პერიოდამდე შენარჩუნდა ბრტყელი გადახურვები და აქ ფრონტონებს არავითარი კავშირი არა აქვს ნაგებობის სტრუქტურასა და ტექტონიკასთან. სირიულ ტაძრებში ძირითად სივრცესა და გვერდით სათავსებსაც ჰორიზონტალური სიბრტყე ხურავს ცენტრალური ღიობით და ამ სტრუქტურას საფასადე მხრიდან კომპეტით ფლანკირებული ფრონტონი ფარავს. ფრონტონი აქ მხოლოდ ფარია, წმინდა დეკორატიული ელემენტი და ნაგებობის ორგანიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს იმ კატეგორიის ერთ-ერთი დანამატია, რომელმაც ელნიზირებული ტაძრის მხოლოდ გარეგნული სახე შექმნა და მათ მიღმა მთლიანად შენარჩუნდა აღმოსავლური სახეები. ამას ადრე ოელმანიც აღნიშნავდა¹⁴³, ე.ი. აქ არ მოხერხდა, და ალბათ არც იქნა გააზრებული ფრონტონის, როგორც

ორდერის ერთ-ერთი ელემენტის, სტრუქტურაზე დამოკიდებულების საკითხი. შეიძლება გვეფიქრა, რომ სირიაში ფრონტონი (და, ამდენად, ორქანობიანი სახურავიც) კვადრატული ნაგებობებისთვის არაორგანულად ცნეს, მაგრამ ასეთივე სურათი (ბრტყელ სახურავს აფარებული ფრონტონის იმიტაცია) ჩანს იქ იმ ტაძრებშიც, რომელთა საფუძველი გრძივი პერიპტეროსია (ტაბ. LXXXV)⁴⁴. სირიაში ძალიან გვიან მოხდა ფრონტონის არსის გააზრება და მისმა ესოდენ ნაგვიანებმა შეცნობამ ფრონტონის, როგორც ფარის, როლიც დააკანონა და სამივე ნაწილი ერთიანი სამკუთხედის ქვეშ მოექცა. სომხურ ბაზილიკათა უმეტესობაშიც ამ წილსვლების გამოვლენაა ერთიანი გადახურვის ქვეშ მოქცეული სამივე ნაწილი⁴⁵. სომხური ბაზილიკების იმ მცირე გამოჩვენებაში, სადაც ცენტრალური ნაწილი გარე მასებში იკვეთება, ეს უკანასკნელი ოდნავ სცილდება გვერდითებს⁴⁶.

სრულიად სხვა სურათი იყო საქართველოში. რთული კონსტრუქციული სისტემის (ბრტყელ სახურავთან შედარებით) ორქანობიანი გადახურვა ელინისტურ ხანაშივე შეუთავსდა აღმოსავლურ სქემებსა და სტრუქტურებს. ეს პროცესი, ცხადია, დააჩქარა კრამიტის ათვისებამ და აქ ადრევე ჩამოყალიბდა გადახურვის სისტემა, რომელთა ტექტონიკა და ასახულობა საესებით შეესატყვისებოდა სქემასაც და სტრუქტურასაც. გავიხსენოთ თუნდაც სტრაბონი, რომელმაც საქართველოში არქიტექტურული „წესრიგი“ ძირითადად კრამიტის სახურავით განსაზღვრა.

ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ფენომენის შეცნობის საწყის ეტაპზე მკვლევრებმა აღნიშნეს ქართული ძეგლების ევროპული კულტურული წრისადმი სიახლოვე (მოსალოდნელი კი იყო თითქოს გეოგრაფიული მოსაზღვრების გამო ქართულ არქიტექტურულ ძეგლებში ძლიერი სასანურ-ირანული გავლენა)⁴⁷. ეს სიახლოვე ძალიან ადრე, ელინისტურ ხანაშივე გაპირობდა რთული პროცესების, დასავლურ-აღმოსავლურ ფორმათა ჰარმონიული ურთიერთშეთავსების შედეგად. ასეთი რამ მოხდა მხოლოდ საქართველოში, მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ერთადერთ რეგიონში და ამის წყალობით ქართული არქიტექტურა დარჩა ბოლომდე „ევროპული“ კულტურული წრის მონათესავე.

როგორც ცნობილია, სირიული არქიტექტურა უშუალო გავლენას ახდენს დასაწყისი პერიოდის სომხურ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაზე. აქ თავს იყრის ქრისტიანული არქიტექტურის საწყისების განსხვავებული მიმართულებანი. იშვიათი გამოჩვენების გარდა (როდესაც მარტივად აისახა ესა თუ ის მზამზარეული სქემა), სომხეთში კომბინირების საკმაოდ რთული მაგალითები დასტურდება. უპირველესად ეს იხატება ბაზილიკისა (ბაზილიკის აღმოსავლური ანუ სირიული ტიპისა, სადაც სამივე ნაწილი ერთიანი გადახურვის ქვეშაა მოქცეული) და ოთხსვეტიანი სისტემის (როგორც ჩანს, ასევე სირიიდან შემოდრეული სქემის) სინთეზით. ასეთი კომბინირებით შემუშავებულ ნაგებობებს სომხეთში მკვეთრად ახასიათებს სიგრძივობა, ბაზილიკურობა. იქ თითქოს ბაზილიკის სტრუქტურა დომინირებს და არა გუმბათი. როგორც თეოდორის (ტაბ. XCVII), ასევე წრომის მიმართ (დაახლოებით ერთდროულად შექმნილი ტაძრები) გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი შეიქმნა ბაზილიკისა და ცენტრული კომპოზიციის შეუღლების შედეგად⁴⁸. ეს თეზისი დაზუსტებას მოითხოვს წრომის მიმართ. შეუდარებლად განვითარებულია სივრცე წრომში და აქ ბაზილიკურობა გადალახული კი არ არის როგორც გრძივი ბაზილიკიდან ჯვარგუმბათოვნისაკენ განვითარების პროცესის ერთ-ერთი ეტაპი⁴⁹, არამედ ის აქ არც არასოდეს ყოფილა. წრომის წინამორბედი და მისი უშუალო წინაპარი თავიდანვე ცენტრული იყო. იგი საქართველოს ტრადიციული სატაძრო არქიტექტურული თემის შემდგომი განვითარება და დახვეწა, ცხადია, ამ სტრუქტურებში დამატებითი მოტივის ჩართვით.

ამ ფონზე ძნელი სარწმუნო ჩანს იაკობსონისეული თეზისი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობების წარმოქმნის შესახებ და მის მიერ შემოთავაზებული განვითარების ჯაჭვი: უგუმბათო ბაზილიკა – ბაზილიკაში შესული ცენტრული ელემენტი (ანუ გუმბათი) – შემდგომ გუმბათოვანი დარბაზი – განვითარების მომდევნო რგოლი და ბაზილიკურობის უარყოფის ეტაპი⁵⁰. უნდა ითქვას, რომ გუმბათოვანი ბაზილიკა და გუმბათოვანი დარბაზი სხვადასხვა არქიტექტურული თემებია და მათი

ერთიანი ჯგუფის სხვადასხვა რგოლებად განხილვის საფუძველი არ გვაქვს. ჯვარგუმბათოვანი ნაგებობების შექმნა და განვითარება ძირითადად დაკავშირებულია სვეტებთან თუ ბურჯებთან. ყველა ეტაპზე ისინი წარმოადგენდა იმ ელემენტებს, რომელთა გარშემოც მიმდინარეობდა სივრცეთა ორგანიზება. გუმბათოვანი დარბაზი (Kupelhalle) კი ძირითადად სომხური ტრადიციებით გაპირობებული სისტემაა, რომელიც საფუძველშივე უარყოფს ჯვარგუმბათოვან ნაგებობათა ძირითად მაორგანიზებელ ელემენტებს. უნდა გავიმეორო, რომ დასაბამიდანვე სომხეთი სიფრთხილით მოეკიდა ოთხსვეტიან სისტემას⁵¹ და ძალიან მალე უარყო კიდევ იგი⁵². ასევე გაცილებით ადრე უარყვეს ბაზილიკა სომხეთში, ვიდრე საქართველოში. თუ საქართველოს წინარექრისტიანული არქიტექტურული ფორმები დასაწყისი პერიოდის ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებას აკავშირებდა „ბაზილიკას“ თუ ბაზილიკის მსგავს აგებულებასთან, სომხეთისათვის ეს ფორმები მხოლოდ პირველადი აუცილებლობით გამოწვეული იძულებითი ნაბიჯი იყო და არც ცდა დააკლო მას, რომ სომხური მისწრაფებების გათვალისწინებით გარდაექმნა და გადაემუშავებინა იგი, ე.ი. ვთვლი, რომ ნაგებობების ბაზილიკური ასახულობა არ იყო მისთვის ორგანული, წარსულით გაპირობებული თემა და ამ ხალხმა ნაგებობის ტრადიციულ ტიპს – დარბაზს შეუთავსა გუმბათი და მისი სრულყოფა განუმეორებელ სიმალღემდე აიყვანა.

წინარექრისტიანული სომხეთი დიდადაა დამოკიდებული წარსულ ურარტულ მემკვიდრეობაზე. კულტურის ცალკეულ მხარეებზე (ქალაქთმშენებლობა, არქიტექტურა, სამშენებლო საქმე) წარსულის მემკვიდრეობანი უარესად მძლავრად მოქმედებს⁵³. ურარტულ საკულტო ნაგებობათა ნანგრევებსა და ნაშთებს წარმატებით ითვისებს სომხური კულტურული წრე და ალბათ სწორედ ესენი ან მათი მსგავსი ნაგებობებია ის პატარა „დარბაზები“, რომელსაც ზენობ გლაკი ახსენებს და რომელშიც იმართება პირველი სომხური ეკლესიები. ცხადია, განყენებულად ძალიან დიდაა შუალედი ურარტულიდან ადრექრისტიანულ პერიოდამდე, მაგრამ საესებით დასაშვებია მგონია უწყვეტი გავლენების არსებობა, თუ არსებობს ტრადიციათა გადამცემი შუალედური რგოლი. ასეთი რგოლი ადრესომხური პერიოდია. თუ კრებითი ტაბულის მიხედვით მაინც გაავადენებთ თვალს და შევადარებთ ერთმანეთს ზოგიერთ ურარტულ ტაძარსა და პირველ სომხურ ეკლესიებს (ტაბ.XCVII, 1-4), მსგავსება და უშუალო მემკვიდრეობითობა ნათელი გახდება. ესაა გეგმარებითი კომპოზიციის სრული იდენტურობა ქრისტიანობის მიერ სქემაში შეტანილი ზოგიერთი ცვლილებებით. ამიტომ საესებით ბუნებრივია, რომ პირველი აუცილებლობით მიღებული ბაზილიკის თემა თანდათანობით ქრება სომხეთში და უბრუნდება ტრადიციულ გრძივ დარბაზს. მოგვიანებით ყოველგვარი ცენტრული ბურჯების გარეშე სწორედ მას აგვირგვინებენ გუმბათით. აქაც მძლავრად მოქმედებს წარსულის ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა, ოღონდ, საქართველოსაგან განსხვავებით მას საფუძვლად სრულიად სხვა არქიტექტურული კონცეფცია უძევს.

თუ როდის მიიღო პირველად ბიზანტიაში ჩამოყალიბებული სახე ჯვარგუმბათოვანმა სისტემამ, დღემდე ალღევებთ მკვლევრებს. ეს თემა დიდად შორდება ამ ნაშრომის კონკრეტულ საკვლევ საკითხს და ამიტომ მას მხოლოდ მოკლედ შევეხებით.

მკვლევართა ერთი ნაწილი ამ სისტემის სამშობლოდ სწორედ ბიზანტიას მიიჩნევს. თავისი დროისათვის შთამბეჭდავი იყო ვულფის თეორია, სადაც ნაჩვენები იყო განვითარების გზა ბაზილიკიდან „ჩაწერილ ჯვარამდე“⁵⁴. მოგვიანებით პრინციპულად სხვა აზრი განავითარა კრაუტჰაიმერმა, რომლის მიხედვითაც ჯვარგუმბათოვანი ნაგებობების წინაპირობად თავისუფალი ჯვარი ან „ჩაწერილი ჯვარი“ მიჩნეული⁵⁵. ასეთი აზრი ნ. ჩუბინაშვილსაც აქვს გამოთქმული⁵⁶. კრაუტჰაიმერი მთლიანად უარყოფს ვულფის „ევოლუციურ თეორიას“, რომლის ძირითადი კონცეფცია ერთი არქიტექტურული ტიპოლოგიიდან მეორის შესაძლო წარმოშობაზეა დაფუძნებული, და თვლის, რომ როცა ბიზანტიის ცენტრებში, VI-VII სს-ში ძირითადად გაბატონებულია გუმბათოვანი ბაზილიკა, პერიფერიებში არსებობს ჯვარგუმბათოვანი ტაძრებიც. მას მაიაფარკინი და კუმანინ ჯამი მოაქვს ნიმუშებად და საბოლოოდ თემის დასასრულად თვლის წმ. ტიტუს ტაძარს გორტინაში

(კუნძ. კრეტაზე)⁵⁷. ამ აზრს, როგორც ჩანს, საესებით იზიარებს კომეჩიცი⁵⁸. ლ. რჩეულიშვილის აზრით, თვით ბიზანტიის ტერიტორიაზე ჯვარგუმბათოვანი ტაძრები IX ს-მდე არ გვხვდება⁵⁹, ე.ი. იგულისხმება ისეთი ძეგლები (ეს განმარტება აუცილებელი მგონია, რათა ტერმინოლოგიური დაბნეულობა არ მივიღოთ), სადაც ოთხ სვეტზე ან ბურჯზე გუმბათია დაყრდნობილი და მის გარშემო სივრცე მთლიანად სწორკუთხედშია ჩაწერილი (ზოგ შემთხვევაში გვხვდება სწორკუთხედის საზღვრებს გადაცილებული საკურთხევის აბსიდა და პასტოფორიები), ანუ მთელი სივრცე გაერთიანებული და შეკრულია გუმბათით, სადაც ნაგებობის ჯვრული ასახულობა ზედა სტრუქტურაში მიღწეულია ტრანსეპტის საშუალებით. ტრანსეპტის მკლავები არ სცილდება სწორკუთხედის საზღვრებს.

სრულიად დასაშვებია, რომ ნაგებობის ეს ტიპი ბიზანტიის პერიფერიაში გაჩენილიყო (მაგ., ქერჩში) უფრო ადრე, ვიდრე იმპერიის ცენტრებში, თუ, ცხადია, ვირწმუნებთ ბრუნოვის მიერ შემოთავაზებულ თარიღს (VIII ს). მაგრამ ქერჩში ამდგვარი ნაგებობის გაჩენა საქართველოდან მომავალი იმპულსის შედეგი უნდა იყოს, მისი ზოგიერთი ნიშანი პირდაპირ მიანიშნებს ამას (გეგმის კვადრატულობა, რაც სრულიად განასხვავებს მას ბიზანტიური ეკლესიებისაგან, განვითარებული გუმბათქვეშა სივრცე, სვეტთა ჯვრის ფორმის ბურჯები, რიზალიტები და სხვ.), თუმცა ბრუნოვისათვის ეს ნაგებობა მთლიანად ბიზანტიური არქიტექტურის ქმნილებაა⁶⁰.

როგორც არ უნდა განისაზღვროს ბიზანტიაში ჯვარგუმბათოვანი ნაგებობათა წარმოშობის დრო, მთავარი ჩვენთვის ისაა, რომ აქაც მათ სომხური ძეგლების ანალოგიურად ბაზილიკური სივრცეობა ახასიათებს, რაც სრულებით არ შეინიშნება საქართველოში. ბიზანტიაში საკმაოდ კარგად ჩანს ბაზილიკიდან ჯვარგუმბათოვანი სისტემის სრულყოფილი ფორმის წარმოქმნის რთული პროცესი. ბიზანტიაში გუმბათოვანი ბაზილიკები ძალიან ადრე წარმოიქმნა⁶¹, და თუ ვერწმუნებით ვუღყვს, ტრანსეპტიან ბაზილიკებში ბრტყელი გადახურვიდან თაღოვანზე გადასვლამ თავისთავად წარმოშვა გუმბათი (და ამდენად, სისტემაც)⁶². მიუხედავად ამისა, საუკუნეები დასჭირდა იქ ჯვარგუმბათოვანი ნაგებობების წარმოსაქმნელად იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბაზილიკის სქემა, მისი ტრანსეპტიანი ტიპი დამოუკიდებლად არ იძლევა და არ კარნახობს თავისუფალ გზას ერთიანი კომპაქტური სივრცის შესაქმნელად, ისეთ გზას, რომელსაც კარნახობდა „კვადრატული“ ბაზილიკა საქართველოში.

გ. ჩუბინაშვილი, დარწმუნებული ვარ ამამში, პრიორიტეტს ჯვარგუმბათოვანი ნაგებობის ჩამოყალიბების პროცესში საქართველოში აკუთვნებდა „Croix libre“-ს იმიტომ, რომ ვერც წრომში და ვერც სხვაგან ვერ ხედავდა მათ ბაზილიკურ სივრცეობას⁶³.

ცხადია, დამოუკიდებლად „ქართული ბაზილიკა“ ვერ შექმნიდა ჯვარგუმბათოვანი სისტემას. ეს კარგად ჩანს, მაგ., არმაზში, აქ ნაწილობრივ უარყვეს ბაზილიკურობა ისე, რომ შეინარჩუნეს ოთხი სვეტი, გუმბათის საყრდენი, მაგრამ არ შეუთავსეს მას ტრანსეპტი. ამიტომაც მივიღეთ გარდაქმნისა და ფორმათა ძიების თვალნათელი, შუალედური ნიმუში, სადაც ჩანს ბაზილიკურობის ნაწილობრივი უარყოფისა და ახალი თემისათვის გასაღების ჯერ ვერმიგნების პერიოდიც.

აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „Croix libre“-ს როლი ჯვარგუმბათოვანი სისტემის წარმოქმნის პროცესში. მისი მნიშვნელობა მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრების წარმოქმნასა და შემუშავებაში მინიშნებული აქვს გ. ჩუბინაშვილს⁶⁴. ეს „თავისუფალი ჯვრის“ შესაძლებლობას საესებით შეესაბამება, ამით მისი ფუძემდებლური როლი იწურება და მცხეთის ჯვრის სრულყოფილი და დასრულებული თემაც განვითარებას აღარ ექვემდებარება⁶⁵; აქ ამოიწურა შესაძლებლობები ისევე, როგორც ამოწურა იგი მცხეთის ჯვრის ტიპის შექმნით „Croix libre“-მ, მაგრამ „Croix libre“, როგორც თემა და იდეა და არა როგორც საფუძველი, მონაწილეობს ჯვარგუმბათოვანი ნაგებობათა სრულყოფაში. აქ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნო საწყისი სახეები წრომისა და მცხეთის ჯვრის ტიპის ნაგებობათათვის, სათანადოდ უნდა შევადგინოთ საწყისი მოდელის როლი მხატვრული კანონის ჩამოყალიბების გზაზე. ამ შემთხვევაში გვაქვს ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი გრაფიკული სხეული – კვადრატი და ჯვარი, კვადრატი წრომისა (ეს მისი საფუძველია) და

ჯვარი მცხეთის ჯვარისათვის. კვადრატი ვითარდება თავისავე შიგნით განმეორების შედეგად – კვადრატი კვადრატის ცენტრში (ტაბ.XCl_{5,6}) [შდრ. დედოფლის მინდვრის კომპლექსის საფუძველსა და მისი სქემის წარმომქმნელ კვადრატთა პროპორციულად შემცირებულ გრძელ ჯაჭვს], ხოლო ჯვრის განვითარება მცხეთის ჯვრის ტიპისკენ ჯვრიდან ორნამენტის განვითარების გზაა, რომელსაც ცენტრი წარმართავს ვარდულის მიღებით (შდრ. ძველი გაფაზი – ნინოწმინდა ტაბ.XCV_{1,2}) დამატებითი დიაგონალური სხივების მეშვეობით (ტაბ.XCl_{3,4}).

ამდენად, მცხეთის ჯვრის (ტაბ.XCV_{1,2}) ტიპი შორდება „თავისუფალ ჯვარს“. იგი მკვეთრად გამოხატული დომინანტით შეიკრა, გამთლიანდა და კომპაქტურ სხეულად იქცა. „ორმაგი კვადრატი“ იმატებს „თავისუფალ ჯვარს“, მაგრამ მხოლოდ სივრცეში (ტაბ.XCl₇). ეს განვითარების სრულიად განსხვავებული გზაა, თუმცა აქაც მონაწილეობს „Croix libre“. იგი დომინირებს მცხეთის ჯვრის ტიპში, მაგრამ დამხმარე თემაა წრომში, ე.ი. ვფიქრობ, რომ ჯვარგუმბათოვანი ნაგებობანი საქართველოში შეიქმნა ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ცენტრული კომპოზიციის ვერტიკალური კომბინირების შედეგად და არა გრძივი და ცენტრული ფორმების ურთიერთშეუღლებების გზით. იგი საქართველოში შეიქმნა წინარექრისტიანულმა მოდელმა, რომელშიც შევიდა მთლიანად, თემატიკითაც და ფორმითაც ქრისტიანული სხეული – ჯვარი. ცენტრულს ეუწოდებ იმ „ცრუ ბაზილიკებსაც“, რომლებსაც, ჩემი აზრით, გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯვარგუმბათოვანი სისტემის ჩამოყალიბების პროცესში, რადგან ისინი ხასიათდება შეკრული, კომპაქტური ფორმით. სომხურ ბაზილიკათაგან განსხვავებით, მათთვის სრულიად უცხოა ღია გალერეები და კომპლექსური დანამატები⁶⁶. ქართული „ბაზილიკები“ შეკრული და ჩაკეტილია თავისთავში, თითქოსდა უგუმბათობის დროსაც გუმბათი განაპირობებს მათ მთლიანობასა და კომპაქტურობას. და ასეა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს წინარექრისტიანული ტაძრებისათვის, „ცრუ გუმბათოვან კვადრატულ“ ნაგებობათათვის ადრევე იყო დამახასიათებელი. უნდა აღინიშნოს, რომ ადრექრისტიანულ ხანაში, მის საწყის პერიოდში, სომხეთსა და საქართველოს შორის სუფევს სრული რელიგიური ერთიანობა. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზეც კი ამ ორი რეგიონის ძირითადი არქიტექტურული სახეები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სიმოკლე ანუ კვადრატულობა უთუოდაა მიზეზი იმისა, რომ ქართულ ბაზილიკებს არ გაუვლიათ გადახურვის სისტემის ორი ეტაპი – ბრტყელი ხის ჭერიდან კამარულზე გადასვლის პროცესი, ანუ ის პროცესი, რაც თითქმის მთელმა ქრისტიანულმა არქიტექტურამ განვლო. აქ ეკლესიათა სივრცე თავიდანვე კამარით იკვრებოდა, რაც იმის შედეგი უნდა იყოს, რომ კვადრატულობა თავისთავად კარნახობს ამ თემას⁶⁷. გარდა ამისა, გვიანანტიკურ ხანაში, ქრისტიანობის უშუალოდ მომიჯნავე პერიოდში სამარხეულ ნაგებობებში (მცხეთის მავზოლეუმის ტიპის აკლდამა), რომელიც მრავალი ნიშნით ქართული წინარექრისტიანული ტაძრის მოდელია⁶⁸, სრულყოფილი კამარა გვაქვს⁶⁹. მთელ ქრისტიანულ სამყაროში, მის სხვადასხვა რეგიონში ჯვარგუმბათოვანი ნაგებობების სახით მეტნაკლები სიგრძივობისა და წარმოშობის განსხვავებული გზების მიუხედავად შეიქმნა ტაძრის იდეალური მოდელი. იგი მთლიანად პასუხობდა VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში მომხდარ ფორმირებებსა და მორწმუნეთა თვალთახედვას. დასაბამი მიეცა ლიტურგიისა და თვით საღვთო ნაგებობის იდეურ-სიმბოლურ გააზრებას და, შესაბამისად, ღვთისმსახურთა მოქმედებანიც ღრმა სიმბოლური აზრით გამდიდრდა. ლიტურგიის მიხედვით ხდება ამ დროიდან ტაძარში ცერემონიალური სივრცის შემოსაზღვრა და სწორედ გუმბათქვეშა სივრცე ბემითურთ ხდება თითქმის ისეთივე მნიშვნელობის მქონე, როგორც საკურთხეველი, ე.ი. თუმც დაგვიანებით და არასრულად, მაგრამ ცენტრი აქ მაინც იძენს იმ მნიშვნელობას, რაც აღმოსავლური, წინარექრისტიანული ტაძრების ერთი ჯგუფის ცელას ჰქონდა. და მაინც, ქრისტიანულ ეკლესიებში საკურთხეველთან შედარებით გუმბათქვეშა კვადრატს ნაკლები იდეური დატვირთვა აქვს⁷⁰. მთელ ქრისტიანულ სამყაროში ლიტურგიული ნორმების იდეალურად განხორციელების საშუალებას იძლევა ჯვარგუმბათოვანი ტაძარი და ამიტომაც ოთხ ბურჯსა თუ სვეტზე დაყრდნობილი ნაგებობანი ნაკლებ განიცდიდა ცვლილებას.

საქართველოში კი რამდენადმე განსხვავებული სურათია. წრომის შემდგომ ოთხ სვეტზე დაყრდნობილი გუმბათი მხოლოდ რამდენიმე ძეგლში გვაქვს: სამშვილდის სიონი (ტაბ.XCV), თბილისის მეტეხი, იყალთო, რუისი. თანდათანობით საქართველოში გუმბათი შორდება ცენტრს და მიიწევს საკურთხევლისაკენ. ამ ტენდენციის არასრული გამოხატულებაა სამთავისი (ტაბ.XCV3) და სრულისა — მაგ., სამთავრო⁷¹. აღმოსავლეთის ორი ბოძი შეუთავსდა საკურთხევლის აბსიდის კუთხეებს, მოხდა აღმოსავლეთი მკლავის საგრძნობი დამოკლება. ეს საბოლოოდ ჩამოყალიბებული ტიპი იქცა კანონიკურად საქართველოში⁷². მიზეზი გუმბათის საკურთხევლისაკენ სწრაფვისა, ჩემი აზრით, კვლავ წარსულის მეძვიდრეობაა. ვფიქრობ, რომ ესაა მისწრაფება იმისაკენ, რომ შეძლებისდაგვარად ერთად იარსებოს ორმა სარიტუალო დომინანტმა — ცერემონიალურმა არემ და საკურთხეველმა. გავიხსენოთ, რომ ქართულ წინარექრისტიანულ ტაძრებში ცერემონიები საკურთხეველთან წარმოებდა და მას აგვირგვინებდა გუმბათი.

ზემოთ განხილულ „სათუო“ ბაზილიკათაგან, ე.ი. იმ ტიპის ნაგებობათაგან განსხვავებით, რომლებმაც დასაბამი მისცა საქართველოში ჯვარგუმბათოვანი სისტემის წარმოქმნას, გრძივი ბაზილიკების ჯგუფი სრულიად სხვა არქიტექტურული თემაა და მის წარმოშობასაც სრულიად განსხვავებული საწყისები აქვს.

ბაზილიკა, როგორც არქიტექტურული თემა, როგორც ეკლესიის დაკანონებული ტიპი, საქართველოსათვის უცხოა, თავს მოხვეულადაა მიჩნეული⁷³. „სათუო“, „ცენტრულ“ ბაზილიკებზე ამ მოსაზრების გავრცელებას, ვფიქრობ, საფუძველი არა აქვს. იგი წარსულიდან მივიღეთ, მაგრამ გრძივი ბაზილიკებიც, ჩემი აზრით, ადგილობრივ ნიადაგზე გვიანანტიკურ ხანაში განვითარდა ერთ-ერთი პერიფერიული, რომაული არქიტექტურული სკოლის მოღვაწეობის შედეგად. საქართველოში ბაზილიკის სამი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ტიპი ჩანს: ოთხსვეტიანი, გრძივი და სამეკლესიანი. ბოლნისის სიონი შესაძლოა ერთადერთი ძეგლი იყოს, რომლის მიკუთვნება უყოყმანოდ რომელიმე სახეობისადმი ჭირს (მას მოგვიანებით დაუბრუნდები).

ძალიან მიძინელდება საქართველოში ბაზილიკათა ვ. ცინცადისეული ტიპოლოგიის გაზიარება, მათი დაჯგუფება ზედა სტრუქტურის მიხედვით⁷⁴. საქართველოში არ ჩანს ისეთი ბაზილიკები, რომლებიც ზედა სტრუქტურით უყოყმანოდ სირიულ-მცირეაზიულ მოდელს მიეკუთვნებოდეს⁷⁵, ე.ი. ისეთებს, სადაც სამივე ნავეს ერთიანი ორქანობიანი სახურავი ფარავს⁷⁶. ბოლნისის სიონის ამჟამინდელი ასახულობა (სამივე ნავე ერთიანი გადახურვის ქვეშაა მოქცეული, მაგრამ გვერდითი გალერეები მას მანც ბაზილიკის ჩვეულ იერს ანიჭებს) გვიანდელი გადაკეთების შედეგია, რაც რ. გვერდწითელის სტრუქტურულმა ანალიზმა უეჭველობით დაადგინა⁷⁷. ვ. ცინცადის მიერ შესწავლილ იქნა სვეტიცხოვლის ამჟამინდელი ტაძრის წინამორბედი სტრუქტურა, სადაც დადასტურდა ბოლნისის სიონის მსგავსი გეგმარებითი სქემა⁷⁸. ბოლნისის სიონის ანალოგიურად მოხდა სვეტიცხოვლის ბაზილიკის რეკონსტრუქციაც (სამივე ნავე ორქანობიანი გადახურვის ქვეშ). ასეთი რეკონსტრუქციის საფუძველს არ იძლევა ახლადგამოვლენილი სვეტიცხოვლის ბაზილიკის გეგმა, ხოლო ბოლნისის სიონის თავდაპირველი ასახულობა გარე მასებში სამივე ნავეს მკვეთრად გამოყოფდა.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელაა გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ წინარექრისტიანული ქართული ხუროთმოძღვრებისათვის უცხოა რომაული არქიტექტურული სახეები⁷⁹. შესაძლოა, ბოლო ხანებში ნასტაკისისა და ძალისის ნაქალაქართა გამომზეურებამ⁸⁰ ეჭვი შეიტანოს ამ მოსაზრებაში და, ვფიქრობ, რომ ეჭვს მხოლოდ სანახევროდ ექნება საფუძველი. ძალისისა და ნასტაკისის არქიტექტურა რომაული პერიფერიული სკოლის ქმნილებაა და ყველა კომპონენტით რომაული ტრადიციების განმახორციელებელი მძლავრი ხუროთმოძღვრება. მაგრამ ესაა უპირველესად პრესტიჟული კომპლექსები, პრესტიჟული მხოლოდ ვიწრო გაგებით, რომლებიც ნაწილობრივ ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც შეიცავს. ეს კომპლექსები წარმოშობილია კონკრეტულ პიროვნებათა (მოხელეთა) დაკვეთების შედეგად და მხოლოდ მათ პრესტიჟს ემსახურებოდა. ამიტომაც ძნელია იმის წარმოდგენა, რომ იგი შექმნიდა ერის მძლავრ შემოქმედებით ტრადიციას.

ეს კომპლექსები არაა საზოგადოების ან ქურუმთა კასტის დანაკვეთი. იგი დაწინაურებული კლასის და, შესაძლოა, არც მისი, არამედ ცალკეულ პიროვნებათა მოთხოვნაა. ასეთმა ნაგებობებმა შეიძლება წარმოშვას და წარმოუშვია კიდევაც საკულტო ნაგებობანი, რომლებიც დროის რალაც გარკვეულ მონაკვეთში შეიძლება დაუპირისპირდეს ადგილობრივ, მყარ ნიადაგზე შექმნილ სახეებს. საქართველოში რომაული არქიტექტურული სკოლის მიერ წარმოშობილმა ბაზილიკებმა მხოლოდ ცოტა ხნით იარსება ადგილობრივი ბაზილიკების გვერდით.

კვლავ მინდა არქეოლოგიურ მონაპოვარს მოვუხმო და კვლავ ნასტაკისის ექსპედიციის მიერ გამოვლენილ ძეგლს.

ნასტაკისის სამნავიანი ბაზილიკა

როგორც ჩანს, ეს ნაგებობა (ტაბ. LXXXI) ანტიკური ბაზილიკა იყო, რომელიც მოგვიანებით ეკლესიად გარდაიქმნა. აღმოსავლეთ კედლის სტრუქტურაში შერჩენილია თავდაპირველი ნაგებობის კვალი — საფეხურები (ტაბ. LXXXII). ა. ბოხოჩაძის აზრით, ეს წარმართული საფეხურებიანი საკურთხევლის ნაშთია, რომელზეც ბაზილიკა დაშენდა⁸¹. მაგრამ ეს აზრი ნაკლებ მისაღები მიჩვენება. წარმართული საკურთხევლები ადრექრისტიანულ ეკლესიებში ყოველთვის ნაგებობის ცენტრში ექცეოდა. ეს ქრისტიანული რელიგიის მძლავრობის გამოსატყულებადაა მიჩნეული⁸². არემის №3 ეკლესიაში წარმართული ნიში სწორედ სამეკლესიანი ბაზილიკის ცენტრში აღმოჩნდა (ტაბ. LXXXIII)⁸³. ანალოგიური სურათი გვაქვს, მაგ., ბაალბეკშიც — იქაც წარმართული საფეხურებიანი საკურთხეველი ბაზილიკის ცენტრში მოექცა (ტაბ. LXXIX)⁸⁴ და შემდგომ ამბიონად გააგრძელა არსებობა.

ნასტაკისში, ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს შერჩენილი საფეხურები თავის დროზე ამ წარმართული ბაზილიკის აღსავალი უნდა ყოფილიყო, რომლის გაუქმების ხარჯზე შექმნეს აბსიდები, ე.ი. შეცვალეს ნაგებობის ორიენტაცია, ხოლო მისი ძირითადი სტრუქტურა ხელუხლებლად დატოვეს. აბსიდები ნამდვილად არაა თავდაპირველი შენობის თანადროული. წყობას ეს კარგად ეტყობა. იგი გვიანდელი ქმნილებაა და შემთხვევითი არც ის ჩანს, რომ სწორედ საფეხურებს დააშენეს ისინი. ამით მოსაქვს წარმართული ნაგებობის შინაარსი, გააუქმეს მისი აღსავალი და ხაზი გაუსვენს მის სრულიად სხვა ფუნქციას. საოცრად ჰგავს ეს შემთხვევა ბაალბეკის მაგალითს. აქაც ასევე სამი აბსიდა სწორედ წარმართული ნაგებობის აღსავალს, საფეხურებს დააშენეს და, თანაც, დასავლეთით.

ნასტაკისის ეკლესიაში ქვისა მხოლოდ ცოკოლი ყოფილა, დანარჩენი სტრუქტურა ალიზისაა და იგი ასევე დატოვა ქრისტიანულმა ეკლესიამაც. ნაგებს ოთხი წყვილი ჯვრის ფორმის ბურჯი ანაწევრებდა. ბურჯთა ამ ფორმას იცნობდა და იყენებდა გვიანანტიკური არქიტექტურა⁸⁵. მოგვიანებით აღმოსავლეთის განაპირა ბურჯები. ნაგებობის ეკლესიად ფორმირებისას აბსიდის ნაშეერებს შეუთავსდა. ეკლესიას ა. ბოხოჩაძე V-VI სს-ით ათარიღებს⁸⁶. ჩემი აზრით, წარმართული ბაზილიკის ეკლესიად ათვისება გაცილებით ადრე მოხდა, შესაძლოა, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდეც. ძალიან ძნელია წარმოდგენა იმისა, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ ერთ-ერთ საქალაქო ცენტრში და თანაც დედაქალაქის (მცხეთის) სიახლოვეს ალიზის ეკლესია აგებულყო. IV ს-დან ეკლესიათა მშენებლობა საქართველოში სამეფო პრეროგატივაა და ეს ქართული საისტორიო წყაროებითაც კარგად ჩანს. გარდა ამისა, ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობის დასაწყის ეტაპზე, როცა ეს პროცესი უშუალოდ ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება, ხდება აღორძინება წყობათა ანტიკური სახეებისა და ეკლესიის ქვის კედლები სხვა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს⁸⁷. ამიტომაც მიჭირს ნაგებობის შემოთავაზებული თარიღის გაზიარება. გარდა ამისა, ეკლესიამ შემოგვინახა დეტალი, რომელიც საესებით

გამორიცხავს მის IV ს-ზე გვიანდელ წარმოშობას. ესაა საკურთხეველი ჩრდილოეთ აბსიდში და არა ცენტრალურში. მხოლოდ უადრეს, III-IV სს-ის ძეგლებს ახასიათებს ვიწრო სივრცეებში საკურთხეველების აღმართვა⁸⁸, რასაც იმ დროისათვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებული ლიტურგია ითვალისწინებდა. ამ ნიშნის გამო, ვფიქრობ, რომ V-VI სს-ში ეკლესია აღარც კი ფუნქციონირებდა. აღიზის ეკლესია არ შეესაბამებოდა მშენებლობათა სამეფო პროგრამას, ხოლო სტრუქტურის მთლიანი განახლება ალბათ არ ეგებოდა. თუ ჩემ მიერ შემოთავაზებული თარიღი – III-IV სს-ები მისაღებია, მაშინ გამოდის, რომ ბოლნისის სიონის ჯვრის მოყვანილობის ბურჯებისათვის⁸⁹ ადრეული მოდელი საქართველოში ამ ძეგლის სახით არსებობდა. ცოტა მოგვიანებით (კონკრეტულად როდის, ამის ვარაუდი ძალიან ძნელია ეხლა, მაგრამ, ჩემი აზრით, IV ს-ის პირველ ნახევარში) სამნავიანი ბაზილიკა სამეკლესიანად აქციეს. პასტოფორიუმები აქაც არ გამოიყო, დამოკლდა გეგმა, გაიჭრა კარები სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, ამასთანავე, სამხრეთი კარი მთავარ კარიბჭედაც იქცა (გაფორმდა პორტიკოსით), ბურჯებზე გადაიარა კედლებმა და შეიქმნა სამი მხრიდან გარსშემოსავლელი (ამ ბოლო პერიოდს მოგვიანებითაც დაეუბრუნდები).

ზემოთ, როცა გადავხედეთ იმ წარმართულ ნაგებობებს, რომლებიც ეკლესიებად იყო ათვისებული, კარგად ჩანდა, რომ ნაგებობათა ზომებს ყურადღება არ ექცევა. ადრექრისტიანული ეკლესია იმართებოდა ნებისმიერი სიდიდის შენობაში. ასეთი სურათი გვაქვს ნასტაკისშიც – გვერდიგვერდ არსებობდა მცირე დარბაზული და საკმაოდ მოზრდილი სამნავიანი ბაზილიკა. ეს ფაქტი იმას მიანიშნებს, რომ ეკლესიის ზომებს აპირობებდა კონკრეტული რეგიონის და, თუ ვნებავთ, უზნის მოთხოვნები, მრევლის რაოდენობა. ზომებს განსაზღვრავდა ალბათ დასახლებული გარემოც და ისიც, თუ რამდენად შეესაბამებოდა იგი ცენტრს თავისი ყველაზე ზოგადი გაგებით.

ნასტაკისის სამნავიანი ბაზილიკა გეგმარებითი კომპოზიციით არ განსხვავდება საქართველოს გრძივი ბაზილიკებისაგან და, ვფიქრობ, მათთვის მოდელი რომაული არქიტექტურის ერთ-ერთი პერიფერიული სკოლის მიერაა შექმნილი. ზემოთ განხილული „სათუო“ ბაზილიკების ანალოგიურად, აქაც საწყისი მოდელიდან გამომდინარე შეუძლებელია მათ სირიულ ტიპზე საუბარი (ანუ სამივე ნაგის ერთ საერთო, ორკალთა სახურავის ქვეშ მოქცევის შესაძლებლობის დაშვება).

ურბნისის, კაწარეთის სამების, კონდოლის, ნატკორის, ხირსის (ტაბ.XCVIII, 4), ანჩისხატისა და სხვა გრძივი ბაზილიკანი ან, უფრო სწორად, მათი საწყისი სქემა საქართველოში აღარ განვითარებულა. მათი კომპოზიცია და სტრუქტურა ნაკლებად იძლეოდა გუმბათის წარმოშობის შესაძლებლობას. ამ თემისათვის აქ უკეთესი საწყისები წარსულის მემკვიდრეობით იყო შემზადებული. გრძივმა სტრუქტურამ ვერ დასძლია წინააღმდეგობა საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ტრადიციული კომპოზიციებისა, მათ შემდგომ არსებობას არ გააჩნდა ის მძლავრი იმპულსი „ღვთის სახლისა“, რაც ჰქონდა კვადრატულ ბაზილიკებს. როგორც ჩანს, ამ ფაქტორებმა განაპირობა გრძივი ბაზილიკათა მცირერიცხოვნობა და საბოლოოდ გაქრობა.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ბოლნისის სიონის (ტაბ.XCIX) მიკუთვნება ბაზილიკის რომელიმე კონკრეტული ტიპისადმი ჭირს. ამ ძეგლში, ვფიქრობ, თანაბარი ძალითაა თავმოყრილი სხვადასხვა მემკვიდრეობა: საქართველოსათვის ჩვეული დაგეგმარების პრინციპები, ზოგადად ბაზილიკურობის თემა, როგორც ქრისტიანული ღვთის სახლის მოდელი და ზოგიერთი რომაულ-ელინისტური არქიტექტურული სახე. ჩემი აზრით, აქ ქართული „კვადრატული“ და „ნამდვილი“ ბაზილიკის ანუ ორი არქიტექტურული კონცეფციის შერწყმა მივიღეთ.

ამ ძეგლის გარშემო უკანასკნელ ხანს მრავალი აზრი გამოითქვა, რამაც კიდევ უფრო გააცნობიერა მასთან დაკავშირებული მრავალი სადავო და ბუნდოვანი საკითხი.

ძეგლი დათარიღებულია გ. ჩუბინაშვილის მიერ V ს-ის მეორე ნახევრით (478-493 წწ.). მის მიერვე დაწვრილებით და ყოველმხრივად გაანალიზებული ბოლნისის სიონის ცალკეული დეტალები და მთლიანი სტრუქტურა⁹⁰. თავის დროზე გ. ჩუბინაშვილისეული თარიღი ყველა მკვლევარმა გაიზიარა, მაგრამ თარიღის მიმართ თანდათანობით გაჩნდა სკეფსისიც, რაც მკვლევართა ერთი

ნაწილის შრომებში აისახა⁹¹. მათი აზრით, ბოლნისი IV ს-ის ბოლოს, ან V ს-ის დასაწყისის ძეგლია. ეჭვი, ჩემი აზრით, არცთუ უსაფუძვლოა, მაგრამ პირდაპირ, აშკარა მონაცემებს მაინც არ ვფლობთ, რომ ძეგლის შექმნა უყოყმანოდ რაიმე სხვა პერიოდით განესაზღვროთ. ბოლნისის სიონი თარიღდება ლაპიდარული წარწერებითა და მხატვრულ-სტილისტური ანალიზით. განსაკუთრებული მნიშვნელობის ჩრდილოეთი წარწერაა, რომლის ძირს ჩამოვარდნილი ცენტრალური ნაწილი მხოლოდ მოგვიანებით აღმოჩნდა⁹² და მოთავსდა ჩრდილოეთ გალერეის შესაბამის ადგილას. ა. შანიძე წარწერას შემდეგნაირად კითხულობს:

1. (შეწევნითა წმიდ)ისა სამებისათა ოც წლისა პეროზ მეფი(სა ზე) (ხიქმნა დაწყება)
2. ამის ეკლესიაჲსა და ათხოვთმეტ წლის(სა შემდგომად განხეშორა. ვი)
3. ნ აქა შინა თაყვანის ხცეს ღ-ნ შეიწყალენ და ვინ ა(მის ეკლესია სა და დ(ავი)თე)
4. პისკოპოს(ს)ა ხოვლოცოს იგიცა ღ-ნ შეიწყალენ (ამცნ)⁹³.

წარწერაში მოხსენებული „პეროზ“ ირანის შაჰადაა მიჩნეული და ძეგლიც მისი ზეობის ხანით თარიღდება, ე.ი. V ს-ის ბოლოთი. ს. კაკაბაძე წარწერის ა. შანიძისეული რეკონსტრუქციის რამდენიმე მონაკვეთს საეჭვოდ მიიჩნევს, რის შედეგადაც, მისი აზრით, აქ მოხსენებული პეროზის ირანის შაჰთან გაიგივებას საფუძველი ეკლება და, ფიქრობს, რომ მასში ჩვენს წყაროებში არაერთგზის მოხსენებული სამშვილდის ერისთავი ფეროზი უნდა დაეინახოთ⁹⁴.

ამავე აზრის დასაბუთებას ცდილობს ბ. მჭედლიშვილი. ამასთანავე, ს. კაკაბაძე და ბ. მჭედლიშვილი თვლიან, რომ ძეგლის გ. ჩუბინაშვილისეული მხატვრულ-სტილისტური ანალიზი არცთუ უეჭველად მიგვანიშნებს ბოლნისის სიონის V ს-ის II ნახევარში აგების შესაძლებლობაზე. თავიანთ ნარკვევებში ეს მკვლევრები უხვად იმოწმებენ სხვადასხვა დროს წარწერისა და თვით ძეგლის გარშემო გამოთქმულ იმ მრავალ მოსაზრებას, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს სიონის V ს-ით დათარიღებას⁹⁵. ამ მოსაზრებათა დეტალურ განხილვას არ შეუდგები, დაინტერესებული მკითხველი ადვილად მოიძიებს შესაბამის ლიტერატურას.

ეჭვის მთავარი საფუძველი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობაა: „და მის შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძეჲ თრდატისი, და მთავარ ეპისკოპოსი იყო ელია, და ამან აღაშენა ეკლესია ბოლნისის“⁹⁶. ლეონტი მროველი კი მოგვითხრობს: „დაჯდა მეფედ ძე ვარაზ-ბაქარისი- სახელით ფარსმან... და მოკუდა ელია ეპისკოპოსი და დასუეს სვიმონ და აღაშენა ეკლესია ბოლნისისა“⁹⁷. ასე რომ, წყაროთა მიხედვით ბოლნისის სიონი IV ს-ის დასასრულის ან V ს-ის დასაწყისის ძეგლია, მაგრამ მკვლევართა სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება იჩენს აქ თავს: უნდა ვენდოთ უყოყმანოდ წყაროთა ჩვენებებს თუ არა, რას უნდა მიენიჭოს საერთოდ პრიორიტეტი ძეგლის დათარიღებისას? ითვლება, რომ თვით ძეგლის მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს. ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. სწორედ მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. მაგრამ აქ ერთი ფრიად საყურადღებო მომენტი იჩენს თავს: ძეგლის თარიღის გარშემო დისკუსია დროის ძალიან მცირე მონაკვეთს ეხება – IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის დასაწყისს ან V ს-ის ბოლოს. საშუალოდ ეს 50 წელია. საკითხის სირთულე ისაა, რომ დროის ამ მონაკვეთის მანძილზე რამდენადაა შესაძლებელი თვალი გაედევნოს არქიტექტურულ ფორმათა ტრანსფორმაციას, და საერთოდ, შეიძლება კი განეცადა მათ ცვლილება 50 წლის მანძილზე, საეკლესიო მშენებლობათა საწყის ეტაპზე. თუ განიცადა, ჩემი აზრით, ფრიად უმნიშვნელო და ისიც სუბიექტური ხასიათისა, თანაც ისინი მხოლოდ ოსტატთა განსხვავებული შესაძლებლობების ამსახველი უნდა ყოფილიყო.

ძეგლის შექმნის თარიღისადმი ეჭვის კიდევ ერთი საფუძველი არსებობს: რამდენადაა გამართლებული ირანის შაჰის პეროზის ზეობით ქრისტიანული ტაძრის დათარიღება, და საერთოდ, რატომ უნდა იხსენიებოდეს აქ ირანის შაჰი. ეს ლ. მუსხელიშვილსაც აეჭვებდა⁹⁸ და ს. კაკაბაძესაც⁹⁹. როგორც აღინიშნა, მიუღებლად თვლის ირანის შაჰთან წარწერისეული „პეროზის“ გაიგივებას ბ. მჭედლიშვილიც²⁰⁰. მათი აზრით, წარწერისეული „პეროზი“ სამშვილდის ერისთავია და არა ირანის შაჰი. შესაძლოა არსებობდა რაიმე საპატიო მიზეზი, ჩვენთვის უცნობი, რამაც აიძულა დამკვეთი

და მშენებლები სამშენებლო წარწერაში ირანის შაჰი მოესხნებიათ. ნ. ლომოური ცდილობს ამ მოვლენის ახსნას საერთო ისტორიული სიტუაციიდან გამომდინარე²⁰¹. გარდა ამისა, იგი სხვა შემთხვევებსაც მოიხმობს, სადაც ირანის შაჰი ან მაჰმადიანი მმართველი იხსენიება ქართულ ძეგლებში. მაგრამ ეს ნიმუშები ამ საკითხის გარშემო არაფერს აზუსტებს. ერთ-ერთ მაგალითად ნ. ლომოური ამავე ეპოქის ლიტერატურულ ძეგლს ასახელებს: იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტილობას“, კერძოდ, მის შესავალს: „იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსკენ პიტიახში, ძეა არშუშამასი“. ნ. ლომოური თვლის, რომ ეს ლიტერატურული ძეგლი თარიღდება სპარსეთის მაზდეანი შაჰის ზეობით, მაგრამ „შუშანიკის მარტილობის“ ეს მონაკვეთი განა ძეგლს ათარიღებს? იგი ათარიღებს მოვლენას და უთითებს მიმართულებას ქართლიდან სპარსეთისაკენ, სადაც წარმოიშვა ნაწარმოებში ასახულ მოვლენათა ჯგუფი. დასაბამი ნაწარმოებისეულ ისტორიას კი სწორედ ირანის შაჰის კარზე მიეცა. ვფიქრობ, რომ ვერ გამოდგება ანალოგად ბოლნისის სიონის წარწერისათვის ნ. ლომოურის მიერ მოხმობილი მეორე მაგალითიც²⁰². ესაა მაჩხანის ეკლესიის წარწერა: „სახელითა ღმრთისადათა, მეოხებითა წმიდისა თევდორესითა, აღიდენ ღმერთმან – ქართლისა ამირაჲსა ბედათა – აშენდა ეს საყდარი ჰომად კიტრისძისაობას: უფალო შეუნდვენ ცოდვანი“²⁰³. საქმე ისაა, რომ ამ დროისათვის, ე.ი. IX ს-ის თბილისის საამიროში ეკლესიები შენდებოდა და თუ ამირას მცირეოდენი ღვაწლი მაინც მიუძღოდა მის აგებაში, მისი სახელი სამშენებლო წარწერაში უთუოდ მოიხსენიებოდა. ამიტომაც ჯერჯერობით მაინც ბოლნისის სიონის წარწერის „პეროზი“, როგორც ირანის შაჰი, უპრეცედენტო შემთხვევად რჩება.

ბოლნისის სიონი²⁰⁴ უნიკალური ძეგლია. იგი მრავალ ისეთ ნიშანს შეიცავს, რაც მას სრულიად გამოარჩევს დღემდის ცნობილ ადრექრისტიანულ ბაზილიკათაგან და მომავალშიც, როგორც არ უნდა გადაწყდეს მისი შექმნის თარიღი, იგი დარჩება ხუროთმოძღვრული აზროვნების საინტერესო ნიმუშად. მისი ცენტრალური სივრცე ხუთი წყვილი ბურჯით სამ ნავად იყოფა და, ამასთანავე, ცენტრალური ნავის სივრცე ორჯერ აღემატება გვერდითებს (ტაბ.XCIX). გალერეათა სივრცე თითქმის გვერდითი ნაგებობის ტოლია, მიუხედავად იმისა, რომ აქ სრულყოფილადაა გააზრებული ბაზილიკის თემა (გრძივი ცენტრალური ნავი მიმართული საკურთხევისაკენ), დასტურდება მისი განხორციელებისადმი სრულიად სხვა, არატრადიციული მიდგომა. ჯერ ერთი, ბოლნისის სიონი ზუსტად კვადრატშია ჩაწერილი (არ იგულისხმება შვერილი აბსიდა). ესაა ერთადერთი ისეთი ბაზილიკა, რომლის სივრცეს ნაგებად ხუთი წყვილი სვეტი ანაწევრებს და კონტურით ოდნავადაც არ გამოხატავს ბაზილიკისებურ სიგრძივობას. სიგრძივობა აქ იკითხება კვადრატის საინტერესო, გრძივად დანაწევრებითა და მისი შესაბამისი გამოხატულებით ნაგებობის ზედა სტრუქტურაში, ე.ი. ბაზილიკური სიგრძივობა, როგორც იდეა, მოთავსდა კვადრატში და ამგვარი არქიტექტურული აზროვნება სრულებით არ ჰგავს ბაზილიკათა დაგეგმარების ტრადიციულ მეთოდს. ვფიქრობ, რომ აქაც მძლავრად იჩინა თავი ადგილობრივმა ტრადიციამ და ეს სხვაგვარადაც მქლავნდება. უურადლებას უთუოდ იქცევს თაღების სხვადასხვა სიგრძის მონაკვეთები: ხუთი ბურჯი გრძივად ექვს თაღს ქმნის (მათ გვემაზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმდევრობით ვნომრავ). დაახლოებით თანაბარი სივრცისაა 1, 3, 4, და 6 სვეტშორისი, ხოლო 2 და 5 რამდენადმე განიერია დანარჩენზე. მართალია, სხვაობანი მონაკვეთებს შორის ძალიან მცირეა, მაგრამ ის გაცილებას მაინც იწვევს. ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო, თუ აქ ძეგლის კომპოზიციას ბაზილიკათათვის ჩვეულებრივ, გრძივი მონაკვეთის მარტივად, თანაბარ ნაწილებად დაყოფის სქემას დაუდებდნენ საფუძვლად. ასეთი რამ არ მოხდა. ვფიქრობ, აქ გეგმის სტრუქტურა შექმნეს ოთხი ერთგვაროვანი ბირთვის ჯამით (ტაბ.XCIX). თითოეული ბირთვი კვადრატია ცენტრალური კვადრატით და ამიტომაც მივიღეთ საერთო კომპოზიციის 2 და 5 თაღების დიდი მონაკვეთები. ეს კვლავ ტრადიციული გეგმარების პრინციპული გამოხატულებაა და ბაზილიკა მიღებულია ოთხი, ცენტრული გეგმის მქონე ბირთვის კომბინირების შედეგად. აქ მოცემული გვაქვს საკუთარი მეთოდებით განხორციელებული ბაზილიკურობის თემა. ბოლნისის სიონის შესახებ სრულიად სხვა

არგუმენტაციით ვ. დეიხმანმა ფრიად მნიშვნელოვანი თეზისი ჩამოაყალიბა, სადაც განავითარა აზრი, რომ ამ ძეგლის სტრუქტურა და გენეზისი სრულიად განასხვავებს მას ამავე პერიოდის როგორც დასავლური, ასევე აღმოსავლური ნიმუშებისა და სომხურ ბაზილიკათაგან²⁰⁵. ამ განსხვავებას, ჩემი აზრით, ზემოთ მოხსენებული მიზეზიც ქმნის, ან, უფრო სწორად, სხვა განმასხვავებელ ნიშნებს სწორედ დაგვემარების განსხვავებული პრინციპი წარმოშობს.

ცალკე უნდა შევეხო ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ორბსიდიან სათაესს, რომელიც სანათლავადაა მიჩნეული, თუმცა ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ. ეჭვის საფუძველი, ვფიქრობ, რომ აქ არაა. ეს სათაესი ბაპტისტერიუმია და ამაზე სწორედ მისი ურთიერთმოპირდაპირე აბსიდები მეტყველებს. ორბსიდიანი სანათლავი არქაული ფორმაა და დასესხებულია რომაული თერმებისაგან. მონათვლის რიტუალი პირველად სწორედ რომაულ თერმებში, კერძოდ კალდარიუმში, განხორციელდა და სავსებით ბუნებრივია, რომ პირველმა ბაპტისტერიუმებმა სწორედ რომაული ორბსიდიანი აუზების მოყვანილობა გაიმეორა. გარდა ამისა, აუზებს არცთუ იშვიათად გვიანანტიკური ტაძრებიც შეიცავდა და, ამასთანავე, სწორედ ორბსიდიანს (ტაბ.XCIX.2). და რაც განსაკუთრებით შთამბეჭდავია, ისინი აქაც „წმინდა განბანვისათვის“ გამოიყენებოდა²⁰⁶. ასე რომ, ადრექრისტიანულ ბაპტისტერიუმთა სივრცესა და შინაარსს მნიშვნელოვნად განაპირობებდა გვიანანტიკური საკულტო ტრადიცია. თითქმის რომაული თერმების იდენტური გეგმისაა მონუმენტური, ადრექრისტიანული ბაპტისტერიუმი ზიდემი (პამფილია), რომელიც ბაზილიკასთან ერთად ერთიან ნაგებობადაა გაერთიანებული და მრავლად შეიცავს ბოლნისის სიონის მსგავს ორბსიდიან სანათლავებს²⁰⁷ (ტაბ.XCIX.3). აქვე უნდა ვთქვა, რომ საქართველოში გვიანანტიკურ ხანაშიც საკმაოდ იყო გავრცელებული მრავალბსიდიანი ნაგებობანი და ისეთებიც, ურთიერთმოპირდაპირე აბსიდებს რომ შეიცავდა²⁰⁸. თვით სანათლავის ადგილი ტაძრის სტრუქტურაში არ იყო მკაცრად განსაზღვრული, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აღმოსავლეთში სამხრეთ მხარეს მისთვის ირჩევდნენ. ასევე ეს ბოლნისშიც²⁰⁹.

ე.ი. ვფიქრობ, რომ ნაგებობაში, რომელსაც ერთი შესვლით არაფერი აქვს საერთო ქართული წინარექრისტიანული ტაძრის გეგმარებით სქემასთან, ბაზილიკურობის თემა მანც ამ სქემის მიხედვით შემუშავდა და განხორციელდა. მან შეითავსა და მოაქცია კვადრატში თემაც და დასესხებული ფორმებიც (ორბსიდიანი სანათლავი). ერთგვაროვან უჯრედთა, ცენტრული ხასიათის ბირთვთა განმეორებადობის შედეგად კოლონათა გრძივი, საკურთხევისაკენ მიმავალი რიტმიც კი შეიქმნა. ასეთი ძიებისა და მეთოდთა მისადაგების პერიოდი, თუნდაც ძალიან ხანმოკლე, აუცილებლად იარსებებდა მანამ, სანამ არ გამოძვლავდებოდა უპირატესი გზები ამა თუ იმ თემის განსახორციელებლად.

მინდა ძალიან მოკლედ შევეხო სამეკლესიან ბაზილიკებსაც. სამეკლესიანი ბაზილიკა ძირეული ქართული მოვლენა ჩანს, თუმცა გამონაკლისის სახით სხვა რეგიონებშიც ვხვდებით და რამდენადმე განსხვავებული სტრუქტურისა სომხეთშიც დასტურდება²¹⁰. ნაგებობის ეს ტიპი იმით ხასიათდება, რომ მის შიდა სივრცეს გრძივად, სამ ნაწილად ჰყოფს კედლები და არა სვეტთა ან ბურჯთა სისტემა. ფაქტიურად ესეც ერთგვარი „ცრუ ბაზილიკა“, რომლის ერთ ჯგუფს ნ. ჩუბინაშვილმა უწოდა „დარბაზული ეკლესია გვერდითი მინაშენებით“²¹¹, რაც მათი არქიტექტურული არსის რეალური ასახვაა. გ. ჩუბინაშვილი, იმის დასადგენად, თუ რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ნაგებობათა ესოდენ უცნაური სახეობის პოპულარობა საქართველოში, ცდილობდა გვერდითი ნაგებობის ფუნქციის გარკვევას²¹² და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საკულტო რიტუალისადმი გაზრდილი ინტერესი საეკლესიო ცერემონიების დღეში რამდენჯერმე ჩატარებას ითხოვდა, ხოლო ერთი და იმავე საკურთხეველზე დღის მანძილზე მათი გამეორება იკრძალებოდა, რამაც გვერდითი, დამხმარე ეკლესიების გამართვის აუცილებლობა წარმოშვა, ე.ი. იგი გვერდით ნაგებს მიიჩნევს იმ „სათაესებად“, სადაც დამხმარე ეკლესიები გაიმართა²¹³. ამ მოვლენის დასაწყისად გ. ჩუბინაშვილს VI ს. მიაჩნდა და, შესაბამისად, სამეკლესიან ბაზილიკათა წარმოშობასაც ამავე

პერიოდით ათარილებდა. ნაგებობათა ამ ტიპის ესოდენ გვიანდელი წარმოშობა საეჭვო მგონია და, ვფიქრობ, რომ იგი ქართული ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი ტიპია, რომელიც ქრისტიანობის ჩასახვისთანავე გაჩნდა აქ.

კვლავ ნასტაკისის ბაზილიკას მინდა მოვუხმო, მისი არსებობის ბოლო, III პერიოდსა და ეკლესიად არსებობის II ეტაპს. ამ დროს სამნავიანი ბაზილიკა გადაკეთდა სამეკლესიანად (ტაბ. LXXX14), დამოკლდა გეგმა დაახლოებით 3,50 მ-ით ისე, რომ აბსიდები ნაგებობის მიღმა აღმოჩნდა. ცენტრალური ნაფი ახალი, ღრმა აბსიდით აღიჭურვა, ხოლო გვერდითებისათვის ისინი აღარ შეიქმნა. ბურჯებზე კედლებმა გადაიარა და მთლიანად გამიჯნა ცენტრალური ნაფი გვერდითებისაგან. ბურჯთა სამხრეთ-ჩრდილოეთ მკლავებმა კედელთა პილასტრებად გააგრძელა არსებობა. ცენტრალური სივრცე შემოისაზღვრა დასავლეთიდანაც და ეკლესიამ ცენტრალური ბირთვის გარშემო სრულფასოვანი, სამი მხრიდან უწყვეტი სასიარულო არე, გარსშემოსავლელი შეიძინა. დასავლეთიდან ცენტრალურ ნაფში შესასვლელიც მოისპო. სამაგიეროდ, ეკლესიამ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ახალი კარები შეიქმნა. ამასთანავე, სამხრეთი კარი როგორღაც გაფორმდა კიდეც, შესაძლოა, კარიბჭითაც. ძეგლის გამთხრელი ალ. ბოზოჩაძე ძეგლის გადაკეთების ამ ეტაპს VI-VII სს-ით ათარილებს²⁴, მაგრამ საამისოდ მონაცემები, მგონი, არა გვაქვს. ვფიქრობ, რომ ამ ორ სამშენებლო პერიოდს შორის დროის სულ მცირე მონაკვეთია, შესაძლოა, მხოლოდ რამდენიმე წელი. ჯერ ერთი, სამეკლესიანი ბაზილიკისთვისაც ალიზის აგური გამოუყენებიათ, რაც სრულიად წარმოუდგენელია VI-VII სს-თვის. სამნაწილიან საკურთხეველზე მინიშნებაც კი არაა, გვერდითი ნაფების აბსიდებიც კი მოისპო. ამ დროისათვის მათი საჭიროება ჯერ არა ჩანს, ცენტრალური აბსიდა კვლავ საკურთხეველის გარეშეა. საკურთხეველი წინამორბედი ნაგებობის ანალოგიურად ისევ ვიწრო სივრცეში, ამჯერად, სამხრეთ ნაფში შეიქმნა. რას უნდა მოასწავებდეს ძეგლის ეს გადახალისება? გვერდითი ნაფები ანუ გარსშემოსავლელის N და S მხარეები ლიტურგიისათვის საესებით შეუფერებელია, მათი სიგანე მხოლოდ 1,30 მ-ია და ეს ასეა არა მხოლოდ ამ უადრეს სამეკლესიან ბაზილიკაში, არამედ მთელ რიგ ამავე ტიპის ძეგლებში, მაგ., საყდრის ყურში (ტაბ. LXXXVIIc), ანბეტის ღვთაებაში (ტაბ. LXXXIIIc) გვერდითი ნაფების სიგანე მხოლოდ 2 მ-ია, ძეგლში ქასური გიორგი რუისპირში (ტაბ. LXXXIII; LXXXVIIc), ჭერებში (მამადავითის ეკლესია, ტაბ. LXXXIIIc) - 1,80-1,90 მ-ია, ხოლო არემის №1 ეკლესიაში (ტაბ. LXXXIIIc), კლიკისჯვარში (ტაბ. LXXXVIIc) და მრ. სვ. - 1,20 მ. გვერდითი ნაფები ცხვარიჭამიაში მხოლოდ 80 სმ სიგანისაა. ცხადია, ესოდენ ვიწრო სათაფლებში ღვთისმსახურების წარმოება შეუძლებელია, მით უმეტეს იქ, სადაც გვერდითი ნაფები არ სრულდება აბსიდებით და სადაც ნასტაკისის ანალოგიურად, რომელიც სამეკლესიან ბაზილიკათა ყველაზე ადრეული ნიმუშია, გარსშემოსავლელი დაუნაწევრებელია. ნასტაკისში საქმე უნდა გვქონდეს სამეკლესიან ბაზილიკათა საწყის მოდელთან, რომლის შიდა, ყრუ კედლები, ჩემი აზრით, სრულიად სხვა მიზანს ემსახურებოდა. სამეკლესიან ბაზილიკათა გვერდითი ნაფების დანაწევრება, რომელიც რთულად და არაერთგვაროვნად მიმდინარეობდა, ქრისტიანული ლიტურგიული ნორმების ნაგებობის ამ ტიპთან შეთავსების ცდა იყო. ქართული სამნავიანი ბაზილიკები სამეკლესიანებისაგან ტექტონიკურად არაფრით განირჩევა. ბურჯების კედლებით შეცვლა არ არღვევს მის მთლიანობას. კედლები შესაძლოა აიოლებს ეკლესიის აგებას, აღარ იქმნება კოლონადა და, შესაბამისად, თაღედიც, და ამდენად, იგი უფრო რაციონალური ჩანს. მაგრამ არსებული სამნავიანის სამეკლესიანად გადაკეთება ამ ფაქტორით ვერ აიხსნება.

ნასტაკისში მოხდა გარსშემოსავლელის ფორმირება და ამის შედეგად ცენტრალური ბირთვის გამხოლოება. ესაა წარმართული ტაძრების ძირითადი ნორმა და სამეკლესიანი ბაზილიკებიც ამავე ტრადიციის უშუალო გამგრძელებლად ისახება. ბაზილიკას, რომელიც საქართველოში არცთუ წარმატებით ღვთის სახლად იქნა გააზრებული, ცოტა ხნის მერე დაუბრუნეს ტრადიციული იერი: დაამოკლეს და გარსშემოსავლელით აღჭურვეს, ამასთანავე, სამხრეთიდან კარიბჭეც გაუშართეს. გადაიკეთა ცენტრალურ ნაფში დასავლეთი კარი. ვფიქრობ, რომ სამეკლესიანი ბაზილიკებიც

ქართული წარმართული ტაძრების უშუალო მემკვიდრეა. მე მგონი, ნასტაკისის ბაზილიკა ამაზე მეტყველებს. აქ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ რომაული ბაზილიკებისათვის ადგილობრივი, ტრადიციული იერი მიენიჭებინათ.

ქართულ ეკლესიებში სამხრეთი მხრიდან კარისთვის უპირატესობის მინიჭება, სამხრეთი კარის, როგორც ეკლესიის კარიბჭის (მაშინაც კი, როცა ეკლესია დასავლეთ კარსაც შეიცავდა), მხატვრული აქცენტებით საზგასმა თავიდანვე აღელვებდა გ. ჩუბინაშვილს. იგი საესებით სამართლიანად თვლიდა, რომ ასეთი რამ უარყოფაა ბაზილიკათა სივრცობრივი აღქმის ძირეული პრინციპებისა და ამ მოვლენას მხოლოდ ქართული, თუმცა შეუცნობელი ტრადიციით გაპირობებულად მიიჩნევდა²⁵. მოგვიანებით ჩამოყალიბდა თეზისი, რომლის მიხედვითაც „ქართული ბუნებისათვის უცხოა სივრცის გრძივი, თანდათანობითი რიტმული აღქმა და მას იტაცებს და ხიბლავს ერთბაშად, ერთიანად აღქმული სივრცე“²⁶. გ. ჩუბინაშვილისათვის უცნობი იყო ის ქართული წარმართული ტაძრები, რომლებიც ზემოთ მიმოვიხილეთ და სადაც სრულიად ცხადად ჩანს საკულტო ხასიათის ნორმა – ტაძარში შევდივართ სამხრეთიდან. უნდა გავიმეორო, რომ კოლხეთი და, განსაკუთრებით იბერია, ერთადერთი მხარე ჩანს მთელ წინა აზიაში, სადაც ტაძრის ორიენტაციას მკაცრად იცავდნენ. კვლავ მინდა ზენობ გლაკის ცნობას დაეუბრუნდე: იმ ქრისტიანულ სამლოცველოებში, რომლებიც წარმართულ ნანგრევებს დაეფუძნა, მხოლოდ კარი გადაიტანეს დასავლეთისაკენ. სომხეთში მაშინვე იმოქმედა ქრისტიანულმა ნორმამ და მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქვეყნის წინარექრისტიანული არქიტექტურა მსგავს მოთხოვნებს არ ახორციელებდა. ნასტაკისის ბაზილიკა ამ მხრივაც საყურადღებო ძეგლია. პირველი ეკლესია, რომელიც ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით ბაზილიკას დაფუძნებულ დასავლეთ კარს შეიცავდა, გადაკეთდა ისე, რომ ტაძრის კარიბჭე და ძირითად სივრცეში შესასვლელი სამხრეთიდან გაიმართა. დაუბრუნდნენ ჩვეული, ტრადიციული „ღვთის სახლის“ პრინციპს. ქართულ წარმართულ ტაძრებში ძეგლის ორიენტაცია ანუ მისი ღერძი და ცერემონიალური სვლების მიმართულება თითქმის ყოველთვის ემთხვევა კარის მიმართულებას. ქრისტიანულ ძეგლებში W-O მიმართულებას კვეთს სამხრეთი კარი. აქ ორი ტრადიცია შეთავსდა – წარმართული და ქრისტიანული. ქართულ ეკლესიებში სამხრეთი კარი მხოლოდ ძველი ქართული სატაძრო არქიტექტურის ტრადიციებითაა გაპირობებული და ეს უფლისციხის კლდოვან ბაზილიკაშიც ჩანს, სადაც წარმართული სამლოცველოს ცენტრალურ ღერძს საგანგებოდ აცილებული სამხრეთი კარი უცვლელად დატოვა ეკლესიამ. ქართველთა საღვთო წარმოდგენებისათვის უცხო არა მარტო ბაზილიკურობა ჩანს, არამედ ბაზილიკათა სიმბოლიკაც, რომელიც მის ცენტრალურ ნაგებობას იერუსალიმის წმინდა გზის შინაარსს ანიჭებდა²⁷. საქართველოში ბაზილიკათა ეს მცირე სიგრძივობაც კი შუაზე გაკვეთა სამხრეთმა კარმა.

უნდა შევეხო ლეონტი მროველის ცნობასაც, რომელიც პირდაპირ ასახელებს იმ პუნქტებს, სადაც პირველი ეკლესიები აშენდა საქართველოში. „ქართლის ცხოვრების“ ეს ადგილი, ყოველთვის იქცევა მკვლევართა ყურადღებას და უკანასკნელ ხანს მისდამი კიდევ უფრო გაძლიერდა ინტერესი.

„... მაშინ წარავლინა მირიან მეფემან ეპისკოპოსი იოვანე და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კონსტანტინე მეფისა... და ითხოვა მღვდელნი მრავალნი, რათა განავლინეს ყოველთა ქალაქთა და ადგილთა და ნათელს-ცემდნენ ერსა, რათა მსწრაფლ ნათელ-ილოს ყოველმან სულმან ქართლისამან. და ითხოვა ქვით-ხურონი აღშენებისათვის ეკლესიათა... (კონსტანტინემ) სხარულით მიანიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერხნი დამსჭულულ იყვნეს უფლისანი და სამსჭულანი ხელთანი. და წარმოგზავნა მღვდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი, რამეთუ კონსტანტინე მეფემან მეფობასა შინა მისსა აღაშენა წმიდა ეკლესია, ტაძარი ხუთასი, და მოსცა განძი დიდძალი ეპისკოპოსსა იოვანეს და უბრძანა: „სადაცა ვერ იჩინო ადგილთა ქართლისამათა აღაშენენ ეკლესიანი სახელსა ზედა ჩემსა და ნიჭნი ესა დაამკვიდრნენ ქალაქთა ქართლისამათა და წარმოვიდა ეპისკოპოსი და მის თანა მოციქული და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰქვიან ერუშეთი და დაუტყვენა ხურონი საქმედ ეკლესიისა. დაუტყვენა განძი და

სამსჭუალნი უფლისანი და წარმოვიდა. და დაუტევნა წუნდას ხურონი და განძი. და რაჟამს ეწყო ოდენ ეკლესიასა, წარმოვიდა და მივიდა მანგლისს და იწყო ეკლესიის შენება და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი“²⁸.

ამ ცნობის საფუძველზე მნიშვნელოვანი აზრი აქვთ გამოთქმული, ზ. კიკნაძესა და თ. მირზაშვილს – საზგასამულა ტექსტში ნაჩვენები მიმართულება და მიზანი ქრისტიანული ცენტრების დაფუძნებისა – ერუშეთი, წუნდა, მანგლისი. ესაა გზა მცხეთისაკენ²⁹. მაგრამ, ამასთანავე, ჩემი აზრით, ამ ცნობას მკვლევრები ანიჭებენ ყოვლისმომცველ შინაარსს. აქ არ ვგულისხმობ ცნობის სანდოობას, ვფიქრობ, რომ იგი სრულიად სარწმუნოა.

„ქართლის ცხოვრების“ ეს მონაკვეთი წოდებით, მდგომარეობითა და პროფესიით ერთმანეთისაგან განსხვავებულ ადამიანებს ასახელებს, რომელთაც წვლილი მიუძღვით საქართველოში პირველი ეკლესიების მშენებლობაში. მაგრამ აქ არსად ჩანს ხუროთმოძღვარი. არქიტექტურული კონცეფციის შემოტანა და დაფუძნება კი არ ძალუძს არც მღვდელმთავარს, არც დიდმოხელეს (წარჩინებულს) და, მით უმეტეს, არც ოსტატებს. არქიტექტურული კონცეფციის დაფუძნება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ არქიტექტორს და ისიც არა კონცეფციის სრული გამოხატულებით²⁰. კონცეფციის მეტნაკლებად სრული ასახვა სხვა რეგიონში დამოკიდებულია მექვიდრეობასა და არქიტექტურაში მის მიღწევებზე. ერთი წუთით დაფუძნათ, რომ ტექსტისეული „ხურონი ფრიად მრავალნი“ ხუროთმოძღვრებსაც გულისხმობს და მათ მართლაც ააგეს ეკლესიები იმ მოდელის საფუძველზე, რომლითაც ბიზანტიის იმპერიის ცენტრები საზრდოობდა. მომავალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა შესაძლოა გამოავლინოს კიდევ ცალკეული ნაგებობანი, რომლებშიც შესამჩნევი იქნება ამა თუ იმ ქრისტიანული რეგიონიდან მომავალი მოდელის უპირატესობა. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ განურჩევლად იმისა, აშენდა ისინი საქართველოში თუ არა, აქ მათ განვითარება არ განუცდია და თუ ისინი პირველ ეტაპზე შეიქმნა კიდევ, დარჩა იმ ცალკეულ შემთხვევებად, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღია ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ფორმირებაში. მზამზარეული ნიმუშის გადმოტანა ფსიქოლოგიურ სირთულეებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც არქიტექტურული ტრადიცია არსებობს, რადგან ხალხის ხსოვნაში არსებული წარმოდგენები „ღვთის სახლზე“ ყოველთვის ძლიერი წინაღობაა ახალი ფორმების დაფუძნების საქმეში. მომავალი საკულტო ნაგებობა სანამ აღიმართება, მანამდე იგი ცოცხალია წარმოდგენებში, აგების შემდეგაც უნდა შეესაბამებოდეს ამ წარმოდგენებს და პასუხობდეს მათ მხატვრულ მისწრაფებებს. სწორედ ამ წინააღმდეგობის შედეგია სამნავიანი ბაზილიკის სამეკლესიანად გარდაქმნა ნასტაკისში. და მაინც მგონია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ეს მონაკვეთი, რადგან არ ასახელებს უშუალოდ ხუროთმოძღვარს, ამ ტალღას ის არც მოჰყოლია საქართველოში. მაშინ იბადება კითხვა: რას მოასწავებს „ხურონი ფრიად მრავალნი“ და რა საჭიროა ისინი საქართველოში, როცა აქ არსებობდა მძლავრი სამშენებლო ტრადიციები.

ზემოთ აღვნიშნე, რომ საქართველოში ქრისტიანული მოძღვრების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ ეკლესიათა მშენებლობა მეფის პრეროგატივა ჩანს. წყაროებში ეს კარგად შეიგრძნობა და ამის საილუსტრაციოდ მართო მირიან მეფის ქმედებანიც საკმარისია. იგი უშუალოდაა დაკავშირებული ეკლესიათა მშენებლობასთან. საისტორიო მწერლობა სწორედ მეფეებს მიაწერს ინიციატივასაც და ქმედებასაც საკულტო მშენებლობაში. ეკლესიათა მშენებლობის დასაწყის ეტაპზე შეუძლებელია არ გაჩენილიყო დაპირისპირება და გავლენის სფეროების გადასინჯვის საჭიროება, რადგან ტაძრის მშენებლობის პრეროგატივა ქურუმთა კასტის ხელიდან მეფისაკენ ინაცვლებს. ეპისკოპოს იოვანესა და „წარჩინებულის“ ელჩობა კონსტანტინესთან, რასაც „მღვდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი“ მოჰყვა, ფაქტიურად მირიანის მიერ გარედან შეძენილი ძალა და შემწეობა იყო ქურუმთა კასტის საწინააღმდეგოდ. მეფე მართო უნდა დარჩენილიყო ქურუმთა წინაშე. მშენებელთა სიმრავლე და ოსტატობა არაფერს წყვეტდა საქართველოში მანამდე, სანამ მათ სხვა „ხურონი ფრიად მრავალნი“ ისევე არ დაუპირისპირდებოდა, როგორც ქურუმებს –

მღვდელნი. მათ გარდამტეხ მომენტში ადგილიდან უნდა დაეძრათ საეკლესიო მშენებლობა. ეს სრულებით არ გულისხმობდა და ალბათ არც ითვისისწინებდა უცხო არქიტექტურული კონცეფციების დანერგვას, რადგან წარმართული საქართველოს სატაძრო მოდელები საესებით პასუხობდა ადრექრისტიანულ სულისკვეთებას. იგი უბრალოდ ახალი შინაარსით შეივსო და ამ ახალი შინაარსის თანხლებით გააგრძელა არსებობა და განვითარება.

შევეცადე მიჩვენებინა, რომ საქართველოში სრულიად სხვა, ყველა სხვა ძველქრისტიანული ქვეყნებისაგან განსხვავებული გზებით წარიმართა ქრისტიანულ ეკლესიათა ტიპოლოგიის შემუშავება და განვითარება. მაგრამ მაინც ჩნდება კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს. ქრისტიანული, დასაწყისი პერიოდის სულისკვეთება ბოლომდე გულგრილი დარჩა (თუ არ ჩავთვლით ცალკეულ შემთხვევებს) ბერძნულ-რომაული ტაძრის მოდელისადმი და შეარჩია რელიგიური თემატიკისაგან სავსებით მოწყვეტილი საზოგადოებრივი ნაგებობა – ბაზილიკა. ამ მოვლენისაგან რადიკალურად განსხვავებული სურათი გვაქვს საქართველოში. აქ სწორედ წინარექრისტიანული სატაძრო მოდელის ათვისება ხდება ეკლესიად.

კვლავ უნდა დაგუბრუნდე ბერძნულსა და აღმოსავლურ სამყაროთა განსხვავებულ დამოკიდებულებას კულტისა და, შესაბამისად, ტაძრისადმიც. ბერძნულ სამყაროში ღვთაებათა ბუნება ამსოლუტურად მისაწვდომი იყო ყველა ბერძნის აზროვნებისათვის, მათში არაფერია დამალული და შეუცნობელი. ყოველი ღვთაების სიცოცხლე შემუშავებულია ადამიანთა ცხოვრების თემატიკიდან, ცხადია, ღვთაებათა დარად ჰიპერბოლირებული. ღვთაებათა სხეულისა და სულის სრულყოფილება ადამიანთა ჰარმონიულ განვითარებას ეპასუხება, მათი სიცოცხლე ადამიანთა ოცნებებისათვის მისაწვდომი სიმალღეებია. შესაბამისად, ამავე მისწრაფებებს ასახავს ტაძარიც, რომელიც არცაა ტაძარი როგორც ჩაკეტილი, იზოლირებული სივრცე. ამ ტაძართა დომინირებული და არსებითი ნაწილი კოლონადაა, მისი ჰარმონიული კავშირი გარე სამყაროსთან, ბუნებასა და ადამიანთან სრულ იდეურ შესატყვისობაშია ბერძნულ პანთეონთან. კოლონების „ადამიანური“ დგომა ადამიანთა სიმბოლოდ გააზრების შედეგია, რომელიც სწრაფად გარდაიქმნა საწყისიდან არქიტექტურულ სისტემად.

ტაძრის ამდაგვარი სისტემა სრულიად უცნოა და ათვისებული ქრისტიანული მრწამსისათვის, რომლის ღვთისმსახურება, უპირველეს ყოვლისა, კულტის ღვთაებრივი გასაიდუმლოებაა, რომელიც მოწოდებულია ეკლესია უხილავი, სულიერი ძალის მატერიალურ სახედ წარმოაჩინოს. მართალია, წარმართულ ტაძარს იდეურად თითქმის არაფერი აკავშირებს ქრისტიანულ მრწამსთან, მაგრამ მის სტრუქტურაშიც არსად გვაქვს ღია, თავისუფალი გზები ადამიანსა და ღვთაებას შორის. აქ ყველაფერი ჩაკეტილია ცელაში, მთელი საღვთისმეტყველო საიდუმლოებანი მოქცეულია ქურუშთა კასტის ხელში. ტაძრის მთელი სტრუქტურა აგებულია საკურთხეველების სახით მოულოდნელ აქცენტებსა და თვით ტაძრის ძირითადი ბირთვის უხილველობაზე. ეს სისტემა მისაღებია სწორედ დასაწყისი პერიოდის ქრისტიანული ლიტურგიისათვის და თითქმის არაფერი ელოდება ტაძრის ამ მოდელის ქრისტიანული ბუნების შესაბამისად განვითარებას.

აქ ლ. უსპენსკის სიტყვები მინდა მოვიხმო: „ეკლესია წარმართული სამყაროდან ღებულობს ყველაფერს, რაც ქრისტიანობამდე იყო ქრისტიანული“²²¹, ე.ი. ყველაფერს ღებულობს, რაც მის პროგრამას არ ეწინააღმდეგება, რაც შეიძლება შეიმოსოს დასაწყის ეტაპზე ახალი შინაარსით, შემდგომ კი, ცხადია, უნდა იმძლავროს ამ ახალმა შინაარსმა და განვითარდეს. ასე მოხდა საქართველოში, რაც განაპირობა ადგილობრივმა მძლავრმა არქიტექტურულმა ტრადიციებმა.

თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა სრულიად კონკრეტული გზა შემოგვთავაზა ქართული საეკლესიო არქიტექტურის არსის შესაცნობად. საკულტო ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინების მიმოხილვისას მან ცხადად გამოკვეთა წარსულის მემკვიდრეობის როლი ქრისტიანულ ხუროთმოძღვრულ ფორმათა წარმოქმნაში.

„...მანამდე, უფლებს გვაქვს დავასკვნათ, რომ იმ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში, რომე-

ლიც ჩვენში გაჩნდა, უეჭველად წარმართული ხანის ხუროთმოძღვრების წვლილი უნდა იყოს შეტანილი. სხვაგანაც ასე იყო, ყველგან წარმართობამ უანდერძა ქრისტიანობას ის ხუროთ-
მოძღვრება, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანას ჰქონდა ქრისტიანობამდე²²².

¹ H. C. Butler, The Nabatean Temple plans and the plan of the Syrian Churches, Studien zur Kunstgeschichte des Ostens. Festschr. G. Strzygowski. Wien. 1923. გვ.96 და შემდგ.

² A. Godard, Les Monument diu Feu. Athar-é Irân, t.III. 1938. p.7-79; A. Godard. L'art... p.153-74; 201 და შემდ.

³ Y. Jamamoto. The Zoroastrian temple cult of Fire in Archeology and literature I. "Orient" v.XV. 1979. p.37.

⁴ ძველის არქეოლოგიის მანიშნებლად მისი ნაღისებური ახსიდა იყო მიჩნეული, მაგრამ ნაღისებური იგი მხოლოდ 1922 წლის ანაზომზეა გვემის დაზუსტებულ სურათზე კი იგი მკაცრად წრიულია (ორივე ანაზომი იხ. Чубинашвили Г.Н. АК. с.40 и 41). სრულ წრეს აქ წრეწირის 1/3 აკლია, რომელიც ღიობს ეთობა. ამიტომაც ტოვებს მისი სივრცე ვერტიკალურად აღმართული ჩამოთლილი მილის შთაბეჭდილებას (იხ. АК. с.38). სხვადასხვა დროს განსხვავებანი ანაზომებში აღნიშნული აქეთ მკვლევრებს, რომლებსაც ასევე აეჭვებთ ნეკრესის ბაზილიკის როლი როგორც დასაბამისა ქართული ბაზილიკური ფორმების განვითარებაში. იხ. ზ. კიკნაძე, თ. მირზაშვილი. რას მოგვითხრობს მირიანის „წიგნი“. „კრიტიკა“. 1985. №6. გვ.76 და შემდ.

⁵ Чубинашвили Г.Н. К вопросу о начальных формах. ВИИ. т.I. Тб., 1970. с.39; გ. ჩუბინაშვილი. რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან. თბ., 1926. გვ.78.

⁶ "Строители первых грузинских церквей, повидимому, были знакомы с базиликой лишь по наслышке, по устному описанию". იხ. Беридзе В.В. Грузинская архитектура Раннехристианского времени (IV-VII вв.). Тб., 1974. с.10.

⁷ ზ. კიკნაძე, თ. მირზაშვილი. რას მოგვითხრობს... გვ.77-8.

⁸ Чубинашвили Г.Н. К вопросу... с.39; გ. ჩუბინაშვილი იმის მიზეზად, რომ რომაული არქიტექტურის სახეები არ დაედო საფუძვლად ადრექრისტიანულ ქართულ ძეგლებს, იმით ხსნიდა, რომ საქართველოსთვის ეს მემკვიდრეობა უცნობი იყო და, ცხადია, ამდენად ვერც მოდელად გამოდგებოდა ეკლესიისათვის. რომაული არქიტექტურული სკოლის ქმნილებანი საქართველოში მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში გამოიხეიურდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად.

⁹ Чубинашвили Г.Н. Разискания по армянской архитектуре. Тб., 1967. с.3 და შემდ.

¹⁰ იქვე გვ.3-5.

¹¹ Чубинашвили Г.Н. К вопросу... с.40-1.

¹² დაწერილებით იხ. გ. ჩუბინაშვილი. რამდენიმე თავი... გვ.14-22; აგრეთვე Чубинашвили Г.Н. Разискания... с.3-5.

¹³ „ჭერემის კვადრატის“, როგორც საქართველოსათვის გუმბათოვან ნაგებობათა საწყისი მოდელის შესახებ. იხ. АК. с.206-8.

¹⁴ არის სხვა მოსაზრებაც ამ ძეგლის შესახებ. ბ. მჭედლიშვილის აზრით, იგი დანგრეული სამრეკლოს ქვედა სართულია. იხ. ზ. კიკნაძე, თ. მირზაშვილი, რას მოგვითხრობს... გვ.81

¹⁵ ი. გაგოშიძე მკავს ნაგებობებს საქართველოს სხვა პუნქტებშიც ადასტურებს. იხ. Гагошидзе Ю.М. Дохристианские храмы Грузии. Тб., 1983. с.7.

¹⁶ შტრ. A. Godard. L'art de L'Iran. p.228-31; იხ აგრეთვე გვიანდელი ცეცხლის ტაძარი ბაქოს სახელოვც. Усейнов М. А. Памятники азербайджанского зодчества. М., 1951. с.51-3. таб.30; აგრეთვე Ашурбейли С.Б. Об истории Сураханского храма огнепоклонников. П.А. М.-Б., 1946. с.41-54; სასანური ცეცხლის ტაძრების შესახებ იხ. აგრეთვე D. Huff, Das Imamzadeh Sayyid Husain und E.Herzfelds theorie über den Sasanidischen Feuertempel. St. Ir. tome 11. 1982. Loiden. s.197-212.

¹⁷ Чубинашвили Г.Н. К вопросу... с.40-3; იგივე აზრი განავითარა არქიტექტორმა მ. ჩხიკვაძემაც (Чхиквадзе М.А. Архитектура Джвари. М., 1940. с.5), მაგრამ ეს მოსაზრება არაა საყოველთაოდ გაზიარებული მკვლევართა მიერ (იხ. Еремян А.Б. Храм Рипсиме. Ереван. 1955. с.85). ეჭვის საფუძველი, როგორც ჩანს ისაა, რომ არ გვაქვს უშუალო, პირდაპირი მოწმობა ანუ შუალედური ეტაპი გარდამავალი საფეხურისა ცრუ გუმბათიდან გუმბათისაკენ.

¹⁸ G. Bandmann. Mittelalterliche Architektur als Bedeutungsträger. Berlin. 1951. s.140.

¹⁹ ვიძოწმებ რ. ავაბაზიანისა და ო. ხალაბაზიანის ნაშრომებზე დაყრდნობით. იხ. Агабабян Р.Я. Композиция купольных сооружений Грузии и Армении. Ереван. 1950. с.48; Халпахчян О.Х. Эллинистические традиции в архитектуре феодальной Армении. ПФАНСМ. 1982. с.4-5.

- ²⁰ A. Stange. Das Frühchristliche Kirchengebäude als Bild Himmels. Köln. 1950. s.101.
- ²¹ ო. Fr. W. Deichman, Frühchristliche Kirchen in Antiken Heiligtümern. IDI. B. 54. 1939. s.105-35.
- ²² ძველის გამთხრელმა არქეოლოგმა ა. ბოხოჩაძემ ეს ეკლესია III ს-ით დაათარიღა. იხ. Бохоцадзе Ал. Настакиси, Саркине, Дзалиси - города Иберии античной эпохи (Некоторые результаты полевых исследований). КСИА. 151. с.93-4; ალ. ბოხოჩაძე, ნასტაკისი, სარკინე, ძალისი. ძმ. 33. თბ., 1973. გვ.37.
- ²³ G. Stanzl. Längsbau und Zentralbau als Grundthemen der Frühchristlichen Architektur. Wien. 1979. s.16-29; A. Stange. Das Frühchristliche... s.19-29.
ცნობილია რომაული ბაზილიკების ეკლესიებად გადაქცევის მრავალი შემთხვევა, ეი. მათზე ქრისტიანული სამლოცველოების უმუშალო დაფუძნების მაგალითები, მაგ., ხისარის ბაზილიკა ბულგარეთში. იხ. Цепенко М.Н. Архитектура Болгарии. М., 1953. с.63.
- ²⁴ გ. ჩუბინაშვილი. რამდენიმე თავი- გვ.46-7.
- ²⁵ Якобсон А.Л. Закономерности средневековой архитектуры. Л., 1985. с.19.
- ²⁶ АК. с.79.
- ²⁷ Комеч А.И. Символика архитектурных форм в раннем христианстве. ИЗЕВ. М., 1978. с.216-20. აგრეთვე Бычков В.В. Проблемы искусства в ранневизантийской эстетике. АКИПВ. М., 1984. с.46-7, 49.
- ²⁸ A. Stange. Das Frühchristliche Basilika als Darstellung des himmlischen Yerusalems. Münch. 1938. G. Bandmann. Mittelalterliche... s.51.
- ²⁹ АК. с.273-86.
- ³⁰ Какабадзе С.С.К изучению грузинской культовой архитектуры IV-VI вв. КСИА. 160. М. 1980.
- ³¹ АК. с.286.
- ³² Туманишвили Д. К вопросу о начальном периоде грузинской средневековой архитектуры. „მაცნე“. ისტორიის... სერია. 1981. №3. გვ.168-75.
- ³³ Какабадзе С.С. К изучению... с.45.
- ³⁴ იხ. Беридзе В.В. Грузинская... с.24.
- ³⁵ Чубинашвили Г.Н. Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье. ВИИ. т.1. с.143.
- ³⁶ Туманишвили Д. К вопросу... с.173.
- ³⁷ ს. კაკაბაძემ საესკებით სამართლიანად აღნიშნა, რომ გურჯაანის ყველაწმინდის კედლების წყობის შესტი ასლია დადასტურებული უჯარმაში (VI ს.) (Какабадзе С.С. К изучению...с.45). შტრ. ირ. ციციშვილი. უჯარმა. თბ., 1982. გვ.17-8; აგრეთვე გ. ლომთათიძე არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალკეთსა და იერის ხეობაში. თბ., 1989. ტ. XVI.
- ³⁸ შტრ. ვ. ჯაფარიძე ვარდციხის ნაქალაქარი (ვერისის ქალაქების არქეოლოგიური შესწავლისათვის). თბ., 1989. გვ.126.
- ³⁹ Беридзе В.В. Грузинская архитектура с древнейших времен до начала XX века. Тб., 1967. с.41.
- ⁴⁰ იხ. Чубинашвили Н.Г. Двани. Храмы Грузии типа "Croix Libre" и "Вписанного в прямоугольник креста" в VI и VII вв. В кн. СИРГ. М., 1978. с.15.
- ⁴¹ АК. с.279.
- ⁴² იხ. Чубинашвили Н.Г. Двани... с.15.
- ⁴³ АК. с.284-5.
- ⁴⁴ АК. с.286.
- ⁴⁵ როგორც, მაგ. კონსტანტინოპოლის წმ. ირინეს ორგუმბათოვან ბაზილიკაში. იხ. Некрасов А.И. Византийское и русское искусство. М., 1924. с.23-4. рис.27.
- ⁴⁶ იხ. G. Stanzl, Längsbau... tab.32. fig.4.
- ⁴⁷ როგორც მაგ., VI ს-ის ორგუმბათოვანი ბაზილიკა პირდორში (ბულგარეთი). იხ. Чанева Н. Старохристианската и ранновизантийската базилика от IV-VI вв. Болгарии. "Археология". кн.Г. 1968. с.21. обр.7а.
- ⁴⁸ შტრ. G. Stanzl, Längsbau... tab.33. fig.1.
- ⁴⁹ გუიერის აზრს, რომელმაც ალკეთს ტაძარი ორფსიდიან სამგუმბათოვან ბაზილიკად წარმოადგინა, მკვლევრები არ იზიარებენ საყოველთაოდ. იხ. M. Ecohard, Note sur un Edifice Chrétien D'Alep. "Syria" T. XXVII. 1930. p. 270-83.
